

უინსტონ გრუმი




ფორესტ გამპერი



უინსტონ ბრუმი



ფორესტ გამპი



ბაკურ სულაკაურის
ბამონცემლოზა

ექლავნებამი ჯიმბო მიდორს და ჯორჯ რედკლიფს,
რომლებიც ყოველთვის კარგად ექცეოდნენ
ფორესტს და მის მეგობრებს.

შეშლილობაშიც არის სიამოვნება, რაც
მხოლოდ შეშლილებმა იციან.

დრაიდენი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კირდაპირ გეტყვით: იდიოტობა კანფექტივით ტკბილი როდია! ხალხი დაგცინის, მოთმინებას კარგავს, უდიერად გეპყრობა. კი ამბობენ, სულთ ავადმყოფის მიმართ სიკეთე უნდა გამოიჩინოო, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, სულ ასეც არ ხდება. თუმცა, მაინც არ ვწუნებ, ასე ვთქვათ, მიმაჩნია, რო საინტერესოდ ვიცხობოვრე.

დაბადებიდან იდიოტი ვარ. ჩემი IQ 70-ზე დაბალია, რაც, როგორც მეუბნებიან, ამტკიცებს, რო იდიოტი ვარ. თუმცა, ალბათ, იმბეცილი უფრო ვარ, ან დებილი, პირადად მე თავი *ჭკუასუსტი* მგონია და არანაირად – იდიოტი. იდიოტზე ხალხს ყოველთვის „მონღოლი იდიოტები“¹ ახსენდება; მე კიდე სულ არ ვგავარ იმათ, თვალებს ჩინელებივით რო ჭუტავენ, იდორბლებიან და თავისთვის ერთობიან.

ცოტა ნელა კი ვაზროვნებ – ამას არ დაგიმალავთ, მაგრამ მთლად ისეთი გონებაბნელიც არა ვარ, ხალხს რო გონია. იმიტო რო, ხალხი ვერ ხედავს, რა ხდება ჩემს გონებაში და მარტო გარეგნულად მაფასებს. მაგალითად, ფიქრი ძალიან კარგად შემიღია, ოღონდ როცა საქმე აზრის გამოთქმაზე ან წერაზე მიდგება, ბრინჯივით ვიბნევი. აგიხსნით, რასაც ვგულისხმობ.

აი, ერთ დღესაც მივუყვები ქურჩას, ეზოში კი კაცი მუშაობს, ბურჩებს რგავს; მხედავს და მეუბნება:

– ფორესტ, გინდა ფული იშოვო?

¹ დაუნის სინდრომით დაავადებულები (მთარგმ. შენიშვნა)

მე ვეუბნები:

– ა-ჰა.

ჰოდა, ისიც მიწას მაზიდვინებს. მიწით სავსე ათი თუ თორმეტი ურიკა გადამაზიდვინა იმ ხვატში. რო მოვრჩი, ჯიბიდან ერთი დოლარი ამოიღო. ამ მცირე ანაზღაურებისთვის ვინმე სხვა ისეთ აყალმაყალს ატეხდა, მკვდარსაც წამოაგდებდა საფლავიდან, მე კი ის ერთდოლარიანი გამოვართვი და გმადლობთ-მეთქი, თუ რაღაც ამგვარი სისულელე ჩავიბურტყუნე. ასეთი იდიოტური შეგრძნებით გავაგრძელე გზა, თან იმ დოლარიანს ხან გავშლიდი, ხან დავკეცავდი.

მიხვდით, რასაც ვგულისხმობ?

დამიჯერეთ, იდიოტებზე საკმარისად ვიცი. შეილება ითქვას, ეს ერთადერთი რამაა, რაც ნამდვილად ვიცი; იმიტო რო, ბევრი წამიკითხავს – დაწყებული იმ დოიჩო-ევსკის „იდიოტით“ და დამთავრებული მეფე ლირის სულელი ხუმარათი, ფოლკნერის იდიოტით, ბენჯით, და თვით მოხუცი ბუ რედლით „ნუ მოკლავ ჯაფარაში“ რომაა – აი, ეგ მართლა სერიოზული იდიოტია. ისე, ყველაზე მეტად მე თითონ მოხუცი ლენი მომწონს „თაგვებსა და ადამიანებში“. მწერლების უმეტესობა მართლა ზუსტად ხვდება: მათი იდიოტები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ხალხს ჰგონია. ჯანდაბა, მეც ვეთანხმები ამას. ნებისმიერი იდიოტი დაეთანხმებოდა. ჰი-ჰი.

როცა დავიბადე, დედამ ფორესტი დამარქვა, სამოქალაქო ომის გენერლის, ნეითან ბედფორდ ფორესტის პატივსაცემად. დედა სულ ამბობს, გენერალ ფორესტის ოჯახს რაღაცნაირად ვენათესავეებითო; ერთი ეგაა, ომის მერე მაგას მოუვიდა თავში კუ-კლუქს-კლანის შექმნაო. ბებიაც უდასტურებდა, მართლა ცუდი ბიჭები იყვნენო. ისე, ამაში მეც ვეთანხმები – ჩვენც გვყავს ერთი ვითომ

მაგარი ბიჭი, ადრე ქალაქში იარაღის მაღაზია ქონდა. ერთხელ, მაშინ ასე თორმეტი წლისა ვიქნებოდი, ახლო-მახლო დავსეირნობდი და ვიტრინაში შევიხედე, იმას კიდე ყულფი ქონდა გაკეთებული, სახრჩობელაზე რო აქვთ, ისეთი. ჰოდა, მე რო დამინახა, ეს ყულფი ჩამოიცვა და ჩემ შესაშინებლად ენა გადმოაგდო, ვითომ დაიხრჩო. გავიქეცი და ავტოსადგომზე მანქანებს ამოვეფარე. სანამ პოლიცია არ მოვიდა და დედასთან არ წამიყვანა, იქ ვიჯექი. ისე, ჩვენ მოხუც გენერალს რაც უნდა ჩაედინა, კუ-კლუქს-კლანი მაინც ცუდი აზრი იყო – ამას ნებისმიერი იდიოტი გეტყვით. მოკლედ, ასეა თუ ისე, სახელი ამგვარად დამერქვა.

დედაჩემი მართლა კარგი პიროვნებაა. ამას ყველა ამბობს. მამაჩემი ჩემს დაბადებამდე მოკვდა, ამიტო ის არც კი მახსოვს. ნავსადგურში მტვირთავად მუშაობდა. ერთ დღეს ამწეს კომპანია United Fruit-ის ერთ-ერთი გემიდან ბანანების დიდი შეკვრა გადაქონდა; რატომღაც ბადე განყდა, ბანანები მამაჩემს დააცვივდა და ადგილზე ცომივით გააბრტყელა. ერთხელ მესმოდა როგორ ყვებოდნენ, ნახევარი ტონა ბანანით გაჭყლექილი მამაჩემი რა საშინელი სანახავი იყო. ამიტომაცაა, რო ბანანებს დიდად არ ვეტანები, მარტო ბანანის პუდინგს ვჭამ. ძან მიყვარს.

United Fruit-მა დედას პენსია დაუნიშნა, თან ოთახსაც ვაქირავებდით და, ასე თუ ისე, თავი გაგვქონდა. სანამ პატარა ვიყავი, თითქმის სულ შინ მამყოფებდა, სხვა ბავშვებს რო არ შევენუხებინე. ზაფხულის საღამოებში, როცა მართლა აუტანლად ცხელოდა, ყველა ფარდას ჩამოუშვებდა, სასტუმრო ოთახს ჩამოაბნელებდა, იქ დამსვამდა და გასაგრილებლად გრაფინით ლიმონათს მომიტანდა ხოლმე. ზოგჯერ თითონაც მომიჯდებო-

და და მელაპარაკებოდა; კონკრეტულად არაფერზე, ისე, ზოგადად, როგორც კატას ან ძალს ელაპარაკება ხოლმე პატრონი. ამ საუბრებს ძალიან მივეჩვიე და მომწონდა, დედის ხმის გაგონებაზე თავს მშვიდად და უსაფრთხოდ ვგრძნობდი.

როცა წამოვიზარდე, თავიდან ყველასთან მიშვებდა სათამაშოდ, მაგრამ მერე რო დაინახა, სხვა ბავშვები მაჯავრებდნენ და ცუდად მეპყრობოდნენ, ამიკრძალა. ერთხელ ერთმა ბიჭმა დევნისას ჯოხი ისე ძლიერ დამარტყა, ზურგზე საშინელი ნაიარევი დამაჩნდა. მას მერე დედამ მითხრა, სხვა ბიჭებთან აღარ ითამაშოო. გოგოებთან კი ვცაადე თამაშის წამოწყება, მაგრამ არც მათთან გამომივიდა რამე, გოგოები სულ გამირბოდნენ.

დედაჩემის აზრით, ჩვეულებრივ სკოლაში უნდა მესწავლა, იქნებ ამით სხვებს დავმსგავსებოდი, მაგრამ ცოტა ხანში სკოლიდან მოვიდნენ და დედას უთხრეს, სკოლაში სხვების გვერდით ამის ყოფნა არ შეილებაო. პირველი კლასი მაინც დამამთავრებინეს. ხანდახან, სანამ მასწავლებელი ლაპარაკობდა, მე უაზროდ ვიჯექი, ფანჯრიდან ვუყურებდი ჩიტებს, ციყვებს ან სხვა არსებებს, გარეთ მდგარ ხმელ მუხაზე რო დაძვრებოდნენ და ბუდობდნენ. უცებ მასწავლებელი დამადგებოდა თავს და მსაყვედურობდა. ზოგჯერ უცნაური რაღაც მემართებოდა, უმიზეზოდ ყვირილს ვინწყებდი. ამ დროს მასწავლებელი საკლასო ოთახიდან გამაგდებდა და მეც დერეფანში ხის სკამზე ვიჯექი ხოლმე. კლასელები არასდროს მეთამაშებოდნენ, სულ დამდევდნენ და მანვალებდნენ, ამაყვირებდნენ და მერე დამცინოდნენ. ერთადერთი ჯენი კერენი არ მარიდებდა თავს, ზოგჯერ გვერდიგვერდ სიარულის ნებასაც მრთავდა, როცა სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი.

მომდევნო წელს სხვა სკოლაში გადამიყვანეს. ძალიან უცნაური სკოლა კი იყო, მე თუ მკითხავთ. რატომღაც ყველა უცნაური ბიჭი ერთად შეეკრიბათ – ჩემი ხნისები, ჩემზე უმცროსები და უფროსებიც, ასე თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისები. გონებრივად ჩამორჩენილები და კრუნჩხვიანები იყვნენ, ზოგს თავისით ჭამა და ტუალეტში სიარულიც არ შეეძლო. მგონი, იმ სკოლაში ყველაზე ჭკვიანი მე ვიყავი.

ერთი მსუქანი ბიჭი, ცამეტი-თოთხმეტი წლისა იქნებოდა, ხანდახან ისე აფართხალდებოდა, თითქოს ელექტროსკამზე ზისო. ჩვენი მასწავლებელი, მის მარგარეტი ტუალეტში მარტო არ უშვებდა, მეც თან გამაყოლებდა, ვაითუ ისევ ბნელამ წამოუაროსო. რომელი დამხმარე მე ვიყავი?! თუ ბნელა წამოუვლიდა, ტუალეტის კაბინაში ჩავიკეტებოდი და ველოდი, როდის დაწყნარდებოდა ის ბიჭი. მერე საკლასო ოთახში ერთად ვბრუნდებოდით.

იმ სკოლაში ხუთი თუ ექვსი წელი დავყავი. არა უშავდა რა. თითებით გვახატვინებდნენ, პატარ-პატარა ნივთებს გვამზადებინებდნენ; თუმცა უმეტესად იმას გვასწავლიდნენ, ფეხსაცმლის თასმები როგორ შეგვეკრა, ან საჭმლით როგორ არ მოვთხუპნილიყავით, ან როგორ შეგვენარჩუნებინა სიმშვიდე და წვილ-კივილი არ აგვეტეხა. უნიგნოდ გვიხსნიდნენ, როგორ გაგვერჩია საგზაო ნიშნები ან ქალისა და კაცის ტუალეტი ერთმანეთისგან. ასეთ სერიოზულ ჭკუაშერყეულებს სხვას მაინც ვერაფერს შეაგნებინებდი. ჩემი აზრით, უფრო იმიტო ვყავდით იქ შეკრებილები, ფეხში რო არავის გამოვდებოდით. აბა, მითხარით, ვის მოენონება ქურჩაში თავისუფლად მოხეტიალე შერეკილების ჯგრო? ამას მეც კი ვხვდები.

ცამეტისა რო შევსრულდი, ბევრი უჩვეულო რამ შე-

მემთხვა. ჯერ ერთი, ტანი ავიყარე – ექვს თვეში თხუთმეტი სანტიმეტრით გავმაღლდი; დედა ჩემი შარვლების გადაკეთებას ვერ აუდიოდა. და მეორე, წონაშიც მოვიმატე. თექვსმეტი წლისა 1,95 მეტრი ვიყავი და 110 კილოს ვიწონიდი. ეს ყველაფერი ზუსტად იქიდან ვიცი, რო ასაწონად და გასაზომად წამიყვანეს. იძახდნენ, ასეთი რამ შეულებელიაო.

შემდეგ ისეთი რამ მოხდა, მთელი ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ერთ დღეს გიჟების სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი და უცებ გვერდით მანქანამ გამიჩერა. ვილაც ტიპმა ფანჯრიდან თავი გამოყო და სახელი მკითხა. მეც ვუთხარი. იმან მკითხა, აქამდე რატო არსად შეგხვედრივარ, რომელ სკოლაში სწავლობო. ვუპასუხე, გიჟების სკოლაში-მეთქი. იმან, ოდესმე ფეხბურთი¹ თუ გითამაშიაო. თავი გავაქნიე. კარგი იქნებოდა მეთქვა, რო მინახავს, როგორ თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ სხვა ბავშვები მე არ მათამაშებდნენ. როგორც უკვე გითხარით, საუბარი დიდად არ მეხერხება, ამიტომ მხოლოდ თავი გავაქნიე. ეს ყველაფერი სკოლის დაწყებიდან ორ კვირაში მოხდა.

სამი დღის შემდეგ მოვიდნენ და გიჟების სკოლიდან წამიყვანეს. დედაჩემიც იქ იყო, ის ტიპიც და კიდე ორი ჯანიანი ახმახი – ეტყობა, ყოველი შემთხვევისთვის, რამე რო არ დამეშავებინა. ჩემი ნივთები ერთ ყავისფერ ქალაღდის პაკეტში ჩაყარეს და მითხრეს, მის მარგარეტს დაემშვიდობეო. ყველასთვის გასაოცრად, მის მარგარეტი აქვითინდა და აცრემლებულმა, გულში ძლიერად ჩამიკრა. მერე ჩემ თანაკლასელ გიჟებს დავემშვიდობე, რომლებიც ღრიალებდნენ, იკრუნჩხე-

¹ იგულისხმება ამერიკული ფეხბურთი (მთარგმ. შენიშვნა)

ბოდნენ და მერხებზე მუშტებს აბრახუნებდნენ. აი, ასე წამოვედი იმ სკოლიდან.

დედა წინა სავარძელზე დაჯდა, იმ ტიპის გვერდით, მე უკანაზე – იმ ორ ჯანიან ახმახს შორის, ძველ ფილმებში რო პატიმარი ზის ორი პოლიციელის შუაში, ზუსტად ისე. ოღონდ მე განყოფილებაში არ წავუყვანივარ, ახალაშენებულ სკოლაში მიმიყვანეს. მე, დედა და ის ტიპი დირექტორის კაბინეტში შევედით, ორი ჯანიანი ახმახი დერეფანში დარჩა. დირექტორი ერთი ქალარა მოხუცი იყო ხალვათი, ჩაჩაჩული შარვლითა და გაქონილი ჰალსტუხით, გეგონება, ისიც გიჟების სკოლიდან ყოფილიყოს. ყველანი დავსხედით და დირექტორმა რაღაცეები აგვიხსნა, მერე შეკითხვები დამისვა, მე მხოლოდ თავს ვუქნევდი. მოკლედ, უნდოდათ, ფეხბურთი მეთამაშა. ამას მე თითონ მივხვდი.

ის ტიპი ფეხბურთის მწვრთნელი გამოდგა, გვარად ფელერსი იყო. იმ დღეს გაკვეთილებს არ დავსწრებივარ. მწვრთნელმა ფელერსმა გასახდელში შემიყვანა და ერთ-ერთმა ჯანიანმა ახმახმა საფეხბურთო ფორმა ჩამაცვა – თავისი რბილი სამხრეებითა და რამეებით, თავზე კი ჩაფხუტი დამახურეს, თავი რო არ გამეტეხა. ერთი ის იყო, რო ჩემი ზომის ბუცები ვერ იშოვეს და, სანამ სპეციალურად ჩემთვის შეუკვეთავდნენ, ბოტასებით გამიყვანეს სათამაშოდ.

მწვრთნელმა ფელერსმა და მისმა ჯანიანმა ახმახებმა ეს საფეხბურთო ფორმა ჩამაცვეს და მერე გამხადეს. ისევ ჩამაცვეს და ისევ გამხადეს. ასე ჩამაცვეს და გამხადეს ერთი ათჯერ ან ოცჯერ, სანამ მე თითონ არ ვისწავლე ფორმის ჩაცმა-გახდა. ერთი იმ „ნიჟარას“¹ ვერ

¹ სპორტსმენის სუსპენზორიუმი, საზარდულის დამცავი ნიჟარა (მთარგმ. შენიშვნა)

გავუგე ვერაფერი, ვერც ის ამიხსნეს, საერთოდ რატო უნდა გამეკეთებინა. გაბეზრებულმა ერთმა ახმახმა მეორეს ჩემზე უთხრა „ჩლუნგიაო“ თუ რალაც. მგონი, ეგონა, რო ვერ მივხვდებოდი. მე კი გავიგე, იმიტო რო ასეთ დაცინვებს დიდ ყურადღებას ვაქცევ. არა, განა იმიტო, რო მწყინს! ჯანდაბა, მაგაზე საშინელი რამეები უნოდებიან ჩემთვის. უბრალოდ, ყოველთვის ვამჩნევ, როცა დამცინიან.

ცოტა ხანში გასახდელში ბიჭები შემოვიდნენ და თავიანთი საფეხბურთო ფორმები ჩაიცვეს. მერე ყველანი გარეთ გავედით, მწვრთნელმა ფელერსმა ბიჭები შეკრიბა, მათ წინაშე დამაყენა და ჩემი თავი წარუდგინა. რალაცეებს მიედ-მოედებოდა, ნახევარი არ გამიგონია, რადგან შიშით ნახევარი სიცოცხლე გავათავე – მანამდე ამდენი უცნობი ბიჭის წინაშე არასდროს წარუდგენივართ. თუმცა მერე რამდენიმე მათგანი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და, გვიხარია, რო შემოგვიერთდით, თუ რალაც ამგვარი მითხრეს. ამასობაში მწვრთნელმა ფელერსმაც დაუსტვინა, მე შეშინებული შევხტი, ბიჭებმა კი ხელების ქნევა, სირბილი და ვარჯიში დაიწყეს.

ცოტა გრძელი ისტორია კია, მარა ფეხბურთის თამაში დამაწყებინეს. მწვრთნელი ფელერსი და ერთ-ერთი ჯანიანი ახმახი განსაკუთრებით მეხმარებოდნენ, რადგან როგორ მეთამაშა, არ ვიცოდი. ჯერ მითხრეს, ხალხს წინ უნდა გადაუდგე და შეაჩერო, მაგრამ ყოველთვის მავიწყდებოდა და ბოლოს, უამრავი მცდელობის შემდეგ, ყველას ძალიან მობეზრდა.

მერე „დაცვაში“ მავარჯიშეს. წინ სამი ბიჭი დამიყენეს და მითხრეს, ამათ შორის გაირბინე და ბურთიანი ბიჭი დაიჭირო. პირველი დავალეა ადვილი იყო, სამი ბიჭი იქვე მივანვინე, მაგრამ ის არ მოეწონათ, ბურთიანი

ბიჭი როგორც დავიჭირე. ბოლოს, ასე მითხრეს, გაიქეცი და იმ მუხის ხეს დაეძგერე, რო უკეთ შეიგრძნოო. ასე თხუთმეტი-ოცჯერ მაინც დავეძგერე მუხას და იმ იმედით, რო რალაც ვისწავლე, კიდე ერთხელ გამამეორებინეს ვარჯიში – სამი ბიჭი წინ დამიყენეს და ბურთიანი ბიჭის დაჭერა მთხოვეს. უნდა გენახათ, როგორ გადაირივნენ, როცა ის სამი ბიჭი ჩამოვიცილე, მაგრამ ბურთიან ბიჭს გადარეულივით ზედ არ დავახტი. კარგად გამომლანძღეს. როცა ვარჯიშს მოვრჩით, მწვრთნელ ფელერსთან მივედი და ვუთხარი, იმ ბურთიან ბიჭს ვერ დავიჭერ, რადგან მეშინია, რამეს ვატკენ-მეთქი. მწვრთნელმა, იმ ბიჭს არაფერი მოუვა, საფეხბურთო ფორმა აცვია და ის დაიცავსო. სინამდვილეში კი იმის მეშინოდა, იმ ბიჭს თუ რამეს ვატკენდი, ისევ ყველა გამიბრაზდებოდა და დაცინვას დამიწყებდა. მოკლედ, ამ ვარჯიშებს კარგა ხანს ვეჩვეოდი.

სკოლაში გაკვეთილებზეც დავდიოდი. გიჟების სკოლისგან განსხვავებით, აქ ბევრად სერიოზულ რამეებს ასწავლიდნენ. როგორღაც იმდენი მოახერხეს, რო დღეში სამი საათი გადაბმულად გაკვეთილების მოსამზადებელ საერთო საკლასო ოთახში უსაქმურად ვიჯექი და რასაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი, ხოლო დარჩენილ სამ გაკვეთილზე ერთი ქალი კითხვას მასწავლიდა. მარტო ჩვენ ორნი ვიყავით – მე და ის. ძაან ლამაზი ქალი იყო, ერთი-ორჯერ ბინძურმა აზრმაც კი გამიელვა თავში. იმ ქალს მის ჰენდერსონი ერქვა.

ყველაზე მეტად სკოლაში „სადილის“ გაკვეთილი მომწონდა; ისე, ამას მთლად გაკვეთილსაც ვერ უწოდებ. გიჟების სკოლაში დედა სენდვიჩებს, ფუნთუშებსა და ხილს (გარდა ბანანისა) მატანდა და იმას ვჭამდი. ამ სკოლაში კი კაფეტერია იყო, სადაც ცხრა თუ ათი სახ-

ეობის კერძი ქონდათ და თავიდან არჩევა გამიჭირდა. ეტყობა, ვილაცამ ჩემ გასაჭირზე უამბო და მომდევნო კვირას მწვრთნელი კაფეტერიაში შემოვიდა; მითხრა, მიდი, რაც გინდა ჭამე, შენთვის ყველაფრისა წინასწარ გადახდილიაო. რა მაგარია!

აბა, გამოიცანით, ვინ იჯდა ჩემთან გაკვეთილების მოსამზადებელ საკლასო ოთახში: ჯენი კერენი! ერთხელ დერეფანში გამომელაპარაკა და მითხრა, პირველი კლასიდან მახსოვხარო. უკვე გაზრდილიყო, შავი თმა და ფეხები დაგრძელებოდა, სახეც დამშვენებოდა და სხვა რაღაც-რაღაცეებიც...

ფეხბურთის საქმე მთლად ისე არ მიდიოდა, როგორც მწვრთნელ ფელერსს გაუხარებოდა. სულ უკმაყოფილო იყო და გვიყვიროდა. მეც მიყვიროდა. ყველანაირად ცდილობდნენ, ჩემთვის ჩვენი ბურთიანი მოთამაშის სხვა ფეხბურთელებისგან დაცვა ეიძულებინათ, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ ვაკეთებდი, თუ ბურთს როგორმე საგოლე ხაზის შუამდე მოიტანდნენ. მწვრთნელს არც ჩემი შებოჭვები მოსწონდა და დამიჯერეთ, იმ მუხის ხესთან მრავალი საათი გავატარე. საიდან არ ვეძგერებოდი ბურთიან ბიჭს, მაგრამ მაინც ისე არ გამომდიოდა, როგორც მწვრთნელს უნდოდა. მთელი ძალის გამოვლინებისგან რატომღაც ყოველთვის თავს ვიკავებდი.

ერთხელაც ისეთი რამ მოხდა, რამაც ყველაფერი შეცვალა. კაფეტერიაში ლანგარზე საჭმელი დავინყვე და ჯენი კერენის გვერდით დასაჯდომად წავედი. ამ სკოლაში თუ ვინმეს ოდნავ მაინც ვიცნობდი, ჯენი იყო და მასთან ყოფნა მსიამოვნებდა. მეტწილად ყურადღებას საერთოდ არ მაქცევდა და სხვებს ელაპარაკებოდა. თუმცა ის მაინც იცოდა, მის გვერდით რო ვიჯექი. აი, სხვა ფეხბურთელები კი, რომლებთანაც თავიდან

ვიჯექი, ჩემ არსებობას საერთოდ არ იმჩნევდნენ. მოკლედ, ჯენი კერენის მაგიდას გავუშინაურდი. ჩემ გარდა მის მაგიდასთან კიდე ერთი ბიჭი იჯდა ხოლმე და ამ ბიჭმა ჩემი დაცინვა დაიწყო. ჩვენი ყეყერი როგორ არისო, და ეგეთ საძაგლობებს მეუბნებოდა. ერთი-ორი კვირა ამას უსიტყვოდ ვიტანდი, მაგრამ ბოლოს ველარ მოვითმინე და აი, – თავადაც არ მჯერა, რო ეს გავბედე – ვუთხარი:

– მე ყეყერი არ ვარ.

იმ ბიჭმა შემომხედა და ახარხარდა. ჯენი კერენმა უთხრა, გაჩუმდიო, მაგრამ ბიჭმა მუყაოს კოლოფი აიღო და მუხლებზე რძე დამასხა. მე წამოვხტი და გავიქეცი, რადგან მისი შემეშინდა.

ერთი-ორი დღის მერე ის ბიჭი დერეფანში შემხვდა და მითხრა: მაცალე, ჭკუას გასწავლიო. მთელი დღე შიშში გავატარე, შუადღისას სპორტდარბაზში რო მივდიოდი, ის ბიჭი თავის ძმაკაცებთან ერთად დამხვდა. სხვა მხარეს დავაპირე წასვლა, მაგრამ ბიჭი დამენია და მხარზე მკრა ხელი. ცუდი რამეები მეძახა, შე სულელო და დებილოო, მერე მუცელში დამარტყა ხელი. ძაან არ მტკენია, მაგრამ ცრემლები წამომივიდა. შევტრიალდი და გავიქეცი. ის ბიჭი და მისი ძმაკაცები გამომეკიდნენ. უკან მოუხედავად გავიქეცი სპორტდარბაზისკენ. ფეხბურთის სავარჯიშო მინდორზე რო გადავრბოდი, შევამჩნიე, როგორ წამოდგა ხის ტრიბუნაზე მჯდარი მწვრთნელი ფელერსი და თვალი გამომაყოლა. მდევრებს ჩემი დევნა მობეზრდათ, შეჩერდნენ და უკან გაბრუნდნენ. მწვრთნელი ფელერსი უჩვეულო გამომეტყველებით მომიახლოვდა და მითხრა, ახლავე სპორტული ფორმა ჩაიცვიო. ცოტა ხანში თითონაც შემოვიდა გასახდელში, ქალაღდის ფურცელზე დახაზული სამი

კომბინაცია მიჩვენა და მითხრა, რაც შეილება კარგად დაიმახსოვრო.

იმ დღეს სავარჯიშო მინდორზე ბიჭები ორ გუნდად დაგვყო. უცებ ქუთოთერბექმა ბურთი მომანოდა და მითხრეს: შუა ხაზის მარჯვენა კიდიდან კარის ძელამდე მიიტანეო. როგორც კი სხვები გამომეკიდნენ, მთელი სისწრაფით გავიქეცი, შვიდ-რვა კაცს დავუსხლტი, სანამ წამაქცევდნენ. მწვრთნელი ფელერსი კმაყოფილი იყო, გახარებული ხტოდა და ყვიროდა, ზურგზე ყველას ხელს უტყაპუნებდა. კიდე ბევრჯერ გავირბინე იმის სანახავად, რამდენად სწრაფად დავრბოდი. გაირკვა რო, როცა მომდევენ, უფრო სწრაფად გავრბოდი. რომელი სულელი არ გაიქცეოდა?

ერთი სიტყვით, მას შემდეგ უფრო პოპულარული გავხდი და ჩემი თანაგუნდელებიც უფრო თავაზიანად მექცეოდნენ. მერე პირველი თამაში გვექონდა. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ მხოლოდ ბურთს მაძლევდნენ და მეც გავრბოდი. ორჯერ თუ სამჯერ გადავირბინე საგოლე ხაზზე. ნეტა გენახათ, ხალხს როგორ გაუხარდა! ასეთი კეთილები ჩემ მიმართ არასდროს ყოფილან. ერთი კი ნაღდია, იმ საშუალო სკოლაში ჩემ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რო ფეხბურთის თამაში შემეყვარდა, მხოლოდ ბიჭებთან დატაკებას და მათ წაქცევას ვერ მიმაჩვიეს, ჰოდა, ცენტრის მაგივრად სულ კიდის ხაზზე დავრბოდი. მწვრთნელი ფელერსის ერთ-ერთმა ჯანიანმა ახმახმა მითხრა, მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სტუდენტი ჰავბეკი ხარო. არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, მაგრამ არა მგონია, კომპლიმენტი ყოფილიყო.

გარდა ამისა, მის ჰენდერსონი კითხვას მასწავლიდა. „ტომ სოიერი“ და კიდე ორი წიგნი – რომელთა სახელე-

ბი ალარ მახსოვს – შინ გამატანა წასაკითხად. სამწუხაროდ, ტესტი არც ისე კარგად დავწერე, მაგრამ წიგნები კი სიამოვნებით წავიკითხე.

ცოტა ხნის შემდეგ კაფეტერიაში ისევ ჯენი კერენის გვერდით ვჯდებოდი. კარგა ხანს პრობლემები ალარ შემქმნია. თუმცა გაზაფხულზე სკოლიდან შინ რო ვბრუნდებოდი, გზაზე სწორედ ის ბიჭი შემომხვდა, რომელმაც იმ დღეს მუხლებზე რძე დამასხა და საცემად გამომეკიდა. ხელში ჯოხი ეჭირა. ისევ „სულელოს“ და „დებილოს“ ძახილი დამიწყო.

ჩვენ გარდა იქ სხვებიც იდგნენ. ამ დროს ჯენი კერენმაც გამოიარა. უკვე გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ არ გავიქეცი – თითონაც არ ვიცი, რატო. იმ ბიჭმა ჯოხი მუცელში მათაკა. ჯანდაბას-მეთქი, ჩემთვის ჩავიბურტყუნე, იმ ბიჭს ცალი ხელით ჯოხიანი ხელი დავუჭირე და მეორე მუშტი თავში ჩავცხე. ეს იყო და ეს. ეს ამბავი ამით დასრულდა.

იმ ღამით დედაჩემს იმ ბიჭის მშობლებმა დაურეკეს, შენი ბიჭი ჩვენს ბიჭს ხელს თუ კიდე დააკარებს, პოლიციაში დავრეკავთ და შენ ბიჭს „გამოკეტავნო“. ვცადე, დედაჩემისთვის ყველაფერი ამეხსნა. დედამაც მითხრა, ვიცი, გასაგებიაო, მაგრამ მაინც შეწუხდა. მითხრა, ძალიან დიდი და ღონიერი ხარ და ფრთხილად უნდა იყო, თორემ შეილება ვინმეს რამე ატკინოო. მე თავი დავუქნიე და დავპირდი, არავის არასდროს არაფერს დავუშავებ-მეთქი. იმ ღამით დასაძინებლად რო ვწვებოდი, გავიგონე, როგორ ტიროდა დედაჩემი თავის საძინებელში.

მეორე მხრივ, იმ ბიჭისთვის თავის გატეხამ ჩემს თამაშზე იმოქმედა. მეორე დღესვე მწვრთნელ ფელერსს ვთხოვე, პირდაპირ გავირბენ-მეთქი. იმანაც, მიდიო და,

მეც ოთხ თუ ხუთ ბიჭს გადავუარე და გზა გავითავისუფლე. ვერავინ დამენია.

იმ წელს შტატის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დამასახელეს. ვერაფრით ვიჯერებდი. დედამ დაბადების დღეზე ორი წყვილი ახალი წინდა და ახალი პერანგი მაჩუქა. ცოტა ფულიც დაეგროვებინა და იმით ახალი პიჯაკი მიყიდა. ეს ჩემი პირველი პიჯაკი იყო. ჰალსტუხი დედამ გამიკეთა. ასე კობტად გამოწყობილი წავედი შტატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიაზე.

საზიზო ბანკეტი პატარა ქალაქ ფლომატონში იმართებოდა, ანუ სადღაც გადაკარგულში, როგორც მწვრთნელმა ფელერსმა უნოდა. ავტობუსში ჩაგვსხეს – ჩვენი რეგიონიდან ხუთმა თუ ექვსმა მოვიპოვეთ ჯილდო – და წაგვიყვანეს. თითქმის ორ საათს ვმგზავრობდით, ავტობუსში ტუალეტი არ იყო, მე კი წამოსვლამდე ორი ბოთლი ლიმონათი დავლიე და როცა ფლომატონში ჩავედით, თავს შეუძლოდ ვგრძნობდი.

ღონისძიებას ფლომატონის საჯარო სკოლის აუდიტორია მასპინძლობდა. შესვლისთანავე და მე და კიდე რამდენიმემ ტუალეტი მოვძებნეთ. ელვაშესაკრავის ჩახსნას რო ვცდილობდი, შიგ პერანგი მოყვა. კარგა ხანს ვეჯახირე, მაგრამ შარვალი ვერაფრით გავიხსენი. მერე მეტოქე გუნდის ერთი თავაზიანი ფეხბურთელი მწვრთნელ ფელერსთან მივიდა და ჩემი გასაჭირის შესახებ უამბო. მწვრთნელი ფელერსი თავის ჯანიან ახმახებთან ერთად ჩემ დასახმარებლად შემოვიდა. ერთ-ერთმა ახმახმა თქვა, ელვაშესაკრავს თუ მოვხევთ, თორე შარვალს სხვანაირად ვერ ჩავხდითო.

ამაზე დოინჯშემოყრილმა მწვრთნელმა ფელერსმა თქვა:

– თქვენ რა, გინდათ შარვლის უბეგამორღვეული და სოსისგადმოგდებული გავიყვანოთ აუდიტორიაში? ხალხი რას იფიქრებს?

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

– ფორესტ, სანამ დაჯილდოების ცერემონია დას-

რულდება, უნდა მოითმინო. მერე როგორმე გაგიხსნით მაგ ელვაშესაკრავს. კარგი?

თავი დავუქნიე, რადგან არ ვიცოდი, რა მექნა. არადა, კი მივხვდი, წინ გრძელი სალამო მელოდა.

აუდიტორიაში მილიონი კაცი დაგვხვდა. მაგიდებთან ისხდნენ და ტაშისკვრით მოგვესალმნენ. ჩვენ ხალხის წინ, სცენაზე, გრძელ მაგიდასთან დაგვსხეს. ჩემი ეჭვები გრძელი სალამოს თაობაზე გამართლდა. ლამის მთელი დარბაზი სიტყვით გამოვიდა, მიმტანები და დარაჯიც კი. გულით ვინატრე დედაჩემი, რომელიც აუცილებლად დამეხმარებოდა, მაგრამ დედა გრიპიანი იწვა სახლში. ბოლოს ჯილდოების გადმოცემის დროც დადგა. სათითაოდ გვიძახებდნენ, პატარა ოქროსფერ ბურთებს გვაძლევდნენ, ჩვენ კი მიკროფონთან ვდგებოდით და მადლობას ვამბობდით. გარდა ამისა, გვეკითხებოდნენ, რამეს ხო არ დაამატებთ, იქნებ მოკლედ გვითხრათ, მომავალში რას აპირებთო.

ბევრმა მიიღო ჯილდო და მადლობაც გადაიხადა. ჩემი ჯერი დადგა. ვილაცამ გამოაცხადა:

– ფორესტ გამპი!

სხვათა შორის, მგონი, არ მითქვამს – გვარად გამპი ვარ. ავდექი და ჯილდოს მისაღებად გავედი. მიკროფონისკენ დავიხარე და ვთქვი:

– გმადლობთ!

ხალხმა ყიჟინა დასცა და ტაში დამიკრა. ეტყობა, ვილაცამ წინასწარ გააფრთხილა ისინი, რო იდიოტი ვარ და მათაც ძალისხმევა არ დაიშურეს. ამან ძალიან გამაკვირვა და დაბნეულობისგან იქვე გავშეშდი. უცებ ყველა გაჩუმდა. გამომცხადებელი კაცი ჩემკენ გადმოიხარა და მკითხა: რამის დამატება ხო არ გინდაო.

მეც ვუთხარი:

– მეფსია!

დამსწრე საზოგადოებას კარგა ხნით ხმა ჩაუვარდა, მერე ერთმანეთს გადახედეს და ჩუმად აბუტბუტდნენ. მწვრთნელმა ფელერსმა მკლავზე წამავლო ხელი და ჩემს ადგილზე დამაბრუნა. მთელი სალამო მიბლვერდა, ბანკეტის დასრულების შემდეგ კი თავის ახმახებთან ერთად ტუალეტში შემათრია და ელვაშესაკრავი გამიხსნეს. მთელი ვედრო მოვფსი!

– გამპ, – მითხრა მწვრთნელმა, რო მოვრჩი, – ნამდვილი „ენამჭევრი“ ყოფილხარ!

მომდევნო წელი ღირსშესანიშნავი შემთხვევებით დახუნძლული არ ყოფილა, მაგრამ ხმა გავრცელდა, ახალგაზრდულ საფეხბურთო ნაკრებში ვილაც იდიოტი მოხვდაო და მთელი ქვეყნიდან წერილებს მიგზავნიდნენ. დედა წერილებს აგროვებდა და ალბომში აწებებდა. ერთხელ ნიუ-იორკიდან პაკეტი მივიღე, რომელშიც „ნიუ-იორკ იანკის“ ყველა მოთამაშის ავტოგრაფით დამშვენებული ბეისბოლის ბურთი იდო. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ! ისე ვუფრთხილდებოდი, თითქოს ოქროსი ყოფილიყოს. თუმცა ერთხელ ეზოში რო ვისროდი, საიდანღაც დიდი, ბებერი ძალღი გამოხტა, ბურთი ჰაერში დაიჭირა და დამიფუშა. ყოველთვის ასეთი ცუდი რამეები მემართება.

ერთ დღეს მწვრთნელმა ფელერსმა დირექტორის კაბინეტში გამომიძახა. იქ ერთი უნივერსიტეტელი კაცი დამხვდა. ხელი ჩამომართვა და მკითხა: კოლეჯში ფეხბურთის თამაშზე თუ გიფიქრიაო. მითხრა, თვალს გადაევნებდითო. მე თავი გავაქნიე. კოლეჯში ფეხბურთის თამაშზე არასდროს მეფიქრა.

ეტყობა, ყველას რიდი ქონდა ამ კაცისა, თავს უკრავდნენ და მოწინებით მიმართავდნენ, „მისტერ ბრაიანტ“.

თითონ მთხოვა, „დათვი“ დამიძახეო. უცნაური სახელია, არა? ისე, რალაცით მართლა კი ჰგავდა დათვს. მწვრთნელმა ფელერსმა აუხსნა: ფორესტი ძაან გონებაგახსნილიც არ არისო, მაგრამ „დათვი“ შეეპასუხა: არა უშავს, გუნდში სუ ეგეთები მყავსო. დაგვპირდა, სწავლაში დავეხმარებო. ერთი კვირის შემდეგ რალაც ტესტი მომცეს, ჩემთვის გაუგებარი უამრავი შეკითხვა იყო ჩამონერილი. ტესტს თავი-ბოლო ვერ გავუგე და გაბეზრებულმა, წერა შევწყვიტე.

ორი დღის შემდეგ „დათვი“ დაბრუნდა და მწვრთნელმა ფელერსმა დირექტორის კაბინეტში შემათრია. „დათვი“ დაღონებული ჩანდა, მაგრამ მაინც თავაზიანად იქცეოდა. მკითხა, ტესტზე მუშაობისას მთელი ცოდნა თუ გამოავლინეო. თავი დავუქნიე, დირექტორმა კი ჭერს მიაპყრო თვალები. „დათვმა“ თქვა:

– მაშინ ძალიან სამწუხაროა, რადგან დაგროვილი ქულა მიანიშნებს, რომ ეს ბიჭი ნალდი იდიოტია.

დირექტორმა თავი დაუქნია; ჯიბეებში ხელებჩანყო-ბილმა მწვრთნელმა ფელერსმა უჟმურად გამომხედა. იმედი გადამეწურა, კოლეჯში ჩემი საფეხბურთო კარიერის პერსპექტივას ბოლო მოეღო-მეთქი.

თუმცა ის ფაქტი, რო კოლეჯში ფეხბურთის სათამაშოდ მეტისმეტად ჩლუნგი ვიყავი, აშშ-ის არმიისთვის სულერთი იყო. კიდე ერთი წელი ვითამაშე ფეხბურთი და გაზაფხულზე სხვებთან ერთად დავამთავრე სკოლა. სცენაზე დამაყენეს, შავი მანტიაც მომასხეს და როცა ჩემი დრო მოვიდა, დირექტორმა გამოაცხადა, რო სპეციალური „დიპლომით“ მაჯილდოებდა. მიკროფონთან მივედი. ორი ჯანიანი ახმახიც გამომყვა. ეტყობა, იფიქრეს, კიდე რამე სულელური არ წამოცდეს, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელების საზეიმო დაჯილდოება-

ზეო. დედაჩემი ქვემოთ, წინა რიგში იჯდა და ცრემლებს აღვარღვარებდა, თითქოს ბოლოს და ბოლოს ცხოვრებაში რალაცისთვის მიმელწიოს.

თუმცა შინ რო დავბრუნდი, მივხვდი, სინამდვილეში რა ატირებდა დედას. არმიიდან წერილი გამოეგზავნათ, ფორესტ გამპი ადგილობრივ კომისარიატში გამოცხადდესო. მე ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, დედა კი ყველაფერს მშვენივრად მიხვდა: 1968 წელი იყო და ვილაცეებს ათასი პრობლემა ქონდათ მოსაგვარებელი.

დედამ დირექტორის მოცემული წერილი გადმომცა, რომელიც კომისარიატში უნდა წარმედგინა, მაგრამ გზაში დამეკარგა. საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ერთი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ფერადკანიანი ახალწვეულებს უყვიროდა:

– ნახევარი თქვენგანი იქით დადგეს, ნახევარი თქვენგანი – აქეთ, მესამე ნახევარი კი – ადგილზე დარჩეს!

ბიჭები დაიბნენ და ყველამ ერთმანეთს გადახედა. მეც კი მოვტვინე, რო ეს ტიპი დებილი იყო.

ოთახში შეგვიყვანეს, კედელთან დაგვაყენეს და ტანსაცმლის გახდა გვიბრძანეს. გახდა არ მინდოდა, მაგრამ სხვებმა გაიხადეს და მეც მათ მივბაძე. ყველაფერი გაგვისინჯეს – თვალები, ცხვირი, პირი, ყურები – ინტიმური ადგილებიც. მერე წაიხარეო, მითხრეს და რო წავიხარე, ვილაცამ ტრაკში შემეყო თითი.

ეს კი ველარ მოვითმინე! შევტრიალდი და იმ ნაბიჭვარს თავში მუშტი ჩავარტყი. ატყდა ერთი აურზაური, რამდენიმე კაცი ერთდროულად დამეტაკა, მაგრამ ამას მიჩვეული ვიყავი. ყველას დავუსხლტი და გავიქეცი. შინ დედას ყველაფერი ვუამბე. დედა დალონდა, მაგრამ მითხრა:

– ნუ ღელავ, ფორესტ, ყველაფერი კარგად იქნება.

თუმცა ასე არ მოხდა. შემდეგ კვირას ჭიშკარს ფურგონი მოადგა. ჯარისკაცის ფორმიანი და ჩაფხუტიანი ხალხი სახლში შემოვიდა და მე მიკითხეს. მე მეორე სართულზე ვიმალებოდი, მაგრამ დედა ამოვიდა და მითხრა: ნუ გეშინია, მხოლოდ კომისარიატში წაგიყვანენო. გზაში თვალს არ მაშორებდნენ, ისე მიყურებდნენ, თითქოს ვიღაც მანიაკი ვიყავი.

დიდ კაბინეტში შემიყვანეს, სადაც გაპრიალებულ უნიფორმაში გამონკეპილი ხნიერი კაცი დამხვდა. მან ყურადღებით შემათვალისწინა. მაგიდასთან დამსვეს და წინ კიდევ ერთი ტესტი დამიდეს. ეს ტესტი კოლეჯის საფეხბურთო ტესტივით რთული არ იყო, მაგრამ ძაან იოლიც არ ყოფილა.

რო მოვრჩი, სხვა ოთახში გამიყვანეს. იქ, გრძელ მაგიდასთან ოთხი თუ ხუთი კაცი იჯდა. ათასი შეკითხვა დამისვეს, თან ჩემს ტესტს ამონმებდნენ. მერე რაღაც მოითათბირეს, ერთ-ერთმა ქალაქის ფურცელზე ხელი მოაწერა და მე გადმომცა. შინ ფურცელი დედას ვაჩვენე. დედამ წაიკითხა, ხელები ზეცისკენ ალაპყრო და ცრემლმორეულმა უფალს მადლობა შესწირა. „დროებით უვარგისად“ გამომაცხადეს, რადგან ჯარისკაცობისთვის მეტისმეტად სულელი ვიყავი.

იმ კვირას ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ღირსსახსოვარი შემთხვევა მოხდა. ერთი მდგმური ქალი გვყავდა, მის ფრენჩი, რომელიც სატელეფონო კომპანიაში ოპერატორად მუშაობდა. თავაზიანი, მაგრამ კარჩაკეტილი ქალი იყო. ერთ ცხელ საღამოს, სანამ ჭექა-ქუხილი ატყდებოდა, დერეფანში მის ფრენჩმა თავისი ოთახიდან თავი გამოყო და მკითხა:

– ფორესტ, დღეს ერთი კოლოფი ნუშის კანფეტი მაჩუქეს. გინდა, გაგასინჯო?

კი-მეთქი, ვუთხარი და ოთახში შევყევი. კომოდზე ნუშის კანფეტების კოლოფი იდო. მის ფრენჩმა ერთი ცალი ნუშის კანფეტი მომცა. რო შევჭამე, კიდე ხო არ გინდაო, მკითხა და საწოლზე ჩამოჯექიო, მანიშნა. ათი თუ თხუთმეტი ცალი ნუშის კანფეტი შევჭამე, ამასობაში გარეთ ჭექა-ქუხილი ატყდა და ქარმა ფარდები ააფრიალა. უცებ მის ფრენჩმა ხელი მკრა და საწოლზე ზურგით დამაგდო. ნაზად მომეფერა.

– თვალები დახუჭე, – ჩამჩურჩულა მან, – ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

მერე ჩემს ცხოვრებაში პირველად ისეთი რამ მოხდა, რო მომავალს სულ სხვა თვალთ დავუწყე ყურება. არადა, დედას რო ამის შესახებ გაეგო, ნაღდად მომკლავდა.

მართალია, მის ფრენჩი ალერსიანი ქალი იყო, მაგრამ ვისურვებდი რო ის, რაც იმ ღამით მან მიქნა, ჯენი კერენს ექნა ჩემთვის. თუმცა ამ სურვილის ახდენას როგორ შევძლებდი? აბა, მითხარით, ჩემნაირ ადამიანს პაემანზე იოლად ვინ დათანხმდება?

სამაგიეროდ იმღამინდელმა გამოცდილებამ მხნეობა შემმატა და დედას ჯენის შესახებ ველაპარაკე. რასაკვირველია, მის ფრენჩზე არაფერი მითქვამს. დედა დამპირდა, ამას მე მივხედავო და ჯენი კერენის დედას დაურეკა. მომდევნო საღამოს კი, ჰოი, საოცრებავ, სახლის კარზე თავად ჯენი კერენმა მოგვიკაკუნა.

თეთრი კაბა ეცვა, თმაში ვარდი ჩაენნა. წარმოუდგენლად ლამაზი იყო. შიგნით შემოვიდა. დედამ სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა და ნაყინი შესთავაზა. მერე მე დამიძახა, ქვემოთ ჩამოდიო – ჩვენი სახლისკენ მომავალი ჯენი კერენის დანახვისთანავე ზემოთ ავირბინე დასამალად. ქვემოთ ჩასვლას მერჩივნა ხუთი ათასი კაცი გამომკიდებოდა, მაგრამ დედამ ხელი მომკიდა და ძალით

ჩამიყვანა. მეც მომიტანა ნაყინი. ცოტათი დავმშვიდდი.

დედამ გვითხრა, კინოში წადითო და ჯენის სამი დოლარი მისცა. ჯენი ასეთი კეთილი არასდროს ყოფილა, ბევრს ლაპარაკობდა და იცინოდა, მე თავს ვუქნევდი და იდიოტივით ვიკრიჭებოდი. კინოთეატრი ჩვენი სახლიდან ოთხი-ხუთი კვარტლის მოშორებით მდებარეობდა. ჯენიმ სალაროში ბილეთები იყიდა და დარბაზში შევედით. შიგნით მითხრა, პოპ-კორნს მოვიტანო და სანამ დაბრუნდებოდა, ფილმიც დაიწყო.

ფილმი ერთ კაცსა და ქალზე იყო, ბონისა და კლაიდზე, რომლებიც ბანკებს ძარცვავდნენ. მათ გარდა ფილმში სხვა საინტერესო ხალხიც იყო. ფილმში სულ ისროდნენ, ხალხს ხოცავდნენ და ერთმანეთს სცემდნენ. როცა ვინმეს კლავდნენ და ცემდნენ, რატომღაც მეცინებოდა, აი, ჯენი კი სულ უფრო და უფრო იბუზებოდა. შუა ფილმის დროს ლამის იატაკზე ჩაცურდა. ვიფიქრე, სავარძლიდან ჩავარდნილა-მეთქი და მხარში ჩავავლე ხელი ასაყენებლად.

უცებ ფხრენის ხმა მომესმა. დავიხედე და რას ვხედავ – ჯენი კერენს კაბა გახევია და მკერდი მოშიშვლებია. მეორე ხელი ავაფარე, მაგრამ ჯენიმ გადარეულივით წივილ-კივილი ატეხა, მე კი უფრო მაგრად ვიჭერდი, ისევ არ წაიქცეს ან კაბა მთლად არ ჩაძვრეს-მეთქი. ყველა მხრიდან ხალხი მოგვჩერებოდა, რა აურზაურიო. ამასობაში ვიღაც კაცი მოგვიახლოვდა და მე და ჯენის ფანარი მოგვანათა. მკერდმოშიშვლებულმა ჯენიმ წამოიკივლა, წამოხტა და დარბაზიდან გაიქცა.

შემდეგ ორი კაცი დამადგა თავზე, წამოგვყევით. რამდენიმე წუთში ოთხი პოლიციელი მოვიდა და პოლიციის მანქანაში ჩამსვეს. ორი პოლიციელი წინ დაჯდა, ორი – უკან, როგორც იმ დღეს მწვრთნელი ფელერსი და

მისი ჯანიანი ახმახები, გიჟების სკოლიდან რო წამომი-
ყვანეს. აი, ამ ღამეს კი მართლაც განყოფილებაში აღ-
მოვჩნდი. თითის ანაბეჭდები ამიღეს და საკანში შემაგ-
დეს. მწარე გამოცდილება მივიღე. ჯენიზე ვლელავდი,
მაგრამ ცოტა ხანში დედა მოვიდა – ცხვირსახოცით ინ-
მენდდა ცრემლებს და თითებს იმტვრევდა. მივხვდი, რო
ისევ თავი შევირცხვინე.

რამდენიმე დღის შემდეგ სასამართლოში რალაც უც-
ნაური შეხვედრა გაიმართა. დედამ პიჯაკი ჩამაცვა და
იქ წამიყვანა. ერთ თავაზიან, ულვაშა კაცს შევხვდით,
რომელმაც მოსამართლეს ათასი რამე უთხრა, ულვაშას
გარდა სხვებმაც, მათ შორის – დედაჩემმაც, ილაპარ-
აკეს რალაც უაზრობები და ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა.

ულვაშამ ხელი მომკიდა და წამომაცენა. მოსამარ-
თლემ მკითხა, ეს ყველაფერი როგორ მოხდაო. არ ვი-
ცოდი, რა მეპასუხა, ამიტო მხოლოდ მხრები ავიჩიჩე.
მოსამართლემ მკითხა, რამეს ხო არ დაამატებდიო. მეც
ვუპასუხე, მეფსია-მეთქი! რადგან ნახევარი დღე იმ
დარბაზში ვიჯექით, შარდის ბუშტი მისკდებოდა. დიდ,
ძველ მაგიდასთან მჯდარი მოსამართლე წინ გადმოიხა-
რა და ისე შემომხედა, თითქოს, უცხოპლანეტელი ვიყა-
ვი. ამასობაში ულვაშამაც ამოიღო ხმა. მოსამართლემ
ნება დართო, ტუალეტში გავეყვანე. უკან რო დავბრუნ-
დით, დედა ცხვირსახოცით კვლავ ცრემლებს ინმენდდა.

ასე იყო თუ ისე, მოსამართლემ ნიკაპის სრესით
თქვა, ეს საქმე მეტად უჩვეულოა და, ვფიქრობ, ფორ-
ესტი ჯარში უნდა წავიდეს, იქნებ იქ გამოსწორდესო.
დედაჩემი შეეპასუხა, აშშ-ის არმია მასზე უარს ამბობს,
რადგან იდიოტიაო, მაგრამ დღეს დილით უნივერსი-
ტეტიდან წერილი მოვიდა, თუ ფორესტი ჩვენს საფეხ-
ბურთო კლუბში ითამაშებს, უფასოდ ვასწავლითო.

მოსამართლეს ესეც უჩვეულოდ მოეჩვენა, მაგრამ დაამატა, რაც უნდა ის უქნია, ოღონდ ამ ქალაქს მალე მოშორდესო.

მომდევნო დილას დედამ ბარგი ჩამილაგა, გარე-რებამდე მიმაცილა და ავტობუსში ჩამსვა. ფანჯრი-დან დავინახე, როგორ ტიროდა დედაჩემი და თვალებს ცხვირსახოცით იმშრალებდა. სხვათა შორის, შემდეგში ეს სცენა სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა და გონებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა.

მოკლედ, ავტობუსი დაიძრა და ქალაქიდან გავემგ-ზავრე.

უნივერსიტეტის სპორტდარბაზში სპორტულ შორტებსა და მაისურებში გამონყობილ ბიჭებს მწვრთნელი ბრაიანტი შეგვხვდა და სიტყვით მოგვმართა. თითქმის ისეთივე სიტყვა იყო, როგორსაც ალბათ, მწვრთნელი ფელერსი წარმოთქვამდა, მაგრამ ჩემნაირი გულუბრყვილო ადამიანიც კი მიხვდა, რო მწვრთნელი ბრაიანტი მართლაც საქმეზე საუბრობდა. მოკლე და თავაზიანი სიტყვის ბოლოს დასძინა: ვინც ავტობუსში ბოლო ავა, სავარჯიშო მოედნამდე ავტობუსით კი არა, ფეხით იმგზავრებსო. „არის, სერ!“ – ყველამ ერთად ვიყვირეთ და თავქუდმოგლეჯილები გავიქეციით. ავტობუსი წამში გაიტენა.

ეს ყველაფერი აგვისტოში მოხდა, როცა ალაბამაში ყველაზე ძალიან ცხელა. მაგალითად, საფეხბურთო ჩაფხუტზე კვერცხს ათ წამში შეინვაგ. რასაკვირველია, მწვრთნელი ბრაიანტის გაბრაზება არავინ მოინდომა, რადგან ცხოვრება ისედაც საკმარისად მკაცრია.

მწვრთნელ ბრაიანტსაც ყავდა თავისი ჯანიანი ახმახები, რომლებმაც მანქანით მომატარეს კამპუსი და ბოლოს აგურის შენობაში შემიყვანეს, აქ იცხოვრებო. ვილაციისგან გავიგე, ამ შენობას „მაიმუნების საერთო საცხოვრებელს“ უწოდებენო. შენობა გარედან კი ლამაზი ჩანდა, მაგრამ სამწუხაროდ, შიგნით დიდი უნესრიგობა დამხვდა. თავიდან მომეჩვენა, რო ამ შენობაში დიდხანს არავის უცხოვრია: იატაკზე ნაგავი ეყარა, კარი ანჯამებიდან ამოეგდოთ და ფანჯრების უმეტესობაც ჩაემსხვრიათ მთელ შენობაში.

რამდენიმე ოთახში საწოლზე წამოწოლილი ბიჭები შევამჩნიე. თითქმის არაფერი ეცვათ, რადგან გარეთ 43 გრადუსი სიცხე იყო. შენობაში ბუზების ბზუილი ისმოდა. დერეფნებში გაზეთები სქელ-სქელ დასტებად ეყარა. შემეშინდა, ბოლო-ბოლო კოლეჯში ვარ და ვაითუ, ყველა უნდა წამიკითხონ-მეთქი, მაგრამ როგორც მოგვიანებით გავარკვიე, გაზეთებს იატაკზე აფენდნენ, შემთხვევით ნაგავში ან სიბინძურეში რო არ ჩაგვედგა ფეხი.

ახმახებმა ჩემს ოთახთან მიმიყვანეს და მითხრეს: შენი თანამობინადრე აქ დაგხვდება, კერტისი ჰქვიაო. რატომღაც კერტისი ვერსად ვიპოვეთ. ახმახებმა ბარგი ამომილაგეს, მიჩვენეს ტუალეტი სად იყო (ერთტუმბოიან ბენზინგასამართ სადგურზეც კი უკეთესი ტუალეტი აქვთ) და წასასვლელად გაემზადნენ. წასვლამდე ერთ-ერთმა ახმახმა მითხრა: შენ და კერტისი ერთმანეთს კარგად შეეწყობით, რადგან ორივე ტვინგამოლაყებულები ხართო. იმ ახმახს მკაცრად შევხედე, რადგან ყელში ამომივიდა ამდენი სიბინძურის მოსმენა, მაგრამ იმან მითხრა, დროზე, ორმოცდაათი აზიდვა გააკეთეო! მას შემდეგ ბრძანებებს ყოველთვის ვემორჩილებოდი.

ბინძურ საწოლს ზენარი გადავაფარე და წამოვწექი. დამეძინა. მესიზმრა, ვითომ სახლში ვიყავი, დედამ, როგორც ზაფხულის ცხელ დღეებში სჩვეოდა, ოთახებს ფარდა ჩამოაფარა და ცივი ლიმონათი მომიტანა. მერე თვითონაც მომიჯდა და საუბარი გამიბა...

უცებ ოთახის კარი ჩამოვარდა და იატაკზე ბრახუნით დაეცა. ნახევარი სიცოცხლე გავათავე! ზღურბლზე ველურივით დაბღვერილი, თვალებგადმოკარკლული, წინაკბილებჩამტვრეული, ცხვირჩაჭყლეტილი და დენ-

დარტყმულივით თმაგაჩეჩილი ბიჭი იდგა. ვიფიქრე, ალბათ, ეს არი კერტისი-მეთქი.

ოთახში ისე შემოვიდა, თითქოს ელოდა, ვინმე თავს უნდა დამესხასო. თვალებს აცეცებდა. კერტისი მაღალი არ იყო, მაგრამ აღნაგობით მაცივარს კი ჰგავდა. სუპირველად ის მკითხა, სადაური ხარო. როცა ვუპასუხე, მობილიდან-მეთქი, თქვა: მაგარი ქალაჩუნების ქალაქიაო. მერე დაამატა: თავად ოპიდან ვარ, სადაც საუკეთესო არაქისის კარაქს ამზადებენო. თუ არ მოგწონს, ახლავე გავხსნი ერთ ქილას და ტრაკზე წაგისვამო. ერთი-ორი დღე აღარაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის.

იმ დღეს თაკარა მზის ქვეშ ათას გრადუს სიცხეში ვივარჯიშეთ. მწვრთნელი ბრაიანტის ახმახები დაბლვერილები გვივლიდნენ გარს და გვიყვიროდნენ, გაინძერითო. ძალღვივით ენაგადმოგდებული დავრბოდი და ვცდილობდი, ყველაფერი სწორად გამეკეთებინა. ბოლოს ორ გუნდად დაგვყვეს, მე დაცვაში დამაყენეს და პასების დამუშავებას შევუდექით.

უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე ფურცლებზე დახაზული მილიონი საფეხბურთო კომბინაცია გამომიგზავნეს. მწვრთნელ ფელერსს ვკითხე, ამას რა ვუყო-მეთქი და იმან სევდიანად თავი გააქნია და არაფერიო, მიპასუხა; დაიცადე, სანამ უნივერსიტეტში მიხვალ და რამეს მოგიხერხებენო.

ნეტა მწვრთნელი ფელერსისთვის არ დამეჯერებინა, რადგან პირველივე ვარჯიშისას სულ სხვა მხარეს გავიქეცი. მთავარი ახმახი გამომეკიდა, რას აკეთებ, კომბინაციები რო გამოგიგზავნეთ, არ შეგისწავლიაო? არა-მეთქი, რო ვუპასუხე, ახტა-დახტა და გამწარებულვით ხელების ქნევა დაიწყო, თითქოს კრაზანები დასეოდეს. ცოტა რო დაწყნარდა, მიბრძანა, მოედანს

ხუთჯერ შემოურბინე, მე მანამდე მწვრთნელ ბრაიანტს დაველაპარაკებო.

მწვრთნელი ბრაიანტი მალალ კოშკში იჯდა და უფალი ღმერთით დაგვცქეროდა ზემოდან. სანამ მე მოედანს ხუთჯერ შემოვურბენდი, ახმახი კოშკზე აძვრა და მას ყველაფერი უამბო. მწვრთნელმა ბრაიანტმა კისერი წაიგრძელა და ჩემკენ გამოიხედა. ვიგრძენი, როგორ ამიწვა უკანალი მისმა დაჟინებულმა მზერამ. მერე მეგაფონში ყველას გასაგონად გაისმა:

– ფორესტ გამპ, სამწვრთნელო კოშკთან გამოცხადდით!

მწვრთნელი ბრაიანტი და მისი ჯანიანი ახმახი ძირს ჩამოვიდნენ. მათკენ გავიქეცი, მაგრამ გულში იმას ვნატრობდი, ნეტა გავურბოდე-მეთქი.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა მოლიმარი მწვრთნელი ბრაიანტი შემრჩა ხელში. ხის ტრიბუნასთან მიხმო. სკამზე დავსხედით და ხელახლა მკითხა: ჩვენი გამოგზავნილი კომბინაციები არ შეგისწავლიაო? ვუხსნიდი, მწვრთნელმა ფელერსმა რაც მითხრა, მაგრამ მწვრთნელმა ბრაიანტმა შემაჩერა, მინდორზე დაბრუნდი და პასების კეთებაში ივარჯიშეო. მაშინ ისეთი რამ ვუთხარი, რაც ალბათ, დიდად არ გახარებია: სკოლაში პასი არასდროს მიმიღია, რადგან ვერაფრით ვიმახსოვრებდი საით იყო ჩვენი საგოლე ხაზი; თანაც, სირბილისას ჰაერში ბურთის დაჭერა დიდად არ მეხერხებოდა.

ამაზე მწვრთნელმა ბრაიანტმა თვალეხი მოჭყუტა და სადღაც შორს გაიხედა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ახმახს ბურთის მოტანა სთხოვა. მერე მითხრა, ცოტა მოშორებით დადექი და ჩემკენ შემობრუნდიო. რო შევბრუნდი, ბურთი ჩემკენ ისროლა. ბურთი ძალიან

ნელა მოფრინავდა, მაგრამ მაინც ვერ დავიჭირე და ძირს დავარდა. მწვრთნელმა ბრაიანტმა თავი დააქნია, თითქოს რალაცას მიხვდაო. რატომღაც მომეჩვენა, ამით სულაც არ დარჩენილა ნასიამოვნები.

ბავშვობიდანვე, თუ რამეს დავაშავებდი, დედა სულ მეუბნებოდა: ფორესტ, გაფრთხილდი, თორე გამოგკეტავენო. ამ „გამოკეტვისა“ ისე მეშინოდა, ვცდილობდი, არასდროს არაფერი დამეშავებინა. მაგრამ ძალღიშვილი ვიყო, თუ სადმე იმ „მაიმუნების საცხოვრებელზე“ უარესი ადგილი იყოს, რომელშიც მე ვცხოვრობდი.

ხალხი ისეთ საშინელებას აკეთებდა, რასაც გიჟების სკოლაშიც კი არ მოითმენდნენ. მაგალითად, ვილაცეები უნიტაზს მოგლეჯდნენ და ტუალეტში მოსასაქმებლად რო შეხვიდოდი, იქ მხოლოდ შავი ხვრელი გვხვდებოდა. მოგლეჯილ უნიტაზს ზედა სართულის ფანჯრიდან ქუჩაში მიმავალ მანქანას ესროდნენ. ერთხელ ღამით ერთმა გადარეულმა ხაზის მოთამაშემ საიდანღაც თოფი დააძრო და ქუჩის გადღმა მდგარ საერთო საცხოვრებელს გაუხსნა ცეცხლი. კამპუსის პოლიციელები გამოჩნდნენ, მაგრამ მათ მანქანას ნავის კიდული ძრავა ესროლა ზემოდან. ამისათვის მწვრთნელმა ბრაიანტმა მინდვრის გარშემო ბევრი წრე დაარტყმევინა.

მე და კერტისი ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ და თავს ძალიან მარტოსულად ვგრძნობდი. დედა მენატრებოდა და შინ დაბრუნება მინდოდა. პრობლემა ის იყო, რო კერტისს ვერ ვუგებდი. ლაპარაკისას იმდენს იგინებოდა, წესიერად ვერ ვხვდებოდი, რის თქმას ცდილობდა. მხოლოდ ეს იყო ცხადი: მუდამ რალაც არ მოსწონდა.

კერტისს მანქანა ყავდა და ტარებას მასწავლიდა. ერთხელაც გარეთ გავდივარ და ვხედავ: ქუჩაში კა-

ნალიზაციის ცხაურთან დამდგარა და იგინება. თურმე საბურავი გასკდომია და მისი გამოცვლისას კაპოტზე შემოდებული ჭანჭიკები შემთხვევით წყალსადინარში ჩაუყრია. არადა, ვარჯიშზე გვაგვიანდებოდა. ჰოდა, მეც კერტისს ვუთხარი:

– იქნებ სხვა საბურავებს მოხსნა თითო ჭანჭიკი? ყველა საბურავზე სამ-სამი ჭანჭიკი იქნება და იმედია, სავარჯიშო მოედნამდე მივაღწევთ.

კერტისმა გინება შეწყვიტა და შემომხედა:

– შენ იდიოტი მგონიხარ და ეს როგორ მოიფიქრე?

რაზეც ვუპასუხე:

– შეილება იდიოტი ვარ, მაგრამ სულელი – არა.

კერტისი წამომიხტა და ქანჩის გასაღების ქნევით გამომეკიდა, უშვერი სიტყვებით გამომლანძღა. ამან ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გააფუჭა.

სხვაგან ცხოვრება გადავწყვიტე და ვარჯიშის შემდეგ „მაიმუნების საერთო საცხოვრებლის“ სარდაფში ჩავედი. ღამე იქ გავატარე. სხვათა შორის, ზედა სართულებზე სუფთა თუ არა, უფრო ბინძური ნაღდად არ იყო და ელექტრონათურაც ეკიდა. მეორე დღეს საწოლიც სარდაფში ჩავიტანე და იქ დავსახლდი.

ამასობაში უნივერსიტეტში სწავლა განახლდა და დაიწყეს ფიქრი, რა მოეხერხებინათ ჩემთვის. ფიზკულტურის კათედრაზე ერთი ბიჭი სხვას არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რო როგორმე ჩემნაირი უმეცრებისთვის გამოცდა ჩაებარებინებინა. ზოგიერთი საგანი, მაგალითად, ფიზალზრდა მარტივი იყო და იქ ჩამწერეს. ამასთან, აუცილებლად უნდა გამეცლო ინგლისურის და რომელიმე სამეცნიერო დარგის, მაგალითად, მათემატიკის კურსებიც. მოგვიანებით შევიტყვე, რო ზოგიერთი ლექტორი ფეხბურთელებს შედარებით ნაკლებს

სთხოვდა, ვარჯიშების გადამკიდე სასწავლად ცოტადრო რჩებათო. ერთ-ერთი ასეთი ლექტორი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე მუშაობდა, მაგრამ მხოლოდ ერთ საგანს „კვანტური ოპტიკის საფუძვლებს“ თუ რაღაც ამგვარს ასწავლიდა ფიზიკოსებს. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკას ფიზალზრდისგან ვერ ვარჩევდი, მასთან მაინც ჩამწერეს.

ინგლისურში ბედმა არ გამიღიმა. ამ კათედრაზე მკაცრი ლექტორები მუშაობდნენ. მწვრთნელმა ბრაიანტმა მითხრა: ჯანდაბას, თუ გამოცდაზე ჩაიჭრები, რამეს მოვიფიქრებთო.

„კვანტური ოპტიკის საფუძვლების“ ლექციაზე სამკილოიანი სახელმძღვანელო მომცეს. ჩინელის დაწერილს ჰგავდა. თუმცა ყოველ დამით ელექტრონათურის შუქზე სანოლზე წამოწოლილი ვკითხულობდი და, ჩემდა გასაკვირად, თანდათან შინაარსს ჩავნვდი. ერთი იმას ვერ ვხვდებოდი, ეს საგანი რაში გვჭირდებოდა, თორე განტოლებებს კი თვალდახუჭული ვხსნიდი. ლექტორს პროფესორი ჰუკსი ერქვა. პირველი ტესტის დაწერის შემდეგ კაბინეტში მიხმო.

– ფორესტ, სიმართლე მითხარი, ამ განტოლების პასუხები წინასწარ მოგცეს? – მკითხა მან.

მე თავი გავაქნიე. მაშინ პროფესორმა ჰუკსმა ფურცელი მომანოდა, რომელზეც ამოცანა ეწერა და მითხრა, ამოხსენიო.

რო მოვრჩი, პროფესორმა ჰუკსმა ფურცელს დახედა და გაკვირვებულმა თავის ქნევით წამოიძახა:

– ღმერთო დიდებულო!

ინგლისურის ლექციაზე კი საქმე სულ სხვაგვარად მიმდიოდა. მკაცრი ლექტორი მყავდა, მისტერ ბუნი, რომელიც ძალიან ბევრს ლაპარაკობდა. პირველი ლექციის

ბოლოს ყველას დაგვავალა, სალამოს დაჯექით და ავტობიოგრაფია დამინერეთო. ასე არაფრის გაკეთება არ გამჭირვებია; წინასწარ ხო გამაფრთხილეს, ინგლისურის გამოცდაზე რომც ჩაიჭრა, მაინც დაგეხმარებითო, ჰოდა, მეც დავჯექი და მთელი ღამე იმას ვწერდი, რაც თავში აზრად მომდიოდა!

რამდენიმე დღის შემდეგ მისტერ ბუნმა შენიშვნებით აჭრელებული ავტობიოგრაფიები დაგვიბრუნა და კარგადაც დაგვცინა. ჩემთან რო მოვიდა, ვიფიქრე, აი, კიდევ ერთხელ სახალხოდ მომეჭრა თავი-მეთქი, მაგრამ უცებ ჩემი ავტობიოგრაფიის ხმამალლა კითხვა დაიწყო. ხანდახან გაიცინებდა ხოლმე. სხვებიც იცინოდნენ. ავტობიოგრაფიაში ყველაფერი მენერა გიჟების სკოლაზე, მწვრთნელი ფელერსის გუნდში ფეხბურთის თამაშზე, შტატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიაზე, კომისარიატში გამოძახებასა და ჯენი კერენტან კინოში მომხდარ შემთხვევაზე. კითხვას რო მორჩა, მისტერ ბუნმა თქვა:

– ორიგინალურობაც ამას ჰქვია! აი, რას ვითხოვ თქვენგან!

ყველა ჩემკენ მოტრიალდა.

– მისტერ გამპ, სამწერლო ხელოვნების ფაკულტეტზე ხომ არ გადმოხვიდოდით? – მკითხა მისტერ ბუნმა. – ასეთი რამ როგორ დაწერეთ?

მე კი ვუპასუხე:

– მეფსია.

მისტერ ბუნი შეკრთა, მაგრამ წამში გონს მოეგო და ახარხარდა. მას სხვებიც აყვნენ.

– მისტერ გამპ, გონებამახვილი ყმაწვილი ყოფილხართ!

ნამდვილად გაკვირვებული დავრჩი.

პირველი საფეხბურთო მატჩი რამდენიმე კვირის შემდეგ, შაბათს გვექონდა. ვარჯიშებზე თავი ვერაფრით გამოვიჩინე. ბოლოს მწვრთნელი ბრაიანტიც მიხვდა, რო მწვრთნელი ფელერსისთვის უნდა მიეზარა: ბურთი მომცეს და მითხრეს, გაიქეციო. იმ დღეს კარგად ვირბინე. ოთხი ლელო დავდე. ჯორჯიის უნივერსიტეტი 35:3 გავანადგურეთ და იმდენი მიტყაპუნეს ბეჭებზე ხელი, რო მთელი ღამე მტკიოდა. წყალი გადავივლე და დედას დავურეკე. დედაჩემს რადიოში მოუსმენია რეპორტაჟისთვის და სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო! იმ საღამოს ყველა გამარჯვების აღსანიშნავად და საქეიფოდ წავიდა, მაგრამ ჩემი დაპატიჟება არავის გახსენებია. მეც სარდაფში ჩავედი. ცოტა ხანს საწოლზე ვინეჯი. მერე მუსიკის ხმა მომესმა და ზემოთ ავედი, ოღონდ თითონაც არ ვიცი, რატო. ალბათ, მუსიკა მომეწონა და მომინდა გამეგო, ვინ უკრავდა.

იქ ერთი ბიჭი დამხვდა, ბაბა, რომელიც ჰარმონიკას უკრავდა. ვარჯიშზე ფეხი მოეტეხა, ველარ თამაშობდა და საქეიფოდ ვერც ის წასულიყო. საწოლზე მის წინ ჩამოვჯექი და ვუსმენდი. არ გვილაპარაკია. მხოლოდ ვუყურებდი, როგორ უკრავდა. ერთი საათის შემდეგ ვკითხე, შეილება, მეც დავუკრა-მეთქი.

– ოქეი, – მითხრა ბაბამ.

რა ვიცოდი, თუ ამით ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლებოდა.

ცოტა წამეცადინების შემდეგ ისე კარგად დავუკარი, ბაბა გადაირია, ასეთი მაგარი მელოდია არასოდეს მომისმენიაო. შუალამისას სარდაფში დაბრუნება რო დავაპირე, ბაბამ ჰარმონიკა თან გამატანა. კიდე დიდხანს ვუკრავდი, სანამ ძილი მომერეოდა და დავწვებოდი.

მომდევნო დღეს, კვირას, ბაბასთან ავედი ჰარმონ-

იკის დასაბრუნებლად, მაგრამ ბაბამ არ გამომართვა, მეორეც მაქო. ძალიან გამიხარდა. სასეირნოდ წავედი. ერთი ხის ქვეშ ჩამოვჯექი და ვუკრავდი მანამ, სანამ დასაკრავი მელოდიები არ გამომეღია.

უკვე მზე ჩადიოდა, როცა „მაიმუნების საერთო საცხოვრებლისკენ“ მივდიოდი. უკნიდან ვილაც გოგომ დამიძახა:

– ფორესტ!

შევტრიალდი და ვის ვხედავ: ჯენი კერენი!

სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. დამეწია, ხელი ჩამკიდა და მითხრა, გუშინ გიყურებდი, მაგრად ითამაშეო. თურმე კინოში მომხდარის გამო ჩემზე სულაც არ ბრაზობდა, დიდი ამბავი, ზოგჯერ ეგრეც ხდებაო. შემომთავაზა, „კოკა-კოლა“ ხო არ დაგვეღიაო?

დაუჯერებელია, მაგრამ ისევ ჯენი კერენის გვერდით აღმოვჩნდი მაგიდასთან. მუსიკას და დრამატურგიას სწავლობდა და მომღერლობა ან მსახიობობა სურდა. მითხრა, სტუდენტთა ფოლკლორულ ჯგუფში ვუკრავ და შემდეგ პარასკევს სტუდკავშირის შენობაში გავდივართ, თუ გინდა, მოდიო. პირდაპირ გეტყვით: ერთი სული მქონდა, პარასკევი საღამო როდის დადგებოდა.

ს **რსაბოზლა** ერთი საიდუმლო, რომელიც მწვრთნელმა ბრაიანტმა და მისმა ახმახებმა იცოდნენ, მაგრამ არავის უმხელდნენ. პასის მიღებას მასწავლიდნენ! ყოველდღე ვარჯიშის შემდეგ ორ ახმახთან და ქუოთერბექთან ერთად მოედანზე ვრჩებოდი; მე გავიქცეოდი, ისინი კი ბურთს მესროდნენ და უნდა დამეჭირა. გავიქცეოდი, მესროდნენ, გავიქცეოდი, მესროდნენ და ასე გრძელდებოდა, სანამ დაღლილობისგან ძაღლივით ენა არ გადმომივარდებოდა; თანდათან ბურთის დაჭერა ვისწავლე და მწვრთნელმა ბრაიანტმა მითხრა, ეს ჩვენი საიდუმლო იარაღი, ჩვენი „ადამური ბომბი“ იქნება, თორემ ადრე თუ გვიან მეტოქეები მიხვდებიან, უპასოდ რო თამაშობ და ტაქტიკას შეცვლიანო.

– აი, მაშინ კი ორმეტრიან და ასათკილოიან გოლიათს გამოგიყვანთ და 9,5 წამში 100 მეტრს გაირბენ. მაგარი სანახაობა იქნება!

მე და ბაბა დავმეგობრდით. ბაბამ ახალი მელოდიების დაკვრა მასწავლა. ზოგჯერ სარდაფში ჩამოდიოდა და ერთად ვუკრავდით. ბაბა მეუბნებოდა, შენ ჩემზე ბევრად უკეთ უკრავო. პირდაპირ გეტყვით, ჰარმონიკა რო არა, საერთოდ ავიბარგებოდი უნივერსიტეტიდან და შინ დავბრუნდებოდი. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს ჰარმონიკას დაკვრა. როცა ვუკრავ, ასე მგონია, მთელი ჩემი სხეული ჰარმონიკაა და მბურძგლავს. აქ მთავარი ტუჩები, ენა და თითები და ის, თუ როგორ გიჭირავს კისერი. ისე, მგონი, პასების დევნაში

ენა კიდევ უფრო დამიგრძელდა, თუ შეილება ასე ითქვას!

პარასკევს ვიბანავე და გავსუფთავდი, ბაბამ თავისი შამპუნი და ოდეკოლონი მომცა. კობტად გამონწყობილი წავედი სტუდკავშირის შენობაში. იქ ბლომად ხალხი დამხვდა, სცენაზე ჯენი კერენი და კიდევ სამი-ოთხი ადამიანი იდგა. ჯენის გრძელი კაბა ეცვა და გიტარას უკრავდა; ერთ ბიჭს ბანჯო ქონდა, მეორეს – კონტრაბასი.

მომეწონა მათი მუსიკა. ჯენიმ შემამჩნია, გამიღიმა და მზერით მანიშნა წინ გამოდიო. მომეწონა იატაკზე ჯდომა, ჯენი კერენის ყურება და სმენა. ბოლო დროს სულ ვფიქრობდი, იქნებ მეც ვიყიდო ერთი კოლოფი ნუშის კანფეტი და ჯენის შევთავაზო-მეთქი.

ჯოან ბაიუზის, ბობ დილანის და პიტერის, პოლის და მერის ტრიოს მელოდიებს უკრავდნენ. ყველა კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა. მე თვალდახუჭული ვინეჯი იატაკზე და ვუსმენდი. უცებ – არ ვიცი, რა მეტაკა – ჯიბიდან ჰარმონიკა ამოვიღე და მათთან ერთად დავიწყე დაკვრა.

უცნაური რამ მოხდა. ამ დროს ჯენი „Blowing in the Wind“-ს მღეროდა და წამით გაჩერდა. ბანჯოიანი ბიჭიც გაჩერდა. ყველას გაკვირვება აღებეჭდა სახეზე. მერე ჯენიმ გაიღიმა და მღერა განაგრძო. ბანჯოიანი ბიჭი გაჩერდა და საშუალება მომცა, ცოტა ხნით ჰარმონიკა დამეკრა. რო მოვრჩი, ყველამ ტაში დამიკრა. შესვენების დროს ჯენი სცენიდან ჩამოვიდა და მომიახლოვდა:

– ფორესტ, დაუჯერებელია! ჰარმონიკაზე დაკვრა სად ისწავლე?

მოკლედ, ჯენიმ ჯგუფში ამიყვანა. ყოველ პარასკევს, თუ საფეხბურთო გუნდს გასვლითი თამაში არ ქონდა, ოცდახუთ დოლარს ვშოულობდი. თავი სამოთხეში მეგონა, სანამ შევიტყობდი, რო ჯენი ბანჯოს დამკვრელთან ჟიმაობდა.

სამწუხაროდ, ინგლისურის ლექციაზე საქმე ცუდად მიმდოდა. ჩემი ავტობიოგრაფიის წაკითხვიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ მისტერ ბუნმა კლასის წინაშე გამომიყვანა და პოეტ უორდსუორთზე დაწერილი ჩემი თემა ააფრიალა:

– მისტერ გამპ, დროა უკვე გონებამახვილობას შეეშვათ და დასერიოზულდეთ! რომანტიზმის ხანა სულაც არ გახლავს „კლასიკური აბდაუბდის“ ეპოქა და არც პოუპი და დრაიდენი იყვნენ „ნეხვის გროვები“.

მითხრა, თემა თავიდან დაწერეო. მისტერ ბუნი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, რო იდიოტი ვარ.

ამასობაში ეტყობა, ვილაცამ ვილაცას რაღაც უთხრა და მეორე დღეს ჩემმა კურატორმა ფიზკულტურის ფაკულტეტიდან თავისთან დამიბარა და მაცნობა, ხვალ დილით ლექციებიდან გათავისუფლებული ხარ, უნივერსიტეტის მედპუნქტში ექიმ მილსს უნდა გაესინჯოო. დილაადრიან მივადექი ექიმ მილსს, რომელიც ქალაქების სქელ გროვაში იქექებოდა. მითხრა, ჩამოჯექიო და უამრავი შეკითხვა დამისვა. მერე ტანსაცმელი გამახდევინა – ოღონდ საცვალი არა და შვებით ამოვისუნთქე, რადგან კომისარიატში მომხდარი შემთხვევა დღესაც მწარედ მახსენდება – ყურადღებით გამსინჯა. თვალეში ჩამხედა და მუხლისთავებზე რეზინის ჩაქურჩი მირტყა.

ბოლოს მთხოვა: ნაშუადღევს შემომიარე და თან ჰარმონიკაც წამოიღე, გამიგია, კარგად უკრავ და იქნებ ერთი მელოდია ჩემს ლექციაზეც შეასრულოო. კაიმეთქი, დავთანხმდი, თუმცა ეს ჩემნაირ დებილსაც კი უცნაურად მომეჩვენა.

მის ლექციაზე ასამდე ადამიანი შეკრებილიყო, ყველას მწვანე ხალათი ეცვა და ბლოკნოტებში რაღაცას

ინიშნავდნენ. ექიმმა მილსმა სცენაზე დამსვა და წინ
ჭიქით წყალი დამიდგა.

ათას გაუგებარ რამეზე ილაპარაკა, მაგრამ თან-
დათან მივხვდი, რო ჩემზე ლაპარაკობდა.

– *Idiot savant*, – ხმამაღლა თქვა და ყველა მე მომაშ-
ტერდა, – პიროვნება, რომელსაც ყელსახვევის გაკეთე-
ბა და თასმის შეკვრა არ შეუძლია, რომელიც გონებრივი
შესაძლებლობებით ექვსი, მაქსიმუმ, ათი წლის ბავშვს
არ აღემატება, მაგრამ აღნაგობით... ჩვენს შემთხვევაში
ნამდვილი ადონისია.

ექიმმა მილსმა უცნაურად გამიღიმა, რაც არ მომე-
წონა, მაგრამ დაბნეულმა ვერაფერი მოვიმოქმედე.

– თუმცა სავანტის სინდრომიანის ტვინის გარკვეუ-
ლი მონაკვეთები ჩვეულებრივი ადამიანისაზე ბევრად
უკეთ ფუნქციონირებს. მაგალითად, ჩვენს ფორესტს
ისეთი მათემატიკური ამოცანების ამოხსნა შეუძლია,
თქვენც კი რომ ვერ მოერევით. შეუძლია ერთი მოს-
მენით დაიმახსოვროს ურთულესი მუსიკალური კომ-
პოზიციები, გეგონება, ლისტი ან ბეთჰოვენი იყოს. *Idiot savant*, –
კიდევ ერთხელ გაიმეორა ექიმმა მილსმა და
ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

არ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ გამახსენდა, რამე
დაუკარიო, რო მთხოვა, და მეც ჰარმონიკა დავაძრე –
„Puff, the Magic Dragon“ დავუკარი. ისე ყურადღებით
მიყურებდნენ, თითქოს რომელიღაც უცხო ხოჭო ვყო-
ფილიყავი. არც დაკვრის შემდეგ მოუცილებიათ თვალი.
გაუნძრევლად ისხდნენ. ტაშიც არ დაუკრავთ. ვიფიქრე,
ეტყობა, არ მოეწონათ-მეთქი. წამოვდექი, მადლობა გა-
დავუხადე და წამოვედი. ერთი მაგათიც!

იმ სემესტრში კიდევ ორი მეტ-ნაკლებად მნიშვნელო-
ვანი რამ მოხდა. პირველი: კოლეჯის ფეხბურთის

ეროვნული ჩემპიონატი მოვიგეთ და „ნარინჯისფერი თასის“ ტურნირზე მოვხვდით; და მეორე: შევიტყვე, როგორ კერენი ბანჯოს დამკვრელ ბიჭთან ჟიმაობდა.

ეს იმ საღამოს მოხდა, როცა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში უნდა დაგვეკრა. შუადღისას დამლელი ვარჯიში მქონდა და ისე მწყუროდა, ძალღვივით უნიტაზიდანაც კი ამოვთქვლეფდი წყალს. „მაიმუნების საერთო საცხოვრებელიდან“ ხუთი-ექვსი კორპუსის მოშორებით პატარა მაღაზია იყო და შაქრისა და ლიმონის საყიდლად წავედი, ვიფიქრე, დედამ რო მასწავლა, ისეთ ლიმონათს დავიმზადებ-მეთქი. დახლთან ელამი მოხუცი ქალი იდგა და ისე შემომხედა, თითქოს მძარცველი დაინახაო.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ? – მკითხა მან.

– ლიმონი მინდა, – ვუპასუხე.

– ლიმონი არ გვაქვს, მითხრა ელამმა გამყიდველმა.

მაშინ ფორთოხალი მოვითხოვე, მაგრამ არც ფორთოხალი ქონდა და არც სხვა ციტრუსი. მოკლედ, სხვანაირი მაღაზია იყო, რა. მთელი საათი ვიბოდიალე თაროებს შორის და ბოლოს გამყიდველმა ქალმა მკითხა:

– რამის ყიდვას აპირებთ თუ არა?

მეც ატამი და შაქარი ჩამოვიღე თაროდან, წყურვილით ვკვდები და სხვა თუ არაფერი, ბოლო-ბოლო ატამათს მაინც გავიკეთებ-მეთქი.

სარდაფში დავბრუნდი, ქილა დანით გავხსენი, ატამები ჩემს წინდაში გავჭყლიტე და წვენი გრაფინში ჩავწურე. მერე წყალი და შაქარი დავამატე და კოვზით მოვურიე. უნდა გამოგიტყდეთ, ლიმონათის კი არა, წინდის გემო უფრო ქონდა.

ასე იყო თუ ისე, შვიდზე საერთო საცხოვრებელში მივედი. იქ ერთი ბიჭი უკვე სცენას აწყობდა, მაგრამ ჯენი

და ბანჯოისტი არსად ჩანდნენ. გავიკითხ-გამოვიკითხე, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. მაშინ ავტოსადგომზე გავედი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. ავტოსადგომზე ჯენის მანქანა დავინახე. ალბათ, ამ წამს მოვიდა-მეთქი, გავიფიქრე.

ყველა მინა აწეული იყო და გარედან არაფერი ჩანდა. ვიფიქრე, ვაითუ შიგნით ჩაიკეტა და იხრჩობა-მეთქი და კარი გამოვადე. კარის გაღებისას სალონში შუქი აინთო.

შიგნით შევიხედე და რას ვხედავ: ჯენი უკანა სავარძელზე წამოწოლილა, კაბის ზედატანი ჩამოუნევი-ია, ხოლო ქვედატანი აუნევი-ია და ზემოდან ბანჯოისტი აწევს. ჯენიმ დამინახა და აკივლდა, როგორც იმ დღეს კინოთეატრში. რატომღაც ვიფიქრე, რო ბანჯოისტი აუპატიურებდა; ამიტო ბანჯოისტს პერანგზე წავავლე ხელი – სხვა მაინც არაფერი ეცვა – და ტრაკშიშველი გარეთ გამოვათრიე.

ნებისმიერი იდიოტი მიხვდება, რო ისევ სისულელე ჩავიდინე. ღმერთო, რა დაუდევრობაა! ბანჯოისტი და ჯენი ერთად მაგინებდნენ. ჯენი ზედატანის აწევას და ქვედატანის ჩამოწევას ცდილობდა.

– ო, ფორესტ, ეს რა გააკეთე! – დამიყვირა ბოლოს ჯენიმ და წავიდა.

ბანჯოისტი-მე თავის ბანჯოს დაავლო ხელი და ჯენის გაყვა.

ჯგუფში აღარ მიმიღეს და მეც ჩემს სარდაფში დავბრუნდი. მაინც ვერ ვხვდებოდი, მანქანაში ჯენი და ის ბანჯოისტი რას აკეთებდნენ. გვიან ღამით ბაბამ შემოიხედა ჩემთან და მას ვუამბე ყველაფერი.

– ძმაო, ფორესტ, რა ვერ გაგიგია, ხალხი ერთმანეთს ესიყვარულეობდა!

ჰო, რავი, ალბათ, თავადაც უნდა მივმხვდარიყავი...

ამის გაგება დიდად არ მესიამოვნა, თუმცა კაცმა სიმართლეს ყოველთვის თვალი უნდა გაუსწოროს.

კიდევ კარგი ფეხბურთს მაინც ვთამაშობდი, თორე ძალიან მეწყინა, ჯენი რო ბანჯოისტთან „იმასშვრებოდა“, მე კი, ამ მხრივ, საერთოდ არ ვაინტერესებდი. ჩვენმა ფეხბურთის გუნდმა მთელი სეზონი დაუმარცხებლად განვლო და „ნარინჯისფერი თასის“ ფინალში პირველობისთვის ნებრასკელ „მესიმინდეებს“ უნდა დავპირისპირებოდით. ჩრდილოურ გუნდთან თამაში ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევდა, რადგან ჩრდილოურ გუნდებში ფერადკანიანებიც თამაშობდნენ და ზოგიერთი ბიჭის მხრიდან – მაგალითად, ჩემი ყოფილი თანამოხინადრე კერტისის – უხეშობა იყო მოსალოდნელი. პირადად მე, არ ვლელავდი, რადგან ცხოვრებაში ფერადკანიანები უფრო უკეთ მეპყრობოდნენ, ვიდრე თეთრკანიანები.

ფინალური შეხვედრა მაიამიში ტარდებოდა. ბიჭები ცოტათი ვლელავდით. მწვრთნელი ბრაიანტი გასახდელში შემოვიდა და გვითხრა, თუ გამარჯვება გინდათ, თავდაუზოგავად უნდა ითამაშოთო. მერე მოედანზე გავედით. თამაში ჩვენ დავინწყეთ. ბურთი ხელში მომცეს და მეც პირდაპირ ნებრასკელი შავების და ორასკილოიანი თეთრკანიანი ბიჭების რიგებში ვდურთე თავი.

მთელი თამაში ასე გაგრძელდა. პირველი ტაიმი 28:7 მოგვიგეს. რამდენიმე ბიჭი გამოგვაკლდა. გასახდელში მწვრთნელი ბრაიანტი შემოვიდა. თავს გამკიცხავად იქნევდა, თითქოს ელოდა, რომ დავალალატებდით. დაფაზე რალაც დახაზა და ჩვენს ქუოთერბექს, „სნეიკს“ და სხვებს რალაცეები აუხსნა. მერე მე მიხმო, ერთი, დერეფანში გამომყევით.

– ფორესტ, გვეყო ცოდვილობა! – მწვრთნელმა ბრაიანტმა სახე სახესთან ისე ახლოს მომიტანა, რომ მის-

მა ცხელმა სუნთქვამ ლოყები ამინვა, – ფორესტ, მთელი წელი საიდუმლოდ გავარჯიშებდით პასების მიღებაში და კარგადაც გაინაფე. ეს ცოდნა მეორე ტაიმში ამ ნებრასკელი მნძრეველების წინააღმდეგ უნდა გამოიყენო! ისე გადაირევიან, ყვერებიდან „ნიჟარები“ მოსძვრებათ. აბა, შენ იცი, ჩემო ბიჭო, ისე გაიქეცი, თითქოს ველური ნადირი მოგდევდეს შესაჭმელად!

თავი დავუქნიე. ისევ მინდორზე გავედით. მაყურებლები გამაყრუებლად ყიჟინებდნენ. მხრებზე თითქოს მძიმე ტვირთი დამანვა. რას ვიზამთ – ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე.

პირველი შეჯგუფებისას „სნეიკმა“, ჩვენმა ქუოთერბექმა გვითხრა:

– ოქეი, „ფორესტის კომბინაციების“ დრო მოვიდა.

მერე მე მომიბრუნდა:

– გაირბენ ოც იარდს და შემობრუნდები, ბურთს მიიღებ.

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, მართლაც ასე მოხდა! უეცრად ანგარიში 28:14 გახდა.

მეორე ტაიმში უკეთ ავთამაშდით, თუმცა, არც ის ნებრასკელი მნძრეველი შავები და ტვინგამოლაყებულნი თეთრკანიანები მსხდარან უქმად. მათაც ქონდათ თავიანთი ხრიკები და ილეთები დამუშავებული – ისე ადვილად გვივლიდნენ გვერდს, თითქოს მუყაოს უძრავი ფიტულები ვყოფილიყავით.

თუმცა, იმან, რო ბურთის დაჭერა შემეძლო, ისინი ძალიან დააბნია. ჰაერში ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიღე პასი და ანგარიშიც 28:21 გახდა. მეტოქემ ორი მოთამაშე პირადად მე მომიჩინა. სამაგიეროდ, ამით გვენს, ჩვენს შემტევ უკანახაზელს გაუთავისუფლდა სივრცე; მან „სნეიკის“ პასი მიიღო და თხუთმეტეტიარდიან ხაზზე

გაგვიყვანა. ჩვენმა გარდამსახველმა კიდე სამი ქულა მოგვიტანა და ანგარიში 28:24 გახდა.

გვერდითა ხაზთან მწვრთნელმა ბრაიანტმა გადმო-
მილაპარაკა:

– ფორესტ, შეიძლება თავში ტვინის მაგივრად ჩალა გიყრია, მაგრამ იცოდე, უნდა გადაგვარჩინო. პირადად ვიზრუნებ, რომ ამერიკის პრეზიდენტად აგირჩიონ, თუ მაგ ბურთს კიდევ ერთხელ გადაიტან საგოლე ხაზზე.

მერე თავზე ხელი მომითათუნა, თითქოს ფინია ვყოფილიყავი და მეც მინდორზე დავბრუნდი.

პირველივე გათამაშებისას „სნეიკი“ ხაზთან მიიმწყვდიეს. დრო სწრაფად გადიოდა. მეორე გათამაშებისას მათი მოტყუება მოინდომა და სროლის ნაცვლად ჩემთვის ბურთის მოწოდება სცადა, მაგრამ მაშინვე ორტონიანი შავ და თეთრკანიანი ნებრასკელები დამეტაკნენ და ძირს დამაგდეს. იმწუთას ალბათ, ძალიან ვგავდი ნახევარი ტონა ბანანით გაჭყლეტილ მამაჩემს.

როგორც იქნა წამოვდექი და კვლავ მოსათათბირებლად შევჯგუფდით.

– ფორესტ, მეტოქეს მოვატყუებ, ვითომ გვენს ვაძლევ პასს, – თქვა „სნეიკმა“, – სინამდვილეში შენ გადმოგიგდებ ბურთს. მიირბინე ხაზის კუთხემდე, მარჯვნივ მიტრიალდი და ბურთი მანდ იქნება!

„სნეიკი“ ვეფხვივით აბრიალებდა თვალებს. მე თავი დავუქნიე და ისე მოვიქეცი, როგორც დამავალეს.

„სნეიკის“ ნატყორცნი ბურთი დავიჭირე და ცენტრისკენ გავიქეცი. კარის ძელები ჩემ წინ აღმართულიყო. უცებ ვიღაც გოლიათი დამეძგერა და შემანელა. მერე ყველა ნებრასკელი შავი და ტვინგამოლაყებული თეთრკანიანი მე დამესია, ზოგი ფეხებში ჩამივარდა, ზოგმა მხრებში ჩამავლო ხელი და წამაქცია. ჯანდა-

ბა! გასამარჯვებლად რამდენიმე იარდილა მრჩებოდა გასარბენი.

„სნეიკმა“ ბოლო გათამაშებისთვის მოთათბირების გარეშე დააყენა ხაზზე ბიჭები, რადგან ყველა ტაიმ-აუტი გამოყენებული გვექონდა. როგორც კი ჩემი ადგილი დავიკავე, „სნეიკმა“ მანიშნა და მეც წინ გავიქეცი, მაგრამ „სნეიკმა“ ბურთი გამიზნულად ხუთი-ექვსი მეტრით გადამაცილა თავზე. ალბათ, უნდოდა, გვერდითა ხაზს იქით გადაეგდო და დრო შეეჩერებინა, რადგან სულ 2-3 წამი რჩებოდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი მეოთხე მცდელობა იყო, რაც „სნეიკს“ არ გახსენებია. ამგვარად, ბურთი დავკარგეთ და თამაშიც წავაგეთ. არ მეგონა, ასე გაუაზრებლად ჩემ გარდა სხვაც თუ მოიქცეოდა.

ყველაზე მეტად მე მენწყინა დამარცხება, რადგან იმედი მქონდა, ლელოს თუ დავდებ და გუნდს გავამარჯვებინებ, ჯენი კერენი ამას ნახავს და მაპატიებს-მეთქი. ჩემს ოცნებას ახდენა არ ეწერა. მწვრთნელი ბრაიანტი მარცხმა ძლიერ დაალონა, მაგრამ არ გავულანძღვართ, მშვიდად გვითხრა:

- არა უშავს, შემდეგ სეზონში გავიმარჯვებთ!
თუმცა ჩემთვის ესეც მხოლოდ ოცნებად დარჩა.

„ნარინჯისფერი თასის“ ფინალის შემდეგ ფიზკულტურის ფაკულტეტზე ჩემი პირველი სემესტრის ნიშნებს გაეცნენ და მწვრთნელმა ბრაიანტმა კაბინეტში დამიბარა. შიგნით რო შევედი, უხალისოდ შემომხედა.

– ფორესტ, მესმის, რო ინგლისურის დაჩქარებული კურსი ჩააფლავე, მაგრამ ვერაფრით გამიგია, როგორ მიიღე „საუკეთესო“ „კვანტური ოპტიკის საფუძვლებში“ თუ რალაც ჯანდაბაში, ხოლო ფიზალზრდაში – ჩაიჭერი. და ეს მაშინ, როცა კოლეჯის ფეხბურთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო უკანახაზელად გალიარეს!

იცით რა, მწვრთნელი ბრაინტისთვის თავის მობეზრება არ მინდოდა, მაგრამ აბა, მითხარით, რა ჯანდაბად მჭირდება იმის ცოდნა, რა მანძილითაა ერთმანეთისგან დაშორებული საფეხბურთო კარის ძელები?

მწვრთნელმა ბრაიანტმა ნალვლიანად მითხრა:

– ფორესტ, ვწუხვარ, მაგრამ უნდა გაცნობო, რო უნივერსიტეტიდან გაირიცხე და ამას აღარაფერი ეშველება.

დიდხანს გაუნძრევლად ვიდექი მის წინაშე, სანამ მოვტვინავდი, რო უნივერსიტეტიდან გამიშვეს და ფეხბურთს ველარ ვითამაშებდი. ველარც ბიჭებს ვნახავდი და ალბათ, ველარც ჯენი კერენს. სარდაფის დატოვებაც მომიწევდა და ველარც „კვანტური ოპტიკის“ სწავლას გავაგრძელებდი, როგორც ეს პროფესორ ჰუკსს სურ-

და. უნებლიეთ ცრემლები მომადგა თვალზე. არაფერი მითქვამს. თავჩაქინდრული ვიდექი.

მწვრთნელი ადგა, მომიახლოვდა და მხრებზე ხელი გადამხვია.

– ფორესტ, შვილო, ყველაფერი რიგზეა. თავიდანვე ველოდი, რო ასეთი რამ მოხდებოდა. თუმცა, მაშინ სხვებს ვთხოვე, ეგ ბიჭი მხოლოდ ერთი სეზონით მომეცით და მეტი არაფერი მინდა-მეთქი. ფორესტ, მშვენიერი სეზონი ჩავატარეთ. ეს ნაღდია. რა შენი ბრალია, რო „სნეიკმა“ მეოთხე გათამაშებისას ბურთი კიდის ხაზს იქით გადააგდო...

თავი ავწიე. მწვრთნელიც აცრემლებულიყო, თუმცა მაინც ცივად მიყურებდა.

– ფორესტ, ამ უნივერსიტეტში შენნაირი ფეხბურთელი არასდროს გვყოლია და არც არასდროს გვეყოლება. შენ საუკეთესო იყავი!

მერე ფანჯარასთან ჩემგან ზურგშექცევით დადგა.

– წარმატებებს გისურვებ, ყმანვილო. ახლა კი მოაშორე შენი სქელი ტრაკი აქედან!

ასე დავტოვე უნივერსიტეტი.

ჩემი ბარგი-ბარხანა მოვხიკე. სარდაფში ბაბაც ჩამოვიდა. ორი ბოთლი ლუდი ქონდა და ერთი მე მომცა. ლუდი არასდროს დამელია, მაგრამ მაშინ მივხვდი, რატომაც მოწონთ ბიჭებს ლუდი.

ბაბამ „მაიმუნთა საერთო საცხოვრებელიდან“ გამომაცილა და ჰოი, საოცრებავ! გარეთ მთელი საფეხბურთო გუნდი მიცდიდა.

ჯერ ყველანი ჩუმად იდგნენ. მერე „სნეიკი“ მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

– ფორესტ, ბოდიშს გიხდი იმ პასისთვის!

– არა უშავს, „სნეიკ“, – ვუთხარი.

მერე ყველა თანაგუნდელმა სათითაოდ ჩამომართვა ხელი, მათ შორის ჩემმა ძველმა მეგობარმა კერტისმა, რომელსაც კარის მტვრევა ზედმეტი მოსვლოდა და ხელზე თაბაშირი ედო.

ბაბამ მითხრა, ბარგს ავტობუსის გაჩერებამდე მიგატანინებო, მაგრამ უარი ვუთხარი.

– შემომეხმიანე ხოლმე, – დამემშვიდობა ბაბა.

გზად სტუდკავშირის შენობას ჩავუარე, მაგრამ პარასკევი საღამო არ იყო და ჯენი კერენის ჯგუფი არ უკრავდა. ჯანდაბას-მეთქი, ჩავილაპარაკე და ავტობუსში ჩავჯექი.

მობილში გვიან ღამით ჩავედი. წამოსვლამდე დედაჩემისთვის არ მითქვამს, რომ გამრიცხეს, ვიფიქრე, ეწყინება-მეთქი. მაგრამ სახლში რო მივედი, მის საძინებელში შუქი ენთო. როგორც ყოველთვის, ატირებული და აცრემლებული დამხვდა. თურმე აშშ-ის არმიაში უცნობებიათ, უნივერსიტეტიდან რო გამომავდეს და იმავე დღეს შემონმებაზე გამომიძახეს. რო მცოდნოდა წინ რა მელოდა, სახლიდან ფეხს არ გავადგამდი!

იქ რამდენიმე დღის შემდეგ დედამ მიმიყვანა. საგზალიც მომცა, ვინ იცის, სად წაგიყვანენო. გამწვევ პუნქტში ასამდე ბიჭი და ოთხი თუ ხუთი ავტობუსი იცდიდა. ვეება სერჟანტი ყველას უყვიროდა. დედა სერჟანტთან მივიდა და უთხრა:

– ვერ გამიგია, სად მიგყავთ ჩემი შვილი, ის ხო იდიოტია?

– ქალბატონო, ამათ რო უყურებთ, არც ერთი არაა აინშტაინი! – უპასუხა სერჟანტმა დედაჩემს და ყვირილი განაგრძო.

ბოლოს მეც დამიყვირა, ავტობუსში ავედით და გზას გავუდექით.

მას მერე, რაც გიჟების სკოლიდან წამოვედი, ხან მწვრთნელი ფელერსი მიყვიროდა, ხან მწვრთნელი ბრაიანტი და მისი ახმახები. ახლა სამხედროების ჯერი დადგა. პირდაპირ გეტყვით: სამხედროები ყველაზე დიდხანს, ხმამაღლა და საძაგლად ყვირიან. ყოველთვის უკმაყოფილოები არიან. უფრო მეტიც, განა „იდიოტს“ ან „სულელს“ გინოდებენ ფეხბურთის მწვრთნელებივით? არა, სასქესო ორგანოებით და კუჭ-ნაწლავის მოქმედებით უფრო ინტერესდებიან. ყოველ წინადადებას „შე გამოსირებულოთი“ ან „შე ქვეშაჯვიათი“ იწყებენ. ნეტა კერტისი ჯარში ხო არ მსახურობდა, სანამ უნივერსიტეტში ჩაირიცხებოდა?

ლამის მთელი საუკუნე ვიარეთ ავტობუსით. ბოლოს და ბოლოს, როგორღაც ჩავალწიეთ ჯორჯიის შტატის ქალაქ ფორტ-ბენინგში. ჯორჯიაზე მხოლოდ „ჯორჯიელი ძაღლები“ გამახსენდა, რომლებიც 35:3 დავამარცხეთ.

ყაზარმები უფრო სუფთა იყო, ვიდრე „მაიმუნების საერთო საცხოვრებლის“ ოთახები, აი, საჭმელი კი – ბევრად უარესი, მიუხედავად იმისა, რო თავზე საყრელად გვექონდა.

სხვა მხრივ მომდევნო თვეების განმავლობაში ერთ-ერთოვანად ვცხოვრობდით: ვაკეთებდით იმას, რასაც გვავალებდნენ და ვუსმენდით, როგორ გვიყვიროდნენ. ავტომატის სროლას, ყუმბარის ტყორცნას და მუცელზე ხობვას გვასწავლიდნენ. როცა ამას არ ვაკეთებდით, ან სადმე გავრბოდით, ან ტუალეტებს ვწმენდდით. ერთი, რაც ფორტ-ბენინგში თვალში მომხვდა, ის იყო, რო ჩემზე ჭკვიანი არავინ ჩანდა. რა თქმა უნდა, ეს მიხაროდა.

მსახურობის დაწყებიდან მცირე ხანში სამზარეულოში გამამწესეს, რადგან მიზანში სროლისას შემთხვევით

წყლის ავზს ტყვია მოვარტყი. მზარეული ავადმყოფობდა თუ რალაც და, სამზარეულოში შესვლისთანავე ვილაცამ მითხრა:

– გამბ, დღეს შენ მოამზადებ საჭმელს!

– რა მოვამზადო? – ვიკითხე, – საჭმელი არასდროს მომიმზადებია.

– სულერთია, – მითხრა ვილაცამ, – სანსუსის სასახლეში კი არ ვართ.

– წვნიანი მოხარშე, – მირჩია ვილაც სხვამ, – ადვილია.

– რისგან?

– საკუჭნაოს მაცივარში შეიხედე, – მითხრა ერთმა ბიჭმა, – რასაც იპოვი, ყველაფერი ქვაბში ჩაყარე და მოხარშე.

– უგემური რო გამოვიდეს?

– ეგ ვის რა ჩემ ფეხებად აინტერესებს? აქაური საჭმელი არასდროს გიჭამია?

ჰო, ეს კი ნაღდად სიმართლე თქვა.

მოკლედ, მაცივრიდან დაკონსერვებული პომიდორი, ლობიო, ატამი და ლორი გამოვიღე, საკუჭნაოდან ბრინჯით, ფქვილით და კარტოფილით სავსე ტომრებიც გამოვიტანე და სხვა რამერუმეებიც გამოვაყოლე ხელს. ყველაფერი ერთად დავახვავე და ბიჭებს ვკითხე:

– კი მაგრამ, ესენი რაში მოვამზადო?

– განჯინაში ქვაბები აწყვია, – მითხრა ერთმა ბიჭმა.

განჯინაში პატარა ქვაბები ეწყო, ორასი კაცის სამყოფ წვნიანს იმათში ვერ მოვხარშავდი.

– იქნებ ლეიტენანტს ჰკითხო? – მირჩია რომელიღაცამ.

– გარეთაა სწავლებაზე, – სხვამ უპასუხა.

– არ ვიცი, აჯობებს რამე მოიფიქრო, – თქვა

ერთ-ერთმა, – თორემ ბიჭები ნადირივით დამშეულები იქნებიან.

– ამაზე რას იტყვით? – ვიკითხე კუთხეში მდგარი ორი მეტრის სიმაღლის და მეტრნახევარი სიგანის რკინის ნივთზე.

– ეგ? ეგ ორთქლის ქვაბია. მაგაში ვერაფერს მოხარშავ.

– რატო?

– რავი, აბა! შენ ადგილზე მე მაგას არ ვიზამდი.

– ცხელია, თან შიგ წყალი ასხია, – ვთქვი.

– რაც გინდა, ქენი, – მითხრა ვილაცამ, – სხვა საქმეც ბევრი გვაქ.

მეც ორთქლის ქვაბი გამოვიყენე. კონსერვები გავხსენი და კარტოფილი, ხორცის ნაჭრები, ნიორი და სტაფილო შიგ ჩავყარე, ზემოდან ათი თუ ოცი ბოთლი კეტჩუპი და მდოგვი მოვასხი. ერთ საათში მოხარშული წვნიანის სუნი დატრიალდა.

– ვახშამი მზადაა? – შემოიხედა ვილაცამ.

– მოიცა, გემოს გავუსინჯავ, – ვუპასუხე.

თავსახური ავხსენი. წყალი თუხთუხებდა. ზედაპირზე რამდენიმე ნიორი და კარტოფილი ტივტივებდა.

– გამასინჯე, – მითხრა ბიჭმა და თუნუქის ჭიქით წვნიანი ამოიღო, – ჯერ მოხარშვამდე ბევრი უკლია, – თქვა მოხვრეპის შემდეგ, – ტემპერატურას მოუმატე, თორე ბიჭები მალე მოვლენ.

მეც ასე მოვიქეცი. ამასობაში ბიჭები პოლიგონიდან დაბრუნდნენ. ყაზარმებიდან მათი ხმაური ისმოდა. შხაპს იღებდნენ და ტანსაცმელს იცვლიდნენ. მალე ყველა სასადილოში შეიკრიბა.

წვნიანი კი ჯერ მზად არ იყო. კიდე ერთხელ გავსინჯე, მაგრამ ზოგიერთი რამ უმი მომეჩვენა. სასადილოდან

უკმაყოფილო ბუტბუტი მოისმა. ბუტბუტი შედახილებში გადაიზარდა და ნახევარ საათში დანა-ჩანგლებით მაგიდაზე ბრახაბრუხი ატეხეს. მივხვდი, რო რალაც უნდა მექნა და ბოლომდე ავუწიე ტემპერატურას.

ანერვიულებული, ორთქლის ქვაბთან ვიჯექი და წვნიანის მოხარშვას ველოდი, როცა სამზარეულოში სერჟანტი შემოვარდა.

– აქ რა ხდება? – იკითხა მან, – ხალხს საჭმელი უნდა!

– თითქმის მზადაა, სერჟანტო, – ვუპასუხე და ამ დროს ორთქლის ქვაბი აგუგუნდა და შეყანყალდა. გვერდებიდან ორთქლი გამოიჭრა და ქვაბის ერთ-ერთი ფეხი იატაკს მოწყდა.

– ეს რა არის? – დაიყვირა სერჟანტმა, – საჭმელს ორთქლის ქვაბში ამზადებ?

– ეს ვახშამია, – ვუთხარი მე. სერჟანტი წამით დაიბნა და მერე შეშინებული სახე მიიღო, თითქოს საჭესთან ზის და შემხვედრ მანქანას ეჯახებაო. უცებ ორთქლის ქვაბი გასკდა.

მერე რაც მოხდა, წესიერად აღარ მახსოვს. ერთი ის ვიცი, რო აფეთქებამ სასადილოს სახურავი გაანგრია და ფანჯრები ჩაამსხვრია.

ჭურჭლის მრეცხავი კედელს მიენარცხა, ხოლო ჭურჭლის მწმენდავი კოსმონავტივით ცაში აფრინდა.

მე და სერჟანტი სასწაულებრივად გადავრჩით. ამბობენ, ხელყუმბარასთან ვინც ყველაზე ახლოს დგას, იმას გადარჩენის უფრო დიდი შანსი აქვსო. ჩვენც ასე დაგვემართა. ტანსაცმელი სულ შემოგვეძარცვა, მხოლოდ უფროსი მზარეულის წონოლა ქუდი შემრჩა თავზე. წვნიანიც სულ ზედ გადაგვესხა და... არ ვიცი, რას დავემგვანეთ, მაგრამ უჩვეულო სანახავეები კი ვიყავით.

საბედნიეროდ, არც სასადილოში მყოფ ბიჭებს დამ-

ართნიათ რამე, მხოლოდ წვნიანით გაიწუნნენ. სამაგიეროდ, დარეტიანებულებმა დანა-ჩანგლის ბრახაბრუხი და ყვირილი შეწყვიტეს.

– ეს რა იყო?! – სამზარეულოში ასმეთაური შემოვარდა ყვირილით, – რა მოხდა? – მერე ჩვენ ორს დაგვხედა და იღრიალა: – სერჟანტო კრანც, ეს თქვენ ჩაიდინეთ?

– გამპი... ორთქლის ქვაბი... წვნიანი... – ცოტათი აზრზე მოვიდა სერჟანტი და კედლიდან ყასბის დანა ჩამოხსნა, – გამპი... ორთქლის ქვაბი... წვნიანი... – აყვირდა ის და დანის ქნევით გამომეკიდა. მთელ სამწყობრო მოედანზე, ოფიცერთა კლუბში და ავტოსადგომზე დამდეგდა. რა თქმა უნდა, ვერ დამენია. ბოლო-ბოლო სირბილი ხო ჩემი პროფესიაა, მაგრამ ერთი უნდა ვთქვა: ამჯერად მაგარ შარში გავეხვიე.

მომდევნო შემოდგომაზე ყაზარმაში ზარი გაისმა – ბაბამ დამირეკა. მითხრა, ფეხი მოვიტეხე და გუნდიდან დამითხოვეს, უნივერსიტეტიდან მეც მოვდივარო. მერე დაამატა: სხვა რამეზე გირეკავ, იქნებ ბირმინგემში შეძლო მოსვლა, ჩვენი უნივერსიტეტის გუნდი მისისიპელ წარჩინებულებს ეთამაშებაო. სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც თითქმის ერთი წლის წინათ ორთქლის ქვაბი ამიფეთქდა, შაბათობით ყაზარმაში დარაჯად მამწესებდნენ და არც ამ შაბათს მეცალა. მოკლედ, თამაშის რეპორტაჟს რადიოში ვუსმინე, თან ტუალეტს ვწმენდდი.

მესამე მეოთხედის ბოლოს ანგარიში თითქმის გათანაბრდა. „სნეიკი“ კარგად თამაშობდა. ანგარიში 38:37 იყო ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მისისიპელებმა ლელო დაგვიდეს. მეოთხე გათამაშებალა დაგვრჩა. ტაიმ-აუტები ამოგვეწურა. გულში ვლოცულობდი, „სნეიკს“ იგივე შეცდომა არ გაემეორებინა, რაც „ნარინჯისფერი თა-

სის“ ფინალში ჩაიდინა. საუბედუროდ, ბურთი კვლავ კიდის ხაზს იქით ისროლა დროის გასაჩერებლად.

გული შემეკუმშა. თუმცა უცებ რადიოში ყიჟინა გაისმა. თურმე კომენტატორი შეცდა, „სნეიკს“ მხოლოდ მოწინააღმდეგეები მოუტყუებია, თითქოს ბურთს კიდის ხაზს იქით ისროდა, სინამდვილეში ბურთი კერტისისთვის გადაუწოდებია და ამ უკანასკნელმაც გამარჯვების ლელო დადო. წარმოგიდგენიათ, რა ჭკვიანი იყო მწვრთნელი ბრაიანტი! მან წინასწარ გათვალა, რო ეს სულელი მისისიპელები ჩვენგან შეცდომის გამეორებას მოელოდნენ.

ძალიან გამიხარდა ჩვენების გამარჯვება. ისე, ნეტა ჯენი კერენი თუ უყურებდა ამ თამაშს და მე თუ ვახსოვდი?

ერთ თვეში გემში ჩაგვსხეს და სადღაც ათი ათასი კილომეტრით დაშორებულ ქვეყანაში წაგვიყვანეს. არ ვაჭარბებ. თითქმის მთელი წელი რობოტებივით გვწვრთნიდნენ და ბოლოს ვიეტნამში გვიკრეს თავი. გვამშვიდებდნენ, ნუ ლელავთ, იქ უკეთესია, ვიდრე ეს ერთწლიანი წვრთნები იყო, მაგრამ ეს კი ნაღდად გადაჭარბებულად ნათქვამი გამოუვიდათ.

ვიეტნამში თებერვალში ჩავედით და ნახირის გადასაზიდი სატვირთოებით სამხრეთ ჩინეთის ზღვის საპორტო ქალაქ ქუინიონიდან მთებში მდებარე პლეიკუში გადაგვიყვანეს. გზა რთული არ ყოფილა, პეიზაჟებიც ლამაზი იყო: ყველგან ბანანისა და პალმის ხეები მოჩანდა, ბრინჯის ყანებს წვრილთვალეებიანი ყვითელკანიანები ხნავდნენ. ჩვენ მეგობრულად ვიქცეოდით, ისინიც ხელს გვიქნევდნენ და გვესალმებოდნენ.

პლეიკუ ნახევარი დღის სავალიდან დავინახეთ, რადგან მის თავზე წითელი მტვრის ვეებერთელა ღრუ-

ბელი ჩამონოლილიყო. ქალაქის გარეუბნებში ისეთი უბადრუკი ქოხმახები მოჩანდა, რომელთა მსგავსი ალბამაში არსად მენახა. იქიდან უკბილო ხალხი და შიშველი და გაძვალტყავებული ბავშვები გამოდიოდნენ. ყველა ხელს გვიშვერდა სამათხოვროდ.

ბრიგადის შტაბშიც სიმშვიდე დაგხვდა. ერთი ეგ იყო, რო აქაც წითელი მტვერი ტრიალებდა. სადამდეც თვალი წვდებოდა, ყველგან კარვის გრძელი რიგები გადაჭიმულიყო. კარვების ირგვლივ სისუფთავე იყო. რატომღაც მომეჩვენა, რო ფორტ-ბენინგიდან არსადაც არ წავსულვართ. საერთოდ ვერ იფიქრებდით, გარშემო ომი თუ მიმდინარეობდა.

როგორც გაირკვა, წვრილთვალეებიანების ახალი წელი, ტეტი თუ რალაც ჯანდაბა ახლოვდებოდა და დაპირისპირებული მხარეები დროებით დაზავებულიყვნენ. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან ვიეტნამში შიშით გაბერილები ჩამოვედით. თუმცა, მშვიდობა და ზავი დიდხანს არ გაგრძელებულა.

შტაბში მისვლისთანავე საშხაპეებში გაგვგზავნეს საბანაოდ. საშხაპე ერთი პატარა ორმო გამოდგა, რომლის გვერდითაც წყლით სავსე ავზი იდგა. ტანსაცმელი ორმოსთან დავანყვეთ, ორმოში ჩავძვერით და ზემოდან წყალი დაგვასხეს.

თუმცა, ესეც საქმე იყო, რადგან ერთი კვირის დაუბანელები ვიყავით და ცუდი სუნი აგვდიოდა. მოკლედ, ორმოში ვიდექით და ზემოდან შლანგით წყალს გვასხამდნენ, როცა უეცრად უცნაური ზუზუნი გაისმა და ვიღაცამ დაიყვირა:

– ბომბი!

დაბნეული ტრაკშიშველი ბიჭები ორმოში დავრჩით, ხოლო ორმოსთან თუ ვინმე იდგა, ყველა უკვალოდ

გაქრა. უცებ იქვე ახლოს აფეთქების ხმა გაისმა, მერე მეორეგანაც აფეთქდა რაღაც. ატყდა ერთი ალიაქოთი. ყველა თავის ტანსაცმელს დასწვდა. ირგვლივ ბომბები ეცემოდა და ფეთქდებოდა. მერე ვილაცამ იყვირა:

– ძირს დანექით!

არადა, ყველანი ისედაც მიწას ვიყავით გართხმულნი და მატლებივით ვიკლაკნებოდით.

ერთ-ერთი ყუმბარის ნამსხვრევები ორმოს კუთხეში მიყუჟულ ბიჭებს მოხვდათ. მათ ყვირილით იტაცეს ტანზე ხელები, სისხლი წამოუვიდათ. ორმო აშკარად არ იყო უსაფრთხო თავშესაფარი. უცებ ორმოსთან სერჟანტმა კრანცმა მოირბინა და გვიღრიალა, დროზე ამოძვერით მანდედან და გამოძევიითო. დაბომბვა სულ რამდენიმე წამით შეწყდა და ჩვენც დრო ვიხელთეთ. ორმოდან ამოვედი და ღმერთო, რას ვხედავ! ის ოთხი თუ ხუთი ბიჭი შლანგით წყალს რო გვასხამდა, მიწაზე ყრია. ვერც კი იცნობდით, ისეთი შეცვლილები იყვნენ. მაშინ მკვდრები პირველად ვნახე და უნდა გითხრათ: არც მანამდე და არც მას შემდეგ ასეთი საშინელი არაფერი მიწაზე ვხედავ.

სერჟანტმა კრანცმა ხელის ქნევით გვანიშნა, ხოხვით გამოძევიითო. ჩვენც გავყევით. ზემოდან ალბათ მაგარი სანახავები ვიქნებოდით! ას ორმოცდაათი ტრაკმოშიშვლებული ბიჭის უწყვეტი ჯაჭვი მიწაზე.

სერჟანტმა კრანცმა ოთხ-ოთხი ბიჭი ჩაგვსხა თითო სანგარში. მალე ვინატრე, ნეტა იმ საბანაო ორმოში დავრჩენილიყავი-მეთქი, რადგან სანგარი ნახევრად ნანვიმარი წყლით იყო სავსე და შიგ ბაყაყები, გველები და ხოჭოები დახტოდნენ, დასრიალებდნენ და დაცოცავდნენ.

დაბომბვა მთელ ღამეს გრძელდებოდა, ვახშამი არ

გვლირსებია. გამთენიისას მოწინააღმდეგის იერიში მინელდა და გვიბრძანეს, სანგრებიდან ამოდით, ჩაიცვით, იარაღი მოიმარჯვეთ და შეტევისთვის მოემზადეთო.

ვინაიდან ახალწვეულებმა წესიერად არ ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა, სამხრეთი პერიმეტრის დასაცავად გაგვამწესეს, იმ მხარეს ოფიცრების საპირფარეშოები მდებარეობდა. საუბედუროდ, ერთ-ერთი ბომბი ტუალეტს დაეცა და მიმდებარე ტერიტორია ოფიცრების მძღნერით მოითხვარა. სანგრები სანატრელი გაგვიხდა!

მთელი დღე იქ გავატარეთ. არც გვისაუზმია, არც გვისადილია. სალამოს დაბომბვა განახლდა და ჩვენც მძღნერში მოგვინია წოლა. რო ვიხსენებ, ახლაც გული მერევა.

ბოლოს ვიღაცას გავახსენდით და მშრალი ულუფა გამოგვიგზავნეს. ცივი ლორი და კვერცხები შემხვდა. ჩემი კონსერვი 1951 წლით იყო დათარიღებული.

ათასი ხმა გავრცელდა. ამბობდნენ, წვრილთვალეებიანებმა პლეიკუ აიღესო. ვიღაც გაიძახოდა, წვრილთვალეებიანებს ატომური ბომბი შეუქმნიათ და უნდა გვესროლონო. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, წვრილთვალეებიანები კი არა, ავსტრალიელები, ჰოლანდიელები თუ ნორვეგიელები გვბომბავენო. ჩემი აზრით, სულერთია ვინ გბომბავს. ჰოდა, მეც ფეხებზე მეკიდა ეგ მითქმა-მოთქმა!

მომდევნო დღეს სამხრეთი პერიმეტრი ცოტათი გავასუფთავეთ. სანგრები გავთხარეთ და ოფიცრის საპირფარეშოებისგან დარჩენილი ფიცრებითა და თუნუქის ნაჭრებით გადავხურეთ. თუმცა, თავს არავინ დაგვსხმია და წვრილთვალეებიანების ხილვას ვერ ვე-

ღირსეთ. ეტყობა, ჭკუა იხმარეს და ჩვენს სანაგვეს ახლოს არ გაეკარნენ.

სამაგიეროდ, სამი თუ ოთხი დღის განმავლობაში ყოველ ღამე გვბომბავდნენ. ერთ დილასაც დაბომბვა შეწყდა. ასმეთაურთან ბატალიონის მეთაური მაიორი ბოლსი მიხობდა და უთხრა, ჩრდილოეთით, ჯუნგლში ერთი ბრიგადა ალყაში მოაქციეს და იმ ჯოჯოხეთიდან უნდა დავიხსნათო.

ცოტა ხანში ლეიტენანტმა ჰუპსმა გვიბრძანა, გაემზადეთო და ყველამ კონსერვებით და ხელყუმბარებით გამოვიტენეთ ჯიბეები. ისე, არჩევისას დიდხანს ვორჭოფობდით, რომელი უფრო გვჭირდებოდა: მართალია, ხელყუმბარას ვერ შეჭამ, მაგრამ ზოგჯერ შეილება სადმე გამოგადგეს. ერთი სიტყვით, ვერტმფრენში ჩაგვსხეს და გავფრინდით.

ციდანვე დავინახეთ, რო მესამე ბრიგადა მაგარ შარში იყო გახვეული. ჯუნგლიდან კვამლი და ცეცხლი ამოდიოდა. აფეთქებებს ვეებერთელა ხეები ძირფესვიანად ამოეთხარა. ვერტმფრენის მიწაზე დაშვებამდე გაგვიხსნეს ცეცხლი. ერთ-ერთი ვერტმფრენი ჰაერშივე აგვიფეთქეს. საზარელი სანახავი იყო, ცოცხლად როგორ იწვოდა ხალხი, მაგრამ მათი დახმარება არ შეგვეძლო.

მე მეტყვიამფრქვევის საბრძოლო მასალის წაღება დამავალეს, რადგან იფიქრეს, დიდია და მძიმეს თრევა არ გაუჭირდებაო. რამდენიმე ბიჭმა თავისი ხელყუმბარებიც მომცა, გვირჩევნია, უფრო მეტი კონსერვი წამოვიღოთო. მეც გამოვართვი, მაინც არ მამძიმებდა. გარდა ამისა, სერჟანტმა კრანცმა ხელში დამაჭერინა ორმოცლიტრიანი წყლის კანისტრა, რომელიც ოც კილოს იწონიდა. ამასობაში დენიელსი, რომელსაც ტყვიამფრქვევის შტატივი უნდა წამოეღო, ფეხში დაჭ-

რეს და ის შტატივიც მე ამკიდეს. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ისევ ნახევარტონიანი ნებრასკელი „მესიმინდე“ დამეცა ზედ. თუმცა, ახლა ფეხბურთი ვილას ახსოვდა!

უკვე ბნელდებოდა, როცა გვიბრძანეს, ქედზე გადადით და დაეხმარეთ ერთ რაზმს, რომელიც წვრილთვალეებიანებს ალყაში მოექციათ თუ პირიქით, თითონ მოექცია წვრილთვალეებიანები ალყაში – გააჩნია, ვის დაუჯერებდით, Stars and Stripes-ს¹ თუ საკუთარ თვალებს.

სანამ მალლობზე ავიდოდით, სროლაში მოვყევით. გარშემო ტყვიები და ბომბები დაფრინავდა. ათამდე ჯარისკაცი მძიმედ დაგვეჭრა. მათი ოხვრა იმ ხმაურში ძლივს ისმოდა. ჩემს ბარგთან ერთად ტყვიამფრქვევის ტყვიებს, წყლის კანისტრას და შტატივსაც მივათრევდი ალყაში მოქცეული რაზმისკენ. წელში მოხრილმა ერთ სანგარს რო ჩავუარე, სანგრიდან ვილაცამ ამოყო თავი და მეგობარს გადასძახა:

– ერთი იმ ტიპს შეხედე, ფრანკენშტეინის ურჩხულს რო გავს!

ის იყო შეპასუხება დავაპირე – ამ ომსა და უბედურებაში ვილაცის დაცინვალა მაკლდა – რო უეცრად სანგრიდან მეორე ბიჭი ამოხტა ყვირილით:

– ფორესტ! ფორესტ გამპ!

რას-რას და, იმ ჯოჯოხეთში ბაბას დანახვას ნაღდად არ ველოდი!

მოკლედ აგიხსნით. მართალია, ბაბამ ფეხი მოიტეხა და ფეხბურთის თამაში აღარ შეეძლო, მაგრამ აშშ-ის არმია მოტეხილმა ფეხმა ვერ შეაჩერა და ბაბა მსოფლიოს მეორე ნახევარში საომრად გაგზავნა.

¹ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გაზეთი

როგორც იქნა, მთელი ტვირთი ცოცხალმა მივიტანე იქამდე, სადაც საჭირო იყო. ცოტა ხანში ბაბაც შემომიერთდა. ხანდახან დაბომბვები წყდებოდა (როცა ჩვენი თვითმფრინავები გადაიფრენდნენ) და მე და ბაბას ლაპარაკის საშუალება გვეძლეოდა.

მითხრა: ჯენი კერენმა უნივერსიტეტში სწავლა მიატოვა და ვილაც ომის მოწინააღმდეგეებს შეუერთდაო. კერტისი კამპუსის პოლიციელს გამოჰკიდებია, ჯარშია რად გამომიწერეო, მაგრამ ცოტა ხანში სხვა პოლიციელებიც გამოჩენილან, კერტისი ბაღში გაუხლართავთ. ბაბამ დაამატა: კერტისი მწვრთნელმა ბრაიანტმა დასაჯა და დამატებით ორმოცდაათი წრე დაარტყმევინა მოედნის ირგვლივო.

გადარეული კერტისი!

ოს ღამე გრძელი და უსიამოვნო გამოდგა. ჩვენი თვითმფრინავები აღარ გამოჩენილა და წვრილთვალეებიანები მთელი ღამე შეუჩერებლივ გვბომბავდნენ. ქედის თხემზე ორ მწვერვალს შორის მცირე უნაგირა იყო და სწორედ ამ უნაგირასთვის მიმდინარეობდა ბრძოლა. ერთ მწვერვალზე ჩვენ ვიყავით გამაგრებულები, მეორეზე – მოწინააღმდეგეები. დღემდე ვერ ვხვდები, ვის რაში ჭირდებოდა მტვრიანი და ტალახიანი მიწის ნაგლეჯი.

მაღე სერჟანტი კრანცი დაგვადგა თავზე და ღრიალით გვიბრძანა, ტყვიამფრქვევი უნაგირას შუაგულში მდგარი ხმელი ხისგან მარცხნივ, ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დააყენეთ ისე, რო მტრის ბომბები ვერ მოგწვდეთო. არადა, რო ვუყურებდი, მტრის ბომბები უნაგირას შუაგულში კი არა, ამ მწვერვალზეც გვწვდებოდა. თუმცა, ბრძანებას მაინც დავემორჩილეთ.

მე, მეტყვიამფრქვევე ბოუნსი, კიდე ერთი მზიდავი დოილი და სხვა ორი ბიჭი თავშესაფრიდან გამოვძვერით და ფერდობზე ხოხვით დავეშვით. შუა გზაში წვრილთვალეებიანებმა შეგვამჩნიეს და ცეცხლი გაგვიხსნეს. საბედნიეროდ, ფერდობიდან ჩავხოხდით და ჯუნგლებში დამალვა მოვასწარით. არ ვიცი, ზუსტად რამსიგრძეა ერთი მეტრი, მაგრამ, მგონი, მეტრიც ერთი იარდისხელა უნდა იყოს. ჰოდა, ხმელ ხესთან რო მივედით, დოილს ვუთხარი:

– ახლა მარცხნივ არ უნდა წავიდეთ?

დოილმა მკაცრად შემომხედა და ჩაიბურტყუნა:

– ხმა ჩაიგდეს, ფორესტ, წვრილთვალებიანები ახლოს არიან!

მართლაც ხის ქვეშ ექვსი თუ რვა წვრილთვალებიანი ჩამომსხდარიყო და სადილობდა. დოილმა ხელყუმბარა ამოიღო, ჭილიბი მოხსნა და ხისკენ ისროლა. ყუმბარა ძირს დაცემამდე აფეთქდა. იქიდან წივილ-კივილი მოისმა. მერე ბოუნსმა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნა, მე და ორმა ბიჭმა ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ისროლეთ ხელყუმბარები.

ტყვიამფრქვევის დასადგამი უსაფრთხო ადგილი ვიპოვეთ და დაბნელებამდე იქ ვისხედით. არც ღამით მოგვიცვლია იქიდან ფეხი, თუმცა, არაფერი მომხდარა. ყველა მხრიდან ხმაური გვესმოდა, ჩვენ კი არავინ მოგვკარებია. მზე ამოვიდა. დაღლილები და მშივრები ვიყავით, მაგრამ მაინც ტყვიამფრქვევთან ვისხედით. მერე სერჟანტ კრანცის შიკრიკი მოვიდა და გვითხრა, რამდენიმე წუთში ჩვენი თვითმფრინავები აქაურობას წვრილთვალებიანებისგან განმეინდენ და უნაგირაზე გადავინაცვლებთო. მართლაც, თვითმფრინავები მოფრინდნენ, ბომბები ჩამოყარეს, იქაურობა გადაბუგეს და წვრილთვალებიანები გაჟლიტეს.

ფერდობზე ჩვენი რაზმი დაეშვა, მაგრამ სანამ უნაგირამდე ჩააღწევდნენ, ყველა მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს; ტყვიებს, ყუმბარებს, ნალმებს, რავი, რას აღარ ისროდნენ... ატყდა ერთი ალიაქოთი. ჯუნგლში ხშირ ხეებს შორის ვისხედით და იქიდან წვრილთვალებიანები არ ჩანდნენ, მაგრამ აშკარად ახლომახლო უნდა ყოფილიყვნენ ჩასაფრებულები. ან, ვინ იცის, იქნებ სულაც ჰოლანდიელები ისროდნენ, ან ნორვეგიელები?

მეტყვიამფრქვევე ბოუნსი ანერვიულდა. მიხვდა, რო ჩვენებს ჩვენივე მხრიდან გაუხსნეს ცეცხლი. ესე იგი,

წვრილთვალებიანები სადღაც ჩვენსა და ჩვენებს შორის იყვნენ გამაგრებულები. ერთი სიტყვით, სრულიად მარტონი დავრჩით! ადრე თუ გვიან, თუ წვრილთვალებიანები ჩვენს ასეულს თავს ვერ დააღწევენ, უკან დაიხევენ და ჩვენ გადაგვანყდებიან, ასე რო, დროზე დავახვიოთ აქედანო, – გვითხრა ბოუნსმა.

ნივთები შევაგროვეთ და ქედზე დასაბრუნებლად გავემზადეთ. უცებ დოილმა ჩვენებისკენ დაძრული კბილებამდე შეიარაღებული წვრილთვალებიანების რაზმი დაინახა. მე თუ მკითხავთ, ყველაფერს აჯობებდა ძველი წყენა დაგვევიწყებინა და მათ დავემგობრებოდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არაფრით არ შეილებოდა. ამიტო ბურჩებში ჩავიმალეთ და დავიცადეთ, სანამ წვრილთვალებიანები მწვერვალამდე ავიდოდნენ. მერე ბოუნსმა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნა და წუთში ათი თუ თხუთმეტი წვრილთვალებიანი მოკლა. მე, დოილი და ბიჭები ხელყუმბარებს ვისროდით. საქმე კარგად მიგვდიოდა, სანამ ბოუნსს ყველა ვაზნა არ დაეხარჯა და ახალი ლენტი დასჭირდა. ლენტი გამოვუცვალე და ის იყო სასხლეტისთვის თითი უნდა გამოეკრა, რო ერთმა წვრილთვალებიანმა ტყვია შუბლში დააჭედა და ტვინი გაასხმევინა. ბოუნსი ძირს დაეცა, სამუდამოდ ძალაგამოცლილი, მაგრამ სასხლეტს მაინც მთელი ძალით ჩაბლაუჭებული.

საშინელ დღეში ჩავცვივდით. მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. კიდე კარგი, წვრილთვალებიანებმა ვერ დაგვიჭირეს, თორემ წარმომიდგენია, რას გვიზამდნენ. დოილს დავუძახე, აქ მოდი-მეთქი, მაგრამ არ მიპასუხა. ბოუნსს გაშეშებული ხელიდან ძლივს გამოვგლიჯე ტყვიამფრქვევი და დოილისკენ გავხობდი. ის და ორი ბიჭი მიწაზე ეყარნენ. ბიჭები მკვდრები იყვნენ,

დოილი ჯერაც სუნთქავდა. ფქვილის ტომარასავით მხარზე მოვიგდე და შიშისგან გადარეული, ჩვენების მიმართულებით გავიქეცი. ოციოდე მეტრის გარბენის შემდეგ უკნიდან ტყვიების ზუზუნი მომესმა. ჩემს სქელ საჯდომს ნაღდად არ ააცდენენ-მეთქი, გავიფიქრე და ნაბიჯს ავუჩქარე. გვიმრების ზღვიდან ტრიალ მინდორზე გამოვვარდი და იქაურობა წვრილთვალებიანებით გადატენილი დამხვდა. მინდორზე იწვნენ და სხვა მხარეს იყურებოდნენ – ეტყობა, ჩვენებს ესროდნენ.

უიღბლობაც ამას ჰქვია! უკანაც წვრილთვალებიანები იყვნენ, წინაც და ჩემს ფერხთითაც. მთლად დავიბენი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჰოდა, მეც ავღრიალდი. მგონი, თავი დავკარგე, რადგან აღარ მახსოვს რა მოხდა. მხოლოდ ის ვიცი, მთელი ხმით ვღრიალებდი და თავის გადასარჩენად გავრბოდი. გონს მხოლოდ ჩვენების რიგებში მოვეგე. ყველა მილოცავდა და ზურგზე ხელს მიტყაპუნებდა, თითქოს ლელო დამედოს.

თურმე წვრილთვალებიანები ისე დამიფრთხია, საიდანაც მოვიდნენ, ისევ იქ გაქცეულან. დოილი მინაზე დავაწვინე. მის მკურნალობას ექიმები შეუდგნენ. მალე ჩემთან ასმეთაური მოვიდა, ხელი ჩამომართვა და შემაქო, ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარო. მერე მკითხა:

– ეს როგორ მოახერხე, გამპ?

არ ვიცოდი რა მეპასუხა და, მხოლოდ ეს ვთქვი: – მეფსია.

მართლაც მეფსმოდა.

მეთაურმა უცნაურად შემომხედა და მერე სერჟანტ კრანცს გახედა. სერჟანტმა კრანცმა თავის ქნევით მითხრა: – თუ ღმერთი გნამს, გამპ, წამომყევი, – და ხის უკან გამიყვანა.

იმ ღამით მე და ბაბა ერთ სანგარში აღმოვჩნდით

და მშრალი ულუფით ერთად ვივახშმეთ. ნავახშმევს ჯიბიდან ბაბას ნაჩუქარი ჰარმონიკა ამოვიღე და დავუკარით. ჯუნგლში „Oh Suzzana“-ს და „Home on the Range“-ის საამური ჰანგები უჩვეულოდ ჟღერდა. ბაბას დედამისის გამოგზავნილი ერთი კოლოფი ნუშის კანფეტები ქონდა და ცოტა შევჭამეთ. რალა დაგიმალოთ და, ნუშის კანფეტებმა სასიამოვნო მოგონებები ამომიტვივტივა გონებაში.

მოგვიანებით სერჟანტი კრანცი დამადგა თავზე, სასმელი წყლით სავსე ორმოცლიტრიანი კანისტრა რა უყავიო. ვუპასუხე, ცალი ხელით დოილი მეკავა, მეორეთი ტყვიამფრქვევი მომქონდა და კანისტრა ჯუნგლში დავტოვე-მეთქი. მეგონა, სერჟანტი კრანცი კანისტრის მოსაძებნად გამგზავნიდა, მაგრამ რატომღაც არ გამგზავნა. მხოლოდ თავი დამიქნია და მითხრა, რახან ბოუნსი მოკლეს და დოილი დაჭრილია, მეტყვიამფრქვევე შენიქნებო. ვკითხე, ვაზნები და შტატივი ვინ უნდა ათროს-მეთქი და მიპასუხა, შენ, რადგან ცოცხალი აღარავინ დავგრჩა, ვინც ამას შეძლებსო. ამ დროს ბაბამ წამოყო თავი, თუ თქვენს ასეულში გადამიყვანთ, მაგას მე ვიზამო. სერჟანტმა კრანცმა მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა, ეგ საქმე ალბათ, მოხერხდება, რადგან თქვენს რაზმში ისე ცოტა დარჩით, ტუალეტის მწმენდავებადაც არ კმარისხართო. ამგვარად, მე და ბაბა ერთ ასეულში აღმოვჩნდით.

კვირები ისე ნელა გადიოდა, მეგონა, დრო უკან ბრუნდებოდა. ერთ მთაზე ავდიოდით, მეორედან – ჩავდიოდით. ზოგჯერ წვრილთვალეებიანი გამოჩნდებოდნენ და მერე ისევ გადაიკარგებოდნენ. სერჟანტი კრანცი გვეუბნებოდა, ყველაფერი კარგადაა, რადგან თანდათან აშშ-ში ვბრუნდებითო; ჯერ ვიეტნამიდან

გავალთ, მერე ლაოსის გავლით ჩინეთში აღმოვჩნდებით, ჩინეთიდან – რუსეთში და იქიდან ჩრდილოეთ პოლუსზე, რომლის ყინულებიდან ალასკაზე გადავალთ და იქ მშობლები დაგხვდებიანო. ბაბამ მითხრა, მაგ სერჟანტს ყურს ნუ დაუგდებ, იდიოტიაო.

ჯუნგლებში პრიმიტიულად ცხოვრობ – გარეთ ისაქმებ, ნადირივით მიწაზე გძინავს, დაკონსერვებულ საჭმელს ჭამ, ვერსად ბანაობ და სამოსი ტანზე გალპება. კვირაში ერთხელ დედა წერილს მიგზავნიდა. შინ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ შენი წასვლის შემდეგ ჩვენი სკოლის გუნდი ჩემპიონატში ველარ იმარჯვებსო. მეც ვწერდი წერილებს, მაგრამ სულ იმას ვეუბნებოდი, რო არაფერი გვიჭირდა და ყველა კარგად გვექცეოდა, თორე დედაჩემის ამბავი რო ვიცი, მორთავდა ბლავილს! კიდე ჯენი კერენისთვისაც დავწერე წერილი; დედას დავავალე, ჯენის მშობლებს გადაეცი და ისინი გაუგზავნიან-მეთქი, მაგრამ ჯენისგან პასუხი არ მიმიღია.

ამასობაში მე და ბაბა გეგმებს ვაწყობდით, ჯარიდან წასვლის შემდეგ როგორ გვეცხოვრა. გადავწყვიტეთ, შინ რო დავბრუნდებით, ნავი ვიყიდოთ და კრევეტების ბიზნესი წამოვიწყოთ. ბაბა წარმოშობით ბაიუ-ლა-ბატრიდან იყო და მთელი ცხოვრება კრევეტების საჭერ ნავზე მუშაობდა. ბაბამ თქვა, თუ კრედიტს მოგვცემენ, ნავს ვიყიდით და რიგ-რიგობით ვიკაპიტნებთ, ცხოვრებითაც პირდაპირ ნავზე ვიცხოვრებთო. ბაბამ ყველაფერი წინასწარ გათვალა. ვალის გადასახდელად და საჭმელ-სასმელისთვის ამდენი კილო კრევეტი დაგვჭირდება, საწვავისთვის – იმდენი, ხოლო დანარჩენით რაც მოგვინდება, იმას გავაკეთებთო.

წარმოვიდგინე, როგორ ვიდექი ნავის საჭესთან, ან უკეთესი – კიროზე ვიჯექი და კრევეტებს ვჭამდი!

ბაბას ჩემი ოცნება რო გავანდე, უკმაყოფილოდ მითხრა:

– თუ ძმა ხარ, ფორესტ, შენ რო მიგიშვან, ყველაფერს გადაჭამ და ჯიბეცარიელს დაგვტოვებ. ჯერ მოგებაზე გავიდეთ და კრევეტების ჭამა მერე დავინყოთ!

ოქეი, გასაგებია-მეთქი, ვუპასუხე. სიმართლეს ამბობდა – ამას მეც კი მივხვდი.

ერთ დღესაც განვიმდა და მთელი ორი თვე განუწყვეტლივ წვიმდა. თოვლჭყაპის და სეტყვის გარდა, მგონი, ყველანაირი წვიმა ვიხილეთ. ხან წვრილად ცრიდა, ხან თავსხმა მოდიოდა. ზოგჯერ გვერდიდან გვანვიმდა, ზოგჯერ – პირდაპირ, ზოგჯერ გვეჩვენებოდა, რომ წვიმა მიწიდან ასხამდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით. გორაკებზე ავდიოდით და ჩამოვდიოდით და გარემოს ვზვერავდით, სადმე წვრილთვალეებიანები ხო არ ჩანანო.

და აი, ერთხელაც დავინახეთ. ეტყობა, კრება თუ ქონდათ ან რამე, რადგან ჭიანჭველების ბუდეს რო შემთხვევით ფეხს დაადგამ და ყველა მხრიდან გამოცვივდებიან, ისე გამოცვივდნენ ტყიდან. იმ მთებში ჩვენი თვითმფრინავები ვერ დაფრინავდნენ და ორ წუთში ისევ ალყაში მოგვაქციეს.

ამჯერად მართლა მაგარ შარში აღმოვჩნდით. მოკლედ, ბრინჯის ყანაში მივაბიჯებდით, როცა ყველა მხრიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. ატყდა წივილ-კივილი, დაჭრილი ბიჭები ძირს ეცემოდნენ. ვილაცამ დაიყვირა: – უკან ვიხევთ!

მე ტყვიამფრქვევს დავავლე ხელი და პალმის ხეებს შევჭაფარე თავი, წვიმისგან მაინც დამიცავდა. პოზიციები დავიკავეთ და კიდე ერთი ხანგრძლივი ლამისთვის ვემზადებოდით, როცა მივიხედ-მოვიხედე და ბაბა ვერსად დავინახე.

ვილაცამ მითხრა, ბაბა ბრინჯის ყანაში დაიჭრა და დაეცაო.

– ჯანდაბა!

სერჟანტმა კრანცმა გაიგონა და მითხრა:

– გამპ, იქ ვერ დაბრუნდები!

მიმიფურთხებია მაგ თქვენი ბრძანებისთვის-მეთქი, გულში გავივლე, მძიმე ტყვიამფრქვევი მივაგდე და იმ ადგილისკენ გავიქეცი, სადაც ბოლოს ვნახე ბაბა. შუა გზაში შემთხვევით მე-2 ოცეულის დაჭრილ ჯარისკაცს წამოვკარი ფეხი. სანყალმა ბიჭმა ხელი გამოიშვირა ჩემკენ. რალა მექნა? მოვიკიდე ზურგზე და ჩვენებისკენ გავაქანე. გარშემო ტყვიები დაფრინავდა. სხვათა შორის, დღესაც კი ვერაფრით მივმხდარვარ, რატო ვესროდით ერთმანეთს? რა საჭიროა ეს? ფეხბურთის თამაში ერთია, მაგრამ, ეეს?! ჰმ, რავი, არც კი ვიცი, რა ვთქვა.

დაჭრილი ბიჭი ძირს დავანვინე და ისევ ყანისკენ გავიქეცი. და აი, კიდე ვილაცას გადავანყდი. ესეც მოვიკიდე მხარზე და ჩვენი თავშესაფრისკენ გავიქეცი. სამწუხაროდ, მინაზე რო ვანვენდი, თავიდან ტვინი გადმოუვარდა. თურმე კეფა მოგლეჯილი ჰქონია. ჯანდაბა!

მესამედ გავიქეცი ყანისკენ. როგორც იქნა ვიპოვე ბაბა. მკერდში ორგან დაეჭრათ.

– ბაბა, ბაბა! ყველაფერი კარგად იქნება, ბაბა, გესმის? კრევეტების საჭერ ნავს აუცილებლად ვიყიდით! – ვუთხარი, მხარზე გადავიკიდე და თავშესაფრისკენ გავვარდი. სული რო მოვითქვი, ჩემს პერანგს დავხედე, მთლიანად სისხლითა და მოლურჯო ყვითელი ჩირქით მქონდა დასვრილი.

ბაბამ შემომხედა და თქვა:

– ამის დედა ვატირე, ფორესტ, ეს რატო დამემართა? რა უნდა მეთქვა?

მერე ბაბამ მკითხა:

– ფორესტ, ჩემთვის ჰარმონიკას დაუკრავ?

მე ვუპასუხე:

– რა თქმა უნდა, ბაბა.

ჰარმონიკა ამოვიღე და, აღარც მახსოვს, რომელი მელოდია დავუკარი.

ბაბამ მთხოვა:

– იქნებ „Way Down Upon the Swanee River“ დაუკრა?

დავთანხმდი:

– კარგი, ბაბა.

ჰარმონიკა გავწმინდე და ბაბას თხოვნა შევუსრულე. გარშემო ტყვიები ზუზუნებდა და საშინელი ხმაური იყო. ვიცოდი, რო ტყვიამფრქვევთან უნდა ვმდგარიყავი, მაგრამ ფეხებზე დავიკიდე და დაკვრა განვაგრძე.

არც შემიძინევია, წვიმა როგორ შეწყდა და ცა უჩვეულოდ გავარდისფრდა. ყველას მკვდრისფერი დაედო და რატომღაც წვრილთვალებიანებმა სროლა შეწყვიტეს. ჩვენც შევწყვიტეთ სროლა. მე ბაბას გვერდით მუხლებზე ვიდექი და „Way Down Upon the Swanee River“-ს ვუკრავდი, სანამ ექიმი ბაბას მკურნალობდა და ნემსს უკეთებდა. ბაბამ წვივზე მომიჭირა ხელი და თვალები დაენისლა. ერთიანად გაფითრდა, თითქოს იმ საშინელმა ცამ გამოსწოვა ვარდისფერიო.

რალაცის თქმას ცდილობდა და მისკენ დავიხარე, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ვერ გავარჩიე. ექიმს ვკითხე: – გაიგე რა თქვა?

ექიმმა მიპასუხა: – სახლი. სახლიო, თქვა.

ბაბა მოკვდა. მეტს ველარაფერს დავამატებ.

ის ღამე ჩემს ცხოვრებაში უსაშინლესი გამოდგა. მაშველი რაზმი ვერ გამოგვიგზავნეს, რადგან წვიმა განახლდა. წვრილთვალებიანები ისე ახლოს იყვნენ,

მათი საუბარი გვესმოდა. პირველი ოცეული მათთან ხელჩართულ ბრძოლაშიც კი ჩაება. გამთენიისას თვითმფრინავი გამოვიძახეთ, მაგრამ ნაპალმის ბომბი ლამის ჩვენ დაგვეცა თავზე. ჩვენი შეტრუსული და ცეცხლმოკიდებული ბიჭები, თვალეზგადმოკარკლულები თავშესაფრებიდან მინდორზე გავარდნენ ლანძღვა-გინებით. ტყეში ისეთი ხანძარი მოვინვარებდა, წვიმამაც ვერაფერი დააკლო.

სწორედ ამ დროს დავიჭერი, მაგრამ, ჩემდა ბედად, მხოლოდ უკანალში. არც კი მახსოვს, ეს როგორ მოხდა. ისეთი აურზაური იყო, სულ მთლად ამებნა თავგზა. ტყვიამფრქვევი დავაგდე და ხეს ამოფარებული, ავტირდი. ბაბა მოკვდა, კრევეტების ბიზნესის წამონყების იდეაც მასთან ერთად გაქრა; ერთადერთი მეგობარია მყავდა – ჯენი კერენს თუ არ ჩავთვლით – და ისიც დავკარგე. დედაჩემი რო არა, ალბათ, იქვე მოკვდებოდა – სიბერისგან ან რამე სხვისგან. სულერთია.

თუმცა, ცოტა ხანში ჩვენი ვერტმფრენები გამოჩნდნენ. თანაც, ნაპალმის ბომბმა წვრილთვალეებიანები დააფრთხო. ალბათ, იფიქრეს, ესენი თავისიანებს თუ უმონყალოდ ხოცავენ, ჩვენ უარესს გვიზამენო.

ვერტმფრენებით დაჭრილები წაიყვანეს, მერე თმაშეტრუსული და ტანსაცმელშემომწვარი სერჟანტი კრანცი მოვიდა. ქვემეხიდან გამოვარდნილს ჰგავდა.

– გამპ, გუშინ ძალიან იყოჩაღე, – მითხრა და, სიგარეტი შემომთავაზა.

ვუთხარი, არ ვეწევი-მეთქი და იმანაც, გასაგებიაო, თავი დამიქნია.

– გამპ, ეგ თავი ჭკუით ნაღდად არ გაქ დამძიმებული, მაგრამ კარგი ჯარისკაცი ხარ. ნეტა ბევრი მყავდეს შენისთანა.

მკითხა, ხო არ დაშავებულხარო. ვუპასუხე, არა-
მეთქი, მაგრამ ეს სიმართლე არ იყო.

– გამპ, შინ დაგაბრუნებენ, ხო იცი, – მიმანიშნა სერ-
ჟანტმა კრანცმა.

ვკითხე, ბაბა სად არი-მეთქი. სერჟანტმა კრანცმა
უცნაურად შემომხედა.

– იმასაც წამოიყვანენ, – მიპასუხა.

ვთხოვე, იქნებ მეც იმავე ვერტმფრენით გამიშ-
ვათ-მეთქი, მაგრამ სერჟანტმა კრანცმა თავი გააქნია,
ბაბას სულ ბოლოს წამოიყვანენ, რადგან მოკვდაო.

რალაც წამალი შემიშხაპუნეს ვენაში. თავი უკეთ ვი-
გრძენი. მახსოვს, სერჟანტ კრანცს მაჯაზე ხელი წავავ-
ლე და ვუთხარი:

– არასდროს არაფერი მითხოვია თქვენთვის, მაგრამ
იქნებ პირადად მოათავსოთ ბაბა ვერტმფრენში და
აუცილებლად დააბრუნოთ უკან?

– ეგ რა პრობლემაა, გამპ? – დამპირდა ის, – ეგ კი
არა, თუ გინდა, პირველი კლასითაც გამოვუშვებთ!

ღ ანანზის საავადმყოფოში ორ თვეზე მეტი გავატარე. დიდი ვერაფერი საავადმყოფო იყო, მაგრამ საწოლზე ბადე მაინც გადაეფარებინათ, კოლოებს რომ არ დავეკბინეთ და ხის იატაკს დღეში ორჯერ წმენდდნენ. ჯუნგლში ცხოვრებას ნაღდად სჯობდა.

უნდა გითხრათ, რო იქ ჩემზე მძიმედ დაჭრილებიც იწვნენ. საწყალ ბიჭებს ხელი, ფეხი, ტერფი, მკლავი, რავი... რა აღარ აკლდათ. ზოგი მუცელში, მკერდში და სახეში დაეჭრათ. ლამლამობით იქაურობა საწამებელ ოთახს ემსგავსებოდა. ბიჭები ოხრავდნენ და კვნესოდნენ, დედიკოებს უხმობდნენ.

ჩემ გვერდით ერთი ბიჭი იწვა. დენი ერქვა. მისი ტანკი აეფეთქებინათ და თვითონ შიგ გამომწვარიყო. ყველგან მიღები ქონდა მიერთებული. მაგრამ ერთხელაც არ წამოუკვნესია. ხმადაბლა საუბრობდა. რამდენიმე დღეში მე და დენი დავმეგობრდით. კონექტიკუტელი ისტორიის მასწავლებელი ყოფილა, ერთხელაც ხელი დამავლეს და ჯარში მიკრეს თავიო. თუმცა, რაკი განათლებული იყო, ოფიცრების სკოლაში ჩაურიცხავთ და ლეიტენანტის წოდება მიუციათ. ბევრ ლეიტენანტს ვიცნობდი, ჩემსავით უბრალოები იყვნენ, მაგრამ დენი სხვა ლეიტენანტებს არ ჰგავდა. დენს საკუთარი აზრი ქონდა იმის შესახებ, რატო ვიყავით იქ: სასიკეთო მიზნებისთვის ცუდ რამეებს ვაკეთებთო თუ... პირიქით; მოკლედ, არასწორად ვიქცევითო, რა! დენი სატანკო ოფიცერი იყო და სასაცილოდ მიაჩნდა ტანკებით ბრძოლა იმ ქვეყანაში,

რომლის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს და ქაობებს უკავია და ტანკი ვერ იმოძრაებს. ბაბას სიკვდილის შესახებ ვუამბე. დენმა სევდიანად გააქნია თავი და თქვა, ამ ომს კიდე ბევრი ბაბა შეეწირებაო.

ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოს სხვა ფლიგელში გადამიყვანეს, იქ უკვე გამოკეთებული პაციენტები იწვნენ. თუმცა, ყოველდღე დავდიოდი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დენის მოსანახულებლად. ჰარმონიკას ვუკრავდი მისთვის და დენი სიამოვნებით მისმენდა. საავადმყოფოში დედაჩემის გამოგზავნილი შოკოლადის ფილები მივიღე. მინდოდა, დენისთვისაც მენილადებინა, მაგრამ არ გამომივიდა, რადგან მის ორგანიზმში საკვები მილებით შეყავდათ.

დენტან საუბრებმა ჩემს ცხოვრებაზე ძალიან იმოქმედა. ვიცი, რო იდიოტი ვარ და წესიერად ალბათ ვერ ვაზროვნებ, მაგრამ შეილება ეს იმის ბრალიც იყო, რო ჩემთან საუბრით თავს არავინ იწუხებდა. დენის აზრით, უმიზეზოდ არც ჩვენს თავს და არც სადმე სხვაგან არაფერი ხდება; ყველაფერი ბუნების კანონებით არი განპირობებული. მისი თეორია საკმაოდ რთული აღსაქმელი იყო, მაგრამ ძირითად არსს მაინც ჩავწვდი და სრულიად სხვა თვალით შევხედე სამყაროს.

მანამდე ვერაფერს ვხვდებოდი. მეგონა, რალაცეები უბრალოდ ხდებოდა. ჯერ ერთი რალაც მოხდებოდა, მერე – მეორე, მერე – მესამე და ა. შ. ამ ცვლილებებში ვერანაირ აზრს ვერ ვამჩნევდი. მაგრამ დენმა მითხრა, ეს ყველაფერი ერთი დიდი სქემის ნაწილია და, რაც უფრო მალე ვიპოვით საკუთარ ადგილს ამ სქემაში, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისო. მას შემდეგ, რაც ეს შევიტყვე, საკმაოდ გამიმარტივდა ცხოვრება.

ამასობაში თანდათან მოვმჯობინდი. ჭრილობაც შე-

მიხორცდა. ექიმმა მითხრა, მარტორქის კანი გქონიაო. საავადმყოფოში დასასვენებელი ოთახი ქონდათ და, რაკი არ ვიცოდი, სხვა რა მეკეთებინა, ხანდახან იქაც შევივლიდი ხოლმე. ერთხელაც დასასვენებელ ოთახში ორი კაცი დამხვდა, პინგ-პონგს თამაშობდნენ. ცოტა ხანს ვუყურე და მერე ვკითხე, შეილება მეც ვითამაშო-მეთქი. დამთანხმდნენ. თავიდან რამდენიმე ხელი წავაგე, მაგრამ მერე ორივე დავამარცხე.

– ასეთი აყლაყუდა საკმაოდ სხარტი ყოფილხარ, – მითხრა ერთ-ერთმა ბიჭმა. მე მხოლოდ თავი დავუქნიე. მას შემდეგ თითქმის ყოველდღე ვთამაშობდი პინგ-პონგს და დამიჯერეთ, საკმაოდ კარგადაც.

შუადღისას დენის მოსანახულებლად დავდიოდი, დილით კი ჩემთვის დავეხეტებოდი. საავადმყოფოდან გასვლის ნებაც მომცეს. ბიჭები ავტობუსით ქალაქში მივდიოდი. იქ დავსეირნობდით და წვრილთვალებიანების მაღაზიებში ათას ნაგავს ვყიდულობდით. მე მეტწილად ვსეირნობდი და ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდი.

ნავსადგურში პატარი ბაზარი იყო, სადაც თევზი, კრევეტები და ეგეთი რამეები იყიდებოდა. ერთ დღეს კრევეტები ვიყიდე და საავადმყოფოს მზარეულს მოვახარშვინე. ძალიან მომეწონა. სამწუხაროა, რო დენმა ვერ შეჭამა. მითხრა, გავჭყლიტოთ და მედდას ვთხოვოთ, იქნებ მილებში შეეტიოსო. მივხვდი, რო იხუმრა.

იმ ღამით ძილის წინ დიდხანს ვფიქრობდი ბაბასა და კრევეტების საჭერ ნავზე. საბრალო ბაბა. ალბათ, კრევეტები მასაც მოეწონებოდა. მეორე დღეს დენს ვკითხე ბაბას სიკვდილიც ბუნების კანონებით ხო არ იყო განპირობებული? და დავამატე, მაგ ბუნებას ძალიან უსამართლო კანონები ქონია-მეთქი. დენმა მითხრა:

– დიახ, ფორესტ, ყოველი კანონი როდია ჩვენთვის სასიამოვნო. მაგრამ კანონი კანონია. მაგალითად, როცა ვეფხვი მაიმუნს დააცხრება თავზე, ეს მაიმუნისთვის ცუდია, მაგრამ ვეფხვისთვის – კარგი. ასეთია ეს ცხოვრება და ამას ვერაფერი შეცვლის.

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ნავედი ბაზარში. იქ ერთი პატარა წვრილთვალებიანი ტომრით ყიდდა კრევეტებს. ვკითხე, კრევეტები სად დაიჭირე-მეთქი. იმან რალაც ჩაიბურტყუნა, ეტყობა, ინგლისური არ ესმოდა. მაშინ ინდიელივით შესტების ენაზე დაველაპარაკე. როგორც იქნა, რალაცას მიხვდა და მანიშნა, გამომყევო. თავიდან ვყოყმანებდი, მაგრამ ის ისე გულკეთილად მილიმოდა, რო გავბედე და, გავყევი.

კილომეტრ-ნახევარი მაინც გავიარეთ, ნავსადგური და ნავები უკან მოვიტოვეთ, მაგრამ იმ წვრილთვალებიანს ნავთან არ მივუყვანივარ. ლელიანში, ტბორთან შევჩერდით. შიგ ბადეები ჩაედო. წყლის დონე აქ ჩინეთის ზღვის მოქცევისას იმატებდა. ეს ძალღიშვილი ამ ტბორში კრევეტებს ზრდიდა! წვრილი ბადე ამოსწია, და შიგ ათი თუ თორმეტი კრევეტი დავინახე. კრევეტები პატარა გუდაში ჩამიყარა. სანაცვლოდ შოკოლადის რამდენიმე ფილა მივეცი. სიხარულისგან კინალამ ჩაისვარა.

იმ ღამით სამხედრო შტაბთან ახლოს, მოედანზე კინოფილმის ჩვენება გაიმართა. მეც ნავედი სანახავად. სამწუხაროდ, წინა რიგში მსხდარი ბიჭები რალაცაზე წაკამათდნენ, ჩხუბი ატყდა და ერთ-ერთი მათგანი ეკრანისკენ ისროლეს. ფარდა გაიხა და ჩვენებაც შეწყდა. პალატაში დავბრუნდი და დავწექი. არ მეძინებოდა და ფიქრებში ნავედი. უცებ გონება გამინათდა. მივხვდი, რა უნდა მეკეთებინა მას შემდეგ, რაც ჯარიდან გამიშვებდნენ!

შინ დავბრუნდები, ყურესთან პატარა ტბორს ვიპოვი და კრევეტებს გავამრავლებ! ბაბა მოკვდა და მარტო ნავს ველარ ვიყიდი, მაგრამ მავთულის ბადეს კი აუცილებლად ვიშოვი და ტბორში ჩავდებ – აი, რას დავპირდი საკუთარ თავს. ბაბას ეს ძალიან მოეწონებოდა.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველ დილით მივდიოდი იმ ტბორთან, რომელშიც ჩიანვრილთვალეებიანი კრევეტებს ზრდიდა. მას მისტერ ჩიერქვა. თვალს ვადევნებდი და ისიც მიხსნიდა, რა როგორ კეთდება. პატარა ხელბადით ახლომახლო პატარა კრევეტებს იჭერდა და თავის ტბორში ყრიდა. მოქცევას ტბორამდე ათასგვარი ნაგავი და ნარჩენები მოქონდა, რომლითაც პანანინა სლიპინა არსებები იკვებებოდა, ამ სლიპინა არსებებით კი კრევეტები სუქდებოდნენ და იზრდებოდნენ. მოკლედ, ამ იოლ საქმეს ნებისმიერი იმბეცილი გაუმკლავდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შტაბიდან საავადმყოფოში ვილაც გაბლენძილი ტიპი მოვიდა და საზეიმოდ მაუწყა:

– რიგითო გამპ, გამოჩენილი სიმამაცისთვის კონგრესი ღირსების მედლით გაჯილდოებთ. აშშ-ში დაბრუნდებით და ზეგ თავად აშშ-ის პრეზიდენტი გადმოგცემთ ჯილდოს!

ეს ყველაფერი დილაადრიან მოხდა. ჯერ კიდევ სანოლში ვინეჩი და ტუალეტში გასვლას ვაპირებდი. აქ კიდევ ვილაცეები დამადგნენ თავზე და მელოდნენ, რას ვუპასუხებდი. ეტყობა, იფიქრეს, რო სიხარულისგან გადავირეოდი.

– მადლობა, – მხოლოდ ეს ვთქვი და პირში წყალი ჩავიგუბე.

აღბათ, ესეც ბუნების კანონით იყო განპირობებული.

მათი წასვლის შემდეგ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში წავედი. დენის პალატაში შევედი, მაგრამ მისი საწოლი ალაგებული დამხვდა, თითონ დენი კი – წასული. შემეშინდა, რამე ხო არ შეემთხვა-მეთქი და მორიგე ექიმთან გავიქეცი, მაგრამ ვერც ის ვიპოვე. დერეფანში ექთანი შემხვდა და იმას ვკითხე:

– დენს რა დაემართა?

ექთანმა მითხრა, წავიდაო.

– სად წავიდა? – ვკითხე.

– არ ვიცი, მაგ დროს სხვა მორიგეობდა, – მიპასუხა ექთანმა.

მთავარი ექთანი მოვძებნე და იმან მითხრა, დენი სამკურნალოდ ამერიკაში გადააფრინესო. ვკითხე, ხო კარგადაა-მეთქი და მთავარმა ექთანმა მიპასუხა:

– თუ არ ჩავთვლით ორ გახვრეტილ ფილტვს, დაზიანებულ ნაწლავს, ხერხემლის ტრავმას, მოჭრილ ფეხს, უტერფო მეორე ფეხს, მესამე ხარისხის დამწვრობას ნახევარ სხეულზე, მაშინ მშვენივრადაა.

მთავარ ექთანს მადლობა გადავუხადე და წავედი.

იმ დღეს პინგ-პონგი არ მითამაშია, რადგან დენზე ვღელავდი. ისიც კი ვიფიქრე, ვაითუ მოკვდა და მე არ მიმხელენ, რადგან ჯერ ნათესავებს უნდა აცნობონ-მეთქი. რავი, ასეც ხო ხდება, არა? ნაგავსაყრელზე დავებეტიებოდი და ქვებსა და კონსერვის ქილებს ფეხს ვურტყამდი.

ჩემს პალატაში საწოლზე წერილები დამხვდა. ერთში დედა მწერდა, ჩვენს სახლს ხანძარი გაუჩნდა და მთლიანად დაინვა, დაზღვეული არ იყო და ამიტომ უსახლკაროთა თავშესაფარში გადავდივარ საცხოვრებლადო. თურმე მისის ფრენჩს კატა დაუბანია და ფენით აშრობდა. ცეცხლიც კატას თუ ფენს ნაკიდებია. დედა

მწერდა, ამიერიდან წერილები თავშესაფარში გამო-
ომიგზავნეო. მივხვდი, რო დედაჩემს დიდხანს აღარ
შეაშრებოდა ცრემლები.

მეორე წერილი იუნყებოდა:

„ძვირფასო მისტერ გამპ, გაქვთ შანსი მოიგოთ უახ-
ლესი მარკის Pontiac GTO იმ პირობით, თუ გამოგვიგ-
ზავნით დახურულ ბარათს, რომელშიც თანხმობას გა-
ნაცხადებთ, სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ 75\$-ად
შეიძინოთ ჩვენი შესანიშნავი ენციკლოპედიები და წე-
ლინდეულები“.

წერილი სანაგვეში ჩავაგდე. რა ჯანდაბად უნდა ჩემ-
ნაირ სულელს ენციკლოპედიები?! თანაც არც მანქანის
მართვა ვიცი.

მესამე წერილი პირდად ჩემს სახელზე გამოეგზა-
ვნათ. კონვერტის უკანა მხარეზე ეწერა: „ჯ. კერენი.
სპეცფოსტა. კემბრიჯი. მასაჩუსეტსი“. ხელი ამიკან-
კალდა და კონვერტი ძლივს გავხსენი.

წერილში ეწერა:

„ძვირფასო ფორესტ, დედამ გამომიგზავნა შენი წე-
რილი, რომელიც დედაშენს მისთვის გადაუცია. ძალიან
ვწუხვარ, რომ იმ ამორალურ ომში გინევს ბრძოლა. ვიცი,
რამდენად რთულია ადამიანის მოკვლა ან დასახიჩრება.
აღბათ, გრცხვენია ასეთ საშინელებაში რომ მონაწილე-
ობ. ვიცი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებ“.

ჯენი მწერდა: რო ხვდება, რა რთულია, როცა სუფთა
ტანსაცმელი არ გაქვს ან სულ უგემური საჭმლის ჭამა
გინევს, მაგრამ ვერ მიმხვდარა, რა ვიგულისხმე სი-
ტყვებში: „ორი დღე ოფიცრის მძღნერში პირქვე ვინექი“.

„ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი სისაძაგლის
კეთებას გაიძულებენ“, – წერდა ჯენი. მგონი, უკეთესად
უნდა ამეხსნა, რას ვგულისხმობდი.

ჯენი აგრეთვე მწერდა:

„ამ ფაშისტი ღორების წინააღმდეგ ხალხმრავალ დემონსტრაციებს ვაწყობთ, რათა ხალხის ნება შეისმინონ და ეს ამორალური ომი შეწყვიტონ“.

ამას მთელი გვერდი ეთმობოდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა. მაინც ყურადღებით წავიკითხე, რადგან მისი ხელნაწერის დანახვაზე გული ამიფანცქალდა და ლამის თავბრუ დამეხვა.

დასასრულს დაეწერა:

„სხვა თუ არაფერი, ბაბას მაინც შეხვედრიხარ. გასაჭირში მეგობარი გეყოლება გვერდით. ბაბას ჩემგან გულითადი მოკითხვა გადაეცი“.

პოსტსკრიპტუმში მიემატებინა:

„ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ ყავახანაში კვირაში რამდენიმე საღამოს მუსიკალური ჯგუფის შემადგენლობაში ვუკრავ და ცოტა ფულს ვშოულობ. თუ აქეთ მოხვდები, შემოიარე. ჯგუფს Cracked Eggs ჰქვია“.

მას შემდეგ სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ჰარვარდის უნივერსიტეტში წასასვლელად საბაბი მეპოვა.

იმ ღამით შინ დასაბრუნებლად და პრეზიდენტისგან ღირსების მედლის მისაღებად გავემზადე. ჩასალაგებელი ბევრი არაფერი მქონდა, გარდა საავადმყოფოში მოცემული პიჟამასი, კბილის ჯაგრისისა და სამართებლისა. მთელი ჩემი ბარგი პლეიკუს სამხედრო ბაზაზე დარჩა. თუმცა, შტაბიდან გამოგზავნილმა ერთმა თავაზიანმა ვიცე-პოლკოვნიკმა მითხრა:

– ეგ ნაგავი დაივიწყე, ფორესტ, შენთვის საიგონში წვრილთვალებიანებს ამაღამვე ახალთახალ უნიფორმას შევაკერინებთ – პრეზიდენტს პიჟამაში ჩაცმული ხო არ შეხვდები?!

ვიცე-პოლკოვნიკმა მითხრა, ვაშინგტონში გამო-

გყვები, დაგაბინავენ, საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებ და იმასაც გასწავლი, დაჯილდოების ცერემონიაზე როგორ მოიქცეო.

ვიცე-პოლკოვნიკი გვარად გუჩი იყო.

იმ ღამით ბოლოჯერ ვეთამაშე პინგ-პონგი ერთ ბიჭს ქვეითთა მთავარი შტაბიდან. როგორც ამბობდნენ, ის ბიჭი აშშ-ის არმიაში საუკეთესო მოთამაშე იყო. ერთი გამხდარი, განრიპული ტიპი იყო, რომელიც თვალეებში არ მიყურებდა და საკუთარი ტყავგადაკრული ჩოგნით მოვიდა სათამაშოდ.

ერთიმეორის მიყოლებით რო მოვუგე ყველა ხელი, თამაში შეწყვიტა, ეს ბურთები არ ვარგა, ნესტს გაუფუჭებიაო. აილო თავისი ჩოგანი და წავიდა. სამაგიეროდ, ბურთები დატოვა, რაც ძალიან გამიხარდა. დასასვენებელ ოთახში ბიჭებს წავუღე და მადლობა გადამიხადეს.

დილით, წასვლამდე, ექთანმა პალატაში წერილი შემომიტანა. დენისგან იყო, რომელიც როგორც გაირკვა, მართლაც არ მომკვდარა. აი, რა ეწერა წერილში:

„ძვირფასო ფორესტ,

ბოდიში, რომ წასვლამდე ვერ გნახე. ექიმებმა გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს და დაუკითხავად გამაქანეს საავადმყოფოდან. საბედნიეროდ, შენთვის ამ წერილის დაწერა მოვასწარი, შენ ხომ ასე კეთილად მექცეოდი.

ფორესტ, ვგრძნობ, რომ გზაგასაყარზე დგახარ, შენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა მოხდეს. მზად იყავი ამ მომენტისათვის და ხელიდან არ გაუშვა. აი, ახლაც შენს თვალეებში გაკვესებული ცეცხლი მახსენდება; ყოველთვის, როცა იცინი, თვალეები უჩვეულოდ აგიელვარდება ხოლმე და ამ იშვიათ შემთხვევებში ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ადამიანუ-

რი აზროვნების, შემოქმედების და ყოფიერების უნარის დასაბამს შევესწარი.

ეს ომი საშენო არ არის, მეგობარო, არც საჩემოა. მე უკვე გამოვეთიშე ამ ომს და იმედია, მალე შენც გამოეთიშები. მთავარია, შემდეგ რას იზამ? სულაც არ მგონია, რომ იდიოტი ხარ. შეიძლება რომელიღაც ანალიზების და ვიღაც სულელის დასკვნის მიხედვით იდიოტად გამოგაცხადეს, მაგრამ მე შენი გონების სიღრმეში ჩამალული ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი ვნახე, ფორესტ. დინებას გაჰყევი, მეგობარო და თავთხელს ერიდე. ეცადე არასოდეს გაირიყო. არასოდეს დანებდე! კარგი ბიჭი ხარ, ფორესტ. დიდი გული გაქვს!

შენი მეგობარი, დენი“.

დენის წერილი ათჯერ თუ ოცჯერ გადავიკითხე, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს მაინც ვერ მივხვდი. ანუ, ძირითად არსს თითქოს კი ჩავწვდი, მაგრამ ზოგიერთი წინადადების აზრი ვერ გავიგე.

მერე ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი მოვიდა, უნდა წავიდეთო; ჯერ – საიგონში, სადაც წუხელ ოცმა წვრილთვალეებიანმა ახალი უნიფორმა შეგიკერა, იქიდან კი პირდაპირ ამერიკაშიო.

მას დენის წერილი წავაკითხე და ვკითხე: იქნებ ამისნათ, რას გულისხმობს-მეთქი. ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა წაკითხვის შემდეგ წერილი უკან დამიბრუნა და მითხრა:

– გამბ, შენი მეგობარი იმას გულისხმობს, რომ როცა პრეზიდენტი ღირსების მედალს მოგაბნევს, გირჩევნია, წესიერად მოიქცე და არ ჩაისვარო!

სანამ წყნარი ოკეანის თავზე მივფრინავდით, ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი მეუბნებოდა, რომ შინ ნამდვილ გმირად ვბრუნდებოდი. შენ პატივსაცემად საზეიმო აღლუმებს მოაწყობენ და საჭმელ-სასმელის ყიდვა არ დაგჭირდება, სხვები გაგიმასპინძლებიანო. ისიც მითხრა, არმია მთელ ქვეყანას მოგატარებს, რო ახალწვეულები შეკრიბო და რაღაც ფასიანი ქაღალდები გაყიდო. სამაგიეროდ, „მეფურ პატივში“ ეყოლებითო. მართალი გამოდგა.

სან-ფრანცისკოს აეროპორტში ზღვა ხალხი გვიცდიდა. დროშები და პლაკატები ეჭირათ ხელში. ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა თვითმფრინავის ილუმინატორიდან გაიხედა და თქვა, უცნაურია, სასულე ორკესტრი რატომ არ გვეგებებაო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენ დასახვედრად ისედაც საკმარისი ხალხი გამოსულიყო.

როგორც კი თვითმფრინავიდან ჩავვდით, ხალხმა მაშინვე ყვირილი დაგვიწყო. მერე ვილაცამ ვიცე-პოლკოვნიკ გუჩს პამიდორი ესროლა. შემდეგ დიდი აურზაური ატყდა. ხალხმა პოლიციელების რიგი გაარღვია და თითქმის ორი ათასი წვერიანი და ჩამოძონძილი ადამიანი ლანძღვა-გინებით დაიძრა ჩვენკენ. მას შემდეგ, რაც ბრინჯის ყანაში ბაბა მოკლეს, ცხოვრებაში ასე არ შემშინებია.

ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა სახე მოიწმინდა და თავის ღირსეულად დაჭერა სცადა, მაგრამ მე ვერ მოვ-

ითმინე. თითოზე ათასი კაცი მოდიოდა და რიცხოვრით უმცირესობაში უიარალოდ მყოფმა, ჯანდაბას-მეთქი, გულში გავიფიქრე და გავიქეცი.

ეტყობა, ბრბო მხოლოდ იმას უცდიდა, ვინმე გაქცეულიყო. როგორც ბავშვობაში, ახლაც ყველა მე გამომეკიდა ღრიალითა და თავიანთი დროშა-პლაკატების ქნევით. მთელი ასაფრენი ზოლი გავირბინე და უკან, ტერმინალისკენ გამოვბრუნდი. ასე „ნარინჯისფერი თასის“ ფინალშიც კი არ შემშინებია, როცა ნებრასკელ „მესიმინდეთა“ მთელი გუნდი მე დამდეგდა. ბოლოს ტუალეტის კაბინაში შევვარდი, კარი ჩავიკეტე და იქ ვიჯექი, სანამ არ დავრწმუნდი, რომ მდეგრები შემეშვნენ და დაიფანტნენ. ალბათ, ერთ საათს მაინც ვიცდიდი.

ტუალეტიდან რომ გამოვედი, ვესტიბიულში სამხედრო პოლიციის ოცეულით გარშემორტყმული ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი დავინახე. დაღონებული ჩანდა, მაგრამ ჩემს დანახვაზე სახე გაუნათდა.

– დროზე, გამპ! – დამიძახა, – ჩვენ გამო ვაშინგტონის რეისი შეაყოვნეს!

თვითმფრინავში სამოქალაქო პირებიც ისხდნენ. მე და ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი წინა რიგში დავსხედით. სანამ თვითმფრინავები აფრინდებოდნენ, სამოქალაქო პირები რატომღაც უკანა რიგებში გადასხდნენ. ვიცე-პოლკოვნიკ გუჩის ვკითხე, ეს რატო ქნეს-მეთქი და მიპასუხა, რავი, ალბათ, ცუდი სუნი აგვდისო. მითხრა, ნუ ღელავ, ვაშინგტონში უკეთესი სიტუაცია დაგვხვდებაო. იმედია, ასეც იქნება-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა ჩემნაირი სულელიც კი მიხვდებოდა, რომ ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი იტყუებოდა.

ვაშინგტონამდე რომ მივალწიეთ, ილუმინატორიდან შთამბეჭდავი ხედი გამოჩნდა! ადრე მხოლოდ ვაშინგ-

ტონის მონუმენტის და კაპიტოლიუმის ფოტოები მენახა. აეროპორტში მანქანა დაგვხვდა. კარგ სასტუმროში წაგვიყვანეს. იქ ზედა სართულებზე ლიფტით ავდიოდით, ჩვენი ბარგი კი მოსამსახურეებს დაქონდათ. ლიფტით პირველად ვიმგზავრე!

ნომრებში დაგვაბინავეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან ვიცე-პოლკოვნიკი შემოვიდა და დასალევად დამპატიუა, აქ ერთი მყუდრო ბარი ვიცე, სადაც ლამაზი გოგოები იკრიბებიანო. თან გამაფრთხილა, აღმოსავლეთ სანაპიროზე ხალხი ბევრად ცივილიზებულია, ვიდრე სადღაც კალიფორნიაში და თავაზიანობა გამოიჩინეო. ვიცე-პოლკოვნიკი კიდე ერთხელ შეცდა.

ბარში მაგიდასთან დავსხედით. ვიცე-პოლკოვნიკმა ჩემთვის ლუდი შეუკვეთა, თავისთვის რაღაც სასმელი და დამინყო ახსნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ხვალინდელ ცერემონიალზე, როცა პრეზიდენტი მედლით დამაჯილდოებდა.

შუა საუბარში ვიღაც გოგო მოგვიახლოვდა. ვიცე-პოლკოვნიკ გუჩს ეგონა, მიმტანი იყო და კიდე სასმელი შეუკვეთა. თუმცა გოგონამ ზიზლით შეხედა და უთხრა:

– სასმელი კი არა, ერთი ჭიქა ფურთხი მენანება შენთვის, შე ბინძურო ნაბიჭვარო.

მერე მე მომიბრუნდა:

– დღეს რამდენი ბავშვი მოკალი, ორანგუტანო?

ბარიდან ისევ სასტუმროში დავბრუნდით. ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა სასტუმროს ბარში შეუკვეთა სასმელი და ხვალინდელ ცერემონიალზე საუბარი გავაგრძელეთ.

დილაადრიან ავდექით და თეთრ სახლში წავედით. ძალიან ლამაზი სახლია, წინ დიდი ეზო აქ და მობილის სასამართლოს შენობისოდენაა. თეთრ სახლში პრეზიდენტი ცხოვრობს.

შიგნით ბევრი სამხედრო პირი დაგვხვდა. ყველამ ხელი ჩამომართვა. მაქებდნენ, ყოჩალი ბიჭი ხარო. მერე მედლის მიღების დრო დადგა.

პრეზიდენტი საკმაოდ ჯანიანი ტიპი აღმოჩნდა, საუბრისას ტეხასურად უქცევდა. გარშემო ბევრი ქალი და კაცი ტრიალებდა, ქალები მოახლეებს გავდნენ, კაცები – დამლაგებლებს. შეხვედრა ვარდების ბაღში, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

ერთმა სამხედრომ რალაც სისულელის კითხვა დაიწყო და ყველა მას უსმენდა ყურადღებით; მე არ ვუსმენდი, რადგან დილით არ მისაუზმია და მშოიოდა. როგორც იქნა, ის სამხედრო კითხვას მორჩა, ჩემთან პრეზიდენტი მოვიდა, კოლოფიდან მედალი ამოიღო და მკერდზე მომაბნია. მერე ხელი ჩამომართვა. შეკრებილმა ხალხმა ტაში დაგვიკრა. სამახსოვრო ფოტოები გადაგვიღეს.

ვიფიქრე, დაჯილდოება დასრულდა და აქედან დავახვევთ-მეთქი, მაგრამ პრეზიდენტი არ მომშორდა. გვერდით მედგა და უცნაურად მიყურებდა.

– ყმანვილო, თქვენი მუცელი ყურყურებს ასე ხმამაღლა?

ვიცე-პოლკოვნიკ გუჩს გავხედე. იმან თვალები უმწეოდ ალაპყრო. ჰოდა, მეც თავი დავუქნიე პრეზიდენტს.

– დიახ.

– მაშ, წამოდით და რამე შევჭამოთ, – მითხრა პრეზიდენტმა.

პატარა, მრგვალ ოთახში შევყევი. პრეზიდენტმა მიმტანის ფორმაში გამოწყობილ ბიჭს უთხრა, სტუმრისთვის საუზმე მოიტანეო. მხოლოდ მე და ის დავრჩით ოთახში. სანამ საუზმეს ვუცდიდით, პრეზიდენტმა ათასი რამ მკითხა; მაგალითად, თუ იცი რატო ვებრძვით წვრილთვალებიანებსო; ან ჯარში წესიერად თუ გეპყ-

რობიანო. მე სულ თავს ვუქნევდი. მერე პრეზიდენტმა შეკითხვების დასმა შეწყვიტა და მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ისევ პრეზიდენტმა დაარღვია:

– სანამ საუბრეს ვუცდით, არ გინდა, ტელევიზორს ვუყუროთ?

კიდევ ერთხელ დავუქნიე თავი. პრეზიდენტმა თავისი სამუშაო მაგიდის უკან მდგარი ტელევიზორი ჩართო. The Beverly Hillbillies-ს¹ ვუყურეთ. პრეზიდენტმა ბევრი იცინა. მითხრა: ყოველდღე ვუყურებ და შენ ჯეტროს მაგონებო. ნასაუბრეს პრეზიდენტმა თეთრი სახლის დათვალიერება შემომთავაზა. დავთანხმდი. გარეთ რო გავედით, ფოტოგრაფები გამოგვყვნენ. პრეზიდენტი ბაღში, ხის მერხზე ჩამოჯდა და მკითხა:

– ყმანვილო, მგონი, ომში დაგჭრეს. არა?

თავი დავუქნიე.

– აბა, ამას შეხედე, – მითხრა პრეზიდენტმა და პერანგი აინია ოპერაციის შედეგად მუცელზე დარჩენილი დიდი ნაიარევის საჩვენებლად. მერე მკითხა: – შენ სად დაგჭრეს?

შარვალი ჩავიხადე და ვუჩვენე, სადაც დამჭრეს. მაშინვე ფოტოგრაფები მოცვივდნენ და სურათები გადაგვიღეს. მერე ვილაც ტიპებმა მოირბინეს და ვიცე-პოლკოვნიკ გუჩთან გამაქანეს.

იმავე სადამოს ჩემს ნომერში ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი შემოიჭრა გაზეთებით ხელში. ღმერთო, რა გაცოფებულ იყო! ხმამაღლა მიღრიალა და კარგა გულიანად გამომლანძღა. გაზეთები სანოლზე დამიგდო.

პირველ გვერდზე გამოვუჭიმევართ! პრეზიდენტი თავის ნაიარევს მიჩვენებს, მე შიშველი ტრაკი მიმიშ-

¹ „ბევერლი-ჰილბელი სოფლები“ – 1960-იანი წლების პოპულარული ამერიკული სიტკომი

ვერია მისკენ. ერთ-ერთ გაზეთში ჩემი სახე შავად დაუფარავთ, რო ვერ მიცნონ. ასეთი რამ უხამს ფოტოებზე მინახავს.

ფოტოს ქვეშ დაენერათ: „პრეზიდენტი ჯონსონი და ომის გმირი თეთრი სახლის ბაღში ისვენებენ“.

– გამპ, შე იდიოტო! – დამიყვირა ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა, – ეს რა მიყავი? მომსპე! ჩემი კარიერა გაანადგურე!

– რავი, რა გიყავით? – მხრები ავიჩიე, – ვცადე, ყველაფერი სწორად გამეკეთებინა.

მოკლედ, ისევ მაგარ შარში აღმოვჩნდი. თუმცა არმია მაინც არ შემეშვა. გადაწყვიტეს, ქვეყნის გარშემო მემოგზაურა, ახალგაზრდებს არმიაში ჩანერისკენ მოუწოდებო. ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა ჩემთვის სიტყვა დაანერინა, რომელიც ყოველი შეხვედრისას უნდა წარმომეთქვა. გრძელი სიტყვა იყო, აი, ასეთი რამეებით გაძედილი: „კრიზისის ჟამს შეიარაღებულ ძალებში მსახურებაზე ღირსეული და პატრიოტული არაფერია“... რასაკვირველია, ტექსტი ზეპირად ვერაფრით ვისწავლე. წაკითხვით კი უპრობლემოდ ვკითხულობდი და შინაარსიც მშვენივრად გავიგე, მაგრამ სიტყვის წარმოთქმისას ვიბნეოდი და ყველაფერი მავინყდებოდა.

ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი მღელვარებისგან ადგილს ვერ პოულობდა. ყოველთვის შუალამემდე მამეცადინებდა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია.

– გამორიცხებულია, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.

მერე ერთი აზრი გაუჩნდა.

– გამპ, აი, რას ვიზამთ: ამ ტექსტს შევამოკლებ და ბევრი ლაპარაკი აღარ მოგინევს. იმედია, ამას მაინც შეძლებ.

დაჯდა და, ამოკლა და ამოკლა ტექსტი. იმდენად

შეამოკლა, რო სიტყვით გამოსვლისას იდიოტად აღარ გამოვჩენილიყავი. სულ რამდენიმე სიტყვაღა დამრჩა სათქმელი: „ჩაენერეთ ჯარში და იბრძოლეთ თავისუფლებისთვის!“

პირველად ერთ პატარა კოლეჯს ვენვიეთ. იქ ჟურნალისტები და ფოტოგრაფები დაგვხვდნენ. პირთამდე სავსე აუდიტორიაში სცენაზე დაგვსხეს. ჯერ ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი წამოდგა და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მე უნდა მეთქვა. დასასრულს დაამატა: „– ახლა კი კონგრესის ღირსების მედალოსანი, პირველი კლასის რიგითი ფორესტ გამპი მოგვმართავს რამდენიმე სიტყვით,“ – და წინ გამოდიო, მანიშნა.

ხალხი ტაშისკვრით შემხვდა. რო გაჩუმდნენ, მიკროფონისკენ თავი დავხარე და ვთქვი:

– ჩაენერეთ ჯარში და იბრძოლეთ თავისუფლებისთვის!

მგონი, ჩემგან უფრო მეტის მოსმენას ელოდნენ, მაგრამ მე მხოლოდ ამის თქმა მევალებოდა, ამიტო ერთადგილას გავშემდი. მე ხალხს ვუყურებდი, ხალხი მე მიყურებდა. უცებ ვილაც წინა რიგში მჯდარმა მკითხა:

– ომზე რას ფიქრობთ?

ვუპასუხე პირველივე, რაც ენაზე მომადგა:

– ომი ნაგავია!

ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა მიკროფონი გამომგლიჯა ხელიდან და უკან გამათრია. თუმცა, ჟურნალისტებმა ჩემი სიტყვები ბლოკნოტებში ჩაინერეს, ფოტოგრაფებმა სურათები გადამიღეს. ხალხი მთლად გადაირია, ყიჟინებდნენ და სტვენდნენ. ვიცე-პოლკოვნიკმა გუჩმა დარბაზიდან გამიყვანა და მანქანაში ჩამსვა. მთელი გზა არ დამლაპარაკებია, თავისთვის ბურტყუნებდა და გიჟივით ფრუტუნებდა.

მეორე დილით სასტუმროში მორიგი სიტყვისთვის ვემზადებოდით, როცა ტელეფონმა დარეკა. ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი იკითხეს. არ ვიცი, ვის ელაპარაკებოდა, მაგრამ ვიცე-პოლკოვნიკი გუჩი მხოლოდ – დიახ, სერო – პასუხობდა; ხანდახან მე გამომხედავდა და თვალებს მკაცრად მიბრიალებდა. ყურმილი რო დაკიდა, თავი დახარა და ფეხსაცმელებს დააშტერდა.

– ესეც მოახერხე, გამპ, – თქვა მან, – ტურნე ჩაიშალა. მე ისლანდიაში მეტეოსადგურში გადავყავართ, ამიერიდან შენს ტრაქს თვითონ მიხედავ.

ვიცე-პოლკოვნიკ გუჩს ვკითხე, ახლა მაინც თუ შეილება „კოკა-კოლა“ დავლიო-მეთქი. იმან უცნაურად შემომხედა, მერე ისევ თავისთვის აბურტყუნდა და გიჟივით აფხუკუნდა.

ფორტ-დიქსში გამგზავნეს და ცეცხლფარეშად დავინყე მუშაობა. დილიდან შუალამემდე ქვანახშირს ვყრიდი საცეცხლეში ყაზარმების გასათბობად. ერთი ასმეთაური გვყავდა, რომელსაც ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მან მითხრა, ჯარში კიდე ორი წელი უნდა იმსახურო და თუ როგორმე გაძლებ და არაფერს გააფუჭებ, შენთვისვე იქნება კაიო. მეც ამას ვცდილობდი. ხან დედაზე ვფიქრობდი, ხან – ბაბასა და კრევეტების ბიზნესზე, ხანაც – ჰარვარდში მცხოვრებ ჯენი კერენზე. დროდადრო პინგ-პონგსაც ვთამაშობდი.

გაზაფხულზე ჩვენთან განცხადება გამოაკრეს, პინგ-პონგის ტურნირს ვატარებთ და გამარჯვებული ვაშინგტონში ჯარისკაცების ჩემპიონატზე გაემგზავრებაო. ტურნირში მონაწილეობა მივიღე და ადვილად გავიმარჯვე, რადგან ჩემს ერთადერთ კონკურენტს თითები მოგლეჯილი ქონდა და ჩოგანი გამუდმებით უვარდებოდა.

მომღევნო კვირას ვაშინგტონში გამგზავნეს. ჩემ-
პიონატი უოლერ რიდის სახელობის საავადმყოფოში
ტარდებოდა და დაჭრილებს პაექრობებისთვის თვა-
ლის დევნება შეეძლოთ. პირველი და მეორე რაუნდები
იოლად მოვიგე, მაგრამ მესამეში ვიღაც მაგარი შემხ-
ვდა. ის ბიჭი ისე ეშმაკურად ატრიალებდა ბურთს, რო
მიღება მიჭირდა. ოთხით ორს მიგებდა და ვატყობდი,
რო ვმარცხდებოდი, როცა მაყურებლებს შორის შემთხ-
ვევით ინვალიდის ეტლში მჯდარ ლეიტენანტ დენს
მოვკარი თვალი. იმ დენს, დანანგის საავადმყოფოში რო
გავიცანი.

შესვენებისას ლეიტენანტ დენტან მივედი. ფეხები
აღარ ქონდა.

– მომაჭრეს, ფორესტ, – მითხრა მან, – სხვა მხრივ,
კარგად ვარ.

მისთვის სახიდან სახვევებიც მოეხსნათ. იმ ადგ-
ილას, სადაც ტანკში გაჩენილი ცეცხლი წაეკიდა,
საშინელი დამწვრობა ეტყობოდა. ინვალიდის ეტლზე
დამაგრებულ ბოძზე ჩამოკიდებულ ბოთლთან მილით
იყო შეერთებული.

– მითხრეს, ასევე დავტოვებთო, – თქვა დენმა, – გიხ-
დებაო.

მერე ჩემკენ გადმოიხარა, თვალებში ჩამხედა და
მითხრა:

– ფორესტ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს შეძლებ,
თუკი მოინდომებ. წელან გიყურებდი და ისე მაგრად თა-
მაშობ პინგ-პონგს, ამ ბიჭს აუცილებლად დაამარცხებ.
გამარჯვებისთვის ხარ გაჩენილი!

თავი დავუქნიე და თამაშს დავუბრუნდი. ერთი ხე-
ლიც კი აღარ წამიგია, ისე გავედი ფინალში და ჩემპიო-
ნატი მოვიგე.

ვაშინგტონში სამი დღით დავრჩი. მე და ლეიტენანტი დენი სულ ერთად ვიყავით. დღისით გარეთ გამყავდა, რო მზეს მიფიცებოდა, ლამლამობით მისთვის, როგორც უნინ ბაბასთვის, ჰარმონიკას ვუკრავდი. მეტწილად ვსაუბრობდით. ლეიტენანტი დენი ათას რამეზე მელაპარაკებოდა, ფილოსოფიაზე, ისტორიაზე... ერთხელ აინშტაინის ფარდობითობის თეორიასა და სამყაროს შეცნობის მხრივ მის მნიშვნელობაზე მიამბო. ავდექი და ქალაქის ფურცელზე დავუნერე მთელი ფორმულა, რომელიც უნივერსიტეტში „კვანტური ოპტიკის საფუძვლების“ ლექციაზე ვისწავლე. ლეიტენანტმა დენმა შემომხედა და მითხრა:

– ფორესტ, ჩემს გაკვირვებას აგრძელებ!

ერთ დღეს ფორტ-დიქსში საცეცხლეში ნახშირს რო ვყრიდი, სახეგაბადრული და მედლებით მკერდდამშვენებული პენტაგონელი ტიპი გამომეცხადა და მითხრა:

– რიგითო გამპ, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ აშშ-ის პინგ-პონგის ნაკრების წევრად აგირჩიეს და კომუნისტურ ჩინეთში მიემგზავრებით ჩინელებთან პინგ-პონგის სათამაშოდ. ეს განსაკუთრებული პატივია, რადგან ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას ჩინელებთან საქმე არ დაუჭერია და მთავარი აქ პინგ-პონგის თამაში სულაც არ არის. ეს დიპლომატიური სვლაა და სასწორზე კაცობრიობის მომავალი დევს. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

მხრების ჩეჩვით დავუქნიე თავი, თუმცა გული შემეკუმშა. მთელი კაცობრიობა ჩემი მისახედი გახდა, არადა, ერთი უბრალო იდიოტი ვარ!

ღ ა აი, კვლავ ნახევარი სამყარო შემოვიარე და ჩინეთში, პეკინში აღმოვჩნდი.

პინგ-პონგის ნაკრებში ძალიან თავაზიანი ბიჭები იყვნენ, ყველა კარგად მექცეოდა. სხვათა შორის, ჩინელებიც თავაზიანები აღმოჩნდნენ, ვიეტნამელი წვრილთვალებიანებისგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ჯერ ერთი, კოხტები, სუფთები და ზრდილობიანები იყვნენ და მერე მეორეც, მოსაკლავად არ დამდევენ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთი ტიპი გამოგვაყოლა და ის გვასწავლიდა, ჩინელებთან როგორ მოვექცეულიყავით. უნდა გამოგიტყდეთ, ყველაზე მეტად ეგ ტიპი არ მომწონდა. მისტერ უილკინსი ერქვა, წვრილი ულვაში ქონდა, ყოველთვის პორტფელს დაათრევდა თან და სულ იმას დარდობდა, ჩემი ფეხსაცმელი სუფთა თუა ან შარვალ-პერანგი ხო არ დამეჭმუჭნაო. დაგენაძლევებით, ყოველ დილით ადგებოდა თუ არა, ალბათ, ტრაკს იწმენდა.

მისტერ უილკინსი გვერდიდან არ მშორდებოდა.

– გამპ, როცა ჩინელი თავს დაგიკრავს, შენც თავი უნდა დაუკრა, – სულ ამას ჩამჩინებდა, – გამპ, საზოგადოებაში წესიერად უნდა მოიქცე. გამპ, შარვალზე ლაქა რატომ გაცხია? გამპ, მაგიდასთან ღორივით ნუ იქცევი!

ჰო, მაგიდასთან მართლაც ღორივით ვიქცეოდი. ეს ჩინელები ორი პატარა ჩხირით ჭამენ საჭმელს და ამ ჩხირებით პირთან საჭმლის მიტანა თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც ნახევარ საჭმელს ტანსაცმელზე ვი-

ყრიდი. რა გასაკვირია, რო მსუქან ჩინელს ბევრგან ვერ ნახავთ. მაგათთვის აჯობებს მალე ისწავლონ დანა-ჩან-გლის ხმარება!

მოკლედ, ჩინელებს პინგ-პონგის ბევრი პარტია ვეთამაშეთ. მათაც საკმაოდ კარგი მოთამაშეები ჰყავდათ, მაგრამ ჩვენ მაინც ვუძალიანდებოდით. სალამოობით სავახშმოდ დავყავდით, ან კონცერტებს ვესწრებოდით. ერთ სალამოს, რესტორან „პეკინურ იხვში“ ვახშმობის წინ, სასტუმროს ვესტიბიულში მისტერ უილკინსი შემხვდა და მითხრა:

– გამპ, ნომერში დაბრუნდი და ეგ პერანგი გამოიცვალე. ისეთი დასვრილია, ეგონებათ საჭმლით დაგბომბეს.

მერე ინგლისურის მცოდნე ჩინელ რეგისტრატორთან მიმიყვანა და ჩემთვის პატარა ტექსტი ათარგმნინა ტაქსის მძღოლისთვის მისაცემად. ფურცელზე ჩინურად დამინერეს: „თუ შეიძლება, რესტორან „პეკინურ იხვში“ მიმიყვანეთ“.

– ჩვენ ვერ დაგელოდებით, – მითხრა უილკინსმა, – შენ ეგ ფურცელი მძღოლს მიეცი და იქ მოგიყვანს.

მე ნომერში დავბრუნდი და პერანგი გამოვიცვალე.

მერე სასტუმროს წინ მდგარ ტაქსიში ჩავჯექი და დავიძარით. მძღოლისთვის მისაცემი ფურცელი ვერსად ვიპოვე. უცებ გამახსენდა, რო ფურცელი ჭუჭყიანი პერანგის ჯიბეში ჩამრჩა, მაგრამ უკვე ქალაქის ცენტრში ვიყავით. მძღოლი გაუგებრად რაღაცას მერატრატებოდა, ალბათ, მეკითხებოდა, საით წაგიყვანოთო.

– „პეკინურ იხვში“, „პეკინურ იხვში“, – ვუმეორებდი, მაგრამ მძღოლი მხოლოდ ხელებს ასავსავებდა და ქალაქში წინ და უკან დამატარებდა.

ასე გრძელდებოდა დაახლოებით ერთ საათს და უნდა

გითხრათ, პეკინის ბევრი ღირსშესანიშნაობა ვიხილე. ბოლოს მძლოლს მხარზე ხელი დავუტყაპუნე, პეკინური იხვი-მეთქი, ვუთხარი და მკლავები იხვის ფრთებივით დავაქნიე. მძლოლმა ღიმილით დამიქნია თავი, მივხვდიო. დროდადრო უკან გამომხედავდა ხოლმე და მეც მკლავებს ვუქნევდი. დაახლოებით ერთ საათში მანქანა გააჩერა. ფანჯრიდან გავიხედე და რას ვხედავ: აეროპორტში არ მივუყვანივარ?!

უკვე საღამო იყო, შუადღით არ მისადილია და ამასობაში მომშივდა კიდევც. ერთ-ერთ რესტორანთან ჩავლისას მძლოლს მანქანა გავაჩერებინე, ჩინური ფული მივეცი, იმან ხურდა დამიბრუნა და მანქანიდან გადავედი. ტაქსი წავიდა.

რესტორანში შევედი და ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მთვარეზე ამოვყავი თავი. ერთი ჩინელი ქალი მოვიდა, უცნაურად შემომხედა და მენიუ მომცა. მენიუში ყველაფერი ჩინურად ეწერა და მეც ალაღბედზე დავადე ოთხ თუ ხუთ კერძს, რომელიმე ერთი მაინც ივარგებს საჭმელად-მეთქი. სხვათა შორის, ყველა კერძი მომეწონა. კარგად დავნაყრდი, ფული გადავიხადე და ქუჩაში გავედი. სასტუმრომდე გზის გაგნება ვცაადე, მაგრამ თითქმის ერთსაათიანი უაზროდ ხეტიალის შემდეგ დამიჭირეს.

აი ასე, სრულიად მოულოდნელად საკანში აღმოვჩნდი. იქ ერთმა ზორბა ჩინელმა, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობდა, ათასი შეკითხვა დამისვა; თან სიგარეტი შემომთავაზა, როგორც ძველ ფილმებშია ხოლმე. მომდევნო შუადღემდე საკანში ვიჯექი, სანამ მისტერ უილკინსი არ მოვიდა. ჩინელებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გამათავისუფლეს.

მისტერ უილკინსი პირიდან ცოფებს ყრიდა.

– გამპ, თუ ხვდები, რომ ჯაშუში ჰგონიხართ? – მკითხა მან, – ამან შეიძლება მთელი ძალისხმევა წყალში ჩაგვიყაროს? გიჟი ხარ თუ რა გჭირს?

მინდოდა მეპასუხა, რო მხოლოდ იდიოტი ვარ, მაგრამ გადავიფიქრე. მისტერ უილკინსმა ქუჩაში მსხვილი ბუშტი იყიდა და პერანგის ღილზე მიმამაგრა, ყოველთვის უნდა ვხედავდე, სად ხარო. ამას გარდა, ლაცკანზე ბარათი მიმამაგრა, რომელზეც ეწერა – ვინ ვიყავი და სად ვცხოვრობდი. თავი ნამდვილ სულელად ვიგრძენი.

ერთი დღეს ავტობუსში ჩაგვსხეს და ქალაქგარეთ, დიდ მდინარესთან მიგვიყვანეს. იქ მრავალი ჩინელი შეკრებილიყო. ყველას სერიოზული გამომეტყველება ქონდა. თურმე ყველაზე მთავარი ჩინელი, თავმჯდომარე მათაც იქ იყო და სწორედ მასთან შესახვედრად მიგვიყვანეს.

თავმჯდომარე მათ ბუდას გარეგნობის მოხუცი იყო, პიჟამა გაეხადა და საცურაო კოსტიუმის ამარა, ოთხმოცი წლის ასაკში, მდინარის გადასაცურად ემზადებოდა. ამას ჩვენც უნდა დავსწრებოდით.

ერთი სიტყვით, თავმჯდომარემ წყალში შეტოპა და გაცურა, ფოტოგრაფებმა ფოტოები გადაიღეს, სხვა ჩინელები აღფრთოვანებული და ნასიამოვნები ჩანდნენ. შუა მდინარეში თავმჯდომარე გაჩერდა და ხელი დაგვიქნია. ჩვენც ხელი დავუქნიეთ.

ერთი წუთის შემდეგ კიდე დაგვიქნია ხელი. ჩვენც დავუქნიეთ.

ცოტა ხანში თავმჯდომარე მათმ მესამედაც დაგვიქნია ხელი და როგორც იქნა გავიაზრეთ, რო ხელს კი არ გვიქნევდა, იხრჩობოდა.

ენით აუწერელი აურზაური ატყდა. მაშინლა მივხვდი, რას ნიშნავს „ჩინური ხანძარსანინააღმდეგო წვრთ-

ნები“.¹ ხალხი მდინარეში ჩახტა. მეორე ნაპირიდან ნავებით გამოეშურნენ. ნაპირზე დარჩენილებმა ხელე-ბი თავში წაიშინეს, წინ და უკან დარბოდნენ და გაჰყვი-როდნენ.

ჯანდაბას-მეთქი, გავიფიქრე, ფეხსაცმელი გავიხა-დე და მდინარეში შევცურე. ყველა ჩინელს გავუსწარი და პირველმა მივცურე იქამდე, სადაც თავმჯდომარე მათ ჩაიძირა. ირგვლივ ნავები დაცურავდნენ და ხალხი წყალში იყურებოდა, თითქოს სიღრმეში რამეს დაინახა-ვდნენ – წყალი ისეთივე ფერის იყო, როგორც მშობლი-ური მობილის კანალიზაციაში.

სამჯერ თუ ოთხჯერ ჩავყვინთე და ბოლო-ბოლო ხელი ჩავავლე იმ ბებერ ნაბიჭვარს. ზედაპირზე ამო-ვათრიე, მერე ვილაც ჩინელები დამეხმარნენ, თავმჯ-დომარე მათ ნავზე აიყვანეს და წავიდნენ. მე შუა მდინა-რეში დამტოვეს. ცურვითვე დავბრუნდი ნაპირზე.

წყლიდან ამოსულს ხალხი შემომეხვია, ზურგზე ხე-ლებს მიტყაპუნებდნენ, მერე ჰაერში ამაგდეს და მხრე-ბზე შესმული მიმიყვანეს ავტობუსთან.

თუმცა გზაში მისტერ უილკინსი გვერდით მომიჯდა და თავის ქნევით მითხრა:

– დიდი რეგვენი ყოფილხარ, გამპ! როგორ ვერ ხვდე-ბი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მაგ ბე-ბერი ნაბიჭვრის დახრჩობა აჯობებდა! ასეთი შანსი ხე-ლმეორედ აღარ მოგვეცემა!

კიდევ ერთხელ გავაფუჭე საქმე. არადა, რავი, მე მხო-ლოდ იმას ვცდილობდი, ყველაფერი სწორად გამეკეთე-ბინა.

¹ Chinese Fire Drill – შეურაცხყოფელი და რასისტული ტერმინი, რომელსაც ამერიკელები იყენებდნენ კორეისა და ვიეტნამის ომებში. ტერმინი ქაოსურ და უმართავ სიტუაციებს აღნიშნავს.

პინგ-პონგის მატჩები გრძელდებოდა და თანდათან სათვალავი ამერია, ვინ იგებდა და ვინ აგებდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც თავმჯდომარე მათ მდინარეში დახრჩობას გადავარჩინე, ჩინელების ეროვნულ გმირად ვიქეცი.

– გამპ, – მითხრა მისტერ უილკინსმა, – საოცარია, მაგრამ შენმა სისულელემ გარკვეული შედეგი გამოიღო. ახლახან მაუწყეს, რომ ჩინეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა მზადაა, აშშ-სთან ურთიერთობის აღდგენის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყოს. გარდა ამისა, ჩინეთის მთავრობას სურს შენს პატივსაცემად პეკინის ცენტრში ალლუმი მოაწყოს. იმედია, არ შეგვარცხვენ.

ალლუმი ორი დღის შემდეგ გაიმართა. მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა იყო. ქუჩებში მილიონობით ჩინელი გამოეფინა. მე რო ჩავიარე, ყველამ თავი დამიკრა და ხელი დამიქნია. ალლუმი ტიანანმენის მოედანზე უნდა დასრულებულიყო, ეს ჩინელების კაპიტოლიუმია და იქ პირადად თავმჯდომარე მათს უნდა გადაეხადა ჩემთვის მადლობა.

ამჯერად თავმჯდომარე მშრალი და გახარებული დამხვდა. დიდი სუფრა გაეშალათ. მე თავმჯდომარის გვერდით დამსვეს. შუა სადილობისას ის ჩემკენ გადმოიხარა და მკითხა:

– გავიგე, ვიეტნამში გიომიათ. საინტერესოა, ომზე რა აზრის ხართ?

თარჯიმანმა მისი სიტყვები გადმომითარგმნა. ორიოდვე წუთს ვფიქრობდი, რა მეპასუხა, მერე ჩემთვის გავიფიქრე, ჯანდაბას, თუ ჩემი პასუხი არ აინტერესებს, ხო არც მკითხავდა-მეთქი და ვუთხარი:

– ომი ნაგავია!

თარჯიმანმა ჩემი პასუხი უთარგმნა. თავმჯდომარე

მამ გაკვირვებით შემომხედა, მერე გაეცინა, ხელი ჩამომართვა და თავის კანტური დაიწყო თოჯინასავით, კისრის მაგივრად ზამბარა რო აქ. ბევრი ფოტო გადაგვიღეს და ამერიკულ გაზეთებში დაბეჭდეს. თუმცა, დღემდე არავისთვის გამიმხელია, ასეთი სასაცილო რა ვუთხარი თავმჯდომარე მამს.

შინ გამგზავრებამდე სასტუმროს წინ უამრავი ხალხი დაგვხვდა და ტაშისკვრითა და შეძახილებით გამოგვაცვილა. ერთ ჩინელ დედას მხრებზე ბავშვი შემოესვა – აი, ის კი ნამდვილი მონღოლი იდიოტი იყო, ენაგადმოგდებულს, ელამი და დორბლიანი. მისტერ უილკინსმა კი გამაფრთხილა ჩემი ნებართვის გარეშე ჩინელს არასდროს მიუახლოვდეთ, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. დედასთან და მის შვილთან მივედი, ჯიბიდან პინგ-პონგის ბურთი ამოვიღე, ზედ ავტოგრაფის ნაცვლად X დავსვი და ბიჭუნას მივეცი.

ბიჭუნამ ბურთი მაშინვე პირში ჩაიდო, მერე ჩემს ხელსაც წაეპოტინა და გაეღიმა. დედამისს თვალები აუწყლიანდა და რალაც წაიტიტინა. თარჯიმანმა მითარგმნა, თურმე ბიჭუნას ცხოვრებაში პირველად გაუცინია. დრო არ მქონდა, თორე ბევრ რამეს ვეტყოდი იმ ქალს.

დედას და შვილს ზურგი რო ვაქციე, ბიჭუნამ პირიდან ბურთი გამოიღო და კეფაში მესროლა. რასაკვირველია, ეს შემთხვევა ფოტოგრაფმა დააფიქსირა და მომდევნო დღეს გაზეთებში ფოტო გამოქვეყნდა სათაურით: „პატარა ჩინელი ამერიკელი კაპიტალისტების მიმართ სიძულვილს გამოხატავს“.

ასე იყო თუ ისე, მისტერ უილკინსმა ავტობუსისკენ წამათრია და მალე თვითმფრინავში აღმოვჩნდი. სანამ ვაშინგტონში დავეშვებოდით, მისტერ უილკინსმა უკანასკნელი რჩევა მომცა:

– აბა, ფორესტ, ხომ იცი, ჩინური ჩვეულების თანახმად, თუ ადამიანს ერთხელ სიკვდილისგან იხსნი, სამუდამოდ პასუხისმგებელი ხარ მის ბედზე.

სახეზე საძაგელი ღიმილი გადაეფინა და გვერდით მომიჯდა. ამასობაში პილოტმა გაგვაფრთხილა, ნუ ადგებით და უსაფრთხოების ქამარი გაიკეთეთო. ერთი გავხედე და ცხოვრებაში ყველაზე ხმაურიანად გავაკუე. ელექტროხერხის ხმას ჰგავდა.

მისტერ უილკინსმა თვალები დაჭყიტა.

– ფუუ! – წამოიძახა მან, ჰაერის გასანმენდად ხელი გააქნია და უსაფრთხოების ქამრის შეხსნა სცადა.

ჩვენთან ლამაზმა სტიუარდესამ მოირბინა, რა ხმაურიანო. სულშეხუთული მისტერ უილკინსი ახველებდა. უცებ, მე თვითონ დავიწყე ხელის ქნევა; მერე ცალი ხელი ცხვირზე მოვიჭირე, მეორე მისტერ უილკინსისკენ გავიშვირე და ავყვირდი:

– ვინმემ ფანჯარა გააღეთ!

მისტერ უილკინსი წამოწითლდა, გაპროტესტება დაიწყო და ჩემკენ გამოიშვირა ხელი. სტიუარდესამ ერთი გაიცინა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მისტერ უილკინსმა როგორც იქნა სული მოითქვა და პერანგის საყელო გაისწორა.

– გამპ, ეს უკვე მეტისმეტი თავხედობაა! – კბილებში გამოსცრა მან.

მე მხოლოდ გავიღიმე. მისკენ არც გამიხედავს.

ფორტ-დიქსში დამაბრუნეს, მაგრამ ცეცხლფარეშობის გაგრძელების ნაცვლად, სამხედრო სამსახურიდან ნაადრევად გათავისუფლებთო, მაცნობეს. ორიოდ დღეში გამიშვეს. შინ გასამგზავრებელი ბილეთისთვის ფული მომცეს. ცოტა ფული მეც მქონდა. ისლა უნდა გადამეწყვიტა, შინ წავიდოდი თუ სადმე სხვაგან.

რასაკვირველია, ვხვდებოდი, რო უსახლკაროთა თავშესაფარში მცხოვრები დედა უნდა მომენახულებინა, მერე კრევეტების ბიზნესი ან რამე სხვა წამომეწყოდა როგორმე ჩემი ცხოვრებისთვის რამე მომეხერხებინა; თუმცა გულის სიღრმეში ყოველთვის ჰარვარდში მცხოვრებ ჯენი კერენზე ვფიქრობდი. რკინიგზის სადგურში ავტობუსით წავედი და გზაში იმაზე ვიმტკრევედი თავს, რა იქნებოდა უფრო სწორი. როცა ბილეთის ყიდვის დრო დადგა, რატომღაც ბოსტონის ბილეთი მოვითხოვე. ხანდახან არასწორი ნაბიჯის გადადგმაც საჭიროა!

ჯენის მისამართი არ მქონდა, მხოლოდ მისი საფოსტო ინდექსი და იმ ადგილის სახელი ვიცოდი, სადაც, როგორც თითონ მწერდა, თავის მუსიკალურ ჯგუფთან ერთად უკრავდა. იმ ადგილს Hodaddy Club ერქვა. რკინიგზის სადგურიდან იქამდე ფეხით მისვლას ვაპირებდი, მაგრამ რამდენჯერმე გზა ამებნა და ტაქსი გავაჩერე. შუადღისას კლუბი თითქმის ცარიელი იყო; დახლთან მხოლოდ ორი მთვრალი ტიპი იჯდა, იატაკზე კი წინა ღამით დაქცეული ლუდის გუბე იდგა. ბარმენმა მითხრა, ჯენი ამ საღამოს ცხრა საათზე დაუკრავსო. ვკითხე, შეილება აქ დავიცადო-მეთქი და კიო, მიპასუხა. მეც ჩამოვჯექი და ხუთი თუ ექვსი საათი ვიცდიდი. ცოტა დავისვენე კიდევ.

იქაურობა თანდათან ხალხით გაივსო. ძირითადად, სტუდენტები იყვნენ, ოღონდ კლოუნებივით გამოიყურებოდნენ. ყველას ჭუჭყიანი ლურჯი ჯინსის შარვალი ეცვა, ყელსახვევი და მუქი სათვალე ეკეთა. ბიჭებს წვერი მოეშვათ, გოგოებს კი თმა ჩიტის ბუდეებს მიუგავდათ. სამმა თუ ოთხმა ბიჭმა სცენაზე უშველებელი ელექტროინსტრუმენტები ააწყვეს და ჩართეს. მსგავსი რამ უნივერსიტეტის სტუდენტების შენობის სცენაზე ნაღდად არ მინახავს. არც ჯენი კერენი ჩანდა სადმე.

ინსტრუმენტების აწყობას რო მორჩნენ, დაკვრა დაიწყო და პირდაპირ გეტყვით: ძალიან ხმაურიანად უკრავდნენ! ღამის დავყრუვდი, ასე მეგონა, თვითმფრინავი ემზადებოდა ასაფრენად. მერე ოთახში ათასფერი

შუქი აციმციმდა. მსმენელებს ძალიან მოეწონათ მათი გამოსვლა და სიმღერის დასასრულს მხიარულად აყიყინდნენ. ამასობაში პროექტორმა სცენის კუთხე გაანათა და ჯენი კერენიც გამოჩნდა!

ისე შეცვლილიყო, ძლივს ვიცანი. ჯერ ერთი, თმა დაგრძელებოდა და საჯდომამდე წვდებოდა, თან ჩაბნელებულ ოთახში მზის სათვალე ეკეთა. ლურჯი ჯინსის შარვალი და კილიტებით ისე უხვად გაწყობილი პერანგი ეცვა, სატელეფონო კომპუტატორს გავდა. ჯგუფი ისევ გამოცოცხლდა და ჯენი ამღერდა. მიკროფონს დაავლო ხელი და სცენაზე აქეთ-იქით სირბილი და ხტუნვა დაიწყო, ხელებს იქნევდა და გაშლილ თმას აფრიალებდა. მინდოდა სიტყვები მომესმინა, მაგრამ ჯგუფი ისე ხმამაღლა უკრავდა, ისე ძლიერ უბრახუნებდნენ დოლებს, ისე ძლიერ აწვებოდნენ კლავიშებს, ისე ძლიერ აჟღერებდნენ ელექტროგიტარებს, მეგონა, ჭერი თავზე დაგვემხობოდა. ისიც კი გავიფიქრე, ეს რა ჯანდაბაა-მეთქი!

როგორც იქნა, ცოტა ხნით შეისვენეს. წამოვდექი და კულისებისკენ მიმავალი კარისკენ წავედი, მაგრამ კართან ერთი ბიჭი იდგა და შიგნით არ შემიშვა. ჩემს ადგილს დავუბრუნდი. უცებ შევამჩნიე, რო ხალხი ჩემს სამხედრო უნიფორმას უცნაურად ათვალიერებდა.

- რა მაგარი კოსტიუმი გაცვია! - მითხრა ერთმა.
- უძაანმაგრესია! - მითხრა მეორემ.
- ნამდვილია? - მკითხა მესამემ.

თავი კვლავ ნაღდ იდიოტად ვიგრძენი და გარეთ გავედი, გავივლი, იქნებ რამე მოვიფიქრო-მეთქი. თითქმის მთელ საათს ვსეირნობდი და უკან რო დავბრუნდი, კლუბის შესასვლელთან ხალხის დიდი რიგი დამხვდა. კართან მდგარ ტიპთან მივედი და ვუთხარი, ჩემი ნივთე-

ბი შიგნით არის-მეთქი, მაგრამ მან რიგის ბოლოში დაბრუნდით, მითხრა. მგონი, ერთ საათს მაინც ვიდრე რიგში და შიგნიდან გამომავალ მუსიკას ვუსმენდი. სხვათა შორის, შორიდან უკეთესი მოსასმენი აღმოჩნდა.

ბოლოს რიგში დგომა მომწყინდა, შენობას ვინრო გასასვლელით შემოვუარე და კლუბის უკან, პატარა კიბის საფეხურებზე ჩამოვჯექი. ვიჯექი და ვუყურებდი ვირთხებს, რომლებიც სანაგვე ყუთში ერთმანეთს დასდევდნენ. დროის გასაყვანად ჯიბიდან ჰარმონიკა ამოვიღე და დავუკარი. მელოდია კლუბიდან გამომავალ ჯენის ჯგუფის სიმღერას ავაყოლე. თუმცა, ამისთვის მხოლოდ ნახვრეტების ნახევარს ვიყენებდი. მალე დო-მაჟორში იმპროვიზებაც შევძელი და, ჩემდა გასაოცრად, გაირკვა, რო ჯენის და მისი ჯგუფის სიმღერები მოსასმენად თუ არა, დასაკრავად მაინც არცთუ ურიგო ყოფილა.

უეცრად ჩემს ზურგს უკან კარი ჯახუნით გაიღო და ჯენი გამოჩნდა. ეტყობა, მუსიკალური ჯგუფი ისევ ისვენებდა, მაგრამ მე დაკვრას შევყევი და არც გამიგია.

– ვინ არის მანდ? – იკითხა ჯენიმ.

– მე ვარ, – ვუპასუხე, მაგრამ ისე ბნელოდა, ვერ დამინახა და გარეთ თავი გამოყო.

– ჰარმონიკას ვინ უკრავს?

წამოვდექი. ჩემი ტანსაცმლის გამო ცოტათი კი მრცხვენოდა, მაგრამ მაინც ვუპასუხე:

– მე ვარ, ფორესტი.

– ვინ?

– ფორესტი.

– ფორესტი? ფორესტ გამპ! – ჯენი გარეთ გამოიჭრა და მკლავებში ჩამივარდა.

სანამ მუსიკალური ჯგუფი ისვენებდა, მე და ჯენიმ კულისებში ერთმანეთის ამბები გამოვიკითხეთ. რო-

გორც აღმოჩნდა, სწავლა თითონ კი არ მიუტოვებია, ერთხელ ღამით ბიჭთან ერთად წაუსწრიათ ოთახში და უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ. ბანჯოისტი ჯარისთვის თავის ასარიდებლად კანადაში გაქცეულა და პატარა მუსიკალური ჯგუფიც დაშლილა. ჯენი ცოტა ხნით კალიფორნიაში წასულა. იქ თმაში ყვავილჩაწილი დადიოდა, მაგრამ იქაურები არ მოსწონებია, სულ წამლის კაიფში და დაბოლილები იყვნენო და ერთ ნაცნობ ბიჭს ბოსტონში ჩამოჰყოლია. აქ მასთან ერთად ომის წინააღმდეგ მოწყობილ მშვიდობიან მსვლელობებში მონაწილეობდა. ამასობაში გაურკვევია, რო ის ბიჭი „ცისფერია“ და დაშორებია. სხვა უფრო სერიოზული ბიჭი გაუცნია, რომელიც ხელნაკეთი ბომბებით შენობებს აფეთქებდა და სხვადასხვა დივერსიებს აწყობდა. მალე იმ ბიჭთანაც არეგია ურთიერთობა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ლექტორს შეხვედრია. სამწუხაროდ, ლექტორს ცოლი ჰყოლია. ლექტორის შემდეგ კარგა ხანს ერთ ბიჭს ხვდებოდა, მაგრამ ერთხელაც მაღაზიაში ქურდობისთვის ორივე დაუჭერიათ. ბოლო-ბოლო გადავწყვიტე, ცოტა აზრზე მოვსულიყავიო, დაამატა ჯენიმ.

Cracked Eggs-ის წევრი გამხდარა. სრულიად განსხვავებულ მუსიკას უკრავდნენ და ბოსტონში სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა. მალე ნიუ-იორკში აპირებდნენ ჩასვლას სიმღერის ჩასაწერად.

ახლა ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტს ვხვდები და შეგილია ამაღამ სახლში გვეწვიოო, დამპატიყა ჯენიმ.

მეწყინა, რო ახალი მეგობარი ბიჭი გაუჩენია, მაგრამ ღამის გასათევი არ მექონდა და მიპატიყებას დავთანხმდი.

მის მეგობარ ბიჭს რუდოლფი ერქვა. ტანდაბალი

ტიპი იყო, ორმოცდაათი კილო ძლივს იქნებოდა, სამაგიეროდ თავი თმით კი არა, ხშირი ტყით ქონდა დაფარული. ბინაში რო შევედით, მძივებახორხლილი იატაკზე იჯდა და გურუსავით მედიტირებდა.

– რუდოლფ, ეს ფორესტია, – უთხრა ჯენიმ, – ჩემი ბავშვობის მეგობარია და ცოტა ხანს ჩვენთან იცხოვრებს.

რუდოლფს არაფერი უთქვამს, მაგრამ ხელი რომის პაპივით დაგვიქნია, თითქოს დაგვლოცა.

მხოლოდ ერთი საწოლი ქონდათ, მაგრამ ჯენიმ იატაკზე დამიგო ლეიბი და ზედ მეძინა. ვერ ვიტყვი, რო უხერხულად მოვეწყვე. ჯარში უარეს პირობებშიც მძინებია.

მეორე დღით რო ავდექი, რუდოლფი ისევ იატაკზე იჯდა და მედიტირებდა. ჯენიმ საუზმე გამიმზადა და ნასაუზმევს სასეირნოდ წავედით. რუდოლფი იატაკზე მჯდარი დავტოვეთ. ჯენიმ კემბრიჯში მცირე ექსკურსია მომიწყო. უპირველეს ყოვლისა, ახალი სამოსი უნდა იყიდო, რადგან აქაურებს შენი ჩაცმულობა გამომწვევად მოეჩვენებათ, – მითხრა. მეორადების მაღაზიაში მოკლე ქურთუკი და შარვალი ვიყიდე, იქვე გამოვიცვალე და სამხედრო უნიფორმა ქალაქის პაკეტში ჩავდე.

ჰარვარდის უნივერსიტეტის თვალთვლებისას შემთხვევით იმ ცოლიან პროფესორს შევხვდით, ჯენი რო ხვდებოდა ადრე. ჯენი მასთან კვლავაც მეგობრობდა, მაგრამ პირად საუბარში გამომიტყდა, დოქტორი ქუეკენბუში ნალდი დეგენერატიაო.

ეს ჩვენი პროფესორი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო, ახალი სემესტრიდან ლექციას წავიკითხავ, რომელიც თითონ მოვიფიქრეო. მის საგანს „იდოტის როლი მსოფლიო ლიტერატურაში“ ერქვა.

საკმაოდ საინტერესოდ ყლერს-მეთქი, ვთქვი.

– მაშინ დაესწარი ჩემს ლექციებს. ვინ იცის, იქნებ მოგეწონოს? – შემომთავაზა დოქტორმა ქუეკენბუშმა.

ჯენიმ ორივეს უცნაურად შემოგვხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბინაში დავბრუნდით. რუდოლფი ისევ იატაკზე იჯდა. სამზარეულოში ჯენის ვკითხე, ზუსტად იცი, რო რუდოლფს ლაპარაკი შეუძლია-მეთქი? და ჯენიმ მიპასუხა, კი, ადრე თუ გვიან ალაპარაკდებო.

სალამოს ჯენიმ მუსიკალური ჯგუფის სხვა წევრებს შემახვედრა, ჩემზე უთხრა, ჰარმონიკას ისე კარგად უკრავს, ამის მსგავს ამქვეყნად მეორეს ვერ იპოვითო. სთხოვა, იქნებ ამაღამ ჩვენთან ერთად დავაკრევინოთო.

ერთ-ერთმა ბიჭმა მკითხა, ყველაზე მეტად რისი დაკვრა მოგწონსო.

– „დიქსის“¹, – ვუპასუხე.

ყურს არ ვუჯერებო, გაიკვირვა ბიჭმა, მაგრამ მაშინვე ჯენი მომეშველა:

– რა მნიშვნელობა აქვს, რას უკრავს. ცოტა ხანში ჩვენს მუსიკაზე გადმოეწყო.

მოკლედ, იმავე სალამოს ჯგუფთან ერთად დავუკარი და ყველა შეთანხმდა, რო სასარგებლო ვიყავი. პირადად მე, ის მსიამოვნებდა, რო ჯენისთან ერთად ვიდექი სცენაზე და მის სიმღერებს ვისმენდი.

ორშაბათს დოქტორ ქუეკენბუშის ლექციას – „იდიოტების როლი მსოფლიო ლიტერატურაში“ დავესწარი. თვით ლექციის სათაურმაც კი თავი მნიშვნელოვან პიროვნებად მაგრძნობინა.

¹ აშშ-ის სამხრეთ შტატებში პოპულარული XIX ს-ის სიმღერა. ამერიკული ფოლკლორის თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მის ავტორობას რამდენიმე ადამიანს მიაწერენ. „კონფედერატებმა“ „დიქსი“ საკუთარ ჰიმნად მიიღეს, ამიტომ ეს სიტყვა სამხრეთ შტატების იდეოლოგიასთან გაიგივდა და შეურაცხმყოფელად იქცა.

- დღეს ერთი სტუმარი გვყავს, რომელიც დრო-დადრო შემოგვიერთდება ხოლმე, - მიმართა დოქტორმა ქუეკენბუშმა აუდიტორიას, - გთხოვთ, მიესალმით მისტერ ფორესტ გამპს.

ყველა ჩემკენ შემობრუნდა. მე მათ თავი დავუკარი და ლექციაც დაიწყო.

- იდიოტი, - დაიწყო დოქტორმა ქუეკენბუშმა, - მრავალი წელია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლიტერატურაში. ალბათ, ყველას გსმენიათ „სოფლის ბრიყვზე“, გონებაშეზღუდულ ადამიანზე, რომელიც ძალიან ხშირად დაცინვის ობიექტი ხდება. შუასაუკუნეებში ტრადიციად იქცა წარჩინებულთა კარზე მასხარის ყოლა დიდგვაროვანთა გასართობად. ხშირ შემთხვევაში ეს მასხარა მართლაც ბრიყვი და შტერი იყო, ზოგჯერ კი - კლოუნი და ოხუნჯი...

დოქტორი ქუეკენბუშის სმენისას მივხვდი, რო იდიოტები უსარგებლო ხალხი სულაც არ ყოფილა და როგორც ლეიტენანტი დენი იტყოდა, მათაც ჰქონიათ თავიანთი დანიშნულება: ხალხის გაცინება. სხვა თუ არაფერი, ესეც საქმეა.

- ბევრ ავტორს მსგავსი პერსონაჟი ორაზროვნებისთვის სჭირდება; საკმაოდ გავრცელებული ლიტერატურული ხერხია. ავტორი სულელ პერსონაჟს თავს ასულელებინებს, მაგრამ იმავდროულად მკითხველს სისულელის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ აუწყებს. ხანდახან ისეთი გამოჩენილი მწერალი, როგორც შექსპირია, ასეთ პერსონაჟს ნაწარმოების მთავარი გმირის დასაცინად იყენებდა და ამით მკითხველის განანათლებდა.

აქ ცოტა დავიბენი. ბუნებრივიცაა. საბედნიეროდ, პროფესორმა ქუეკენბუშმა უფრო მეტი თვალსაჩინო-

ბისტვის პიესა „მეფე ლირიდან“ ერთი სცენის დადგმა შემოგვთავაზა, რომელშიც მასხარა, გადაცმული შეშლილი და თავად გიჟი მეფე მონაწილეობენ. სტუდენტ ელმერ ჰარინგტონ III-ს თომა ბედლამელის როლი მისცა, სტუდენტ გოგონა ლუსილს – ხუმარასი, ხოლო კიდევ ერთ ბიჭს სახელად ჰორასს – მეფე ლირის.

მერე მე მკითხა:

– ფორესტ, გლოსტერის გრაფის როლს ხომ არ ითამაშებ?

მისტერ ქუეკენბუშმა გვითხრა, სასცენო რეკვიზიტებს თეატრალურ ფაკულტეტზე მე ვიშოვი, ოღონდ თქვენ-თქვენი კოსტიუმები თითონ დაიმზადეთ, ასე უფრო „რეალისტური“ იქნებაო. რა მინდოდა, რას დავეთანხმე მონაწილეობაზე, თავადაც არ ვიცი.

ამასობაში ჩვენს მუსიკალურ ჯგუფს საქმეები უკეთესობისკენ მისდიოდა. ნიუ-იორკიდან ერთი ტიპი ჩამოვიდა, მოგვისმინა და გვითხრა, სტუდიაში უნდა ჩაგწეროთ და თქვენი მუსიკის ფირფიტა გამოვუშვაო. ყველას გაგვიხარდა, მათ შორის, ჯენი კერენსაც და, რასაკვირველია, მეც. ნიუ-იორკელ სტუმარს მისტერ ფიბლსტაინი ერქვა. გვითხრა, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ბეისბოლის პირდაპირი რეპორტაჟების შემდეგ თქვენი სიმღერები მთელ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული გახდებაო. მისტერ ფიბლსტაინმა მხოლოდ ერთ ქალაქზე მოგვანერინა ხელი და დაგვაიმედა, მალე მდიდრები გახდებითო.

ჯორჯმა სინთეზატორის დაკვრა მასწავლა, დრამერმა მოუზმა – დასარტყამ ინსტრუმენტებზე. ძალიან მომწონდა ჰარმონიკასთან ერთად სხვადასხვა ინსტრუმენტის დაკვრა. ყოველდღე ვმეცადინეობდი. საღამოობით კლუბში გამოვდიოდით.

ერთ დღეს ლექციიდან დაბრუნებულს ჯენი დივანზე ჩამომჯდარი დამხვდა. ვკითხე, რუდოლფი სადაა-მეთქი და მიპასუხა, დავშორდითო. ვკითხე, რატო-მეთქი და იმიტო, რო ყველა კაცის მსგავსად ეგეც ნაბიჭვარიაო, – მიპასუხა.

– არ გინდა, სადმე გავისეირნოთ, ვივახშმოთ და ვილაპარაკოთ? – შევთავაზე.

რასაკვირველია, ძირითადად სულ ჯენი ლაპარაკობდა და გაუთავებლად კაცებზე წუნუნებდა. კაცებს ჯერ სულ ზარმაცები, უპასუხისმგებლოები, ეგოისტები და სულმდაბალი მატყუარები გვინოდა, მერე ატირდა.

– რატო ტირი, ჯენი? რა დიდი ამბავია, თუ დაშორდი?! ეგ რუდოლფი სულ არ შეგეფერებოდა, დღე და ღამე იატაკზე იჯდა, – ვუთხარი.

– ჰო, ფორესტ, ალბათ, მართალი ხარ. აჯობებს, შინ წავიდეთ.

და ასეც მოვიქეცი.

შინ ჯენიმ ტანსაცმელი გაიხადა. საცვლების ამარა-ლა დარჩა. მე დივანზე ვიჯექი და ვცდილობდი, თვალი მომერიდებინა. მაგრამ ჯენი წინ დამიდგა და მითხრა:

– ფორესტ, მინდა ახლავე გამჟიმო.

კინალამ დივნიდან ჩამოვვარდი! პირდაღებული მივაშტერდი ჯენის. ჯენი მუხლებზე დადგა და ქამარი შემიხსნა. მომდევნო წამს უპერანგოდ დავრჩი. ჯენი ჩამეხუტა და კოცნა დამიწყო. თავიდან ცოტათი მეუხერხულა ჯენისთან ამის კეთება. მართალია, ბევრჯერ მოოცნებია ამაზე, მაგრამ არ ველოდი, თუ ეს ოდესმე მოხდებოდა. მერე ყველაფერი გადამავიწყდა. თითქმის სულ შიშვლები დივანზე ვკოტრიალებდით. ჯენიმ ტრუსი ჩამინია და თვალები დაჭყიტა.

– ოჰო! ეს რამხელა გქონია! – თქვა და მის ფრენჩივით

ხელი მტაცა. ოღონდ თვალეზი დახუჭეო, არ უთხოვია და არც მე დამიხუჭავს.

მოკლედ, იმ საღამოს ისეთი გიჟური რამეები ვაკეთეთ, ყველაზე თამამ ოცნებაშიც ვერ ვინატრებდი. ჯენიმ წარმოუდგენელი პოზები მასწავლა: ვიჟიშავით გვერდულად, ჯვარედინად, თავდაყირა, გრძივად, ძალღურად, ზეზეულად, მჯდომარედ, ნაკუზულად, საზურგეზე გადანოლილებმა, წაღმა-უკუღმა... მხოლოდ ცალ-ცალკე არ გვიჟიშავია. მისაღები ოთახიდან სამზარეულოში შევგორდით, მაგიდა ავაყირავეთ, ფარდები ჩამოვგლიჯეთ და შემთხვევით ტელევიზორიც კი ჩავრთეთ. საქმეს ჭურჭლის სარეცხ ნიჟარაში მოვრჩით, ოღონდ არ მკითხოთ, როგორ. ცოტა სული რო მოვითქვით, ჯენიმ მკითხა:

– ღმერთო, ფორესტ, სად იყავი მთელი ჩემი ცხოვრება?

– სულ შენ ირგვლივ ვტრიალებდი.

ბუნებრივია, მას შემდეგ ჩემი და ჯენის ურთიერთობა შეიცვალა. ერთ საწოლში ვიძინებდით, რაც თავიდან მეუხერხულეობდა, მაგრამ მალევე მივეჩვიე. კლუბში გამოსვლისას ჯენი ხანდახან თმას ამიჩეჩდა, ან კეფაზე ხელს მომითათუნებდა ხოლმე. ასე უეცრად შეიცვალა ჩემი ცხოვრება – თითქოს ხელახლა დავიბადე, თავს მსოფლიოში ყველაზე იღბლიან კაცად ვგრძნობდი.

ღალბა დღე, როცა პროფესორ ქუეკენბუშის დადგმული მინისტრენა უნდა გაგვეთამაშებინა ჰარვარდის უნივერსიტეტში. ამ სცენაში მეფე ლირი და მისი ხუმარა ავდარს ტრიალ მინდორზე მდგარ ქოხში ემალებიან. ქოხში თომა ბედლამელი ზის, რომელიც სინამდვილეში გიჟად გადაცმული ედგარია, ნაბიჭვარი ძმისგან მოტყუებული და დამცირებული. მეფე ამ სცენაში უკვე სრულ ჭკუაზე ვერაა, ედგარიც თავს იგიჟიანებს და ხუმარაც, როგორც მოეთხოვება, სულელივით ოხუნჯობს. მე გლოსტერის გრაფის, ედგარის მამის როლს ვთამაშობდი – ამდენ შერეკილში მეტ-ნაკლებად ნორმალურ ადამიანს.

პროფესორმა ქუეკენბუშმა საბნისგან ქოხისმაგვარი რამ ააგო, ხოლო ვენტილატორის ფრთებზე სარჭებით ქალაქის ფურცლები მიამაგრა, ქარიშხლის ხმას გამოსცემსო.

და აჰა, გამოჩნდა ტანზე ტომარაჩამოცმული და თავზე თუშფალანგდამხობილი ელმერ ჰარინგტონ III მეფე ლირის როლში. ხუმარას როლის შემსრულებელ გოგონას მასხარის კოსტიუმი, ეჟენებიანი ჩაჩი და ჭვინტმოკაუჭებული ფეხსაცმელი (არაბებს რო აცვიათ, ისეთი) უშოვია სადღაც. თომა ბედლამელის როლის შემსრულებელ ბიჭს პარიკი ეკეთა, სანაგვიდან ამოქექილი ძონძები ეცვა და სახე ტალახით მოეთხუპნა. საქმეს სერიოზულად მისდგომოდნენ.

მათ შორის მე ყველაზე წესიერად მეცვა, მიუხედავად

იმისა, რო ჯენიმ კოსტიუმი ბალიშისპირისგან შემიკერა და შიგ ჩვილივით ვიყავი გახვეული, ხოლო სუფრისგან შეკერილი მანტია სუპერმენივით მქონდა წამოსხმული მხრებზე.

მოკლედ, პროფესორმა ქუეკენბუშმა ვენტილატორი ჩართო და გვანიშნა მეთორმეტე გვერდიდან დაიწყეთ, სადაც საბრალო თომა თავის სევდიან ამბავს გვიამბობსო.

– გაიკითხეთ რითიმე საწყალი თომა! ავი სული ჩასდგომია და აწვალეხს, – დაიწყო თომამ.

– რაო? მისმა ქალებმა ეს დამართეს ამ უბედურსა? ნუთუ არარა შეირჩინე? ყველა მათ მიეც? – იკითხა მეფე ლირმა.

– ვერა ხედამ, რომ ძონძები შეურჩენია? თორემ ჩვენც ხომ გადაგვაჭარბებდა და შეგვარცხვენდა, – თქვა ხუმარამ.

ასე გრძელდებოდა ეს სისულელე კიდე კარგა ხანს. მერე ხუმარამ თქვა:

– ლამისაა ამ ცივმა ლამემ ყველა ჭკუიდან გადაგვრიოს! ამაში ხუმარა მართალი გამოდგა.

ზუსტად ამ მომენტში პროფესორ ქუეკენბუშის მიერ თეატრალურ ფაკულტეტზე ნათხოვარი ჩირალდნით ხელში ქოხში უნდა შევსულიყავი. ხუმარამ დაიძახა:

– აგერ ჩვენკენ ცეცხლი მოტანტალებს!

პროფესორმა ქუეკენბუშმა ჩემს ჩირალდანს ცეცხლი წაუკიდა და ქოხისკენ დავიძარი.

– ეგ ავსული ფლიბერტი-ჯიბეტია, – თქვა თომა ბედლაშელმა.

– ეგ ვილაა? – იკითხა მეფემ.

– თქვენ ვინა ხართ? რა გქვიათ? – ვიკითხე.

– საბრალო თომა, მჭამელი ბაყაყებისა, თავკომ-

ბალებისა, ჯოჯოებისა და ხვლიკებისა... – და სხვა მრავალი სისაძაგლისა, რომელიც სათითაოდ ჩამოთვალა შეშლილმა თომამ.

მერე უცებ ვითომ მეფე ვიცანი და ვთქვი:

– ნუთუ, ხელმწიფეო, ეს დღეც დაგიდგათ, რომ ამისთანა კაცი მოსაუბრედ გაგხდომიათ?

ხოლო შეშლილმა თომამ მიპასუხა:

– ნყვდიადთ უფალი კეთილშობილია. იმას ჰქვიან მოდო და მაჰუ!

ვენტილატორის ფრთები ძლიერად ტრიალებდა. სამნუხაროდ, „ქოხის“ აგებისას პროფესორ ქუეკენბუმს ის არ გაუთვალისწინებია, რო ორი მეტრის სიმაღლის ვარ და ახლა ჩემი ჩირალდნის ალი ლამის ჭერს სწვდებოდა.

საბრალო თომას ნაცვლად იმისა, რო ეთქვა: „სცივა სანყალ თომას“, – თქვა: – დანე ჩირალდანი!

ნიგნში ჩავიხედე, ეს სად წერია-მეთქი, მაგრამ ელმერ ჰარინგტონ III-მ დამიყვირა:

– დანე ეგ ჩირალდანი, შე იდიოტო!

– ცხოვრებაში პირველად იდიოტი მე კი არა, შენ ხარ! – შევეპასუხე მე.

უეცრად ჭერს ცეცხლი წაეკიდა და შეშლილ თომას პარიკზე დაემხო. პარიკიც ააღდა.

– გამორთეთ ეს წყეული ვენტილატორი! – იღრიალა ვილაკამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ყველაფერი ცეცხლში გაეხვია.

შეშინებული შეშლილი თომა აყვირდა, მეფე ლირმა თუშფალანგი მოიხადა და თომას თავზე ჩამოაცვა, ცეცხლს ჩავაქრობო. ხალხი ხველებ-ხველებითა და ლანძღვა-გინებით აქეთ-იქით დარბოდა. ხუმარას როლის შემსრულებელი გოგო აკივლდა:

– ყველანი დავინვებით!

რატომლაც მეც მომეჩვენა, რო მართლაც დავინვე-
ბოდით.

უკან მივიხედე და რას ვხედავ, ჩემს მანტიას ცეცხ-
ლი ნაჰკიდებია! ფანჯარა გამოვალე, ხუმარას ნელზე
შემოვხვიე ხელი და მასთან ერთად ვისკუპე. კიდე კაი,
მხოლოდ მეორე სართულიდან გადმოვხტით და ქვემოთ
ბლომად ბუჩქები დაგვხვდა. სამაგიეროდ, დასვენება
იყო და ეზოში სტუდენტები ირეოდნენ. და აი, უეცრად
ცეცხლის ალში გახვეულები მათ წინაშე გავჩნდით!

აუდიტორიის ფანჯრიდან კვამლის ბოლქვები გამო-
დიოდა. შიგნიდან გამურულმა პროფესორმა ქუეკენ-
ბუშმა გამოყო თავი და მუშტი მომიღერა.

– გამპ, შე წყეულო იდიოტო! შე გამოშტერებულო!
ამას არ შეგარჩენ!

ხუმარა მიწაზე გორავდა, ღრიალებდა და იკრუნჩხე-
ბოდა, მაგრამ სხვა მხრივ, საღსალამათი იყო. ჰოდა, მეც
მოვხიე. მთელი სისწრაფით გავიქეცი ეზოდან. კვლა-
ვაც ცეცხლნაკიდებულ მანტია ჰაერში ფრიალებდა.
შინ მისვლამდე არ გავჩერებულვარ. ბინაში რო შევედი,
ჯენიმ მკითხა:

– აბა, ფორესტ, როგორი იყო? დარწმუნებული ვარ,
კარგად ითამაშე! – მერე უცებ უცნაურად შემომხედა, –
კვამლის სუნი რატო აგდის?

– გრძელი ამბავია, – ვუპასუხე მე.

მოკლედ, მას შემდეგ ლექციას – „იდიოტის როლი
მსოფლიო ისტორიაში“, აღარ დავსწრებივარ. მეყო, რაც
ვნახე. სამაგიეროდ, მე და ჯენი ყოველ საღამოს მუსი-
კალურ ჯგუფთან ერთად გამოვდიოდით, ყოველდღე
ერთმანეთს ვესიყვარულებოდით, ვსეირნობდით და მდი-
ნარის პირას პიკნიკს ვაწყობდით. თავი სამოთხეში მეგო-
ნა. ჯენიმ სასიყვარულო მუსიკა „Do It to Me Hard an Fast“

დანერა, რომელშიც ხუთნუთიანი პარტია მქონდა. შესანიშნავი გაზაფხული და ზაფხული გვქონდა. ნიუ-იორკში ჩავედით და მისტერ ფიბლსტაინისთვის მუსიკა ჩავწერეთ. რამდენიმე კვირის შემდეგ მისტერ ფიბლსტაინმა დაგვირეკა, მთელი ალბომი უნდა ჩავწეროთ. ცოტა ხანში სხვადასხვა ქალაქიდან დაიწყეს რეკვა, ჩვენთანაც დაუკარითო. მისტერ ფიბლსტაინის მოცემული ფულით დიდი ავტობუსი (შიგ სანოლები, მაგიდები და ყველანაირი ავეჯი იდგა) ვიყიდეთ და გზას დავადექით.

იმ პერიოდში კიდე ერთი რამ მოხდა, რამაც ჩემს ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. ჰარვარდის კლუბში კონცერტის შესვენებაზე დრამერმა მოუზმა განზე გამიყვანა და მითხრა:

– ფორესტ, კარგი ბიჭი ხარ და რამე, მაგრამ მინდა ერთი რამ გასინჯო. დამიჯერე, ჰარმონიკას უკეთ დაუკრავ.

ვკითხე, რა-მეთქი და მოუზმა პატარა სიგარეტი გამომიწოდა, გამომართვიო. ვუთხარი, მაღლობა, არ ვენწევი-მეთქი, მაგრამ მოუზმა ამიხსნა:

– ეს ჩვეულებრივი სიგარეტი არ არი, ფორესტ. მონიე და თვალსაწიერს გაგიფართოებს.

მოუზს ვუთხარი, სულაც არ მინდა თვალსაწიერის გაფართოება-მეთქი, მაგრამ არ მომეშვა.

– მაინც გასინჯე.

ნუთით დავფიქრდი და გადავწყვიტე, ჯანდაბას, ერთი ღერი რას მავნებს-მეთქი.

პირდაპირ გეტყვით: თვალსაწიერი მართლაც გამიფართოვდა.

ყველაფერი შენელდა და გავარდისფრდა. შესვენების შემდეგ დაკვრარო გავაგრძელეთ, ისეთი ბედნიერი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ასე მეგონა, ყველა

ნოტი ასჯერ უფრო მკაფიოდ მესმოდა. მოგვიანებით მოუზი მომიახლოვდა და მითხრა:

– ფორესტ, გგონია, რო ეს ყველაზე მაგარი იყო? აბა, ერთი ჟიმაობისას სცადე!

ასეც მოვიქეცი და მოუზი მართალი აღმოჩნდა. თვითონაც დავინყე ამ სიგარეტების ყიდვა და მალე ისე მივეჩვიე, დღედაღამ ვენეოდი. პრობლემა ის იყო, რო თანდათან კიდე უფრო მასულელებდა. დილით ავდგებოდი, მოვწევდი ამ „პლანს“ თუ რაც ქვია და, სალამომდე, სანამ კლუბში გამოსვლის დრო მოვიდოდა, დადებილებული ვინექი. ჯენი კარგა ხანს არაფერს არ მეუბნებოდა, რადგან ხანდახან თავადაც აბოლებდა, მაგრამ ერთ დღესაც მითხრა:

– ფორესტ, მგონი, ძალიან ბევრს ენევი მაგ ნაგავს!

– რავი, – მხრები ავიჩეჩე, – ძალიან ბევრი რამდენია?

– აი, რამდენსაც შენ ენევი, ეგაა ძალიან ბევრი, – მითხრა ჯენიმ.

არადა, მონევის შეწყვეტა არ მინდოდა. რატომღაც მოსაწევი ყველა სადარდებელს მავინყებდა. იმ პერიოდში ბევრი სადარდებელი არ მქონდა, მაგრამ მაინც. ღამლამობით კლუბში კონცერტის შესვენებაზე უკანა ეზოში გავდიოდი და ვარსკვლავებს შევყურებდი. ხანდახან ვარსკვლავები არ ჩანდა, მაგრამ ზემოთ მაინც ვიყურებოდი. ერთხელ ჯენიც გამოვიდა გარეთ და ნახა, რო წვიმას ვუყურებ.

– ფორესტ, მონევას თავი უნდა დაანებო, – მითხრა მან, – შენზე ვღელავ. მთელი დღე დაკვრისა და წოლის მეტს არაფერს აკეთებ. ეს ჯანმრთელობისთვის საზიანოა. აჯობებს ცოტა ხანს დაისვენო. ხვალ ბოლო კონცერტი გვაქვს პროვინსტაუნში და ზეგ სადმე წავიდეთ. მაგალითად, მთაში.

მისი სიტყვები წესიერად არც გამიგია, მაგრამ მაინც თავი დავუქნიე.

მომდევნო დღეს პროვინსტაუნში კულისებიდან გასასვლელი ვიპოვე, გარეთ გავედი და „პლანი“ გავაბოლე. ჩემთვის ვიჯექი და ვენეოდი, როცა ორმა გოგომ ჩამოიარა.

– ეი, შენ ის ბიჭი არ ხარ, ჰარმონიკას რო უკრავს? – მკითხა ერთ-ერთმა.

ჰო-მეთქი, თავი დავუქნიე და ის გოგო მაშინვე კალთაში ჩამიხტა. მეორე გოგომ სიცილ-კისკისით კოფთა გაიძრო. კალთაში რო მეჯდა იმან, შარვლის ქამარი შემიხსნა და კაბა აინია. მე დაბოლილი ვიჯექი. უცებ კარი გაიღო და ჯენიმ დაიძახა:

– ფორესტ, სცენაზე დაბრუნების... – მერე წამით გაჩუმდა და წამოიძახა, – ფუ, შენი! – და კარი ჯახუნით გაიკეტა.

შევხტი. კალთაში რო მეჯდა, ის გოგო ძირს დავარდა, მეორე აყვირდა, მაგრამ მე ყურადღება არ მიმიქცევია. შიგნით შევვარდი. ჯენი კედელს მიყრდნობილი იდგა და ტიროდა. მივუახლოვდი, მაგრამ მან დამიყვირა:

– არ მომეკარო, შე საქონელო! კაცები ყველანი ერთნაირები ხართ – პატივს არავის სცემთ!

ასე ცუდად თავი არასდროს მიგრძნია. აღარც მახსოვს, ის კონცერტი როგორ ჩავამთავრეთ. ჯენი ავტობუსში წინა რიგში დაჯდა და მთელი გზა არ დამლაპარაკებია. იმ ღამით დივანზე ეძინა, მეორე დილით კი მითხრა, დროა, საკუთარი ბინა მოძებნო. მეც მოვაგროვე ჩემი ბარგი-ბარხანა და თავჩალუნული წამოვედი. ჯენისთვის ვერაფრის ახსნა ვერ მოვახერხე. კიდევ ერთხელ გამაპანლურეს.

მას შემდეგ ჯენი სადღაც გაქრა. ვის არ ვკითხე, მა-

გრამ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. სანამ ბინას ვიპოვიდი, მოუზიმ თავისთან დარჩენის ნება მომცა, მაგრამ თავს მარტოსულად ვგრძნობდი. იმ პერიოდში კონცერტები არ გვექონდა და გადავწყვიტე, უსაქმოდ ყოფნას დედის მონახულება და კრევეტების ბიზნესის წამოწყება აჯობებს-მეთქი. იქნებ როკ-ენ-როლის ვარსკვლავობისთვის სულაც არ გავჩენილვარ, იქნებ მართლაც ერთი შტერი იდიოტი ვარ-მეთქი, ვფიქრობდი.

მაგრამ ერთ დღეს მოუზი მოვიდა და მითხრა: ქუჩის კუთხეში ბარში ვიჯექი და აბა, გამოიცანი ტელევიზორში ვინ არჩენესო – რა თქმა უნდა, ჯენი კერენი!

– ვაშინგტონშია და ვიეტნამის ომის სანინაალმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობს, – თქვა მოუზიმ და დაამატა, ნეტა რა ჯანდაბა უნდა მანდ, არ ჯობდა, ჩვენთან ერთად ფული ეკეთებინაო.

ვუთხარი, უნდა ვნახო-მეთქი და მოუზიმ მთხოვა, სცადე, იქნებ დაბრუნებაზე დაითანხმო. მისამართიც მომცა, ვიცე, ბოსტონელი ომის მონაწილეები ვაშინგტონში სადაც დაბინავდნენო.

ბარგი მოვაგროვე – ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა – მოუზის მადლობა გადავუხადე და გზას გავუდექი. დავბრუნდებოდი უკან თუ არა – ეს თითონაც არ ვიცოდი.

ვაშინგტონში დიდი არეულობა დამხვდა. ყველგან პოლიციელები მოჩანდნენ, ხალხი ქუჩებში გაჰყვიროდა და საგნებს აქეთ-იქით ისროდა. ამ უკანასკნელებს პოლიციელები ხელკეტებს ურტყამდნენ. ვითარება უკონტროლო ჩანდა.

იმ მისამართზე მივედი, სადაც ჯენი უნდა ყოფილიყო, იქ არავინ დამხვდა. მთელ დღეს სადარბაზო კართან, კიბის საფეხურებზე ვიჯექი და ველოდი. როგორც იქნა,

სალამოს ცხრა საათზე შენობის წინ მანქანა გაჩერდა და იქიდან ხალხი გადმოვიდა, მათ შორის, ჯენი კერენიც!

წამოვდექი და მისკენ გავემართე, მაგრამ ჯენიმ მაშინვე ზურგი მაქცია და უკან, მანქანისკენ გაიქცა. დანარჩენმა ორმა ბიჭმა და ერთმა გოგომ არ იცოდნენ, რა ექნათ, ან ვინ ვიყავი, და დაიბნენ. ბოლოს, ერთ-ერთმა მითხრა:

– მისმინე, ახლა მასთან ხუმრობა არ ღირს – ძალიან გაბრაზებულია.

ვკითხე, რატო-მეთქი. იმ ბიჭმა გვერდზე გამიყვანა და აი, რა მიაბო:

თურმე ჯენი სულ ცოტა ხნის წინათ გამოეშვათ ციხიდან. წინა დღეს დაეპატიმრებინათ და მთელი ღამე ქალთა იზოლატორში გაეტარებინა. დილით, სანამ გამოუშვებდნენ, თმა გადაუპარსავთ – ძალიან გრძელი გაქვს და ტილები გეყოლებათ.

ჯენი ახლა თავხოტორააო, ამიხსნა ბიჭმა.

აღბათ, ჯენის არ უნდოდა, ასეთ მდგომარეობაში მენახა, რადგან მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდა და თავი ჩახარა. მანქანის კართან მუხლებზე დავდექი, შემთხვევით ფანჯრიდან რო არ დამენახა, და ვუთხარი:

– ჯენი, ეს მე ვარ, ფორესტი.

ჯენიმ არ მიპასუხა, ჰოდა, მეც ვუთხარი, მომხდარის გამო ძალიან ვწუხვარ, არც „პლანს“ მოვწევ და აღარც მუსიკალურ ჯგუფში დავუკრავ, რახან ცდუნებებს ვერ ვუძლებ-მეთქი. შენს თმაზეც ვწუხვარ-მეთქი, დავაყოლე. მერე კიბის საფეხურებზე დატოვებულ ჩემს ზურგჩანთასთან მივხობდი, ნაქსოვი ჯარისკაცის ქუდი ამოვიღე, ჯოხის წვერზე ჩამოვაცვი და ჩანეულ მინაში შევყავი. ჯენიმ ქუდი გამომართვა, დაიხურა და მანქანიდან გადმოვიდა.

– კაი, ადე, შე აყლაყუდა და სახლში შევიდეთ.

მე და ჯენი დიდხანს ვსაუბრობდით, სხვები „პლანს“ ეწოდნენ და ლუდს სვამდნენ. მე არც ერთისთვის ხელი არ დამიკარებია. მომდევნო დღის გეგმებს განიხილავდნენ. კაპიტოლიუმის წინ დემონსტრაციას მართავდნენ, რომელზეც ვიეტნამის ომის ვეტერანები გამოვიდოდნენ, მედლებს საჯაროდ მოიხსნიდნენ და კაპიტოლიუმის კიბეზე დაყრიდნენ.

უცებ ჯენიმ თქვა:

– თუ იცით, რომ ფორესტი კონგრესის ღირსების მედლითაა დაჯილდოებული?

ყველა გაჩუმდა და მე მომაშტერდა. მერე ერთმანეთს გადახედეს. ერთ-ერთმა თქვა:

– მადლობა, ღმერთო, რომ ასეთი საჩუქარი გამოგვიგზავნე!

მეორე დილით ჯენი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, სადაც დივანზე მეძინა და მითხრა:

– ფორესტი, მინდა დღეს ჩვენ გამოგვყვე. სამხედრო უნიფორმა ჩაიცვი.

რო ვკითხე, რატო-მეთქი, მიპასუხა:

– იმიტომ, რომ ვიეტნამში ამდენი ტანჯვა-წამების შეწყვეტა შეგიძლია.

მეც ჩავიცვი სამხედრო უნიფორმა, ამასობაში ჯენიმ რკინა-კავეულის მაღაზიაში ნაყიდი ჯაჭვები მოიტანა.

– ფორესტი, ეს ჯაჭვები შემოიხვიე.

კიდე ერთხელ რო ვკითხე, რატო-მეთქი, მიპასუხა:

– შემოიხვიე და რატო, მაგას თავის დროზე გაიგებ. ხო არ გინდა, მანყენინო?

სამხედრო უნიფორმაში გამოწყობილი და ჯაჭვებ-შემოხვეული, ჯენისთან და მის მეგობრებთან ერთად ნავედი კაპიტოლიუმისკენ. ნათელი, მზიანი დილა იდგა.

კაპიტოლიუმთან ზღვა ხალხი შეგროვილიყო. ტელეკამერიან ჟურნალისტებთან ერთად მთელი მსოფლიოს პოლიციელებიც იქ იდგნენ. ხალხი მღეროდა, ყიჟინებდა და პოლიციელებს შუათითს უჩვენებდა. მერე ერთად შეჯგუფებული სხვა სამხედროუნიფორმიანი ბიჭებიც დავინახე. ისინი რიგ-რიგობით, რაც შეილება ახლოს მიდიოდნენ კაპიტოლიუმის კიბესთან და თავიანთ მედლებს საფეხურებზე ყრიდნენ. ზოგი მათგანი ინვალიდის ეტლში იჯდა, ზოგი კოჭლობდა, ზოგს ხელ-ფეხი არ ქონდა. ზოგი უბრალოდ აგდებდა მედალს ძირს, ზოგი – მთელი ძალით ახეთქებდა. მერე ვილაცამ მხარზე ხელი დამადო. ჩემი ჯერი დადგა. მე ჯენის შევხედე. მან თავი დამიქნია და მეც წინ გავაბიჯე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვილაცამ მეგაფონით ჩემი სახელი გამოაცხადა და თქვა, რომ კონგრესის ღირსების მედალზე უარს ვამბობ ვიეტნამში ომის დასრულების მოთხოვნის ნიშნად. ყველამ ტაში დამიკრა და შეძახილებით გამამხნევეს. კიბის საფეხურებზე დახვავებული მედლები დავინახე. ზემოთ, კაპიტოლიუმის შესასვლელში რამდენიმე ადამიანი იდგა – სამი-ოთხი პოლიციელი და ვილაც შავკოსტიუმიანი ტიპები. ვიფიქრე, თავი საუკეთესოდ უნდა წარმოვაჩინო-მეთქი; გამახსენდა ბაბა, ლეიტენანტი დენი და სხვა ბიჭები და... რავი, რა მეტაკა, მედალი მთელი ძალით ვისროლე ზემოთ. რამდენიმე წამის შემდეგ ერთ-ერთი შავკოსტიუმიანი წაიქცა. სამწუხაროდ, ზედმეტი მომივიდა და მედალი თავში მოვარტყი.

მერე კი სრული ქაოსი ატყდა. პოლიცია ბრბოს დაერიდა, ბრბო აღრიალდა. უეცრად ხუთი თუ ექვსი პოლიციელი ერთდროულად დამაცხრა თავზე და რეზინის ხელკეტებით ცემა დამიწყეს. მათ სხვებიც დაეხმარნენ

და გონს რო მოვედი, ხელშეზღვეოვილი პოლიციის ფურ-
გონში ვეგდე და ციხეში მიმათრევდნენ.

მთელი ღამე საკანში გავატარე. დილით სასამართლო
გაიმართა. მოსამართლის წინაშე პირველად არ ვიდექი.

ვიღაცამ მოსამართლეს უთხრა, რო ბრალი მედებო-
და სახიფათო იარაღით – მედლით – თავდასხმასა და
სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა-
ში და ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

– მისტერ გამპ, – მომიბრუნდა მოსამართლე, – თუ
ხვდებით, რომ აშშ-ის სენატის მდივანს თქვენი მედლით
თავი გაუტეხეთ?

მე არაფერი მითქვამს, მაგრამ მივხვდი, რო კვლავ
სერიოზულ შარში გავყავი თავი.

– მისტერ გამპ, – განაგრძო მოსამართლემ, – არ
ვიცი, თქვენნაირ დამსახურებულ მეომარს და სამშობ-
ლოსადმი ვალმოხდილ ადამიანს რა საერთო აქვს შერე-
კილებთან, მედლებს რომ ძირს ყრიან, მაგრამ ერთს გე-
ტყვი: ჩემი ბრძანებით ოცდაათდღიან ფსიქიატრიულ
გამოკვლევას ჩაგიტარებენ, რათა გაირკვეს, რამ გიბი-
ძგათ მსგავსი იდიოტური ნაბიჯისკენ.

ჯერ ჩემს საკანში დამაბრუნეს, ცოტა ხანში კი ავ-
ტობუსში ჩამსვეს და წმ. ელისაბედის ფსიქიატრიული
კლინიკის გზას გამიყენეს.

და აი, მგონი, ბოლო-ბოლო მართლაც „გამომკეტეს“.

ნამდვილ საგიჟეთში ამოყავი თავი. ოთახში ვი-
 ლაც ფრედთან მომათავსეს. ფრედი უკვე ერთი
 წელი იყო, იქ ცხოვრობდა. შესვლისთანავე ამიხსნა, აქ
 ბევრ შეშლილთან მოგინევს ურთიერთობაო; ერთმა
 ტიპმა ექვსი ადამიანი მოწამლა, მეორემ ხორცის საჭ-
 რელი დიდი დანით დედამისი მოკლაო. აქ ათასი ჯურის
 ხალხია – მოძალადეებით და მკვლელებით დაწყებული,
 ესპანეთის მეფითა და ნაპოლეონით დამთავრებულიო.
 ბოლოს თავად ფრედის ვკითხე, შენ რატომღა ხარ აქ-
 მეთქი და მიპასუხა: ნაჯახით კაცი მოვკალი, მაგრამ
 შემდეგ კვირას მათავისუფლებენო.

მეორე დღეს ფსიქიატრ უოლტონთან წამიყვანეს.
 ექიმი უოლტონი ქალი აღმოჩნდა. მითხრა, ჯერ ფსიქი-
 კას შეგიმონებ და მერე ფიზიკურად გაგსინჯავო. მაგი-
 დასთან დამსვა და მელნისლაქიანი ბარათების ჩვენება
 დამიწყო, როგორ გგონია, ზედ რა ხატიაო. სულ „მელ-
 ნის ლაქას“ ვპასუხობდი, მაგრამ ბოლოს ექიმი უოლტონი
 გამიბრაზდა და რალაცეების მოფიქრება დავინყე.
 შემდეგ გრძელი ტესტი მომცა და მითხრა, დაწერეო.
 ბოლოს ტანსაცმლის გახდა მთხოვა.

ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, როცა ტანსაც-
 მელი გავიხადე, სულ რალაც ცუდი შემემთხვა და მეც
 ვუპასუხე, იქნებ არ გავიხადო-მეთქი. ექიმმა უოლტონ-
 მა ჯერ რალაც ჩაინიშნა ბლოკნოტში, მერე დამემუქრა,
 ან თითონ გაიხდი, ან არადა სანიტრებს დავუძახებო.

ჰოდა, მეც გავიხადე. ტრაკმოშიშვლებული, ექიმმა

უოლტონმა ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თქვა:

– ჰო, ჯანმრთელი მამაკაციც ამას ჰქვია!

ექიმმა უოლტონმა პატარა რეზინის ჩაქური მიკაკუნა მუხლისთავებზე, მერე სხეულის სხვადასხვა ადგილები დამიჩქმიტა და გამისინჯა. კიდე კაი, „ნაიხარეო“ არ უთქვამს. ბოლოს ჩემს გასინჯვას მორჩა. მითხრა, ჩაიცვი და შენს ოთახში დაბრუნდიო. დერეფანში შუშის-კარიან ოთახს ჩავუარე. ძირს პატარა ბიჭუნები ისხდნენ, ზოგი იწვა; დორბლიანები იკრუნჩხებოდნენ და მუშტებს იატაკს ურტყამდნენ. კარგა ხანს ვიდექი კართან და ოთახში ვიყურებოდი. სევდა მომანვა – ბავშვობაში გიჟების სკოლაში გატარებული დღეები გამახსენდა.

ორი დღის შემდეგ ისევ ექიმ უოლტონის კაბინეტში მიხმეს. მასთან ერთად კიდე ორი თეთრხალათიანი კაცი იდგა. „ეს ექიმი დუკია, ეს – ექიმი ერლიო“, – გამაცნო ექიმმა უოლტონმა, ორივე ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში მუშაობს და შენი საქმით ძალიან დაინტერესდნენო.

ექიმმა დუკმა და ექიმმა ერლმა ათასი შეკითხვა დამისვეს, ორივე სათითაოდ მირტყამდა მუხლისთავებზე რეზინის ჩაქურს. მერე ექიმმა დუკმა მითხრა:

– მისმინე, ფორესტ, შენი ტესტის შედეგებს გავეცანით და შენმა მათემატიკურმა უნარმა გაგვაოცა. გადავწყვიტეთ, განმეორებითი ტესტირება ჩაგიტაროთ.

ამჯერად უფრო რთული ტესტები მომცეს, მაგრამ, მგონი, თავი გავართვი. არადა, რო მცოდნოდა, წინ რა მელოდა, იმ ტესტებს სულ ფეხებზე დავიკიდებდი!

– ფორესტ, ეს ფენომენალურია! – თქვა ექიმმა ერლმა, – ტვინი კი არა, ნამდვილი კომპიუტერი გაქვს. არ ვიცი, შენი ნიჭის გამოყენება თუ შეგიძლია – ალბათ,

არა, თორემ აქ არ იჯდებოდი – მაგრამ, უნდა ვალიარო, მსგავსი რამ სიცოცხლეში არ მინახავს!

– იცი, ჯორჯ, – გადაულაპარაკა ექიმმა დუკმა, – ეს ბიჭი ნამდვილად უნიკალურია. ცოტა ხნის წინ NASA-ში ვმუშაობდი და, ჩემი აზრით, აჯობებს, ესეც ჰიუსტონში, კოსმოსურ ცენტრში გავგზავნოთ. იქ შეამონებენ. სწორედ ასეთ ადამიანს ეძებენ.

სამივე ექიმი მე მიყურებდა და თავს იქნევდა. მერე ბოლოჯერ დამარტყეს რეზინის ჩაქუჩი მუხლისთავებზე.

ისევ შარში გავეხვიე.

ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში ძველი თვითმფრინავით გამამგზავრეს. თვითმფრინავში მხოლოდ მე და ექიმი დუკი ვისხედით. მშვენივრად ვიმგზავრეთ; ერთი ეგაა, სავარძელზე ხელფეხმიბმული ვიჯექი.

– მისმინე, ფორესტ, – მითხრა ექიმმა დუკმა, – ამნუთას ყელამდე ნეხვში ხარ. აშშ-ის სენატის მდივნისთვის მედლით თავის გატეხვისთვის ათწლიანი პატიმრობა გელის. მაგრამ თუ NASA-სთან ითანამშრომლებ, პირადად ვიზრუნებ შენს გათავისუფლებაზე. აბა, რას იტყვი, თანახმა ხარ?

მოსულა-მეთქი, თავი დავუქნიე. ციხეში საჯდომად სად მეცალა, აუცილებლად ჯენი უნდა მეპოვა. უკვე ძალიან მენატრებოდა.

ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში მთელი ერთი თვე დავყავი. იმდენჯერ გამსინჯეს, იმდენი ტესტირება ჩამიტარეს, იმდენჯერ დამკითხეს, ასე მეგონა, ჯონი კარსონის შოუში უნდა მიმელო მონაწილეობა.

შევცდი.

ერთ დღეს დიდ ოთახში შემიყვანეს და მიაბბეს, რაც ქონდათ ჩაფიქრებული.

- გამპ, კოსმოსში უნდა გაგიშვათ. როგორც ექიმმა დუკმა გვითხრა, შენი ტვინი კომპიუტერივით მუშაობს – უკეთესადაც კი. თუკი სათანადოდ დაგაპროგრამებთ, ამერიკის კოსმოსურ პროგრამას გამოადგები. რას იტყვი?

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ვუპასუხე, ჯერ დედას ვკითხავ-მეთქი, მაგრამ მაშინვე ძლიერი არგუმენტი მომიყვანეს, თუ არ გინდა, მაშინ ათი წლით ციხეში მიგაბრძანებენო.

რალა მექნა, კარგი-მეთქი, დავთანხმდი. აი, ყოველთვის ყველაფერზე რო ვთანხმდები, მაგიტომაცაა პრობლემები რო არასდროს მაკლია.

აი, რა ქონდათ ჩაფიქრებული კოსმოსურ ცენტრში: კოსმოსურ ხომალდში უნდა ჩავესვი და დედამინის ირგვლივ შემოსაფრენად მილიონი კილომეტრის სიმაღლეზე გავეგზავნე. მთვარეზე უკვე გაეგზავნათ ხალხი, მაგრამ იქ ღირებული ვერაფერი იპოვეს, ამიტო შემდეგ ჯერზე მარსზე აპირებდნენ გაფრენას. ჩემდა ბედად, მე მარსზე კი არა, საცდელ მისიაზე მგზავნიდნენ; იმის დადგენა უნდოდათ, როგორი ხალხი იქნებოდა შესაფერისი მარსის მისიისთვის.

ჩემთან ერთად ერთი ქალი და მაიმუნი მოფრინავდნენ.

მკაცრსახიან ქალს მაიორი ჯენეტ ფრიჩი ერქვა და პირველი ამერიკელი ქალი კოსმონავტი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ჯერჯერობით ამას საიდუმლოდ ინახავდნენ. ტანმორჩილი იყო და ისეთი ვარცხნილობა ქონდა, თითქოს თავზე ჯამი ჩამოამხეს და თმა ისე შეჭრესო. პრინციპში, მისგან არანაირი სარგებელი არ მქონდა, არც მე და არც მაიმუნს.

აი, მაიმუნს კი არა უშავდა. მდედრი ორანგუტანი იყო, სიუ ერქვა; სუმატრაზე თუ სადღაც დაეჭირათ.

სხვათა შორის, კოსმოსურ ცენტრში ბევრი მაიმუნი ჰყავდათ და კოსმოსში საცდელად უშვებდნენ. მითხრეს, ამ მისიისთვის სიუ იმიტო შევარჩიეთ, მდედრია და უფრო მეგობრული იქნება; თანაც, ორჯერ უკვე უმოგზაურია კოსმოსში და არ გაუჭირდებაო. ეს რო გავიგე, ვიფიქრე, კოსმოსში სამს გვიშვებენ და ჩვენ შორის ყველაზე გამოცდილი მაიმუნი როგორაა-მეთქი. ანერვიულდება კაცი, აბა, არა?

გაფრენამდე ათასნაირი წვრთნა გავიარეთ. ხან ციკლოტრონებში გვსვამდნენ და გვატრიალებდნენ, ხან – უგრავიტაციო პატარა ოთახებში. გარდა ამისა, საათობით მიბურღავდნენ ტვინს და მამახსოვრებინებდნენ ფორმულებს, როგორ გამომეთვალა მანძილი მოცემული წერტილიდან დანიშნულების წერტილამდე; ან როგორ დავბრუნებულყავით უკან. მასწავლიდნენ კოორდინატთა სისტემით წერტილის განსაზღვრას, ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს, სფერულ ტრიგონომეტრიას, ბულეს ალგებრას, ანტილოგარითმებს, ფურიეს ანალიზს და მატრიცულ მათემატიკას. მითხრეს, სარეზერვო კომპიუტერის რეზერვი იქნებიო.

ჯენი კერენს უამრავი წერილი მივწერე, მაგრამ ყველა უკან დამიბრუნდა, ადრესატის მისამართი უცნობიაო. დედასაც მივწერე წერილი და იმან გრძელი პასუხი მომწერა, რომლის ძირითადი არსი ეს იყო: „საწყალ დედაშენს ასე როგორ მოექეცი, როცა იცი, რო ის უსახლკაროთა თავშესაფარშია და შენ გარდა ამ ქვეყანაზე სხვა არავინ ყავს?“

მისთვის არ მითქვამს, თუ კოსმოსში არ გავფრინდები, დაპატიმრება მემუქრება-მეთქი, მხოლოდ ეს მივწერე, ნუ ღელავ, გამოცდილ ეკიპაჟთან ერთად მივფრინავ-მეთქი.

ბოლო-ბოლო დადგა გაფრენის დღე და პირდაპირ გეტყვით: უბრალოდ კი არ ვნერვიულობდი, შიშით ნახევარი სიცოცხლე გავათავე! მართალია, მისია გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა და ყველას ტელევიზორში გვაჩვენებდნენ.

იმ დილით რომელიღაცამ გაზეთები მოიტანა, ნახეთ, რა ცნობილები გახდითო. აი, რამდენიმე საგაზეთო სათაური:

„ქალი, მაიმუნი და იდიოტი – აშშ-ის მორიგი კოსმოსური ექსპედიცია“.

„ამერიკა უცხო პლანეტაზე უჩვეულო ელჩებს გზავნის“.

„გოგო, შტერი და გორილა დღეს აფრინდებიან!“

New York Post-ში ეწერა: „ისინი მიფრინავენ, მაგრამ ვინ არის მეთაური?“

მხოლოდ New York Times-ის სათაურს არა უშავდა: „ახალი კოსმოსური მისიის ეკიპაჟი მრავალფეროვანია“.

როგორც ყოველთვის, დილით ავდექით თუ არა, მაშინვე აურზაური ატყდა. სასაუზმოდ მივდიოდით, მაგრამ ვიღაცამ თქვა: – გაფრენის დღეს არ უნდა ისაუზმონ.

მეორე შეეკამათა: – კი, უნდა ისაუზმონ.

მეორეს მესამეს შეეპასუხა: – არა, არ უნდა ჭამონ.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ყველას მადა არ დაგვეკარგა.

სკაფანდრები ჩაგვაცვეს და ავტობუსით სასტარტო მოედანზე წაგვიყვანეს. სიუ გალიაში იჯდა და ისე მიგვყავდა. ასსართულიანი შენობისხელა კოსმოსური ხომალდი ორთქლისა და კვამლის ღრუბელში იყო გახვეული და ისე თრთოდა და ღმუოდა, თითქოს ცოცხლად შეჭმას გვიპირებდა! ლიფტით ავედით ჩვენს კაფსულამ-

დე, იქ სავარძლებზე მიგვაბეს, ხოლო სიუ კაფსულის ბოლოში, თავის ადგილას მოათავსეს. დავინწყეთ ლოდინი.

ცოტა ხანს ვიცადეთ.

მერე კიდევ ცოტა ხანს ვიცადეთ.

მერე კიდევ ცოტა ხანს...

მთელი ის დრო კოსმოსური ხომალდი თრთოდა და ღმუოდ და კვამლს უშვებდა. ვილაცამ თქვა, ახლა ასობით მილიონი ადამიანი ტელევიზორში გვხედავსო. ალბათ, ისინიც იცდიდნენ.

შუადღისას ვილაცამ კაფსულის კარზე მოაკაკუნა და გვითხრა, სანამ კოსმოსურ ხომალდს შევაკეთებთ, გაფრენა ცოტა ხნით გადაიდო.

მე, სიუ და მაიორი ფრიჩი ლიფტით ისევ ქვემოთ ჩავედით. მხოლოდ მაიორი ფრიჩი ბუზლუნებდა და ოხრავდა, მე და სიუ გახარებულები ვიყავით.

თუმცა, ჩვენმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, სასადილოდ ვემზადებოდით, როცა ოთახში ვილაც შემოვარდა:

– სასწრაფოდ სკაფანდრები ჩაიცვით! კოსმოსური ხომალდი შეაკეთეს და მალე გაფრინდებით!

ისევ აურზაური ატყდა. ყველა ერთად ყვიროდა და გვაჩქარებდა. მგონი, გაბრაზებულმა ტელემაყურებლებმა დარეკეს, ან რამე და ამათაც სასწრაფოდ გადანიყვიტეს ჩვენთვის ტრაკქვეშ ცეცხლის შენთება.

ასე იყო თუ ისე, ჩავგსხეს ისევ ავტობუსში, სასტარტო მოედანზე მიგვიყვანეს და ლიფტით კაფსულამდე რო ავდიოდით, ვილაცამ წამოიძახა: – ჯანდაბა, მაიმუნი დაგვაზინყდა! – და ძირს მყოფებს უღრიალა, დროზე, მაიმუნი აქ მოიყვანეთო!

ჩავკეციტეს კაფსულაში და ვილაცამ ასიდან უკუთ-

ვლა დაიწყო. ამასობაში შიგნით სიუ შემოიყვანეს. სავარძლის საზურგეებს მივეყრდენით. თვლა „ათამდე“ ჩამოვიდა და უკნიდან, სადაც სიუ იჯდა, უცნაური ღრენა მომესმა. უკან მივტრიალდი და რას ვხედავ – სიუს ნაცვლად იქ კბილებდაკრეჭილი მამრი მაიმუნი ზის, ხელები სავარძლის მკლავსადავებებისთვის ისე მაგრად ჩაუვლია და ლამისაა აგლიჯოს და ნებისმიერ წამს გათავისუფლდეს.

მაიორ ფრიჩს დავუძახე და ისიც შემობრუნდა.

– ღმერთო ჩემო! – წამოიყვირა მან და რადიოგადამცემით მაშინვე მართვის ცენტრს დაუკავშირდა,

– შეცდომით მამრი მაიმუნი მოგიყვანიათ. დროებით შეაჩერეთ გაფრენა, სანამ შეცდომას გამოასწორებთ!

მაგრამ უეცრად კოსმოსური ხომალდი აგუგუნდა და შეზანზარდა და მართვის ცენტრიდან ვილაცამ გვიპასუხა: – ეგ ჩვენი პრობლემა აღარ არის, დაიკო. განრიგს ვერ ჩამოვრჩებით!

და გავფრინდით!

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თ ავიღან ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მამაჩემივით ნახევარმა ტონა ბანანმა გამჭყლიტა. ვერ ვინძრეოდი, ვერ ვყვიროდი, ხმას ვერ ვიღებდი, ვერაფერს ვაკეთებდი... მხოლოდ მივფრინავდით. ფანჯარაში ლურჯი ცა მოჩანდა. კოსმოსური ხომალდი წინ მიიწევდა.

შემდეგ კოსმოსურმა ხომალდმა სიჩქარე შეანელა და მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა. მაიორმა ფრიჩმა თქვა, შეგვიძლია, უსაფრთხოების ქამრები შევიხსნათ და საქმეს შევუდგეთო. ისიც თქვა, ახლა 25000 კმ/სთ სიჩქარით მივფრინავთო. მართლაც, დედამინა ქვემოთ პატარა ბურთად მოჩანდა, როგორც ეს კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებზე მინახავს. მიმოვიხედე. დაბლვერილი მამრი მაიმუნი მე და მაიორ ფრიჩს მოგვშტერებოდა. მაიორმა ფრიჩმა თქვა, ალბათ, შიამ და დამავალა, დროზე ბანანი ან რამე მოუტანე, სანამ გაბრაზებულა და რამე ცუდი ჩაუდენიაო.

მაიმუნისთვის ტომრით ბანანები, ჩირი, ბურღულეული და ეგეთი რამეები გამოგვატანეს. სანამ მე ტომარაში ვიქეჩებოდი, მაიორი ფრიჩი რადიოთი ჰიუსტონის მართვის ცენტრს დაუკავშირდა.

– ახლა კარგად მომისმინეთ! – თქვა მან, – ამ მაიმუნს რამე უნდა მოვუხერხოთ. ეს სიუ კი არა, მამრი მაიმუნია. სულაც არ მოსწონს ამ კოსმოსურ ხომალდზე ყოფნა. შეიძლება გაბრაზდეს და წყობიდან გამოვიდეს.

შეტყობინების დედამინამდე ჩაღწევას და იქიდან პა-

სუხის ამოღწევას კარგა ხანი დასჭირდა. ვილაც ბიჭმა გვიპასუხა:

– კარგი რა! მაიმუნი მაიმუნია. რა განსხვავებაა?

– კი, აბა! – უპასუხა მაიორმა ფრიჩმა, – ამ ვინრო კაფსულაში ამხელა მაიმუნთან ერთად რო იჯდე, სულ სხვანაირად აჭიკჭიკდებოდი.

ორიოდ წუთის შემდეგ წყვეტილმა ხმამ მოაღწია:

– გიბრძანებთ, ეს ფაქტი საიდუმლოდ შეინახოთ, თორემ ყველა სასაცილოდ აგვიგდებს! ეგ მაიმუნი სიუა – მორჩა და გათავდა! სულერთია, ფეხებშუა რამე კიდია თუ არა.

მაიორმა ფრიჩმა შემომხედა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

– არის, სერ! – თქვა მან, – მაგრამ სანამ კაფსულაში ვარ, ამ ნაბიჭვარს სავარძელზე მიბმულს დავტოვებ. გასაგებია?

მართვის ცენტრიდან მოკლე პასუხი მივიღეთ: – გასაგებია!

სხვათა შორის, რო მიეჩვევი, კოსმოსში ყოფნა საინტერესოც კია. იქ, ზემოთ გრავიტაცია არ მოქმედებს და კოსმოსურ ხომალდში დაცურავ. ხედიც დიდებულია – მზე, მთვარე, ვარსკვლავები. კოსმოსში ყოფნისას ხშირად მიფიქრია, ნეტა ჯენი კერენი ახლა იქ, ქვემოთ სად არი ან რას აკეთებს-მეთქი.

დედამიწის გარშემო ვტრიალებდით. დღე და ღამე აქ რამდენიმე საათში ენაცვლებოდა ერთმანეთს და თანდათან რალაც-რალაცეებს სულ სხვა კუთხიდან შევხედევფიქრობდი, ახლა კი აქ ვარ, მაგრამ რო დავბრუნდები – უფრო სწორად, თუ დავბრუნდები – მერე რალა ვქნა-მეთქი. ვერ გადამენწყვიტა, კრევეტების ბიზნესი წამომენწყო, ჯენი მეპოვნა, მუსიკალურ ჯგუფში დაკვრა

გამეგრძელებინა თუ უსახლკაროთა თავშესაფარში შეკედლებულ დედაჩემზე მეზრუნა.

მაიორი ფრიჩი დროდადრო წაუძინებდა ხოლმე, მაგრამ როცა ფხიზლობდა, სულ წუნუნებდა. წუნუნებდა მაიმუნზე, წუნუნებდა მართვის ცენტრში მჯდარ უსაქმურ კრეტინებზე, წუნუნებდა, თუ საჭმელს მაშინ შევჭამდი, როცა საუზმობის ან სადილობის დრო არ იყო; ამის დედა ვატირე, საჭმელად „გრანულას“ ფილების გარდა სხვა მაინც არაფერი გვქონდა. არ მინდა, მეც ბუზლუნად გამოვჩნდე, მაგრამ ნაღდად შეილებოდა ამ ძუკნის ნაცვლად უკეთესი გარეგნობის ქალი მაინც შეერჩიათ.

ისე, არც ის მაიმუნი აღმოჩნდა საუკეთესო თანამგზავრი.

პირველად რო ბანანი მივანოდე, გამომართვა და გაფცქვანა. ეს კარგი! მაგრამ უცებ ხელი გაუშვა და ბანანიც გაფრინდა. რალა უნდა მექნა?! ბანანს გავეკიდე. მაიმუნს რო დავუბრუნე, გასრისა და ნამცეცები მოისროლა. ყველაფერი ჩემი მოსაწმენდი გახდა.

ერთი წამით უყურადღებოდ დატოვებდი და მაშინვე ახმაურდებოდა და კბილებს აკრაჭუნებდა. ძალიან მაბეზრებდა თავს.

ბოლოს ჰარმონიკა ამოვიღე და, მგონი, „Home on the Range“ დავუკარი. მაიმუნი ცოტათი დაწყნარდა. პირველ მელოდიას „The Yellow Rose of Texas“ და „I Dream of Jeannie with the Light Brown Hair“ მივაყოლე. მაიმუნი ჩვილივით გაიტრუნა. სულ დამავიწყდა, რო კოსმოსურ ხომალდში კამერები იყო დამონტაჟებული და მართვის ცენტრში ყველაფერს აკვირდებოდნენ. მეორე დილით რო გავიღვიძე, ჰიუსტონის მართვის ცენტრის კამერის წინ ვიღაცამ გაზეთის პირველი გვერდი გაგვიშალა.

სტატიას ასეთი სათაური ქონდა: „იდიოტი კოსმოსური ჰანგებით მაიმუნს ამშვიდებს“. აი, რამდენი სისაძაგლის მოსმენა მიწევს.

ნელ-ნელა ვითარება გამოსწორდა, მაგრამ ვამჩნევდი, რო მამრი სიუ მაიორ ფრიჩს უცნაურად აკვირდებოდა. მაიორი ფრიჩის ყოველი მიახლოებისას სიუ კისერს ნაიგრძელებდა და მისკენ იქაჩებოდა, თითქოს ხელი უნდა სტაცოსო. მაიორი ფრიჩი მაშინვე აწკავწკავდებოდა:

– მომაშორე ხელები, შე საძაგელო! ნუ მეხები!

თავიდანვე მივხვდი, რო სიუს აშკარად რალაც ქონდა ჩაფიქრებული და მალე გაირკვა, რაც.

კაფსულის კუთხეში, ტიხარს უკან გავედი ქოთანში მოსაფსმელად. უეცრად ჩოჩქოლის ხმა მომესმა. თავი გამოვყავი და რას ვხედავ, სიუს მაიორი ფრიჩი დაუჭერია და ხელი მის სკაფანდრში ჩაუყვია! მაიორი ფრიჩი მთელი ძალით ცდილობდა მისგან დასხლტომას და ღრიალით ურტყამდა თავში რადიომიკროფონს.

გონება გამინათდა. მივხვდი, პრობლემა რაც იყო. აგერ უკვე მეორე დღეა კოსმოსში ვიყავით, საბრალო სიუ კი ჯერაც სავარძელზე იყო მიბმული და ერთხელაც არ მოეფსა. კარგად ვიცი, რა ძნელია შარდის შეკავება. ცოტაც და ალბათ, გასკდებოდა! სიუს მაიორი ფრიჩი ხელიდან გამოვგლიჯე. მაიორი ფრიჩი არ ცხრებოდა და სიუს „ბინძურ ცხოველს“ უწოდებდა. მერე ღია კაბინაში ჩამოჯდა და მუხლებში თავჩარგული აქვითინდა.

მე სავარძელზე მიბმული სიუ ავხსენი და ტიხრის უკან გავიყვანე. ცარიელი ბოთლი მოვძებნე მისთვის და სიუმაც შიგ ჩააფსა. მაგრამ მერე სავსე ბოთლი ციმციმანათურებიან დაფას მიახეთქა. ბოთლი გატყდა და გარშემო შარდის წვეთები ატივტივდა. ჯანდა-

ბას-მეთქი, გავიფიქრე და სიუს თავისი სავარძლისკენ გავუძეხი. უცებ შევამჩნიე, რო შარდის სქელი ბურთი პირდაპირ მაიორი ფრიჩის კეფისკენ მიფრინავდა. სიუს ხელი გავუშვი და ნივთების საჭერი სპეციალური ბადით შარდის წვეთისთვის მიმართულების შეცვლა ვცადე. ის იყო ბადეში უნდა მომექცია, რო მაიორი ფრიჩი წელში გაიმართა, შემოტრიალდა და შარდის სქელი ბურთი ზედ სახეში შეასკდა.

მაიორი ფრიჩი კვლავ აღრიალდა. ამასობაში სიუ მონყობილობათა დაფას მიადგა და მავთულები სულ დაგლიჯა.

– შეაჩერე! შეაჩერე! – აკივლდა მაიორი ფრიჩი.

სანამ სიუს შეჩერებას მოვასწრებდი, ნაპერწკლები გაცვივდა და კოსმოსურ ხომალდში ყველაფერი თავდაყირა დადგა. სიუ ზემოთ-ქვემოთ ხტოდა და რასაც მისწვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა.

რადიოთი მართვის ცენტრიდან დაგვიკავშირდნენ: – რა ჯანდაბა ხდება მანდ?

სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო.

კოსმოსური ხომალდი აზანზარდა. მე, სიუ და მაიორი ფრიჩი კედლებს ვეხეთქებოდით. ვერაფერს ვეჭიდებოდით, ვერც რომელიმე ღილაკზე თითის დაჭერას ვახერხებდით, წელში ვერ ვიმართებოდით და ველარც ვჯდებოდით.

რადიოში კვლავ გაისმა: – შეიმჩნევა კოსმოსური ხომალდის მცირედი დესტაბილიზაცია. ფორესტ, შეძლებ ხომალდის მარჯვენა ბორტის კომპიუტერში ხელით შეიყვანო პროგრამა „D-ექსი“?

ჯანდაბა! მე ბზრიალასავით ვტრიალებ, იქით ველურმა მაიმუნმა აიწყვიტა და ისინი კიდე მეუბნებიან, რაღაც კოდი შეიყვანეო!

მაიორი ფრიჩი რალაცას ყვიროდა, წესიერად არ მეს-
მოდა, მაგრამ ის კი გავიგონე, ორბიტას მოვწყდებით და
დავინვებითო. ფანჯარაში გავიხედე და საქმე მართლაც
ცუდად იყო. დედამინა ძალიან სწრაფად გვიახლოვდე-
ბოდა.

როგორღაც მაინც მივალწიე მარჯვენა ბორტის
კომპიუტერამდე და ცალი ხელით მოწყობილობათა და-
ფას ჩაჭიდებულმა მეორე ხელით კომპიუტერში „D-ექვ-
სი“ კოდი შევიყვანე. ამ პროგრამას კოსმოსური ხომალ-
დის ინდოეთის ოკეანეში ავარიული დაშვება უნდა უზ-
რუნველყოს. ახლა კი სწორედ ავარიულ მდგომარეობა-
ში ვიყავით!

მაიორი ფრიჩი და მაიმუნი სიუ თავის შემაგრებას
ცდილობდნენ. მაიორმა ფრიჩმა დამიძახა:

– მანდ რას აკეთებ?

მე ვუპასუხე, მან კი მითხრა:

– ეგ დაივინყე, შე იდიოტო, ინდოეთის ოკეანეს უკვე
გადავუფრინეთ. ცოტაც მოითმინე, სანამ წყნარ ოკეანემ-
დე მივალწევთ და იქნებ როგორმე მანდ დავეშვათ!

გინდა დაიჯერეთ, გინდ – არა, მაგრამ კოსმოსური
ხომალდით დედამინისტვის შემოფრენას დიდი ხანი არ
სჭირდება. მაიორმა ფრიჩმა რადიომიკროფონი მოიგდო
ხელში და მართვის პუნქტს აცნობა, წყნარი ოკეანის სამ-
ხრეთ ნაწილში ან დავეშვებით ან დავიმსხვრევით და რაც
შეიძლება სწრაფად მოდით ჩვენამდეო. მე გიჟივით ვანვე-
ბოდი ღილაკებს. ვეებერთელა დედამინა კი უფრო და
უფრო იზრდებოდა. მაიორმა ფრიჩმა თქვა, სამხრეთ აფ-
რიკას გადავუფრინეთო, წყლის გარდა აღარაფერი ჩანდა;
სამხრეთ პოლუსი მარცხნივ დარჩა, წინ ავსტრალია იყო.

უეცრად ძლიერ ჩამოცხა, კოსმოსური ხომალდი
შეირყა და აშიშინდა. ძირს მინა გამოჩნდა.

– პარაშუტის ბერკეტი ჩამოსწიე! – დამიძახა მაიორმა ფრიჩმა, მაგრამ მე სავარძელს მიველურსმე, მაიორი ფრიჩი – კი ჭერს. ვიფიქრე, დადგა ჩვენი აღსასრული-მეთქი, რადგან 15000 კმ/სთ სიჩქარით მივექროდით ოკეანეში ამონვერილი მიწის მწვანე ნაგლეჯისკენ. ამ სისწრაფით დანარცხებისას ჩვენგან პატარა ლაქაც აღარ დარჩებოდა.

უცებ ბრახუნის გაისმა და კოსმოსურმა ხომალდმა სიჩქარე შეანელა. გავიხედე და რას ვხედავ, ბებერსიუსს პარაშუტის ბერკეტი ჩამოუნევიან! მაგ ნაბიჭვარმა უეჭველი სიკვდილისგან გვიხსნა. საკუთარ თავს პირობა მივეცი, როგორც კი ყველაფერი მორჩება, აუცილებლად ბანანს ვაჭმევ-მეთქი.

კოსმოსური ხომალდი ნარნარით კი ეშვებოდა, მაგრამ ქვემოთ მიწის მწვანე ნაგლეჯი გველოდა და არა – წყალი, ჩვენი ხომალდი კი წყალში დაშვებისთვის იყო განკუთვნილი. წყლიდან კი გემებს უნდა ამოვეყვანეთ. პრინციპში, ამ რაკეტაში ფეხის შედგმის წამიდან ათასი უბედურება შეგვემთხვა და პრობლემები ჩვენთვის უცხო არ იყო.

მაიორმა ფრიჩმა მართვის ცენტრს აცნობა:

– ავსტრალიის ჩრდილოეთით, წყნარ ოკეანეში ვეშვებით. ზუსტად არ ვიცი, სად.

რამდენიმე წამში გვიპასუხეს:

– თუ არ იცი, მაშინ იქნებ ფანჯრიდან გაიხედო, შეცალტვინა!

მაიორმა ფრიჩმა რადიოგადამცემი დადო და ფანჯრიდან გაიხედა.

– ღმერთო, მგონი, ეს ბორნეოა, – და ისევ რადიოგადამცემს დასტაცა ხელი, მაგრამ კავშირი უკვე გამწყდარიყო.

ამასობაში მიწა ძალიან მოახლოვდა. ძირს მხოლოდ ჯუნგლი, მთის მწვერვალები და პატარა ყავისფერი ტბა მოჩანდა. ტბის პირას რაღაც ხდებოდა. მე, სიუ და მაიორი ფრიჩი სახით ფანჯარას მიკრულეები ქვემოთ ვიყურებოდით.

უცებ მაიორმა ფრიჩმა წამოიყვირა: – ღმერთო დიდებულო! ეს ბორნეო კი არა, ახალი გვინეაა და ქვემოთ „კარგოს კულტის“ მიმდევრები გველიან!

ტბის პირას ჩალისკაბიანი და თმაგაფშეკილი ათასობით აბორიგენი შეგროვილიყო. ჩვენკენ ხელი გამოეწვდინათ და მზერა მოეპყროთ. ზოგიერთი მათგანი ფართა და შუბით იყო შეიარაღებული.

– ჯანდაბა, – ვთქვი, – რაო, ვინ არიანო?

– „კარგოს კულტის“ მიმდევრები, – გაიმეორა მაიორმა ფრიჩმა, – მეორე მსოფლიო ომში ამ ველურებს თვითმფრინავებიდან ტკბილეულითა და საკვებით სავსე ტომრებს ვუყრიდით, რომ ჩვენს მხარეზე გვყოლოდნენ. როგორც ჩანს, ეს დღემდე არ დავიწყებიათ. ეტყობა, ფიქრობდნენ, ღმერთი გვიგზავნის ძღვენსო და სულ ელოდნენ ჩვენს დაბრუნებას. ასაფრენ-დასაფრენი ზოლისმაგვარიც გაუკეთებიათ, ხედავ იქ, ქვემოთ? დასაშვები ზონა მოუნიშნავთ იმ შავი, მრგვალი საგნებით.

– ეგ შავი, მრგვალი საგნები ქვაბებს მაგონებს, – ვუთხარი მაიორ ფრიჩს.

– ჰო, მგონი, ქვაბებია, – შენიშნა მაიორმა ფრიჩმა.

– ამ მხარეში ხო კანიბალები ცხოვრობენ?

– ამას მალე გავიგებთ, – მიპასუხა მაიორმა ფრიჩმა.

სანამ ჩვენი კოსმოსური ხომალდი ნარნარით დაეშვებოდა ტბის პირას, ველურებმა დოლები ააბრაგუნეს და აყვირდნენ. კაფსულაში მსხდომთ არაფერი გვესმოდა, მაგრამ ჩვენი წარმოსახვის უნარი თავისას შვრებოდა.

ტ ბაში საკმაოდ მოხერხებულად ჩავეშვით. წამით ჩავიძირეთ და ისევ ამოვყვინთეთ. დედამინაზე დავბრუნდით. ირგვლივ ხმაური ჩანყნარდა. მე, სიუმ და მაიორმა ფრიჩმა ფანჯრიდან გავიხედეთ.

ხუთიოდე მეტრის მოშორებით ტბის პირას აბორიგენტთა ტომი იდგა და გვიყურებდა. ასეთ პირქუშ ხალხს პირველად ვხედავდი – დაბლვერილები მოგვეშტერებოდნენ. მაიორმა ფრიჩმა თქვა, ალბათ, გაბრაზდნენ, ციდან რო არაფერი ჩავუყარეთო. მერე ჩამოჯდა და თქვა, აქამდე უსაფრთხოდ მოვედით და რამეს მოვიფიქრებ, არ მინდა, არასწორი ნაბიჯი გადავდგათო. ამასობაში შვიდი-რვა კუნთმაგარი ყმაწვილი ტბაში ჩახტა და ჩვენი კაფსულა ნაპირისკენ გაათრია.

მაიორი ფრიჩი ჯერ კიდევ იჯდა და ფიქრობდა, როცა კარზე მოგვიკაკუნეს. ერთმანეთს გადავხედეთ.

– არავინ არაფერი მოიმოქმედოს! – ბრძანა მაიორმა ფრიჩმა.

– კარი რო არ გავუღოთ და გაგვიბრაზდნენ?

– ჩუმად იჯექი, – მითხრა მაიორმა ფრიჩმა, – იფიქრებენ, არავინ არისო და წავლენ.

ჩვენც გავიტრუნეთ. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოგვიკაკუნეს.

– უზრდელობაა, როცა კარზე აკაკუნებენ და არ აღებ, – ვთქვი.

– მოკეტე, შე გამოქლიავებულო, – კბილებში გამოცრა მაიორმა ფრიჩმა, – ვერ ხედავ, ეს ხალხი საშიშია!

უეცრად სიუ ადგა და კარი გააღო. კართან ზორბა ტიპი იდგა. ეგეთი ჯანიანი ტიპი „ნარინჯისფერი თასის“ ფინალში ნებრასკელ „მესიმინდეთა“ გუნდშიც კი არ მინახავს.

ცხვირში ძვალი გაერჭო, ჩალის კაბა ეცვა, შუბი ეჭირა და ყელზე მძივი ეკიდა. თმა იმ პარიკს უგავდა, თომა ბედლამელს რო ეკეთა შექსპირის პიესის წარმოდგენისას.

იმ ტიპს ძალიან გაუკვირდა, კოსმოსური ხომალდიდან სიუ რო შესცქეროდა. უფრო მეტიც, გული წაუვიდა და წაიქცა. მე და მაიორი ფრიჩი ფანჯრიდან ვიჭვრიტებოდით და როცა მათ ამხანაგს გული წაუვიდა, დანარჩენი აბორიგენები ბურქებში დაიმალნენ – ალბათ, აინტერესებდათ, შემდეგ რა მოხდებაო.

– ფრთხილად, არ გაინძრეთ! – ბრძანა მაიორმა ფრიჩმა, მაგრამ სიუმ სავსე ბოთლს დაავლო ხელი და გულწასულ კაცს მოსასულიერებლად სახეზე რაღაც სითხე დაასხა. ის ტიპი წამოხტა და ფურთხება-ხველებას და თავის აქეთ-იქით ქნევას მოჰყვა. თურმე ეს ის ბოთლი იყო, რომელშიც მე ვაფსამდი ხოლმე. გონს მოსულმა კაცმა ისევ სიუ რო დაინახა, მუხლებზე დაეცა, ხელები ზეაღაპყრო და მერე პირქვე დაემხო, თითქოს არაბია და ლოცულობსო.

ამასობაში ბურქებიდან დანარჩენი აბორიგენები გამოვიდნენ. შიშისგან თვალებდაჭყეტილები, ფეხაკრეფით მოიპარებოდნენ, შუბები სატყორცნად გაემზადებინათ. პირქვედამხობილმა კაცმა თავი ასწია და თანატომელებს რაღაც დაუყვირა. მათ შუბები დაყარეს და კოსმოსური ხომალდის გარშემო შეგროვდნენ.

– მგონი, უკვე მეგობრულად არიან განწყობილი, – თქვა მაიორმა ფრიჩმა, – აჯობებს გავიდეთ და გავეც-

ნოთ. NASA-ს ხალხი მაინც მალე მოვა ჩვენს წასაყვანად.

როგორც შემდეგში გაირკვა, ეს იყო ყველაზე დიდი ტყუილი, რაც კი სიცოცხლეში მომისმენია.

ასე იყო თუ ისე, მე და მაიორი ფრიჩი კოსმოსური ხომალდიდან გავედით. აბორიგენები „ოოოო“-ს და „აააა“-ს შეძახილებით შეგვხვდნენ. მერე მიწაზე დამხო-ბილი კაცი წამოდგა, დაბნეულმა ერთი შემოგვხედა და ხელი გამოგვიწოდა:

– გამარჯობა. მე კარგი ბიჭი ვარ. თქვენ ვინ ხართ?

მე ხელი ჩამოვართვი. მაიორმა ფრიჩმა სცადა აეხ-სნა, ვინ ვიყავით; უთხრა, NASA-ს მულტიორბიტული, პრეპლანეტური, ქვეგრავიტაციული, ინტერსფერული საცდელი კოსმოსური მისიის მონაწილეები ვართო.

ზორბა ტიპი პირდაღებული გვისმენდა, თითქოს მის წინაშე უცხო არსებები ვმდგარიყავით. მაშინ მე და-ვამატე:

– ამერიკელები ვართ!

იმ ტიპს მაშინვე სახე გაუნათდა.

– მართლა? ამერიკელები? რა მაგარია!

– ინგლისურად ლაპარაკობთ? – ჰკითხა მაიორმა ფრიჩმა.

– მაშ, როგორ! ამერიკაში ნამყოფი ვარ, – უპასუხა აბორიგენმა, – ომის დროს სტრატეგიული ოპერაციების სამმართველომ დამიქირავა და ინგლისური მასწავლა. მერე სამშობლოში დამაბრუნეს, იაპონელების წინააღმ-დეგ პარტიზანული ომის სანარმოებლად.

ამის გაგონებაზე სიუს რატომღაც თვალები გაუბრწყინდა.

ძალიან გამიკვირდა, რო სადღაც გადაკარგულში ვი-ღაც ტიპი ამერიკულად ასე კარგად ლაპარაკობდა.

– სად სწავლობდი? – ვკითხე.

– სად და, იელში, – მიპასუხა მან, – „ბულა-ბულა“¹ და რამე, ხო იცი, არა?

როგორც კი დანარჩენმა აბორიგენებმა „ბულა-ბულა“ გაიგონეს, ყველა სამბომ ერთად დაიწყო ღიღინი და დოლები ისევ ააბრაგუნეს. ზორბა ტიპმა ხელის ქნევით ანიშნა, გაჩუმდითო.

– მე სემი მქვია, – გვითხრა მან, – ყოველ შემთხვევაში, იელში ასე მიწოდებდნენ. ჩემი ნამდვილი სახელი ძნელად წარმოსათქმელია. მიხარია, რომ ჩამოფრინდით. ჩაის ხომ არ ინებებთ?

მე და მაიორმა ფრიჩმა ერთმანეთს გადავხედეთ. მაიორ ფრიჩს გაოგნებისგან ხმა ჩავარდნოდა.

– დიახ, სიამოვნებით, – ვუპასუხე აბორიგენტა ბელადს.

ამასობაში მაიორმა ფრიჩმაც ამოიდგა ენა და ცოტა არ იყოს მწივანა ხმით ჰკითხა:

– ტელეფონიც ხომ არ გაქვთ, რომ დავრეკოთ?

ზორბა სემი მოიღუშა და ხელი აიქნია. დოლების ბრაგუნი განახლდა და „ბულა-ბულას“ ძახილით ჯუნგლისკენ გაგვიძღვნენ.

ჯუნგლის სიღრმეში პატარა სოფელი ქონდათ. ისეთივე ჩაღივით გადახურული ქოხები იდგა, ძველ ფილმებში რო გინახავთ. ზორბა სემის ქოხი ყველაზე დიდი იყო. ქოხის წინ სამეფო ტახტივით დიდი სავარძელი ედგა. ოთხი თუ ხუთი მკერდშიშველი ქალი ყველა ბრძანებას უსრულებდა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის ჩაის მოტანა ბრძანა. მერე მე და მაიორ ფრიჩს ქვის ლოდებისკენ მიგვითითა, ჩამოჯექითო. ჯუნგლში მაიმუნი სიუც გამოგყვა. მე და სიუ ხელიხელჩაკიდებულები მივდი-

¹ იელის უნივერსიტეტის სპორტული გუნდების ჰიმნი

ოდით. ზორბა სემმა მაიმუნს ანიშნა, შენ მინაზე და-
ჯექიო.

– ეს მაიმუნი სად იპოვეთ? – გვკითხა სემმა.

– NASA-ში მუშაობს, – უპასუხა მაიორმა ფრიჩმა, რომელიც შექმნილი ვითარებით ბედნიერი სულაც არ ჩანდა.

– კაი ერთი! – წამოიძახა სემმა, – ფულსაც უხდიან?

– მგონი, ბანანი ურჩევნია, – ვუპასუხე.

ზორბა სემმა მშობლიურ ენაზე გასცა ბრძანება და ერთ-ერთმა ქალმა სიუს ბანანი მოუტანა.

– უკაცრავად, მგონი, თქვენი სახელები არ მიკითხავს, – თქვა ზორბა სემმა.

– მაიორი ჯენეტ ფრიჩი, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები. საიდენტიფიკაციო ნომერი 04534573. მეტს ვერაფერს გეტყვით.

– ჩემო ძვირფასო ქალბატონო, – თქვა ზორბა სემმა.

– აქ თქვენ პატიმარი არ ხართ. ჩვენ უბრალო და ღარი-ბი ხალხი ვართ. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ქვის ხანაში ვართ ჩარჩენილები. არაფერს დაგიშავებთ.

– მეტს არაფერს ვიტყვი, სანამ ტელეფონზე დარეკვის საშუალება არ მექნება, – თქვა მაიორმა ფრიჩმა.

– გასაგებია, – თქვა ზორბა სემმა, – შენ რას იტყვი, ახალგაზრდავ?

– ფორესტი მქვია, – ვუპასუხე.

– მართლა? სამოქალაქო ომის გენერალ ნეითან ბედ-ფორდ ფორესტის პატივსაცემად ხომ არა?

– კი.

– რა საინტერესოა. ფორესტ, სად სწავლობდი?

მინდოდა მეთქვა, ცოტა ხანს ალაბამას უნივერსი-ტეტში ვსწავლობდი-მეთქი, მაგრამ გადავწყვიტე, არ

გამერისკა და ვუპასუხე, ჰარვარდში-მეთქი და სხვათა შორის, მთლად ტყუილიც არ მითქვამს.

– აა, ჰარვარდი, „წინ, ალისფრებო!“ – თქვა ზორბა სემმა, – კი, კარგად მახსოვს. იქაც კარგი ბიჭები იყვნენ, მერე რა, რომ იელში ვერ მოხვდნენ! – და ხმამაღლა გადაიხარხარა, – პრინციპში, ჰარვარდში ნასწავლს კი გავხარ, ხო იცი!

რატომღაც ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რო წინ პრობლემები გველოდა.

სალამოს, ზორბა სემის ბრძანებით, ორმა აბორიგენ-მა ქალმა ჩალისსახურავიან და ბინძურიატაკიან ქოხში დაგვაბინავა. ძალიან ჰგავდა იმას, მეფე ლირმა და მის-მა ხუმარამ რო შეაფარეს თავი. ქოხის ვინრო შესასვლელთან ორი შუბიანი ახმახი მცველად დადგა.

აბორიგენები მთელი საღამო დოლებს აბრაგუნებდნენ და „ბულა-ბულას“ მღეროდნენ. ქოხიდან დავინახეთ, როგორ დადგეს სოფლის შუაგულში დიდი ქვაბი და ქვეშ ცეცხლი შეუნთეს. მე და მაიორი ფრიჩი ამან ძლიერ დაგვაბნია, აი, სიუ კი, მგონი, ყველაფერს მიხვდა და მოწყენილი იჯდა კუთხეში.

უკვე ცხრა თუ ათი საათი იყო, ჩვენ კი ჯერაც არაფერი გვეჭამა. მაიორმა ფრიჩმა მთხოვა, იქნებ გახვიდე და ზორბა სემს ჰკითხო, ვახშამი როდის იქნებაო. ქოხიდან გასვლას ვაპირებდი, მაგრამ მცველებმა გადაჯვარედინებული შუბებით გზა გადამილობეს. ვიაზრე, რასაც მანიშნებდნენ და შიგნით შევბრუნდი. უეცრად გონება გამინათდა: ვახშამს იმიტო არ გვთავაზობდნენ, რო ვახშამი თავად ვიყავით. ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

ამასობაში დოლები დადუმდა და „ბულა-ბულას“ მღერა შეწყვიტეს. გარეთ ვილაცამ დაიჩხავლა. ჩხავილს

ჩხავილითვე უპასუხეს – ზორბა სემის ხმას ჰგავდა. საკმაო ხანს ასე გრძელდებოდა – ვითარება აშკარად დაიძაბა. უკვე გამაყრუებლად ღრიალებდნენ, როცა ტკაცანის ხმა გაისმა, თითქოს ვილაცას თავში ხის ფიცარი ჩაარტყესო. წამით სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც კვლავ დოლების ბრაგა-ბრუგი და „ბულა-ბულას“ მღერა მოყვა.

მეორე დილით ქობში ზორბა სემმა შემოყო თავი: – გამარჯობა. კარგად გეძინათ?

– კარგად არა ის! – უპასუხა მაიორმა ფრიჩმა, – ამ ხმაურში კარგად როგორ უნდა გვძინებოდა?

ზორბა სემმა განანწყენებული სახე მიიღო.

– შენუხებისთვის ბოდიშს გიხდით. იცით, ციდან თქვენი ხომალდი რომ ჩამოვარდა, ჩემ ხალხს ძღვენი ეგონა. 1945 წლიდან ველით თქვენსა და თქვენი საჩუქრების დაბრუნებას. როცა ჩემმა ხალხმა დაინახა, რომ ძღვენი არ მოგიტანიათ, რასაკვირველია, იფიქრეს, რომ თავად ხართ ძღვენი. თქვენს მოხარშვას და შეჭმას აპირებდნენ, მაგრამ გადავაფიქრებინე.

– მატყუებ! – წამოიძახა მაიორმა ფრიჩმა.

– როგორ გეკადრებათ, – შეეპასუხა ზორბა სემი, – თქვენეული სტანდარტებით რომ ვთქვათ, ჩემი ხალხი არაცვილიზებულია და ადამიანის ხორცზე ცხვირს არ იბზუებს. განსაკუთრებით თეთრკანიანების ხორცზე.

– მაშ, კანიბალების ტომის ბელადი ხარ? – ჰკითხა მაიორმა ფრიჩმა.

– ზუსტად, – მხრები აიჩეჩა ზორბა სემმა.

– რა საზიზღრობაა! – თქვა მაიორმა ფრიჩმა, – მისმინე, აუცილებლად უნდა დაგვიცვა და ჩვენი თავი არ შეაჭმევინო, ცვილიზებულ სამყაროში უნდა დაგვაბრუნო! NASA-ს სამაშველო ჯგუფი ალბათ, ნუთი-ნუ-

თზე გამოჩნდება. ღირსეულ მოპყრობას ვითხოვ, როგორც ეს მოკავშირეებს შეეფერებათ.

– ჰა, მერედა, წუხელ სწორედ ამას აპირებდნენ, – თქვა ზორბა სემმა.

– ერთი აქეთ მომხედე! – ხმას აუწია მაიორმა ფრიჩმა, – დაუყოვნებლივ გაგვათავისუფლე. უახლოეს ქალაქამდე უნდა მივალნიოთ, სადაც ტელეფონია.

– ვშიშობ, ეს შეუძლებელია, – თქვა ზორბა სემმა, – რომც გაგიშვათ, ჯუნგლში ას მეტრსაც ვერ გაივლით, ისე აღმოჩნდებით პიგმეების ხელში.

– პიგმეების? – გაუკვირდა მაიორ ფრიჩს.

– მრავალი საუკუნეა პიგმეებს ვებრძვით. ლეგენდის მიხედვით, ერთხელ ვილაცამ ღორი მოიპარა – აღარავის ახსოვს ვინ და როდის – და ერთმანეთს გადავემტერეთ. არადა, რაც თავი გვახსოვს, სულ პიგმეებით ვართ გარშემორტყმული.

– იცი რა, წყეულ კანიბალებთან ყოფნას პიგმეების ტყვეობაში ყოფნა მირჩევნია, – თქვა მაიორმა ფრიჩმა.

– პიგმეები ხო არ არიან კაციჭამიები?

– არა, ქალბატონო, – უპასუხა ზორბა სემმა, – პიგმეები მხოლოდ თავებზე ნადირობენ.

– რა საშინელებაა, – დაღონდა მაიორი ფრიჩი.

– წუხელ კი გადაგარჩინეთ ქვაბში მოხარშვას, მაგრამ არა მგონია, ჩემი ხალხი დიდხანს შევაკავო. თქვენი გამოჩენისგან რაღაც სარგებელი ხომ უნდა ნახონ?!

– მართლა? მაინც რა სარგებელი? – დაინტერესდა მაიორი ფრიჩი.

– სულ ცოტა, თქვენ მაიმუნს მაინც შეჭამენ, – უპასუხა ზორბა სემმა.

– ეს მაიმუნი ამერიკის შეერთებული შტატების საკუთრებაა! – განუცხადა მაიორმა ფრიჩმა.

– სულერთია, – უკან არ დაიხია ზორბა სემმა, – ეს თქვენი მხრიდან გამოვლენილი დიპლომატიური ჟესტი იქნება.

საწყალი სიუ დაღონებული იქნევდა თავს და გასასვლელისკენ გაურბოდა მზერა.

– გარდა ამისა, – განაგრძო ზორბა სემმა, – სანამ აქ ხართ, ჩვენთვის უნდა იმუშაოთ.

– ვიმუშაოთ? – დაეჭვებით ჰკითხა მაიორმა ფრიჩმა.

– დიახ, სასოფლო-სამეურნეო საქმეებში დაგვეხმარებით. მრავალი წელია, ჩემი ხალხის უბადრუკი მდგომარეობის გამოსწორების გზებს ვეძებ. ამას წინათ ერთი აზრი დამებადა: თუ ჩვენს ნაყოფიერ მიწას სოფლის მეურნეობის თანამედროვე მეთოდებით დავამუშავებთ, შედეგად ამ ღუხჭირ ცხოვრებას თავს დავალწევთ და მსოფლიო ბაზარზე ადგილს დავიკავებთ. ერთი სიტყვით, ჩამორჩენილ და გაყინულ ეკონომიკას დავძრავთ და კულტურულ და განვითარებულ რასად ვიქცევით.

– სოფლის მეურნეობის კერძოდ რომელი დარგის განვითარებას გეგმავ? – დაინტერესდა მაიორი ფრიჩი.

– ბამბის წარმოების, ძვირფასო ქალბატონო, ბამბის! მეფე ბამბის! წლების წინათ ბამბამ თქვენი სამშობლო იმპერიად აქცია.

– მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენთვის ბამბა მოვიყვანოთ! – დაიჩხავლა მაიორმა ფრიჩმა.

– ისე კარგად მოიყვანოთ, როგორც დაგიბარებია, – ჩაეცინა ზორბა სემს.

მგზარად, მრავალ ჰექტარზე, ყველა მხარეს, საითაც თვალი წვდებოდა, ყველგან ბამბის თესვას შევუდექით. რა-რა და, ის კი კარგად ვიცო, რო ბამბას ცხოვრებაში აღარ მოვკიდებ ხელს. დასანახად შემზიზილდა.

იმ პირველი დღის შემდეგ რამდენიმე რამ მოხდა. პირველი – მე და მაიორმა ფრიჩმა ზორბა სემი დავარწმუნეთ, თანატომელებისთვის საბრალო სიუ არ შეეჭმევინებინა. ვუთხარით: შეჭმით ერთხელ შეჭამთ და არ ჯობია, ჩვენ დაგვეხმაროსო? ჰოდა, ჩალისქუდიანი ბებერი სიუც ტომრით ხელში დაგვეყვებოდა და ბამბას თესავდა.

მესამე თუ მეოთხე კვირას, ჩვენს ქოხში ზორბა სემი შემოვიდა.

– ფორესტ, მეგობარო, ჭადრაკს თამაშობ? – მკითხა მან.

– არა, – ვუპასუხე.

– ჰარვარდის კურსდამთავრებულმა ჭადრაკი არ უნდა იცოდე? ნამო, გასწავლი.

მეც გავყევი და ასე ვისწავლე ჭადრაკის თამაში.

ყოველ საღამოს ბამბის პლანტაციაში მუშაობას რო მოვრჩებოდი, კოცონს შემოვუსხდებოდი, ზორბა სემი ჭადრაკის დაფას გაშლიდა და გვიან ღამემდე ვთამაშობდით. ჯერ სვლები მასწავლა, მერე – სტრატეგია. შემდეგ სწავლება შეწყვიტა, რადგან ერთი-ორი ხელი მოვუგე.

ცოტა ხანში პარტიები გახანგრძლივდა. ზორბა სემი ზოგჯერ მთელი დღეები ფიქრობდა მომდევნო სვლაზე. იჯდა, დაჰყურებდა ჭადრაკის ფიგურებს და ფიქრობდა, რომელი გადაეადგილებინა, მაგრამ მაინც ყოველთვის ვამარცხებდი. ზოგჯერ ძალიან ბრაზდებოდა – მუხლზე ჯოხს იმტვრევდა ან თავს ქვის ლოდს ურტყამდა.

ჰარვარდელის კვალობაზე ჭადრაკს კარგად თამაშობო, მეუბნებოდა. ზოგჯერ მკითხავდა: მითხარი, ფორესტ, ეგ ბოლო სვლა რატო გააკეთეო. პასუხად მხოლოდ მხრებს ვიჩეჩდი და ეს კიდე უფრო აცოფებდა.

ერთხელ მითხრა: – ძალიან მიხარია, რომ აქ აღმოჩნდი, ფორესტ, და შემიძლია, ჭადრაკი გეთამაშო. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მოხარშვას გადაგარჩინე. მხოლოდ ეგაა, რომ ერთი ხელიც ვერ მომიგია შენთვის.

და თითების ლოკვა დაიწყო. ნებისმიერი იდიოტი მიხვდებოდა, რო თუ ერთ ხელს მაინც მოვაგებინებდი, ჟინს დაიკმაყოფილებდა და იქვე და იმწუთას შემახრამუნებდა.

ამასობაში მაიორ ფრიჩს უჩვეულო რამ შეემთხვა.

ერთხელ მე, სიუ და მაიორი ფრიჩი ბამბის პლანტაციიდან ვბრუნდებოდით, როცა ბურქებიდან ვილაცამ შავი ხელი გამოყო და მაიორ ფრიჩს თითის ქნევით ანიშნა, მოდიო. მაიორი ფრიჩი ბურქებს მიაუახლოვდა.

– ვინ არის მანდ?

უცებ მაიორ ფრიჩს მაჯაზე შავი ხელი წაავლეს და ბურქებში შეათრის. მე და სიუმ ერთმანეთს გადავხედეთ და ბურქებთან მივირბინეთ. ის იყო ბურქებში უნდა შევმხტარიყავი, რო სიუმ თავი ქნევით შემაჩერა. მანიშნა, წადიო. მოშორებით დავდექით და ლოდინი დავიწყეთ. უცებ ბურქები შეირხა და იქიდან უცნაური ხმები მოისმა. ბოლო-ბოლო მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ

მაიორი ფრიჩის ხმა შეშინებულისას არ ჰგავდა და მე და სიუც სოფელში დავბრუნდით.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მაიორი ფრიჩი ყურებამდე გაღიმებულ ბრგე ყმანვილთან ერთად დაბრუნდა. ხელიხელჩაკიდებულები შემოვიდნენ ქოხში.

– ფორესტ, ეს გრურკია, – გამაცნო აბორიგენი მაიორმა ფრიჩმა.

– გამარჯობა, – ეს ბიჭი სოფელში ადრეც მენახა. გრურკმა გამიღიმა და თავი დამიქნია. მეც დავუქნიე თავი. სიუ ყვერებს იფხანდა.

– გრურკმა მთხოვა, საცხოვრებლად მასთან გადავიდე, – მითხრა მაიორმა ფრიჩმა, – ალბათ, გადავალ, რადგან ამ პატარა ქოხში სამნი ვერ ვეტიევით. რას იტყვი, კაი აზრია? კი-მეთქი, თავი დავუქნიე.

– ფორესტ, იმედია, ამას არავის გაუმხელ! – მთხოვა მაიორმა ფრიჩმა.

ნეტა ვისთვის უნდა გამემხილა? თუმცა უარის ნიშნად თავი მაინც გავაქნიე. მაიორმა ფრიჩმა თავისი ბარგი-ბარხანა მოაგროვა და გრურკთან გადასახლდა.

ასე დასრულდა ეს უცნაური ამბავი.

გავიდა დღეები, თვეები და ბოლოს წლები. მე, სიუ და მაიორი ფრიჩი ყოველდღე ბამბის პლანტაციაში ვმუშაობდით, თავი ბიძია რემუსი¹ მეგონა. სალამობით ზორბა სემის ჭადრაკში განადგურების შემდეგ ქოხში ვბრუნდებოდით და ცოტა ხანს სიუს ვესაუბრებოდით. ვესაუბრებოდით რა, ვბურტყუნებდით, ვიმანჭებოდით და ხელებს ვიქნევდით. თანდათან მთელი მისი ცხოვრების ისტორია შევიტყვე; თურმე მასაც ჩემსავით სევდიანი ცხოვრება ჰქონია.

¹ ჯოელ ჩენდლერ ჰარისის ზღაპართა კრებულის მთავარი პერსონაჟი, ყოფილი აფროამერიკელი მონა

სიუ ჯერ კიდე პატარა მაიმუნი ყოფილა, როცა დედისკოსთან და მამისკოსთან ერთად ჯუნგლში სეირნობისას ადამიანები დასხმიან თავს. მისი მშობლები ბადეში გაუხვევიათ და წაუთრევიან. სიუს ცოტა ხანი ბიძასთან და დეიდასთან გაუტარებია. ბოლოს, მათაც გაუპანლურებიათ, ძალიან ბევრს ჭამო. მას შემდეგ სიუ მარტო ცხოვრობდა. თავისთვის დაეხეტებოდა, ხეებზე ქანაობდა და ბანანებს ჭამდა. ერთხელაც ცნობისნადილი აღძვრია, გარე სამყაროში რა ხდებაო, დაინტერესებულა. ჰოდა, ხიდან ხეზე ხტომა-ხტომით ტყისპირას ერთ სოფელს მისდგომია. მოწყურებული, ხიდან ჩამძვრალა და მდინარის წყალს დასწაფებია. ამ დროს კანოეთი ვილაც ბიჭს ჩამოუვლია. სიუს მანამდე კანოე არ ენახა და გაკვირვებული მიშტერებოდა თურმე. კანოეიანი ბიჭი მასთან მისულა. სიუს ჰგონებია, ბიჭი კანოეში ჩამსვამს და ერთად გავცურავთო, მარა იმ ბიჭს მისთვის ნიჩაბი ჩაურტყამს, გაუთოკავს და სხვისთვის მიუყიდია. ასე აღმოჩნდა სიუ პარიზში ცხოველების გამოფენაზე.

იმ გამოფენაზე ერთი მდედრი ორანგუტანი ჰყოლიათ. დორისი რქმევია; სიუს ასეთი ლამაზი ორანგუტანი ცხოვრებაში არ ენახა. ერთმანეთი შეჰყვარებიათ. ის ტიპი თავის ცხოველებს მთელ მსოფლიოში დაატარებდა. თურმე მთავარი გასართობი სიუს და დორისის ერთ გალიაში მოთავსება და მათი ჟიმაობის ყურება ყოფილა. ამის სახალხოდ კეთება სიუს კი რცხვენოდა, მაგრამ სხვა შესაძლებლობა არასდროს ეძლეოდა და რა ექნა?

იაპონიაში დორისი ვილაც ტიპს მოსწონებია და იმისთვის მიუყიდიათ. ასე დარჩა სიუ მარტოდმარტო.

სიუს ხასიათი წახდომია. ბრაზიანი გამხდარა. სულ იღრინებოდა და ღმუოდა, გალიის გისოსებთან მდგარ დამთვალიერებლებს, რომლებიც ორანგუტანის სანახა-

ვად ბლომად ფულს იხდიდნენ, საკუთარ ნებვს ესროდა.

ერთხელაც სიუს პატრონს მისი გამოხტომები ყელში ამოსვლია და სიუ NASA-სთვის მიუყიდა. ასე აღმოჩნდა ის კოსმოსურ ხომალდში.

სიუ სულ მოწყენილი იყო, დორისი ძალიან ენატრებოდა. მეც მენატრებოდა ჯენი კერენი, სულ ვფიქრობდი, ნეტა რა ბედი ეწია-მეთქი. სამწუხაროდ, მეც და სიუც სადღაც გადაკარგულში ჩავრჩით.

ზორბა სემის ბამბის წარმოების ავანტიურამ წარმოუდგენელი შედეგი გამოიღო. უხვ მოსავალს ჩალის-სახურავიან ქოხებში ვაბინავებდით. ბოლოს დადგადლე, როცა ზორბა სემმა დიდი ნავის – ორჩხომელის – აგება მოინდომა, ნავს ბამბით დავტვირთავთ, პიგმეების ალყას გავარღვევთ, ბამბას გავყიდით და დიდ ფულს ვიშოვითო.

– ყველაფერი გათვლილი მაქვს, – თქვა ზორბა სემმა, – ჯერ ბამბას გავყიდით აუქციონზე. მერე აღებული ფულით ჩემი ხალხისთვის საჭირო ნივთებს შევიძენთ.

ვკითხე, შენს ხალხს რაჭირდება-მეთქი.

– რავი, ტანსაცმელი, მძივები, სამკაულები, ერთი-ორი სარკე, პორტატიული რადიო, ერთი კოლოფი კუბური სიგარები და არც რამდენიმე ყუთი სასმელი გვანყენდა.

მოკლედ, ასეთი იყო ზორბა სემის ბიზნესგეგმები.

გავიდა კიდე რამდენიმე თვე. სეზონის ბოლო მოსავალი ავიღეთ. ამასობაში ზორბა სემმა ორჩხომელის აგებაც დაასრულა და გამგზავრების წინა ღამეს ცეკვები გამართა უხვი მოსავლის ალების აღსანიშნავად და ავი სულების დასაფრთხობად.

მთელი ტომი კოცონის გარშემო შეგროვდა, ყველა „ბულა-ბულას“ გაიძახოდა და დოლებს აბრაგუნებდა.

ცეცხლზე დიდი ქვაბი შემოდგეს და წყალი აადუღეს. ზორბა სემმა დაგვამშვიდა, ეს მხოლოდ სიმბოლური ჟესტიაო.

ჩვეულებისამებრ, ჭადრაკის სათამაშოდ დავსხედით. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი! ოლონდაც უახლოეს ქალაქამდე მივალწევდეთ და იქიდან ეგრევე ავითესებით-მეთქი. ჩვენი გეგმის შესახებ სიუმაც იცოდა, სახეგაბადრული მეჯდა გვერდით და ილღიებს იფხანდა.

ორი ხელი ჭადრაკი ვითამაშეთ და უკვე მესამეს ვამთავრებდით. უცებ დაფას დავხედე და ჯანდაბა, ზორბა სემს ქიში გამოუცხადებია! ზორბა სემი ისე ფართოდ იღიმებოდა, კბილები სიბნელეშიც კი უჩანდა. მაშინვე ვიაზრე, დროზე უნდა გამოვძვრე ამ სიტუაციიდან-მეთქი.

პრობლემა ის იყო, რო არ შემეძლო. სანამ წინილებს წინასწარ ვითვლიდი, საჭადრაკო დაფაზე მდგომარეობა გამრთულებია.

დავიძაბე. ზორბა სემის დაკრეჭილ კბილებზე არეკლილი კოცონის შუქი შეჭმუხნილ შუბლს მინათებდა. ბოლოს ვთქვი: – ერთი წუთით... მეფსია!

ზორბა სემმა ღიმილით დამიქნია თავი. პირდაპირ გეტყვით: ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „მეფსიათი“ შარში კი არ გავყავი თავი, არამედ პრობლემას გავექეცი.

ქოხის უკან მოვფსი, მაგრამ ჭადრაკის სათამაშოდ აღარ დავბრუნებულვარ. ქოხიდან სიუ გამოვიყვანე და საქმის ვითარება ავუხსენი. მერე გრურკის ქოხთან მივიპარე და მაიორ ფრიჩს ჩურჩულით ვუხმე. მაიორი ფრიჩი გამოვიდა. მასაც ვუამბე, რაც ხდებოდა. მაიორმა ფრიჩმა თქვა, დროზე დავახვიოთ აქედან, სანამ მოვუხარშივართო.

მოკლედ, გაქცევა გადავწყვიტეთ. გრურკმა თქვა, მეც გამოგყვებითო. თურმე მაიორი ფრიჩი შეჰყვარებია – თუ შეილება ასე ითქვას. ოთხივე სოფლიდან გავიპარეთ და ის იყო მდინარის ნაპირზე გამოთრეულ კანოეში უნდა ჩავმსხდარიყავით, რო თავი ავნიე და ასობით აბორიგენი დავინახე, მათ შორის, ზორბა სემიც, რომელიც განაწყენებული და გაბრაზებული ჩანდა.

– კაი რა, მეგობარო, – მომმართა ზორბა სემმა, – როგორ იფიქრე, რომ ბებერ ეშმაკს გააცურებდი?

– ჩვენ მხოლოდ მთვარის შუქზე კანოეთი სეირნობას ვაპირებდით, სხვას კი არაფერს, – ვუპასუხე.

– კი, აბა, „არაფერს“! – თქვა ზორბა სემმა, მისმა ხალხმა შეგვიპყრო და სოფელში წაგვათრია. მინაში ჩარჭობილ სარებზე მიგვაბეს. ქვაბში მდულარე წყალი თუხთუხებდა. აშკარად არ გველოდა წინ ნათელი მომავალი.

– სამწუხაროდ, მეგობარო, მოვლენები შენთვის არასასიკეთოდ წარიმართა, – მითხრა ზორბა სემმა, – თუმცა, შეგიძლია გული იმით დაიმშვიდო, რომ ორ-სამ კაცს კარგად დაანაყრებ. და კიდე, იმასაც გეტყვი, რომ შენნაირ კარგ მოჭადრაკეს არასდროს შევხვედრივარ. მე კი იელში გატარებული ოთხი წლიდან სამი წელი უნივერსიტეტის ჩემპიონი ვიყავი.

– რაც შეგეხებათ თქვენ, ქალბატონო, – მაიორ ფრიჩს მიუბრუნდა, – ვწუხვარ, რომ გრურკთან თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას ბოლო უნდა მოვუდო, მაგრამ რა ვქნა, უნდა გამიგოთ.

– არაფერსაც არ გაგიგებ, ველურო, – აყვირდა მაიორი ფრიჩი, – როგორ არ გრცხვენია!

– გრურკთან ერთად ერთი ლანგრით გამოგიტანთ სუფრაზე, – ჩაიფხუკუნა ზორბა სემმა, – თეთრი და შავი

ხორცი ერთად კარგი იქნება. სიამოვნებით შევჭამ ბარ-
დაყს, ან მკერდს – მიყვარს რბილი ხორცი.

– შე გათახსირებულო! – აყვირდა მაიორი ფრიჩი.

– მლანძღეთ, რამდენიც გინდათ! – უპასუხა ზორბა
სემმა, – ახლა კი მოლხენისა და ქეიფის დროა!

სარებიდან მოგვხსნეს და იმ ტყიურებმა ქვაბისკენ
წაგვათრიეს. ჯერ საბრალო სიუ ასწიეს, ზორბა სემმა
ბრძანა, პირველი ეგ ჩააგდეთ, წვნიანს კარგ გემოს მის-
ცემსო. ის იყო, სიუს ქვაბში უნდა მოედინა ტყაპანი, რო-
საიდანღაც ისარი გამოფრინდა და ერთ-ერთი ბიჭი, რო-
მელსაც სიუ ეჭირა, უსულოდ დაენარცხა ძირს. მკვდარს
ზედ სიუ დაეცა. ტყიდან უფრო მეტი ისრები გამოფრინ-
და და ყველა დაფრთხა. ატყდა ერთი ორომტრიალი.

– პიგმეები! – აყვირდა ზორბა სემი, – შეიარაღდით! –
ყველა შუბებისა და დანებისკენ გაიქცა.

რაკი არც შუბები გვექონდა და არც – დანები, მე,
მაიორი ფრიჩი და სიუ კვლავ მდინარისკენ გავიქეციით.
სოფელს ხუთი მეტრითაც არ ვიქნებოდით დაცილებ-
ბულები, ტყეში დაგებულ ხაფანგში რო გავებით.

ხის ტოტზე ლამურებივით თავდაყირა დავეკიდეთ.
ლამის სისხლი ჩაგვექცა თავში. ამასობაში ბურქებიდან
ჩია კაცი გამოძვრა და სიცილ-ხარხარით ამოგვხედა.
სოფლიდან წივილ-კივილი და ღრიალი ისმოდა. თან-
დათან ხმაური ჩაცხრა. მერე სხვა პიგმეებიც გამოვიდ-
ნენ ტყიდან, ძირს ჩამოგვწიეს, ხელ-ფეხი შეგვიკრეს და
სოფელში დაგვაბრუნეს.

სოფელში საოცარი სანახაობა დაგვხვდა! ზორბა
სემი თავის ხალხთან ერთად შეუპყრიათ და მათთვისაც
ხელ-ფეხი შეუკრავთ. ჩანდა, მათაც ქვაბში უპირებდნენ
ჩაყრას.

– მეგობარო, ბენვზე გადარჩი! – მითხრა ზორბა სემმა.

თავი დავუქნიე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვაის გაყრილები ვუის შევეყარეთ.

– იცი რა, – განაგრძო ზორბა სემმა, – მე და ჩემ ბიჭებს, მგონი, ველარაფერი გვიშველის, მაგრამ თქვენ კიდევ გაქვთ შანსი. პიგმეების ბელადი ამერიკულ მუსიკაზე გიჟდება, როგორმე ჯიბიდან ჰარმონიკას თუ ამოიღებ და დაუკრავ, იქნებ თავი გადაირჩინოთ.

– გმადლობ რჩევისთვის, – ვუთხარი ზორბა სემს.

– არაფრის, მეგობარო, – მითხრა ზორბა სემმა.

ამასობაში ხელფეხშეკრული ზორბა სემი ხელში აიტაცეს და ქვაბთან მიარბენინეს.

– მხედარი c3-ზე და შემდეგ ეტლი e7-ზე, აი, როგორ დაგაშამათე! – მომაცხა ზორბა სემმა.

მერე დგაფუნი გაისმა და ზორბა სემის ყველა თანატომელმა „ბულა-ბულას“ ღიღინი დაიწყო. მეტისმეტად რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით!

გორბა სემის ტომის მოხარშვის და მათი თავების შეგროვების შემდეგ პიგმეებმა გრძელ სარებზე ხელ-ფეხით გოჭებივით ჩამოგვკიდეს და ჯუნგლში წაგვიყვანეს.

– როგორ ფიქრობ, რას გვიპირებენ? – დამიძახა მაიორმა ფრიჩმა.

– არ ვიცი და სულ ფეხებზე მკიდია, – ვუპასუხე და მართლაც ასე იყო. ყველაფერი ყელში ამომივიდა. ადამიანის მოთმინებასაც აქ საზღვარი.

თითქმის მთელი დღე ვიარეთ გაუვალ ტყეში და ბოლოს პანანინა ქოხებით დაფარულ ტრიალ მინდორზე გავედით. მინდვრის შუაგულში მდგარ ქოხთან მიგვათრიეს. იქ მალალ ტახტზე მჯდარ პატარა ბავშვისხელა თეთრწვერიან და უკბილო მოხუცს სხვა პიგმეები შემოხვეოდნენ. ეს ალბათ პიგმეების მეფე იყო.

მინაზე დაგვყარეს და ხელ-ფეხი გაგვიხსნეს. წამოვდექით და ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოვიფერთხეთ. პიგმეების მეფე გაურკვევლად აჩიფრიფდა, მერე ტახტიდან წამოდგა და საბრალო სიუს ფეხებშუა ამოსცხო წიხლი.

– რას ერჩის? – ვკითხე გრურკს, რომელსაც მაიორ ფრიჩთან თანაცხოვრებისას ცოტა ინგლისური ესწავლა.

– აინტერესებს, ეს მაიმუნი ბიჭია თუ გოგო, – მიპასუხა გრურკმა.

ჩემი აზრით, ამის გაგება უფრო მარტივად და უმტკივნეულოდაც შეილებოდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

მერე მეფე ჩემთან მოვიდა და გაურკვევლად აბურ-ტყუნდა თავის ენაზე – რავი, ალბათ, პიგმალიონურზე თუ რალაც ჯანდაბაზე. ვიფიქრე, ახლა მეც ფეხებშუა ამომცხებს-მეთქი, მაგრამ გრურკმა მითარგმნა:

– გეკითხება, საზიზღარ კანიბალებთან რატო ცხოვრობდიო?

– უთხარი, რო კანიბალებთან ჩვენი ნებით არ ვცხოვრობდით, – გამოცოცხლდა მაიორი ფრიჩი.

– ერთი იდეა მაქ, – წამოვიძახე, – მაგას უთხარი, რო ამერიკელი მუსიკოსები ვართ.

გრურკმა მეფეს ჩემი სიტყვები უთარგმნა. მეფემ მკაცრად შემოგვხედა და გრურკს რალაც ჰკითხა.

– რას ამბობს? – დაინტერესდა მაიორი ფრიჩი.

– გვეკითხება, მაიმუნი რას უკრავსო.

– შუბს-თქო, – ვუთხარი გრურკს და მეფემ მაშინვე მოითხოვა, თქვენი მუსიკა მომასმენინეთო.

ჰარმონიკა ამოვიღე და პატარა მელოდია – „De Camp-town Races“ – დავუკარი. პიგმეების მეფემ ერთი წუთი მისმინა, მერე ტაში შემოჰკრა და რალაც სტეპისმაგვარის ცეკვა დაიწყო.

დაკვრას რო მოვრჩი, მეფემ მკითხა, გრურკი და მაიორი ფრიჩი რას უკრავენო. გრურკს ვათარგმნინე, მაიორი ფრიჩი დანას უკრავს, ხოლო გრურკი – არაფერს, რადგან მენეჯერიაო.

პიგმეების მეფე დაიბნა, პირველად მესმის ვინმე შუბს ან დანას უკრავდესო, მაგრამ თავის ხალხს უბრძანა: სიუს შუბი მიეცით, მაიორ ფრიჩს – დანა, და ვნახოთ ერთი, რას იზამენო.

როგორც კი სიუს შუბი დააკავეს, ხოლო მაიორ ფრიჩს – დანა, დავიყვირე:

– მიდით! ახლა!

სიუმ პიგმეების მეფეს თავში ჩაარტყა შუბი, ხოლო მაიორი ფრიჩი მის ქვეშევრდომებს დანით დაემუქრა. ჯუნგლში ვდურთეთ თავი. გამწარებული პიგმეები გამოგვეკიდნენ.

პიგმეები ქვებს, ისრებს და ჩასაბერი მილებიდან შხამიან ეკლებს გვესროდნენ. უეცრად მდინარეს მივაღვეით. გასაქცევი არსაით გვექონდა. პიგმეები თითქმის დაგვეწივნენ. ის იყო მდინარეში ჩახტომას და თავის შველას გაღმა ნაპირზე გადაცურვით ვაპირებდით, რო იქიდან თოფის გასროლის ხმა მოგვესმა.

პიგმეები ჩვენ შეპყრობას აპირებდნენ, მაგრამ თოფმა კიდე ერთხელ იგრიალა. პიგმეები შეტრიალდნენ და კუდამოძუებულები ისევ ჯუნგლში დაბრუნდნენ. ყურადღებით რო დავაკვირდით, გაღმა ნაპირზე მონადირის ქურთუკიანი და ჩაფხუტიანი ორი კაცი გავარჩიეთ. Ramar of the Jungle-იდან¹ გადმომხტარებს ჰგავდნენ. კანოეში ჩასხდნენ და ჩვენკენ გამოცურეს. ახლოს რო მოვიდნენ, ერთ-ერთის ჩაფხუტზე NASA-ს ლოგო გავარჩიე. როგორც იქნა, გადავრჩით.

ნაპირს რო მოადგნენ, NASA-ს ლოგოიანი ტიპი კანოედან გადმომხტა და მოგვიახლოვდა. სიუს წინ დადგა, ხელი გაუნოდა და თქვა:

– თქვენ ალბათ, მისტერ გამპი ბრძანდებით!
– სად ჯანდაბაში იყავით ამდენ ხანს, თქვე ნაბიჭვრებო? – აყვირდა მაიორი ფრიჩი, – ოთხი წელი ამ ღვთისგან მივიწყებულ ჯუნგლებში გავატარეთ!

– უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ ხომ იცით, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც გვექონდა, – მოუბოდიშა იმ ტიპმა.

¹ 1950-იანი წლების ამერიკული ტელესერიალი მისიონერ ექიმზე

ასე იყო თუ ისე, წამებით სიკვდილს გადავრჩით. კანოეში ჩავსხედით და მდინარეს დაღმა დავუყევით.

ერთ-ერთმა ტიპმა გვითხრა:

– მეგობრებო, ცივილიზებულ სამყარომდე შორი აღარაა. თქვენს თავგადასავლებს ჟურნალ-გაზეთებს მიყიდით და ბლომად ფულს იშოვით.

– ახლავე გააჩერეთ კანოე! – აყვირდა უეცრად მაიორი ფრიჩი.

ჩვენმა გადამარჩენელებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ კანოე ნაპირთან მაინც მიაცურეს.

– გადანყვეტილება მივიღე, – განაცხადა მაიორმა ფრიჩმა, – ცხოვრებაში პირველად ვიპოვე მამაკაცი, რომელსაც ჩემი კარგად ესმის და მას არ მივატოვებ. მე და გრურკი თითქმის ოთხ წელიწადს ბედნიერად ვცხოვრობდით ამ მინაზე და მასთან ვრჩები. ჯუნგლში ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, შვილებს გავაჩენთ და სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად ვიცხოვრებთ.

– ეს კაცი ხომ კანიბალია?! – შეეკამათა ერთ-ერთი კაცი.

– ეგ შენი საქმე არაა, მათხოვარო, – უღრიალა მაიორმა ფრიჩმა, გრურკთან ერთად გადავიდა კანოედან და ხელიხელჩაკიდებულები ჯუნგლისკენ წავიდნენ. სანამ თვალს მოეფარებოდნენ, მაიორი ფრიჩი შემობრუნდა და მე და სიუს ხელი დაგვიქნია.

აღელვებული სიუ თითებს იმტვრევდა.

– ერთი წუთით, – ვუთხარი იმ ტიპებს და ნავის ბოლოს მჯდარ სიუს მივუჯექი, – აბა, შენ რას ფიქრობ?

სიუს არაფერი უთქვამს, მაგრამ მის თვალებში ცრემლები შევამჩიე. მაშინვე ვიაზრე, რაც მოხდებოდა. სიუ გადამეხვია, გულში მაგრად ჩამიკრა, მერე კანოედან გადახტა და მდინარის პირას მდგარ ხეზე აძვრა. ბოლოს ლიანაზე ჩამოკიდებულს მოვკარით თვალი.

NASA-ს ლოგოიანმა ტიპმა გამკიცხავად გააქნია თავი.

– შე რას იზამ, გამოშტერებულო? შენც გაყვები შენს მეგობრებს ამ ველურლანდიაში?

კარგა ხანს ვიყურებოდი ტყისკენ და მერე ვთქვი: – ნნუ!

ისევ კანოეში ჩავჯექი და გავცურეთ. სიმართლეს გეტყვით, კი, გავიფიქრე, მეც ხო არ დავრჩენილიყავი-მეთქი, მაგრამ რატომღაც ვერ შევძელი ამ ნაბიჯის გადადგმა. ათასი საქმე მქონდა მოსაგვარებელი.

ამერიკაში თვითმფრინავით დამაბრუნეს. წინასწარ გამაფრთხილეს, საზეიმო მიღებას მოგიწყობენო. სიმართლე გითხრათ, საზეიმო მიღებები არცთუ კარგად მაქ დაცდილი.

მართლაც, ვაშინგტონში ზღვა ხალხი დამხვდა, ყველა ტაშს მიკრავდა, შეძახილებით მამხნევებდა და ჩემი დანახვით ბედნიერი ჩანდა. დიდი, შავი მანქანის უკანა სავარძელზე დამსვეს და ქუჩაში გამატარეს, მითხრეს, „თეთრ სახლში“ პრეზიდენტთან უნდა წაგიყვანოთო. ჰო, არც პრეზიდენტთან სტუმრობა იყო ჩემთვის უცხო.

მოკლედ, მივედი „თეთრ სახლში“ და მეგონა, ისევ იმ პრეზიდენტს ვნახავდი, საუზმით რო გამიმასპინძლდა და The Beverly Hillbillies-ს მაყურებინა, მაგრამ ვიღაც ახალი დამხვდა უკან გადავარცხნილი თმით, პუტკუნა ლოყებით და პინოკიოს ცხვირით.

– აბა, მომიყევით, – მთხოვა პრეზიდენტმა, – ალბათ წარმოუდგენელი ამბები გადაგხდათ თავს.

იქვე მდგარი კოსტიუმიანი კაცი პრეზიდენტისკენ დაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

– აჰ, ჰო, იმას ვგულისხმობდი, რომ ალბათ ბედნიერი ხართ, ჯუნგლში განსაცდელს რომ თავი დააღწიეთ, – თქვა უეცრად პრეზიდენტმა.

კოსტიუმიანმა კაცმა კიდევ რაღაც ჩასჩურჩულა პრეზიდენტს და მანაც განაგრძო:

– თქვენს თანამგზავრზე რას მეტყვით?

– სიუზე?

– სიუ ერქვა? – პრეზიდენტმა პატარა ბარათს დახედა, ხელში რო ეჭირა, – აქ წერია, რომ მაიორი ჯენეტ ფრიჩი ერქვა. თქვენ რომ გადაგარჩინეს, ის კანიბალს ტყეში გაუტაცია.

– ეგ სად წერია?

– აი, აქ, – მიჩვენა პრეზიდენტმა.

– შეცდომაა.

– მაშ, მე ვტყუი? – მკითხა პრეზიდენტმა.

– არა, მხოლოდ ის ვთქვი, შეცდომაა-მეთქი.

– იცით, რას გეტყვით, – გაბრაზდა პრეზიდენტი, – მე თქვენი მთავარსარდალი ვარ, ვილაც ცრუპენტელა კი არა. მე არ ვიტყუები!

– ბოდიში, მაგრამ ვილაცას მაგ ბარათზე მაიორი ფრიჩის შესახებ შეცდომით ჩაუნერია, მაგრამ...

– ჩაუნერია-ა?!

– ჰა? – ვერ მივუხვდი პრეზიდენტს.

– არა, არა, სერ, – დაფაცურდა კოსტიუმიანი კაცი, – უნდოდა ეთქვა „დაუნერია“ და არა – „ჩაუნერია“, ბატონო პრეზიდენტო!

– „ჩაუნერია“! – აყვირდა პრეზიდენტი, – ხომ გითხარით, ჩემი თანდასწრებით ეს სიტყვა არასდროს გამოიყენოთ-მეთქი, თქვე მოლალატე კომუნისტო ლორებო!

პრეზიდენტი მუხლებზე მუშტებს ირტყამდა.

– ვიმეორებ, სიცრუეა! მე არაფერი ვიცი! არაფერი მომისმენია! რაც მოვისმინე, დამავინყდა ან ზესაიდუმლოა.

– ბატონო პრეზიდენტო, მისტერ გამპი სულ სხვა რამის თქმას ცდილობდა...

– ახლა თქვენც მატყუარას მიწოდებთ! – წამოიყვირა პრეზიდენტმა, – დათხოვნილი ხართ!

– კი, მაგრამ მე ვერ დამითხოვთ, – უთხრა კოსტიუმ-იანმა კაცმა, – ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

– ჰოდა, თუ თქვენი მთავარსარდლისთვის მატყუარის იარლიყის მიწებებას არ მოეშვებით, პრეზიდენტობას ვერასდროს ეღირსებით! – თქვა პრეზიდენტმა.

– ჰო, მგონი, მართალს ბრძანებთ. მაპატიეთ, – მოუბოდიშა ვიცე-პრეზიდენტმა.

– არა, მე მაპატიეთ, – მოუბოდიშა პრეზიდენტმა.

– კარგი, მგონი, ყველაფერში გავერკვიეთ, – ყოყმანით თქვა ვიცე-პრეზიდენტმა, – ახლა კი, თქვენი ნებართვით, ცოტა ხნით გავალ, მეფსია.

– მშვენიერი აზრია, – შეაქო პრეზიდენტმა. მერე მე მომიბრუნდა და მკითხა: – თქვენ ის ყმანვილი არ ბრძანდებით, პინგ-პონგს რომ თამაშობდა და ბებერი თავმჯდომარე მათ სიკვდილისგან იხსნა?

– კი, – ვუპასხე.

– რატომ მოიქეცით ასე?

– იმიტო რო, იხრჩობოდა.

– კი არ უნდა გადაგერჩინათ, პირიქით, ამოყვინთვის საშუალება არ უნდა მიგეცათ! – მითხრა პრეზიდენტმა, – რა გაეწყობა, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. სანამ თქვენ ჯუნგლში იყავით, ეგ ნაბიჭვარი უკვე ჩაძალდა.

– ტელევიზორი გაქვთ? – ვკითხე პრეზიდენტს.

პრეზიდენტმა გაკვირვებით შემომხედა.

– კი, მაქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს იშვიათად ვუყურებ. სულ ცუდ ამბებს გადმოსცემენ.

– The Beverly Hillbillies-ს არ უყურებთ ხოლმე?

– ჯერ არ გადის.

– ახლა რა გადის?

– „To Tell the Truth“¹, მაგრამ ნახვას არ გირჩევთ, დიდი სისულელეა, – მერე დაამატა, – მისმინეთ, შეხვედრაზე მეჩქარება. ხომ არ გაგაცილოთ?

პარმალზე რო გავედით, პრეზიდენტმა ხმადაბლა მითხრა:

– არ გინდათ, მაჯის საათი იყიდოთ?

– ჰა? – შევცბი.

პრეზიდენტი ახლოს მოვიდა და პიჯაკის სახელო აინია; მკლავზე ოცამდე მაჯის საათი მაინც ეკეთა.

– ფული არ მაქ, – ვუთხარი.

პრეზიდენტმა სახელო ჩამოიწია და ზურგზე ხელი მომითათუნა.

– მაშინ, როცა ფული გექნება, მოდი და რამეს მოვიფიქრებთ. ოქეი?

მერე ხელი ჩამომართვა. მაშინვე ფოტოგრაფებმა მოირბინეს და ფოტოები გადაგვიღეს. ასე დავემშვიდობე პრეზიდენტს. სხვათა შორის, ეს პრეზიდენტი საკმაოდ კაი ტიპი აღმოჩნდა.

საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ახლა რალა ბედი მენევა-მეთქი. პასუხმა არ დააყოვნა. ორიოდ დღეში ჩემი დაბრუნებით გამონვეული აჟიოტაჟი ჩაცხრა და სასტუმროში ორი კაცი მესტუმრა.

– გამპ, – მომმართა ერთ-ერთმა, – სხვის ხარჯზე ცხოვრება დამთავრდა. სახელმწიფო აღარ დაგაფინანსებს. ამიერიდან საკუთარ თავს თვითონ მიხედე.

– კარგი, – ვუთხარი, – მაგრამ იქნებ შინ დასაბრუნებლად ცოტა ფული მომცეთ? ამ წუთას ცენტი არ მიდევს ჯიბეში.

¹ „სიმართლე ითქვას“ – ამერიკული ტელევიქტორინა, რომელიც 1956-2002 წლებში სხვადასხვა ამერიკული არხის ეთერში გადიოდა.

– დაივიწყე, გამპ! იმისთვისაც მადლობა თქვი, სენ-ატის მდივნისთვის მედლით თავის გატეხის გამო რომ ციხეს გადაურჩი. მორჩა, ჩვენ ხელეები დაგვიბანია.

ამგვარად, სასტუმროდან წამოვედი. ბარგი მაინც არ მქონდა და პირდაპირ ქუჩაში გავედი. ცოტა გავისეირნე. „თეთრი სახლის“ წინ ჩავლისას პრეზიდენტისნიღბიანი ხალხი დავინახე, ხელში პლაკატები ეჭირათ. პრეზიდენტს ალბათ, ძალიან სიამოვნებდა, ხალხს ასე ძალიან რო უყვარდა.

მართალია, ფულს აღარ მოგცემთო, მითხრეს, მაგრამ სასტუმროდან წამოსვლამდე, ერთ-ერთმა კაცმა დოლარი მასესხა. პირველივე სატელეფონო ჯიხურიდან იმ უსახლკაროთა თავშესაფარში დავრეკე, სადაც დედაჩემი ცხოვრობდა. ვიფიქრე, გავაგებინებ, რო კარგად ვარ-მეთქი. თუმცა, მოწყალების დამ მიპასუხა:

– მისის გამპი ჩვენთან აღარ ცხოვრობს.

ვკითხე, სად წავიდა-მეთქი და მოწყალების დამ მითხრა:

– რა ვიცი, ვილაც პროტესტანტთან ერთად გაიქცა.

მოწყალების დას მადლობა გადავუხადე და ყურმილი დავკიდე. რატომღაც გულზე მომეშვა. დედა უსახლკაროთა თავშესაფარში აღარ ცხოვრობდა და თან, იქიდან მარტო არ წასულა. მის მოძებნას დიდად აღარ ვჩქარობდი, მაინც უნდა მიყვიროს და იტიროს, სახლიდან რო წავედი და უპატრონოდ დავტოვე-მეთქი.

განვიმდა. თავსხმა წამოვიდა. საჩეხს შევაფარე თავი, მაგრამ შენობიდან ვილაც ტიპი გამომივარდა და გამაგდო. რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულების შენობასთან ჩავლისას, გალუმპულმა და სიცვივისგან აცახცახებულმა, შუა ტროტუარზე ნაგვის პლასტიკის ტომარა დავინახე. რო მივუახლოვდი, ტომარა შეირხა. ქვეშ აშკარად ვილაც იწვა.

ტომარას ფეხის წვერი წავკარი. უეცრად ტომარა შეხტა და ვილაცამ იღრიალა:

– დაახვიე აქედან!

– რომელი ხარ? – ვკითხე.

– ეს ჩემი ცხაურაა, – მიპასუხა ხმამ, – წადი და შენთვის სხვა იპოვე!

– ვერაფერი გავიგე!

– ეს ჩემი ცხაურაა, მომწყდი თავიდან!

– რა ცხაურა?

უცებ ტომრის ქვემოდან ვილაცამ გამოყო თავი და ისე მომაშტერდა, თითქოს იდიოტი ვიყავი.

– შენ რა, აქაური არა ხარ? – მკითხა.

– არა, – ვუპასუხე, – წვიმისგან დამალვას ვცდილობ.

ნახევრად მელოტმა, უკბილო, წვერგაუპარსავმა და თვალეზრასისხლიანებულმა ტიპმა დამწუხრებულმა შემომხედა.

– მაშ, თუ ეგრეა, ცოტა ხნით დარჩი, – მითხრა და მეორე, დაკეცილი ტომარა გამომიწოდა.

– ამას რა ვუყო?

– გახსენი და გადაიფარე, შე ლენჩო. ხო თქვი, წვიმისგან დამალვა მინდაო.

დავუჯერე და სიმართლე გითხრათ, საკმაოდ მყუდრო ბუდე მოვიწყვე. ცხაურიდან სითბო ამოდიოდა, ხოლო ტომარა წვიმისგან მიცავდა. კარგა ხნის შემდეგ ბიჭმა მკითხა:

– რა გქვია?

– ფორესტი.

– მართლა? დიდი ხნის წინათ ერთ ფორესტს ვიცნობდი.

– შენ რა გქვია? – ვკითხე.

– დენი.

– დენი? დენი... ერთი წუთით! – წამოვხტი და ბიჭს ტომარა გადავხადე. ის იყო! უფეხო იწვა გორგოლაჭებიან ურიკაზე. ოცი წლით დაბერებულს გავდა, მა-

გრამ მაინც ვიცანი ჩემი მეგობარი, ლეიტენანტი დენი.

სამხედრო ჰოსპიტლიდან განერის შემდეგ დენი კონექტიკუტში დაბრუნებულა, იქნებ სკოლაში მასწავლებლის თანამდებობაზე აღმადგინონო. სკოლაში ისტორიის მასწავლებლის ადგილი აღარ ჰქონიათ და მათემატიკისა მიუციათ. მათემატიკა სძულდა, თანაც, მათემატიკის გაკვეთილი მეორე სართულზე ტარდებოდა და უფეხო დენისთვის იქ ასვლა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. გარდა ამისა, ცოლი ნიუ-იორკელ ტელეპროდიუსერთან ერთად გაქცეულიყო და სასამართლოში გაყრის მოთხოვნით საჩივარი შეეტანა, მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ვერ ვენწყობითო.

დენს სმა დაუნყია, სამსახურიდან დაუთხოვიათ და კარგა ხანს უსაქმურად ყოფილა. მისი სახლი გაუძარცვავთ, ხოლო ვეტერანთა საავადმყოფოში მიცემული ხელოვნური ფეხები შეუსაბამო ზომის აღმოჩენილა. რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია და მანანნალასავით დაუნყია ცხოვრება. ყოველ თვეში ინვალიდის მცირე პენსიას აძლევდნენ, მაგრამ იმასაც სხვა მანანნალებს უნანილებდა.

– რა გითხრა, ფორესტ, მგონი, სიკვდილს ველოდები, ცხოვრებაში სხვა აღარაფერი დამრჩენია.

დენმა რამდენიმე დოლარი მომცა, აქვე, კუთხეში ერთი მაღაზიაა, წადი და ორი ბოთლი ღვინო იყიდეო. ღვინო მხოლოდ დენისთვის წამოვიღე, მეორე ბოთლის ფულით ჩემთვის სენდვიჩი ვიყიდე, რადგან მთელი დღე არაფერი მეჭამა.

– აბა, მეგობარო, მომიყევი, რა გადაგხდა თავს მას შემდეგ, რაც ბოლოს გნახე, – მითხრა დენმა ბოთლის ნახევრამდე გამოცლის შემდეგ.

მეც ვუამბე როგორ გავემგზავრე ჩინეთში პინგ-

პონგის სათამაშოდ, როგორ ვიპოვე ჯენი კერენი ხელახლა და მასთან ერთად მუსიკალურ ჯგუფში ვუკრავდი, როგორ ვესროლე ანტისაომარ დემონსტრაციაზე სენატის მდივანს მედალი, რისთვისაც კინალამ ციხეში მოვხვდი.

– ჰო, ეგ მახსოვს. მგონი, მაშინ ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვინექი. მაგ დემონსტრაციაში მონაწილეობას მეც კი ვფიქრობდი, მაგრამ მედლის გადაგდებას ნაღდად არ ვაპირებდი.

დენმა ქურთუკი ჩაიხსნა და პერანგზე მიმაგრებული „მენამული გული“, „ვერცხლის ვარსკვლავი“ და კიდე ათამდე მედალი მიჩვენა.

– ეს მედლები რალაცას მახსენებს, – თქვა მან, – ზუსტად არ ვიცი, რას. ფორესტ, ომში მე მხოლოდ ფეხები არ დამიკარგავს, ჩემი ნებისყოფა – გნებავს, ჩემი სული – დავკარგე. ეს მკერდი, რომელზეც მედლები მაბნევია, შიგნით მთლიანად ცარიელია.

– „ბუნების კანონებზე“ რას იტყვი, რომელიც ყველაფერს განსაზღვრავს? – ვკითხე მე, – ან „დიდსქემაზე“, რომელშიც ყველამ ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ?

– მიმიფურთხებია მაგ ფილოსოფიური აბდაუბდისთვის! – მიპასუხა ლეიტენანტმა დენმა.

– მე კიდე ჩვენი საუბრებიდან მოყოლებული, მაგ შენი ფილოსოფიით ვცხოვრობ. დინებას მივყვები და თავს არ ვზოგავ, რო ყოველთვის სწორად მოვიქცე.

– როგორც ჩანს, შენ ასე განყოფილ. უნინ მეც ასე მეგონა, მაგრამ ერთი შემომხედე, ფორესტ... ერთი შემომხედე! – თქვა ლეიტენანტმა დენმა. – ვინ ვარ მე? ერთი უფეხო მახინჯი. მანანნალა. ლოთი. ოცდათხუთმეტი წლის მათხოვარი!

– უარესიც შეილებოდა მომხდარიყო, – ვთქვი.

– ჰოო? ვითომ?

მგონი, მიმიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და მეც ჩემი თავგადასავლის თხრობა გავაგრძელე. მოვუყევი, როგორ მომათავსეს საგიჟეთში, რაკეტით კოსმოსში გამგზავნეს და დედამინაზე დაბრუნებული, სიუსთან და მაიორ ფრიჩთან ერთად ჯერ კანიბალებმა, მერე პიგ-მეებმა შემიპყრეს.

– ღმერთო დიდებულო, ფორესტ, მეგობარო, თავგადასავალიც ამას ჰქვია! – თქვა დენმა, – აქ ამ ცხაურაზე ნაგვის ტომრის ქვეშ ჩემ გვერდით როგორ აღმოჩნდი.

– რავი, – მხრები ავიჩიჩე, – აქ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებ.

– მაშ, რას აპირებ?

– წვიმას გადაიღებს თუ არა, ტრაკს ავწევ და ჯენი კერენის მოსაძებნად წავალ.

– სად?

– არც ეგ ვიცი, – ვუპასუხე, – მაგრამ სადმე ვიპოვი.

– მგონი, დახმარება დაგჭირდება.

დენს გავხედე. ხშირ წვერსა და თმაში ჩაკარგული თვალები უელვარებდა. რატომღაც ასეთი შეგრძნება დამეუფლა, რო დახმარება მე კი არა, მას სჭირდებოდა. თუმცა, ჩემთვის სულერთი იყო.

წვიმამ არ გადაიღო და მე და დენმა უსახლკაროთა თავშესაფარში გავათიეთ ღამე. დენმა ჩვენი ვახშმისთვის დოლარი გადაიხადა, ორი სანოლისთვის კი – ორმოცდაათი ცენტი. სხვათა შორის, ვახშამს უფასოდ გაჭმევდნენ, ოღონდ ჯერ ქადაგებისთვის უნდა მოგვესმინა. დენმა მითხრა: მირჩევნია თავსხმაში ვიძინო, ვიდრე ვიღაც ენაგატლეკილმა მქადაგებელმა სამყაროს მისეული ხედვა მუშტების ბრახუნით თავს მომახვიოსო.

დილით დენმა დოლარი მასესხა და სატელეფონო ჯიხურიდან ბოსტონში Cracked Eggs-ის დრამერს, მოუზს, დავურეკე. ძალიან გაუკვირდა ჩემი ხმის გაგონება.

– ფორესტ, შენა? დაუჯერებელია! – წამოიძახა მოუზმა, – ცოცხალი თუ იყავი, აღარ გვეგონა.

Cracked Eggs დაშლილა. მისტერ ფიბლსტაინის ფული სულ დაუხარჯავთ, ხოლო მეორე ალბომის ჩანერის შემდეგ მათთან კონტრაქტი აღარ გაუგრძელებიათ. მოუზმა მითხრა, ხალხი ახლა Rolling Stones-ის და Eagles-ის მუსიკას უსმენსო; ჯგუფის დაშლის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა ნამდვილი სამსახური იშოვესო.

ჯენიზე კარგა ხანია არაფერი გვსმენიაო, – მითხრა მოუზმა. ვაშინგტონის ანტი-საომარი დემონსტრაციებიდან ცოტა ხნით ისევ ჯგუფში დაბრუნებულა, მაგრამ ძალიან შეცვლილა. ერთხელ სცენაზე ატირებულა და კონცერტი ინსტრუმენტული მუსიკით დაუსრულებიათ. მერე არყის სმა და კონცერტებზე დაგვიანება დაუწყია. ჯგუფის წევრები უკვე მასთან დალაპარაკებას აპირებდნენ, მაგრამ თითონვე უთქვამს, ჯგუფიდან მივდივარო.

მოუზმა ისიც მითხრა, ჯენის ხასიათის ცვლილება რალაციით შენთან იყო დაკავშირებული, თუმცა, თავად ჯენი ამაზე არაფერს ამბობდაო; რამდენიმე კვირაში ბოსტონიდან წავიდა, ჩიკაგოში მივდივარო, და მას შემდეგ ხუთი წელია, აღარ მინახავსო, – დაასრულა მოუზმა.

ვკითხე: იქნებ როგორმე მასთან დაკავშირება შევძლო-მეთქი და მოუზმა საიდანღაც ჯენის დატოვებული ტელეფონის ნომერი გამოქეცა: – მისამართი არ ვიცი, აბა, ამ ნომერზე დარეკვა სცადეო.

მოუზს დავემშვიდობე, თავს გაუფრთხილდი და თუ ბოსტონში მოვხვდი, უეჭველად გინახულებ-მეთქი.

– ჰარმონიკას კიდევ უკრავ? – მკითხა მოუზმა.

– კი, ხანდახან.

დენისგან კიდევ ერთი დოლარი ვისესხე და ჩიკაგოში დავრეკე.

– ჯენი კერენი... აა, ჯენი? – ვილაც ბიჭმა მიპასუხა, – კი, მახსოვს. კაი ტაკო ქონდა! კარგა ხანია, არ მინახავს.

– ხო არ იცით, სად შეილება იყოს?

– ასე თქვა, ინდიანაპოლისში მივდივარო. ვინ იცის? მგონი, Temperer-ში სამსახური იშოვა.

– სად?

– Temperer-ში – საბურავების ქარხანაში. მანქანებისთვის საბურავებს უშვებენ.

ბიჭს მადლობა გადავუხადე და დენთან დავბრუნდი.

– ინდიანაპოლისში არასდროს ვყოფილვარ, – მითხრა მან, – ამბობენ, შემოდგომაზე ძალიან ლამაზიაო.

ვცადეთ ვაშინგტონიდან ვინმეს დავმგზავრებოდით, მაგრამ მანქანა არავინ გაგვიჩერა. ერთმა სატვირთომ ქალაქიდან გაგვიყვანა, ეს იყო და ეს. ეტყობა, გორგოლაჭიან ურიკაზე მჯდარი დენი და მის გვერდით მდგარი სქელტრაკა გოლიათი ერთად უცნაური სანახავები ვიყავით. ბოლოს დენმა შემომთავაზა: – მოდი, ავტობუსით წავიდეთ, ბილეთისთვის სამყოფი ფული მაქვსო. სიმართლე გითხრათ, დენის ფულის ხარჯვა მენანებოდა, მაგრამ ვატყობდი, რო დენს ნამდვილად უნდოდა წამოსვლა. მეც ვიფიქრე, იქნებ ვაშინგტონიდან გასვლა ცოტათი წაადგეს-მეთქი.

ინდიანაპოლისის ავტობუსი გავაჩერეთ. დენი გვერდით მოვისვი, მისი ურიკა კი ზედა თაროზე შემოვდე. დენი მთელი გზა ღვინოს ყლურწავდა და იგინებოდა, ეს რა ბინძურ სამყაროში ვცხოვრობთო. შეილება მართალიც იყო. რავი, მე ხო იდიოტი ვარ!

ავტობუსიდან ინდიანაპოლისის ცენტრში ჩამოვედით. მე და დენი ქუჩაში ვიდექით და ვერ მოგვეფიქრებინა, სად წავსულიყავით, როცა პოლიციელი მოგვიახლოვდა და დაგვიტატანა:

– ქუჩაში უსაქმოდ ნუ დაყუდებულხართ!

ჩვენც იქაურობას გავეცალეთ. დენმა ერთ გამვლელს ჰკითხა, ხო არ იცით, საბურავების ქარხანა სად არისო. იმ ბიჭმა გვიპასუხა, ქალაქგარეთო, და ჩვენც იქით წავედით. ცოტა ხანში ტროტუარი დასრულდა და დენს ურიკის გაგორავება გაუჭირდა. მაშინ ცალ ილლიაში დენი ამოვიჩარე, მეორეში – მისი ურიკა და გზა ასე გავაგრძელეთ.

შუადღისას დიდი აბრა დავინახეთ. აბრაზე Temperer Tires ეწერა. დენმა მითხრა, გარეთ დავიციდით. მე შიგნით შევედი. იქ მაგიდასთან ქალი იჯდა. ვკითხე: ჯენი კერენი სად ვნახო-მეთქი. ქალმა სიაში ჩაიხედა და მიპასუხა: ჯენი კერენი „გადამუშავების“ განყოფილებაში მუშაობს, მაგრამ გარეშე პირი იქ ვერ შევაო. დავიბენი, არ ვიციოდი, რა მექნა, მაგრამ ქალმა თითონ მითხრა:

– მისმინე, ძვირფასო, ორიოდ წუთში შესვენება დაიწყება და იქნებ გარეთ დაელოდო. იმედია, ის გოგოც გამოვა.

ასეც მოვიქეცი.

მალე შენობიდან უამრავი ადამიანი გამოვიდა. და აი, ჯენი კერენიც გამოჩნდა! ეზოში ხის ქვეშ ჩამოჯდა და ქალაქის პაკეტიდან სენდვიჩი ამოიღო. უკნიდან მივეპარე და ვუთხარი:

– გემრიელ სენდვიჩს გავს!

ჯენი არც კი შემობრუნებულა, ისე თქვა:

– ფორესტ, შენა ხარ?!

პირდაპირ გეტყვით, დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრა ასე ძალიან არასდროს გამხარებია. მე და ჯენი აცრემლებული ვეხვეოდით ერთმანეთს, ჯენის თანამშრომლები გაკვირვებულები გვიყურებდნენ. ჯენიმ მითხრა, კიდევ სამი საათი უნდა ვიმუშაოო და მე და დენს ქუჩის გადაღმა ერთი ტავერნა მიგვასწავლა, იქ ლუდი დალიეთ და დამელოდეთ, მერე ჩემს ბინაში წაგიყვანთო.

ტავერნაში დენმა ლუდის ნაცვლად ისევ ღვინო შეუკვეთა.

ჩვენ გარდა იქ ბლომად ხალხი იყო. დარტსს თამაშობდნენ და მაგიდასთან ერთმანეთს მკლავის გადანევაში ეჯიბრებოდნენ. ერთი ტიპი აშკარად ტავერნის ჩემპიონი უნდა ყოფილიყო მკლავჭიდში, დროდადრო ეჯიბრებოდნენ, მაგრამ ვერავინ ამარცხებდა. ამ ტიპზე ხუთ ან ათ დოლარს ჩამოდიოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ დენმა გადმომჩურჩულა:

– ფორესტ, შეგიძლია მაგ ტიპს მკლავი გადაუნო?

რავი-მეთქი – ვუპასუხე,

– რავი, კი არა, შეგიძლია! აგერ, ხუთ დოლარს ჩამოვდივარ!

ფული გამოვართვი და იმ ტიპთან მივედი.

– შეილება მკლავჭიდში შეგეჯიბრო?

იმ ტიპმა ამომხედა და ღიმილით მითხრა:

– თუ ფული გაქვს, რატომაც არა?!

მოკლედ, მის პირდაპირ დავჯექი, ხელი ხელში ჩავავ-

ლე, ვილაცამ დაიძახა, მიდითო და მკლავჭიდი დაიწყო. ის ტიპი კუჭში შეკრულივით ოხრავდა და იჭინთებოდა, მაგრამ ათ წამში მკლავი მაგიდაზე დავადებინე და დავამარცხე. ყველა ჩვენ გარშემო შეგროვდა. დენის ყიჟინა მომესმა.

ჩემმა მეტოქემ ხუთი დოლარი გადამიხადა და დამწუხრებული ადგა მაგიდიდან.

– იდაყვი გამიცურდა, – თქვა მან, – აქ კიდე თუ შემოხვალ, მე და შენ ისევ შევეჯიბრებით. გასაგებია?

მე თავი დაუუქნიე და ჩვენს მაგიდასთან დავბრუნდი. დენს ფული მივეცი.

– ფორესტ, მგონი, პურის ფულის შოვნის ხერხს მივაგენით, – მითხრა მან.

ვთხოვე: ოცდახუთი ცენტი მომე, ერთ ქილა დამწნილებულ კვერცხს ვიყიდი-მეთქი. დენმა ერთი დოლარი მომცა და მითხრა:

– რაც გინდა, აილე, ფორესტ. ამიერიდან თავის გატანა აღარ გაგვიჭირდება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ტავერნაში ჯენიმ შემოიარა და ქარხანასთან ახლომდებარე თავის პატარა ბინაში წაგვიყვანა. იქაურობა ცხოველის ფიტულებით მოერთო, ხოლო საძინებლის კარზე ფერადი მძივების ფარდა დაეკიდა. საბაყლოში ნაყიდი ქათმის ხორციით ჯენიმ მე და დენს ვახშამი მოგვიმზადა. ნავახშმევს ყველაფერი ვუამბე, რაც მასთან ბოლო შეხვედრის შემდეგ შემემთხვა.

ჯენი ყველაზე მეტად მაიორი ფრიჩით დაინტერესდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ მაიორი ფრიჩი კანიბალთან ერთად ჯუნგლებში დარჩა, შვებით ამოისუნთქა. მერე მისი ჯერი დადგა. თურმე ეს ბოლო წლები არც ჯენისთვის იყო ბედის საჩუქარი.

Cracked Eggs-იდან წასული ჯენი ნაცნობ პაციფისტ გოგოს ჩიკაგოში გაჰყოლია. იქაც ბევრ დემონსტრაციაში მიუღია მონაწილეობა და ციხეშიც არაერთხელ მოხვედრილა. ბოლოს სულ სასამართლოში წონიანი მობეზრებია – თანაც, სასამართლეობის სია ძალიან დამიგრძელდაო, – თქვა.

ჩიკაგოში თხუთმეტ კაცთან ერთად ვცხოვრობდი, არც ერთი არ მომწონდაო, განაგრძო ჯენიმ, – საცვლები იმათ არ ეცვათ და უნიტაზს არასდროს რეცხავდნენო.

ის და ერთი ბიჭი ცალკე ბინაში გადასულან (სხვებთან ერთად ცხოვრება არც იმ ბიჭს მოსწონდაო), მაგრამ არც ამას უშვებია.

– იცი, ფორესტ, იმ ბიჭის შეყვარებაც კი ვცაადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სულ შენზე ვფიქრობდი.

დედამისისთვის წერილი მიუწერია, დედაჩემისთვის წერილი მიეწერა და ეკითხა, მე სად ვიყავი. დედამისს მოუწერია: გამპების სახლი დაინვა, ხოლო ფორესტის დედა უსახლკაროთა თავშესაფარში ცხოვრობსო. თუმცა, სანამ ეს წერილი ჯენიმდე მოაღწევდა, დედაჩემი ვილაც პროტესტანტთან ერთად გაიქცა უსახლკაროთა თავშესაფრიდან.

ჯენის ფული აღარ ქონდა. გაუგია, საბურავების ქარხანაში მუშები სჭირდებათო და ინდიანაპოლისში ჩამოსულა. სწორედ იმ დროს ტელევიზორში უჩვენებიათ, რო კოსმოსში მივფრინავდი, მაგრამ ჰიუსტონში ჩამოსვლა ვეღარ მოუხსნია. მითხრა: შეძრწუნებულმა მოვისმინე, როგორ დაიმსხვრა შენი კოსმოსური ხომალდიო და უფიქრია, რო უკვე მოვკვდი. მას შემდეგ „საბურავების გადამუშავების განყოფილებაში“ გაჰყავდა დრო.

ჯენის მკლავები შემოვხვით და კარგა ხანს ასე ჩა-

ხუტებულები ვიდექით. დენი ტუალეტში შეგორდა, მეფსიაო. ჯენიმ მკითხა, თითონ როგორ მოფსამს, დახმარება არ სჭირდებაო.

– არა, თითონაც იზამს. მინახავს, ამას როგორ აკეთებს, – ვუთხარი.

– აი, სადამდე მიგვიყვანა ვიეტნამის ომმა, – თავი გააქნია ჯენიმ.

მართალიც იყო. სევდიანი სანახავია, როცა საბრალო უფეხო კაცი თავის ქუდში აფსამს და ფსელს უნიტაზში ასხამს.

მე და დენი ჯენის პატარა ბინაში დავსახლდით. ჯენიმ დენს სასტუმრო ოთახის კუთხეში ლეიბი დაუგო და ტუალეტში მინის ქილა დაუდგა, რო ქუდის გამოყენება აღარ დასჭირვებოდა. ყოველ დღით ჯენი ქარხანაში სამუშაოდ მიდიოდა, მე და დენი ბინაში ვისხედით და ვსაუბრობდით. ნაშუადღევს ჯენის სამსახურიდან გათავისუფლებას ქუჩის გადაღმა, ტავერნაში ველოდით.

პირველ კვირას ის ტიპი, მკლავჭიდში რო დავამარცხე, ყოველდღე მეჯიბრებოდა. ხუთ დღეში ხუთჯერ გადავუწიე მკლავი და ოცდახუთი დოლარი მოვუგე. მას მერე, ის ტიპი აღარ გამოჩენილა. თუმცა, ის სხვა ბიჭებმა ჩაანაცვლეს. მალე ისე გავითქვი სახელი, მთელი ინდიანაპოლისის და ახლომახლო პატარა ქალაქების მცხოვრებლებიც მოდიოდნენ ჩემთან ბედის საცდელად. მე და დენი კვირაში 150-200 დოლარს ვშოულობდით, რაც არცთუ ცოტა იყო, მე თუ მკითხავთ. ტავერნის მეპატრონემ ეროვნული ჩემპიონატის გამართვა გადაწყვიტა, ტელევიზიას გავაშუქებინებ და რამეო. თუმცა, მანამდე ისეთი რალაც მოხდა, რამაც კიდე ერთხელ შეცვალა ჩემი ცხოვრება.

ერთ დღეს ტავერნაში ერთი ჭრელპერანგიანი,

თეთრპიჯაკიანი და ოქროსძენკვიანი კაცი შემოვიდა. დახლთან იჯდა და იქიდან დაინახა, როგორ გადავუნე ერთ ბიჭს მკლავი. ჩვენს მაგიდასთან მოვიდა და მე და დენს გვერდით მოგვიჯდა.

– მაიკი მქვია, – გამეცნო, – შენზე მსმენია.

დენმა ჰკითხა: რა გსმენიაო. მაიკმა უპასუხა:

– ის, რომ ეს ბიჭი მსოფლიოში უღონიერესია.

– მერე რა? – ჰკითხა დენმა.

– ერთი იდეა მაქვს, როგორ ვიშოვოთ ბლომად ფული. რასაც აქ აკეთებთ, ეს გროშებია!

– როგორ? – დაინტერესდა დენი.

– როგორ და, პროფესიონალური ჭიდაობით! რეს-ლინგით! ასი ათასობით ფულიანი მაყურებლის თვალ-წინ რინგზე ჭიდაობით!

– და ვის უნდა ეჭიდაოს? – ჩაეძია დენი.

– ვისაც გინდა, – უპასუხა მაიკმა, – პროფესიონალ რესლერებს რა დალევს? „ნილბიანი მარველი“, „ნარ-მოუდგენელი ჰალკი“, „საუცხოო ჯორჯი“, „ბინძური მაკსვაინი“ – ნებისმიერი აირჩიეთ. საუკეთესოები წელიწადში ას, ორასი ათას დოლარს შოულობენ. ჩვენს ბიჭს თანდათან გავრევთ ელიტაში. ილეთებს ვასწავლით. თავს დავდებ, ძალიან მალე ვარსკვლავი გახდება და ფული ჩეჩქივით ექნება.

– რას ფიქრობ, ფორესტ? – გამომხედა დენმა.

– რავი, – მხრები ავიჩეჩე, – შინ დაბრუნებას და კრევეტების ბიზნესის წამონწყებას ვაპირებდი.

– კრევეტების ბიზნესის! – წამოიძახა მაიკმა, – რა დროს კრევეტებია, რესლინგით ორმოცდაათჯერ მეტ ფულს იშოვი! თანაც, სულ რამდენიმე წელიწადში! ბანკში ფულს დააგროვებ და დარჩენილ ცხოვრებას უზრუნველად გაატარებ.

– ჯენის ვკითხავ, – ვთქვი.

– მისმინე, ძმაო, ასეთი შანსი ცხოვრებაში მეორედ აღარ გექნება, – მითხრა მაიკმა, – თუ უარს ამბობ, თქვი, არა-თქო და შეგეშვები.

– არა, არა, – შეაჩერა დენმა. მერე მე მომიბრუნდა: – ფორესტ, ეს კაცი კარგს გირჩევს. თანაც, კრევეტების ბიზნესის წამოსაწყებად ფული ხომ გინდა?

– იცი რა, შეგიძლია ეს შენი ძმაკაციც წამოიყვანო, – მითხრა მაიკმა, – შენი მენეჯერი იქნება. თუ რესლინგი მოგბეზრდება, ადგები და წამოხვალ. აბა, რას იტყვი?

თითქმის მთელ წუთს ვფიქრობდი. კაი წინადადება კი იყო, მაგრამ ყველაფერი ყოველთვის ისე კარგი როდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მიუხედავად ამისა, პირი დავაღე და საბედისწერო სიტყვა წარმოვთქვი: – კარგი.

ასე გავხდი პროფესიონალი რესლერი. მაიკს ინდიანაპოლისის ცენტრში სპორტდარბაზში ქონდა ოფისი. მე და დენი ყოველდღე ავტობუსს მივყვებოდით იქამდე და რესლინგში ვვარჯიშობდი.

წესი მარტივი იყო: ჭიდაობისას არავინ უნდა დაშავებულიყო, მაგრამ მაყურებელს პირიქით უნდა ჰგონებოდა.

სპორტდარბაზში ათას ილეთს დავეუფლე: „ნახევარნელსონს“, „ჰაერში დატრიალებას“, „ბოსტონურ შებოჭვას“, „სოლის ჩარჭობას“, „მკლავის გადაგრეხას“ და ა. შ. გარდა ამისა, დენს მსაჯისთვის დაღრიალებას ასწავლიდნენ, რო ჭიდაობას ჩოჩქოლის და ხმაურის თანხლებით ჩაევლო.

ჯენი რესლინგის ბიზნესში ჩვენმა ჩართვამ თავიდან ააღელვა, რამე არ დაგიშავდესო, მაგრამ რო ვუთხარი, არაფერი მომივა, ყველაფერი დადგმულია-მეთქი, გაუკვირდა, მაშინ რა აზრი აქ ასეთ შეჯიბრებასო.

სწორი შეკითხვაა, რომელზე პასუხი არც მე მაქმეთქი. თუმცა მთავარი ბევრი ფულის შოვნა იყო.

ერთ დღეს „მუცლით დატყეპებას“ მასწავლიდნენ. ჰაერში უნდა შეხტე, რო ძირს დავარდნილ მეტოქეს მთელი ტანით ზედ დაეცე, მაგრამ ბოლო წამს მეტოქე განზე გადაგორებას ასწრებს. რატომღაც ეს ილეთი ვერაფრით ავითვისე. ბიჭს, რომელიც მავარჯიშებდა, განზე გადაგორებას არ ვაცლიდი და სამჯერ თუ ოთხჯერ დავეცი ზედ.

ბოლოს რინგზე მაიკი ამოვარდა და მიყვირა:

– ღმერთო, ფორესტ, იდიოტი ხარ თუ რა?! ეგრე ხო ვინმეს გასრეს, შე დათვო!

– კი, იდიოტი ვარ, – ვუპასუხე.

– ჰა? – მკითხა მაიკმა.

დენმა მაიკი თავისთან იხმო, ერთი წამით მოდიო, და ყველაფერი აუხსნა.

– კაი ერთი! მეხუმრები? – გადაირია მაიკი.

დენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

მაიკმა გამომხედა და მხრები აიჩეჩა:

– სრულყოფილი არავინაა!

ერთი საათის შემდეგ მაიკი თავისი კაბინეტიდან გამოვარდა და რინგზე ჩემთან და დენტან ამოხტა.

– მოვიფიქრე!

– რა? – ჰკითხა დენმა.

– სახელი! ფორესტს რესლინგისთვის შესაფერი ზედმეტსახელი მოვუფიქრე!

– გვითხარი, რა მოუფიქრე!

– „შტერი!“ – თქვა მაიკმა, – საფენს გავუკეთებთ და სულელის ჩაჩს დავახურავთ. მაყურებელს მოეწონება.

დენი წუთით ჩაფიქრდა.

– არ ვიცი, – ჩაილაპარაკა მან, – დიდად არ მომწონს. ასე მგონია, მის გამასხარავენ ცდილობ.

– ამას მხოლოდ მაყურებლისთვის ვაკეთებ, – თავი იმართლა მაიკმა, – ყველა დიდ ვარსკვლავს სჭირდება ყურადღების მისაქცევად გონებამახვილური მეტსახელი. „შტერი“ ფორესტისთვის ზედგამოჭრილია!

– „კოსმონავტი“ რო შევარქვათ? – შესთავაზა დენმა, – არც ეს იქნება შეუფერებელი. ანტენიან პლასტმასის ჩაფხუტს დაიხურავს.

– „კოსმონავტი“ უკვე ჰქვია ვილაცას, – თქვა მაიკმა.

– მაინც არ მომწონს, – თქვა დენმა და მე გამომხედა, – შენ რას იტყვი, ფორესტ?

– ფეხებზე მკიდია, რას დამარქმევთ, – ვუპასუხე.

მოკლედ, ეს საკითხიც გადაწყდა. მრავალთვიანი ვარჯიშის შემდეგ ჩემი დებიუტის დროც დადგა. მატჩის წინა დღეს მაიკი სპორტდარბაზში შემოვიდა და ყუთით საფენი და ჩაჩი შემოიტანა. გვითხრა: ხვალ შუადღისას სპორტდარბაზში დამხვდით და მანსიში, სადაც ჩემი პირველი ორთაბრძოლა უნდა გამართულიყო, მანქანით წაგიყვანთო.

საღამოს ჯენი რო შინ დაბრუნდა, ტუალეტში საფენი გავიკეთე, ჩაჩი დავიხურე და ასე გამონყობილი გავედი სასტუმრო ოთახში. დენი თავის ურიკაზე იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, ხოლო ჯენი წიგნს კითხულობდა. ოთახში შესვლისთანავე ორივემ თავი ასწია და შემომხედა.

– ფორესტ, ეს რა გაცვია? – წამოიძახა ჯენიმ.

– ეს მისი კოსტიუმია, – აუხსნა დენმა.

– მასხარას გავხარ, – თქვა ჯენიმ.

– მოდი, სხვანაირად შეხედე, – უთხრა დენმა, – წარმოიდგინე, რომ სპექტაკლში მონაწილეობს.

– მაინც მასხარას ჰგავს, – თქვა ჯენიმ, – ვერ დამიჯერებია! როგორ აძლევ ასე ჩაცმის და ხალხის წინაშე გამოსვლის უფლებას?!

- ასე მხოლოდ ფულის საშოვნელად ვიქცევით, - უპასუხა დენმა, - მაგალითად, ერთ რესლერს, რომელსაც „ბოსტნეული“ ჰქვია, თავზე გამოლრუტნული საზამთრო ახურავს, ხოლო ფეხებში თაღამის ფოთლები აქვს აფარებული. მეორეს, „ფერიას“, ზურგზე ფრთები აქვს მიმაგრებული და ხელში ჯადოსნური ჯობი უჭირავს. არადა, ეგ ნაბიჭვარი 150 კილოს მაინც ინონის - უნდა ნახო, რას ჰგავს!

- არ მაინტერესებს, სხვები რას ჰგვანან, - განაცხადა ჯენიმ, - ეს კოსტიუმი არ მომწონს. ფორესტ, ახლავე გაიხადე!

ტუალეტში შევედი და კოსტიუმი გავიხადე. ჯენი კი შეილება მართალია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფული ხო როგორღაც უნდა ვიშოვო-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. თანაც, მე კიდევ არა მიშავდა, ჩემი მომავალი მეტოქე, რომელსაც „ქაქს“ ეძახდნენ, მძღნერისფერ კოსტიუმში ჩაცმული იბრძოდა. გულში ვლოცულობდი, ოღონდ მძღნერივით მაინც არ ყარდეს-მეთქი!

გ ეზმა ასეთი იყო: მანსიში უნდა დავმარცხებულიყავი.

ეს მაიკმა გზაში გამანდო. თურმე „ქაქს“ ჩემთან გარკვეული „უპირატესობა“ ქონდა და სწორედ მას უნდა გაემარჯვა. თანაც, ეს ჩემი პირველი ორთაბრძოლა იყო და ჩემი დამარცხება არავის გააკვირვებდა. მაიკმა მითხრა, თავიდანვე გაფრთხილებ, რო გული არ დაგწყდესო.

– სასაცილოა, – წამოიძახა ჯენიმ, – როგორ შეიძლება კაცმა „ქაქი“ დაირქვა?!

– ალბათ, მართლაც ქაქია, – თქვა დენმა ჯენის გასამხიარულებლად.

– გახსოვდეს, ფორესტ, ეს მხოლოდ შოუა, – მითხრა მაიკმა, – ნუ გაფიცხდები. არავის არაფერი უნდა დაუშავდეს. „ქაქმა“ უნდა გაიმარჯვოს.

მანსიში რესლინგი დიდ სპორტდარბაზში იმართებოდა. ერთი ორთაბრძოლა უკვე დაწყებულიყო: „ბოსტნეული“ ვიღაც „ცხოველს“ ეჭიდავებოდა.

მაიმუნივით ბანჯგვლიან „ცხოველს“ ნილაბი ეკეთა. უპირველ ყოვლისა, „ბოსტნეულს“ თავზე ჩამოცმული გამოღრუტნული საზამთრო მოაძრო და წიხლისკვრით ტრიბუნაზე ისროლა. მერე „ბოსტნეულის“ თავი ილლიაში ამოიჩარა და რინგის ბოძზე ჩამოარტყმევინა. ბოლოს „ბოსტნეულს“ ხელზე უკბინა. საბრალო „ბოსტნეული“ შემეცოდა კიდეც. თუმცა, უბრძოლველად არც ის დანებებულა. ფეხებშუა აფარებული თაღგამის ფო-

თლებიდან მუჭით რაღაც ფხვნილი ამოიღო და „ცხოველს“ თვალებში შეაყარა.

სანამ აღრიალებული „ცხოველი“ თვალებს ისრესდა, „ბოსტნეული“ უკნიდან მიეპარა და პანდური ამოარტყა. მერე რინგის ბაგირებში გახლართა და ხელ-ფეხ-შეკრულს უმონწყალოდ უბრაგუნა. მაყურებელი „ბოსტნეულს“ უსტვენდა და ქალაღდის ჭიქებს ესროდა. „ბოსტნეული“ მათ შუათითს უჩვენებდა. სანახაობამ ჩამითრია, ველოდი, ნეტა ორთაბრძოლა როგორ დასრულდება-მეთქი, მაგრამ დენტან მაიკი მივიდა და უთხრა, გასახდელში წადით და გაემზადეთ, ამათ შემდეგ „ქაქი“ და ფორესტი იჭიდავებენო.

საფენი გავიკეთე და ჩაჩი დავიხურე. ამასობაში გასახდელის კარზე ვიღაც ტიპმა მოაკაკუნა და იკითხა: – „შტერი“ მზადაა?

– კი, – უპასუხა დენმა.

– ახლა შენი ჯერია, წამოდი! – მითხრა იმ ტიპმა და წავედით.

„ქაქი“ უკვე რინგზე იდგა, როცა მე ტრიბუნებს შორის გამოვედი. დენი ჩემ გვერდით მოგორავდა. „ქაქი“ რინგზე დარბოდა და მაყურებლებს ეჭყანებოდა. ძალღიშვილი ვიყო, იმ თავის კოსტიუმში მართლაც ქაქს ჰგავდა.

რინგზე ავედი და მსაჯმა მე და „ქაქი“ თავისთან გვიხმო.

– აბა, ბიჭებო, იმედია, სუფთად იბრძოლებთ. თვალების გადმოთხრა, წელს ქვემოთ დარტყმა, კბენა, ფხაჭნა და ეგეთი რამეები არ დამანახოთ!

– კაი, – თავი დავუქნიე მსაჯს.

„ქაქმა“ მრისხანედ დამიბრიალა თვალები.

გონგის ხმის გაგონებისთანავე მე და „ქაქმა“ ერთ-

მანეთის ირგვლივ ტრიალი დავიწყეთ. „ქაქმა“ ჩემთვის ფეხის გამოდება მოინდომა, მაგრამ ფეხი გამოვაცალე. მერე მხრებში ჩავავლე ხელი და რინგის ბაგირებს მივანარცხე. „ქაქს“ ტანი გაზეთილი ქონდა და ხელის მოკიდება გამიჭირდა. წელზე მოვეჭიდე, მაგრამ გველთევზასავით გამისხლტა. მკლავზე წავავლე ხელი, მაგრამ მაინც გამექცა და კმაყოფილი ახარხარდა.

მერე პირდაპირ ჩემკენ გამოექანა. თავით მუცელში უნდა დამტაკებოდა, მაგრამ მე განზე გავდექი და „ქაქი“ რინგიდან ტრიბუნის წინა რიგში გადავარდა. მაყურებელმა სტვენა დაუნყო. „ქაქი“ რინგზე ამოძვრა და გასაშლელ სკამს დასტაცა ხელი. თავის დასაცავად არაფერი მქონდა და მეც გავიქეცი. „ქაქი“ სკამის ქნევით გამომეკიდა. ერთგან წამომენია და სკამი ზურგში ჩამარტყდა. არ დაგიმაღავთ, ძალიან მეტკინა. წართმევა რო ვცაადე, სკამი თავში ჩამარტყა. ამასობაში რინგის კუთხეში მიმიმწყვდია და გასაქცევიც აღარსად მქონდა. სკამი წვივში დამარტყა. ანთლებული წვივისთვის ხელის მოსაკიდებლად დავიხარე, მაგრამ ამ დროს „ქაქის“ სკამი მეორე წვივში მომხვდა.

დენი მსაჯს უყვიროდა, „ქაქს“ სკამი გააგდებინეო, მაგრამ სულ ტყუილად. „ქაქმა“ ოთხჯერ თუ ხუთჯერ დამარტყა სკამი, ძირს დამაგდო, ზედ შემაჯდა და თავი სულ იატაკზე მარტყმევინა. მერე მკლავი გადამიგრიხა და თითების მტვრევა დამიწყო.

– რა ჯანდაბაა? – დენს გავძახე. დენმა რინგზე შემოსვლა სცადა, მაგრამ მაიკმა შეაჩერა. ამასობაში გონგის ხმა გაისმა და ჩემს კუთხეს დავუბრუნდი.

– ეს ნაბიჭვარი ჩემს მოკვლას ცდილობს. თავში სკამს მირტყამს. რამე უნდა ვიღონო, – დავიჩივლე.

– არაფერიც! უნდა დამარცხდე! – მითხრა მაიკმა. –

„ქაქი“ არაფერს დაგიშავებს. მხოლოდ ის უნდა, რო ორ-
თაბრძოლა ნამდვილს გავდეს.

– მე ის ვიცი, რო ნამდვილად მტკივა.

– კიდევ რამდენიმე წუთს გაძელი და მერე ძირს დაგ-
დების საშუალება მიეცი, – მირჩია მაიკმა, – გახსოვდეს,
ხუთას დოლარს დამარცხებით იშოვი და არა – გამარ-
ჯვებით.

– იმ სკამს თუ კიდე ჩამარტყამს თავში, არ ვიცი,
რას ვიზამ, – დავიმუქრე. მაყურებლებს გავხედე. ჯენი
დარცხვენილი და დამწუხრებული ჩანდა. დავეჭვდი,
იქნებ ეს რესლერობა მართლაც ცუდი აზრია-მეთქი.

ამასობაში კვლავ გაისმა გონგის ხმა და რინგის ცენ-
ტრში გავედი. „ქაქმა“ ჩემთვის ქეჩოში ხელის ჩავლება
დააპირა, მაგრამ დავეტაკე და ბაგირებს მივანარცხე.
წელზე ხელები შემოვხვიე და ავიტაცე, მაგრამ დამიძ-
ვრა და ძირს მოადინა ზღართანი. ერთი ნამოიკვნესა და
საჯდომის სრესა დაიწყო. ამ დროს თავისმა მენეჯერმა
ვანტუზი მიაწოდა. „ქაქი“ წამოხტა და ვანტუზი თავში
ჩამარტყა. გაბრაზებულმა ვანტუზი გამოვგლიჯე და
მუხლზე გადავიმტვრიე. „ქაქს“ გამოვეკიდე რინგიდან
მოვისვრი-მეთქი, მაგრამ უცებ მაიკი დავინახე. თავს
უარის ნიშნად იქნევდა. გავჩერდი და „ქაქს“ ხელის
გადაგრეხის ნება მივეცი.

იმ ნაბიჭვარმა კინალამ ხელი მომტეხა. დაცემულს
კეფაში იდაყვი მირტყა. იატაკზე მილურსმული ვხე-
დავდი, როგორ მიქნევდა მაიკი თავს და კმაყოფილი
მილიმოდა. „ქაქი“ წამოდგა და ნეკნებსა და გვერდებზე
დამიწყო წიხლის რტყმა. მერე ისევ ის გასაშლელი სკამი
მოათრია და რვაჯერ თუ ცხრაჯერ მთხლიშა თავში. ბო-
ლოს, მუხლებით შემდგა ზურგზე და გამაშეშა.

გაუნძრევლად ვინექი ძირს და ველოდი, როდის

დაითვლიდა მსაჯი სამამდე. გამარჯვებული „ქაქი“ წა-
მოდგა, დამცინავად დამხედა და სახეში შემომაფურთხა.
თავი დამცირებულად ვიგრძენი. აღარ ვიცოდი, რა მექ-
ნა და ავტირდი.

„ქაქი“ გახარებული დახტოდა. ჩემთან დენი მოგო-
რდა თავისი ურიკით და პირსახოცით სახე მომწმინდა.
მერე ჯენიც ამოვიდა რინგზე, ჩამეხუტა და ისიც ატირ-
და. მაყურებელი ყიჟინებდა, სტვენდა და რინგზე ათას
ნაგავს ისროდა.

– კარგი, მოვშორდეთ აქაურობას, – თქვა დენმა.

ავდექი. „ქაქი“ ენას მიყოფდა და მემანჭებოდა.

– სახელი ზუსტად შეგირჩევია, – უთხრა მას ჯენიმ,
როცა რინგს ვტოვებდით, – მართლაც სამარცხვინო
ხარ!

სიმართლე ითქვას, მისი სიტყვები მეც შემეფერებო-
და. ცხოვრებაში ასე არავის დავუმცირებია.

ინდიანაპოლისისკენ დაღვრემილები გავუდექით
გზას. დენს და ჯენის ნახევარი გზა სიტყვა არ დაუძ-
რავთ. მეც პირში წყალჩაგუბებული ვიჯექი უკანა სა-
ვარძელზე.

– კარგად გამოხვედი, ფორესტ, – შემაქო მაიკმა, –
მაყურებელი განსაკუთრებით შენი ცრემლებით მოი-
ხიბლა!

– ეს ყალბი ცრემლები არ ყოფილა, – უთხრა მას დენ-
მა.

– კაი, რა! – წამოიძახა მაიკმა. – ორიდან ერთ-ერ-
თი ყოველთვის მარცხდება. სიტყვას გაძლევთ, მომ-
დევნო ორთაბრძოლაში ფორესტს გავამარჯვებინებ.
განყობთ?

– მომდევნო ორთაბრძოლა აღარ გაიმართება, –
თქვა ჯენიმ.

– კი, მაგრამ დღეს ხომ ბლომად ფული იშოვა? – გაუკვირდა მაიკს.

– ხუთასი დოლარის სანაცვლოდ თავის გალახვინება არ ღირს, – თქვა ჯენიმ.

– ეს მხოლოდ პირველი ორთაბრძოლა იყო. მეორეზე ექვსას დოლარს მიიღებს.

– ათას ორასი რომ იყოს? – ჰკითხა დენმა.

– ცხრაასი, – დაუკლო მაიკმა.

– ამ საფენის და ჩაჩის ნაცვლად საცურაო კოსტიუმი რომ ჩაიცვას? – ახალი წინადადება წამოაყენა ჯენიმ.

– ეს ფორმა მოენონათ, – უპასუხა მაიკმა, – უხდება.

– შენ მოგეწონება, ეგრე რომ გამოგანყონ? – ჰკითხა დენმა.

– მე იდიოტი არ ვარ, – თქვა მაიკმა.

– ეი, წესიერად!

მაიკმა თავისი სიტყვა შეასრულა. მეორედ „ადამიან ბუზთან“ ვიჭიდავე. მას ბუზის ხორთუმიანი და თვალეზგადამოკარკლული ნილაბი ეკეთა სახეზე. გეგმის მიხედვით, „ადამიანი ბუზი“ რინგზე უნდა მებურთავებინა და ბოლოს თავზე შევჯდომოდი. ცხრაასი დოლარი იოლად ვიშოვე. მაყურებელმაც მოწონებით მიმილო. „შტერს გაუმარჯოს! შტერს გაუმარჯოს!“ – დასცეს ყიჟინა. ყველაფერმა საკმაოდ კარგად ჩაიარა.

შემდეგ „ფერიასთან“ მაჭიდავეს და ჯადოსნური ჯოხი მის თავზე გადამამტვრევინეს. მოკლედ, ბევრ რესლერს ვეჭიდავე. მე და დენმა კრევეტების ბიზნესისთვის ხუთი ათასი დოლარის დაზოგვა მოვახერხეთ. გარდა ამისა, ხალხშიც პოპულარული გავხდით. ქალები წერილებს მწერდნენ, ჩემნაირ ჩაჩებს სუვენირებად ჰყიდდნენ. ზოგჯერ რინგზე გასულს ასობით ჩაჩიანი მაყურებელი მხვდებოდა ტრიბუნაზე. ყველა ერთხმად

გაჰყვიროდა ჩემს სახელს და ტაშს მიკრავდა. რა თქმა უნდა, ეს მსიამოვნებდა!

ამასობაში მე და ჯენი კვლავ დავახლოვდით, ჯენის მხოლოდ ჩემი რესლერობა არ მოსწონდა. ყოველ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებული ვახშამს გვიმზადებდა, ნავახშმევს სასტუმრო ოთახში ვსხდებოდით და კრევეტების ბიზნესზე ვსაუბრობდით. საბრალო ბაბას მშობლიურ ბაიუ-ლა-ბატრში წასვლას და საღამე მექსიკის ყურეში ჭაობის ყიდვას ვგეგმავდით. კრევეტების დასაჭერად წვრილი ბადე და ნავი დაგვჭირდებოდა, კრევეტების გასაზრდელად – საკვები. გარდა ამისა, სხვა ათასი წვრილმანიც იქნებოდა მოსაგვარებელი. დენის თქმით, სანამ პირველ შემოსავალს მივიღებდით, საცხოვრებლის, საჭმლის და ჩვენი საქონლის ბაზარზე გასატანი ფულიც დაგვჭირდებოდა. მისი გამოთვლებით, ბიზნესის წამოსაწყებად და პირველ წელს თავის გასატანად ხუთი ათასი დოლარი საკმარისი იყო.

სწორედ ამიტომ მთხოვდა ჯენი, საკმარისი ფული ხო გვაქ, ახლავე გადავბარგდეთ ბაიუ-ლა-ბატრშიო და, ერთი მხრივ, მართალიც იყო, მაგრამ პირადად მე, ჯერ მზად არ ვიყავი.

საქმე ისაა, „ნარინჯისფერი თასის“ ფინალში „ნებრასკელ მესიმინდეებთან“ თამაშის შემდეგ პირველად მქონდა იმის განცდა, რო ცხოვრებაში რალაცას მივალწიე. ასეთივე განცდა დამეუფლა კომუნისტურ ჩინეთში პინგ-პონგის თამაშის დროსაც. თუმცა, ჩინეთში სულ ორი კვირა დავყავი. ახლა კი, ყოველ შაბათ საღამოს რინგზე გასვლისას ხალხი ტაშს მიკრავდა, შეძახილებით მამხნევებდა და სულ არ აინტერესებდა, იდიოტი ვიყავი თუ არა.

ნეტა გენახათ, როგორ ყიჟინებდნენ, როცა ტანზე

ასდოლარიანებმინებებული „გროს-პოინტელი დოლა-
ბი“ ბეჭებზე დავდე, ან როცა „ამარილოელი არაჩვეუ-
ლებრივი ალი“ თავით დავახეთქე ძირს და აღმოსავ-
ლეთ დივიზიონის ჩემპიონის ქამარი მოვიპოვე! შემდეგ
ორასკილოიან „გოლიათ ჯუნოს“ ვეჭიდავე. მას ლეოპ-
არდის ტყავი ეცვა და მუყაოს კომბალი ეჭირა.

თუმცა, ერთ დღეს შინ დაბრუნებულმა ჯენიმ მით-
ხრა:

– ფორესტ, უნდა გელაპარაკო.

ქუჩაში გავისეირნეთ და პატარა მდინარის პირას
ჩამოვსხედით.

– ფორესტ, მგონი, ძალიან გაგიტაცა რესლინგმა.

– რას გულისხმობ? – ვკითხე ჯენის, მიუხედავად
იმისა, რო ვხვდებოდი, რასაც გულისხმობდა.

– იმას, რო უკვე ათი ათასი დოლარი გვაქვს, რაც, დე-
ნის თქმით, კრევეტების ბიზნესის წამოსაწყებად საჭი-
რო თანხაზე ორჯერ მეტია. ძალიან მიკვირს, რატომ
გადიხარ ყოველ შაბათს რინგზე და სახალხოდ თავს
იმასხარავენ?

– სულაც არ ვიმასხარავენ თავს, – ვუპასუხე, – მე
ჩემს გულშემატკივრებზე ვფიქრობ. პოპულარული
პიროვნება ვარ. ასე იოლად ვერ ავდგები და წავალ.

– სისულელეა, – თქვა ჯენიმ. – ან რას გულისხმობ
„გულშემატკივარში“ ან „პოპულარულში“? ეგ ბრბო
ფულს იხდის ამ ნაგვის ყურებაში: ნახევრად შიშველი
ზრდასრული ხალხი რინგზე დარბის და ვითომ ერთ-
მანეთს სცემს. ვის გაუგია, კაცი თავის თავს „ქაქს“ ან
„ბოსტნეულს“ უწოდებდეს! ან შენ მაინც როგორ არ
გრცხვენია, „შტერს“ რომ გეძახიან?!

– რატო უნდა მრცხვენოდეს?

– როგორ გგონია, რას ვგრძნობ, როცა ჩემს შეყვარე-

ბუღს ხალხი „შტერს“ ეძახის და ყოველ შაბათს ტელევიზიით სახალხოდ იმასხარავენს თავს?!

– ტელევიზია უფრო მეტ ფულს გვიხდის.

– მკიდია უფრო მეტი ფული! – წამოიყვირა ჯენიმ, – მეტი ფული აღარ გვჭირდება!

– ვის გაუგია კაცს უფრო მეტი ფული აღარ სჭირდებოდეს?

– ჩვენ უკვე საკმარისი თანხა დავაგროვეთ, – მითხრა ჯენიმ, – მინდა, სადმე მყუდრო ადგილას დავსახლდეთ, შენ წესიერ საქმეს მოჰკიდო ხელი, მაგალითად, კრევეტების ჭერას; ეზოიან პატარა სახლში ვიცხოვროთ, ძალღი ვიყიდოთ... ბავშვებს გაგიჩენ. Cracked Eggs-ში მეც საკმაოდ წარმატებული ვიყავი, მაგრამ მაგ წარმატებას ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია. ოცდათხუთმეტი წლისა ვარ და მშვიდი ცხოვრება მინდა...

– მისმინე, მგონი, ჩემი გადასაწყვეტია, რესლინგს შევეშვები თუ არა. სამუდამოდ ამის კეთებას არ ვაპირებ... მხოლოდ საჭირო დროს ველოდები.

– ოღონდ იცოდე, ვერც მე დაგელოდები სამუდამოდ, – მითხრა ჯენიმ, მაგრამ არ დავიჯერე, რო სიმართლეს მეუბნებოდა.

საუბრის შემდეგ კიდე ორი ორთაბრძოლა გაუმართე და, რა თქმა უნდა, ორივეში ვიმარჯვე. მაიკმა მე და დენი კაბინეტში გვიხმო.

– ამ შაბათს „პროფესორს“ უნდა ეჭიდაო, – მითხრა მაიკმა.

– ეგ ვინ არის? – ჰკითხა დენმა.

– კალიფორნიელია, იქ მაგარ რესლერად მიაჩნიათ, – უპასუხა მაიკმა, – დასავლეთ დივიზიონის ვერცხლის პრიზიორია.

– თანახმა ვარ, – ვთქვი.

– ოღონდ ამჯერად უნდა დამარცხდე, ფორესტ, – დაამატა მაიკმა.

– დავმარცხდე?

– ჰო, დამარცხდე, – გაიმეორა მაიკმა, – მისმინე, უკვე რამდენიმე თვეა, სულ იმარჯვებ და იმარჯვებ. ხანდახან უნდა დამარცხდე კიდევც, რო პოპულარობა შეინარჩუნო.

– რა იცი?

– მარტივია: ხალხს აუტსაიდერები მოსწონს. დამარცხების შემდეგ გამარჯვება უფრო შთამბეჭდავია.

– ეს აზრი არ მომწონს, – ვთქვი.

– რამდენს გადაგვიხდი? – ჰკითხა მაიკს დენმა.

– ორი ათასს.

– ეს აზრი არ მომწონს, – გავიმეორე.

– ორი ათასი დიდრი ფულია, – მითხრა დენმა.

– მაინც არ მომწონს, – ვთქვი.

მიუხედავად ამისა, მაიკის წინადადებას დავთანხმდით.

ბოლო დროს ჯენი უცნაურად იქცეოდა, მაგრამ ამას მღელვარებას ვაბრალებდი. თუმცა ერთ დღეს ჯენი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– ფორესტ, გაგიჟებას ცოტალა მიკლია. გთხოვ, რინგზე საჭიდაოდ ნულარ გახვალ.

– უნდა გავიდე, – ვუთხარი, – თანაც, ამჯერად უნდა დავმარცხდე.

– დამარცხდე?

ჯენის ავუხსენი, რა მითხრა მაიკმა.

– ჯანდაბა, ეს უკვე მეტისმეტია, ფორესტ! – წამოიძახა ჯენიმ.

– ეს ჩემი ცხოვრებაა, – ვუპასუხე, მაგრამ არ ვიცი, რა ვიგულისხმე.

მეორე დღეს დენი საიდანღაც დაბრუნდა და მითხრა, უნდა ვილაპარაკოთო.

– ფორესტ, მგონი, პრობლემების გადაჭრის გზას მივაგენი.

ვკითხე, რა გზას-მეთქი.

– როგორც ჩანს, ამ რესლინგს მალე შევეშვებით. ვიცი, ჯენისაც არ მოსწონს, რო ჭიდაობ. ჰოდა, თუ კრევეტების ბიზნესის წამოწყება გვინდა, ნულარ ვაჭიანურებთ, – მითხრა დენმა, – რესლინგიდან კი გამარჯვებულები და ჯიბესავსეები უნდა გამოვიდეთ.

– რანაირად?

– ცენტრში ერთ ტიპს ველაპარაკე. ფსონებს ხელზე იღებს... ხმა დადის, რო შაბათს „პროფესორთან“ დამარცხდები.

– მერე?

– მერე ის, რო უნდა გაიმარჯვო!

- გავიმარჯვო?

- „პროფესორი“ უნდა მიბეგვო!

- მაიკი გაგვიბრაზდება.

- შევეცი მაიკს! – წამოიძახა დენმა, – აი, რას გთავაზობ: ავიღოთ ჩვენი ათი ათასი და შენს გამარჯვებაზე დავდლოთ! შანსები ორი ერთზეა. „პროფესორს“ მიბეგვავ და ოცი ათასი გვექნება.

- ამის გამო პრობლემები შემექმნება!

- ოცი ათასს ავიღებთ და ამ ქალაქიდან დავახვევთ, – თქვა დენმა, – იცი, რამდენ რამეს ვიზამთ ოცი ათასით? კრევეტების ბიზნესსაც დავინწყებთ და ჩვენთვისაც ბლომად ფული დაგვრჩება. დროა, ამ რესლინგს შევეშვათ!

რო დავუფიქრდი, ოცი ათასი დოლარის იოლად შოვნა, ურიგო აზრი არ იყო. ბოლო-ბოლო, ჩემი მენეჯერი დენი ცუდს არ მირჩევდა. თანაც, ჯენიც სულ იმას მეჩინებოდა, რესლინგს თავი დაანებეო.

- აბა, რას იტყვი?

- კაი, თანახმა ვარ.

დადგა „პროფესორთან“ ჭიდაობის დღეც. ორთაბრძოლა ფორტ-უეინში იმართებოდა. მაიკმა ჩვენი კორპუსის წინ ქუჩიდან დაგვისიგნალა. ჯენის ვკითხე, მზად თუ ხარ, უკვე მივდივართ-მეთქი.

- არ მოვდივარ, – მიპასუხა მან, – ტელევიზორში ვნახავ.

- აუცილებლად უნდა წამოხვიდე, – ვუთხარი და დენს ვთხოვე, მისთვის აეხსნა, რატომ.

დენმა ჯენის ჩვენი გეგმა გაანდო და დაამატა: როგორც კი ფორესტი „პროფესორს“ მიაწვენს, ინდიანაპოლისში გამოსაქცევად მანქანა დაგვჭირდებაო.

- ვერც მე და ვერც ფორესტი მანქანას ვერ ვმარ-

თავთ. არენის წინ კი სწრაფი მანქანა უნდა ეყენოს, რათა სასწრაფოდ დავბრუნდეთ ქალაქში, ჩვენი ოცი ათასი ავილოთ და აქედან ავითესოთ.

– მე მაგ საშარო საქმეში მონაწილეობას არ ვაპირებ! – თქვა ჯენიმ.

– საქმე ოცი ათასს ეხება, – შევახსენე.

– თანაც, მაიკის „გადაგდებას“ აპირებთ, რაც დიდი უსინდისობაა, – დაამატა ჯენიმ.

– უსინდისობა ისაა, რასაც ის ამ დროის განმავლობაში აკეთებდა, – შეეპასუხა დენი, – გამარჯვებებს და დამარცხებებს წინასწარ გეგმავდა.

– ამას არ ვიზამ, – გაჯიუტდა ჯენი.

მაიკმა კიდევ ერთხელ დაგვისიგნალა.

– მაშ, უშენოდ წავალთ, – უთხრა დენმა, – ორთაბრძოლის დასრულებისთანავე, როგორმე დავბრუნდებით და აქ შევხვდეთ.

– ბიჭებო უნდა გრცხვენოდეთ! – გვითხრა ჯენიმ.

– დაიცა, ოცი ათასით დავბრუნდეთ და მერე ვნახავთ, ისევ ასეთი პრეტენზიული იქნები თუ არა, – მიაძახა დენმა და წავედით.

ფორტ-უეინის გზაზე ხმას არ ვიღებდი. ცოტათი მრცხვენოდა, რადგან მაიკის „გადაგდებას“ ვაპირებდით. თუმცა დენის თქმისა არ იყოს, ჩემი მეშვეობით მაიკმაც ბევრი ფული იშოვა. ასე რო, ბარი-ბარში ვიყავით.

პირველი ორთაბრძოლა უკვე დაწყებულიყო. „ფერია“ „გოლიათ ჯუნოს“ ურახუნებდა. განრიგის მიხედვით, მათ შემდეგ რინგზე ჯუჯა ქალები გამოდიოდნენ. გასახდელში საფენი გავიკეთე და ჩაჩი დავიხურე. დენმა ერთ ტიპს ტაქსი გამოაძახებინა, ფორესტის ორთაბრძოლის დასრულებისთანავე გავალთ, არენის წინ დაქოქილი დაგველოდოსო.

ამასობაში კარზე მოაკაკუნეს, თქვენი ჯერიაო. ჩემი და „პროფესორის“ ჭიდაობა სალამოს კულმინაცია იყო.

მე რო გავედი, „პროფესორი“ უკვე რინგზე იდგა. ერთი გამხდარი, მაგრამ ძარღვმაგარი კაცი იყო, სათვალე ეკეთა, თეთრი წვერი მოეშვა, სწავლულის ოთხკუთხა ქუდი ეხურა და მანტია ემოსა. მართლაც პროფესორს ჰგავდა. გადავწყვიტე, ის ქუდი მისთვის პირში ჩამეთხარა.

რინგზე ავძვერი და წამყვანმა მაყურებელთა ყიჟინის თანხლებით გამოაცხადა:

– ქალბატონებო და ბატონებო, მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ სალამოს უმთავრესი ორთაბრძოლის მონაწილეები! „ჩრდილოეთ ამერიკის რესლინგის ასოციაციის“ ჩემპიონის ტიტულისთვის ქვეყნის ორი უძლიერესი რესლერი დაეჭიდება! „პროფესორი“ „შტერის“ წინააღმდეგ!

კვლავ შეძახილები გაისმა, ისეთი სტვენა და ხმაური ატყდა, ვერ გაიგებდი, მაყურებელი ბრაზობდა თუ კმაყოფილი იყო. პრინციპში, ეს არც არავის აინტერესებდა. გონგს შემოკრეს და ორთაბრძოლაც დაიწყო.

პროფესორმა ქუდი მოიხადა, სათვალე მოიხსნა, მანტია გაიძრო და თითი ისე დამიქნია, თითქოს ურჩ მოსწავლეს ტუქსავსო. მისთვის ხელის ჩავლება მოვინდომე, მაგრამ რამდენჯერაც ვცადე, იმდენჯერ ხელიდან დამისხლტა, თან თითს მიქნევდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წუთს, მერე შეცდომა დაუშვა. გარს შემომირბინა და ჩემთვის პანლურის ამორტყმა მოინდომა, მაგრამ დავიჭირე და ბაგირებს მივანარცხე. კედელს შეხლილი ბურთივით ასხლტა ბაგირებიდან და ჩემკენ გამოექანა. მე მკლავები შემოვხვიე და ძირს დაგდებას ვუპირებდი, მაგრამ ბოლო წამს გამექცა და თავისი

კუთხისკენ გაბობლდა. მისკენ რო შევბრუნდი, ხელში უკვე გრძელი სახაზავი ეჭირა.

სახაზავს ხელისგულზე იტყაპუნებდა, თითქოს განკეპვლას მიპირებო, მაგრამ ახლოს რო მივედი, სახაზავი თვალში მატაკა და კინალამ გამომთხარა. ძალიან მეტკინა. სანამ თვალს ვისრესდი და მხედველობას დავიბრუნებდი, უკნიდან მომეპარა და საფენში მუჭით რაღაც ჩამიყარა. მალე გაირკვა, რო თურმე ჭიანჭველები ჩაუყრია! ღმერთმა უნყის, ჭიანჭველები სად იშოვა. ისე, მწარედ კი იკბინებოდნენ და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

დენი მიყვიროდა, დროზე მოუთავე საქმეო, მაგრამ როცა საცვლებში ჭიანჭველები ფუთფუთებენ, ეს არც ისე იოლია. ამასობაში გონგის ხმა გაისმა. რაუნდი დასრულდა და ჩემი კუთხისკენ გავწიე. დენმა ჭიანჭველების ჩამოფერთხვა სცადა.

– ბინძური ოინი იყო, – ვთქვი.

– როგორმე საქმე მოუთავე, – მითხრა დენმა, – გახსოვდეს, მოულოდნელობები არ გვჭირდება.

მეორე რაუნდში „პროფესორი“ მემანჭებოდა და დამცინოდა. ერთ მომენტში მეტისმეტად ახლოს მოვიდა და დავიჭირე. ხელში ავიტაცე და თავზემთ დავაბზრიალე.

ორმოცჯერ თუ ორმოცდაათჯერ დავაბზრიალე, დავრწმუნდი, რო თავბრუ დაეხვა და რინგიდან პირდაპირ მაყურებლებში ვისროლე. ტრიბუნის მეთხუთმეტე რიგში დაეცა, ვიღაც მოხუც ქალს კალთაში ჩაუვარდა, რომელიც სვიტერს ქსოვდა. ქალმა სვიტერი დააგდო და „პროფერორს“ ქოლგა დასცხო თავში.

პრობლემა ის იყო, რო „პროფესორის“ დაბზრიალებისას მეც დამეხვა თავბრუ. გარშემო ყველაფერი ტრიალებდა, მაგრამ ვიფიქრე, არა უშავს, მალე ყველაფერი

გაივლის, თანაც, „პროფესორს“ უკვე მოვუთავე საქმემეთქი. მწარედ შევცდი.

ჯერ კიდე ბოლომდე არ გამოვრკვეულიყავი, როცა ფეხებში ვილაც შემივარდა. ძირს დავიხედე და ის წყეული „პროფესორი“ არ დაბრუნებულა! მოხუცი ქალისთვის ძაფის გორგალი წაურთმევია და ძაფით ჩემთვის ფეხები შეუკრავს!

გათავისუფლება ვცადე, მაგრამ „პროფესორი“ არ ჩერდებოდა, გარს მივლიდა და რამდენიმე წუთში მუმიას დამამსგავსა. ძაფით ხელფეხშეკრული გავშემდი. ველარ ვინძრეოდი. „პროფესორმა“ ძაფის ბოლოები გაკვანდა და მაყურებელს თავი დაუკრა, თითქოს ილუზიონისტია და ფოკუსის ჩვენება დაასრულაო.

მერე თავისი კუთხიდან სქელი წიგნი გამოიტანა, ლექსიკონს ჰგავდა. ისევ თავი დაუკრა მაყურებელს და ის წიგნი თავში ჩამარტყა. მე თავს ველარ ვიცავდი. სანამ დავეცემოდი, ათჯერ თუ თორმეტჯერ ჩამარტყა წიგნი. უმწეოდ ძირს დავარდნილს, „პროფესორი“ შემაჯდა და იატაკს მიმალურსმა. მან გაიმარჯვა. მაყურებლები შეძახილებით შეეგებნენ.

მაიკი და დენი რინგზე ამოვიდნენ, გამათავისუფლეს და წამოდგომაში დამეხმარნენ.

– დიდებულია! – წამოიძახა მაიკმა, – დაუჯერებელია! ასეთ რამეს არ ველოდი.

– მოკეტე! – უთხრა დენმა. მერე მე მომიბრუნდა, – ესეც ასე, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: „პროფესორმა“ „შტერს“ ჭკუაში აჯობა!

არაფერი მითქვამს. თავს ცუდად ვგრძნობდი. ყველაფერი დავკარგე, მაგრამ ერთი რამე ზუსტად ვიცოდი: ცხოვრებაში აღარ გავიდოდი რინგზე საჭიდაოდ!

რაკი აღარსად გავრბოდით, ინდიანაპოლისში ტაქ-

სის ნაცვლად მაიკის მანქანით დავბრუნდით. მაიკი მთელი გზა იმას გაიძახოდა, რა მაგარია, რო „პროფესორთან“ ასე დამარცხდი, შემდეგ ორთაბრძოლას მოიგებ და ათასობით დოლარს ვიშოვითო.

მაიკმა ჩვენი კორპუსის წინ გაგვიჩერა მანქანა და სანამ გადმოვიდოდით, დენს კონვერტით ორი ათასი დოლარი გაუწოდა.

– არ გამოართვა, – ვუთხარი დენს.

– რაო? – გაუკვირდა მაიკს.

– მისმინე, რალაც უნდა გითხრა... – დავიწყე.

– ფორესტს იმის თქმა უნდა, რო რესლერობას აღარ აპირებს, – სასწრაფოდ ჩაგვეერთო დენი.

– ხუმრობ? – ჰკითხა მაიკმა.

– არ ვხუმრობ, – უპასუხა დენმა.

– რატომ? – გამომხედა მაიკმა, – რამე მოხდა, ფორესტ?

– ამაზე ახლა ლაპარაკი არ სურს, – დამასწრო დენმა.

– კაი, მგონი, გასაგებია, – ჩაილაპარაკა მაიკმა, – მოდი, ამაღამ კარგად გამოიძინეთ და ხვალ დილით დავილაპარაკოთ.

– ოქეი, – უთხრა დენმა და მანქანიდან გადმოვედით.

– ეგ ფული არ უნდა გამოგერთმია, – ვუთხარი დენს, როცა მაიკი წავიდა.

– ამის მეტი აღარაფერი დაგვრჩა.

მართლაც ყველაფერი დავკარგეთ. ამას სულ რამდენიმე წუთში მივხვდი.

ბინაში აღარც ჯენი დაგვხვდა. თავის ბარგიანად გადაკარგულიყო. მხოლოდ სუფთა თეთრეული, პირსახოცები და რამდენიმე ტაფა და ქვაბი დაეტოვებინა. დენმა სასტუმრო ოთახის მაგიდაზე მისი წერილი იპოვა და ხმამაღლა წაიკითხა:

„ძვირფასო ფორესტ,

მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ვცადე, ჩემს გრძნობებზე დაგლაპარაკებოდი, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია. ამალამ ძალიან ცუდი რამის გაკეთებას აპირებ და ამის შემდეგ შენთან ველარ ვიცხოვრებ.

შეიძლება ეს ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა. უკვე იმ ასაკში ვარ, მშვიდი ცხოვრება მჭირდება. მინდა დავოჯახდე, საკუთარი სახლი მქონდეს და ყოველ კვირას ეკლესიაში წირვაზე ვიარო. პირველი კლასიდან – თითქმის ოცდაათი წელია – გიცნობ, ფორესტ, ჩემ თვალწინ გაიზარდე, დავაჟკაცდი და გალამაზდი. როცა ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ ძალიან მიყვარხარ – ეს ბოსტონში მოხდა – მსოფლიოში უბედნიერესი გოგო ვიყავი.

თუმცა, შენ „პლანის“ მოწვევა დაიწყე და პროვინსტაუნში გოგოებს დაუნყე ღლაბუცი. მე მაინც მენატრებოდი და ძალიან გამიხარდა, როცა ვაშინგტონში ჩამოხვედი ანტისაომარ დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად.

მერე რაკეტით კოსმოსში გაფრინდი და ოთხი წლით სადღაც ჯუნგლებში გადაიკარგე. ამასობაში, მგონი, შევიცვალე. ძველებურად იმედით აღსავსე აღარ ვარ და, ვფიქრობ, სადმე უბრალო ცხოვრებითაც კმაყოფილი ვიქნები. ახლა სწორედ ასეთი ადგილის საპოვნელად მივდივარ.

შენც შეიცვალე, ძვირფასო ფორესტ. არა მგონია, ეს შენი ბრალი იყოს, შენ ხომ ყოველთვის „განსაკუთრებული“ იყავი, მაგრამ როგორც ჩანს, ერთმანეთის აღარ გვესმის.

ამ წერილს რომ ვწერ, თვალებიდან ცრემლები მდის, მაგრამ ჩვენი განშორება აუცილებელია. გთხოვ, ნუღარ

მომძებნი. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ჩემო
კარგო. მშვიდობით!

სიყვარულით, შენი ჯენი“.

დენმა წერილი მომანოდა, მაგრამ არ გამოვართვი და
წერილი ძირს დავარდა. გაქვავებული ვიდექი ერთ ადგ-
ილას. ცხოვრებაში პირველად გავიაზრე მთელი სიცხა-
დით, რა საშინელებაა იდიოტად ყოფნა.

ნ ავღვილ ნაბიჭვრად ვიგრძენი თავი.

ლამით მე და დენი იმ ბინაში დავრჩით, მეორე დილას კი ავიბარგეთ, ინდიანაპოლისში მაინც აღარაფერი გვესაქმებოდა. დენმა მაიკის მოცემული ორი ათასი დოლარი გამომიწოდა:

– აგერ, გამომართვი, ფორესტ.

– არ მინდა, – ვიუარე.

– გიჯობს გამომართვა, რადგან მეტი აღარ გვაქვს, – მითხრა დენმა.

– შენ გქონდეს.

– ნახევარი მაინც გამომართვი, – თქვა დენმა, – სამგზავროდ დაგჭირდება.

– შენ ჩემთან ერთად არ მოდიხარ? – ვკითხე.

– სამწუხაროდ არა, ფორესტ, – თქვა დენმა, – უკვე საკმარისად გაგიფუჭე საქმე. ნუხელ საერთოდ არ მიძინია. სულ იმაზე ვფიქრობდი, ათი ათასი დოლარის დადება და რინგზე გასვლა რომ გაიძულე, მიუხედავად იმისა, რომ ჯენი ამის გამო გაგვინაწყენდებოდა. შენი ბრალი არაა, რო „პროფესორმა“ დაგამარცხა. რაც შეგეძლო, გააკეთე. დამნაშავე მე ვარ. ცუდი ადამიანი ვარ.

– კაი რა, დენ, რა შენი ბრალია?! – წამოვიძახე. – მე თითონ რო არ ამვარდნოდა თავში და „შტერს“ მართლა უძლეველად არ წარმომედგინა თავი, ახლა ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდი.

– როგორც იყო, – თქვა დენმა, – ვერ გამოგყვები. შენს საქმეს უჩემოდ უნდა მიხედო. მე დამივიწყე. ცუდი ადამიანი ვარ.

მე და დენმა კიდე დიდხანს ვილაპარაკეთ, მაგრამ დენი ვერაფრით გადავარწმუნე. დენს კიბეზე ჩასვლაში დავეხმარე და დავემშვიდობე. ბოლოს რო მოვკარი თვალი, ურიკას ქუჩაში მიაგორებდა, კალთაში თავისი ტანსაცმელი და ბარგი ეყარა.

ავტოსადგურში წავედი და მობილის რეისის ბილეთი ვიყიდე. მგზავრობა ორი დღე-ღამე გაგრძელდა. მობილამდე ლუივილი, ნეშვილი და ბირმინგემი უნდა გაგვევლო. მთელი გზა ავტობუსში იმას ვფიქრობდი, ნაღდი იდიოტი ვარ-მეთქი.

ლუივილში ღამით გავიარეთ და მეორე დღეს ნეშვილში გავჩერდით. იქ ავტობუსი უნდა გამომეცვალა და სამი საათი უქმად ჯდომის ნაცვლად ქალაქის დათვალიერება გადავწყვიტე. სენდვიჩით და ერთი ჭიქა ცივი ჩაით ხელში დავსეირნობდი ქუჩაში, როცა რომელიღაც სასტუმროს ფასადზე გამოკრულ აბრას მოვკარი თვალი. აბრაზე ეწერა: „მოგესალმებით ჭადრაკის დიდოსტატთა ტურნირზე!“

ზორბა სემის შემდეგ ჭადრაკი აღარავისთან მეთამაშა და ცნობისმოყვარეობააღძრული სასტუმროში შევედი. ჭადრაკს საცეკვაო დარბაზში თამაშობდნენ და მოჭადრაკეებს უამრავი ხალხი შემოხვეოდა გარს. საცეკვაო დარბაზის ბილეთი ხუთი დოლარი ღირდა. ამდენის დახარჯვა არ მინდოდა, ამიტო ცოტა ხანს კართან ვიდექი და იქიდან ვიყურებოდი შიგნით. მერე ვესტიბიულში რბილ სავარძელზე დავჯექი.

ჩემს პირდაპირ ერთი სახედანაოჭებული პირქუში კაცი იჯდა, პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა და შავი პიჯაკი ეცვა. მაგიდაზე ჭადრაკის დაფა გაეშალა. დროდადრო რომელიმე ფიგურას გადაადგილებდა და მივხვდი, რო თავის თავს ეთამაშებოდა. რაკი ავტობუსის გასვლამდე

კიდე ერთი საათი რჩებოდა, ვკითხე, ხო არ გნებავთ, მე მეთამაშოთ-მეთქი. იმ კაცმა ამომხედა, მერე ჭადრაკის დაფას დახედა და არ მიპასუხა.

თითქმის ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ კაცმა თეთრი კუ მეშვიდე შავ უჯრედზე დასვა და ის იყო ხელი უნდა გაეშვა, რო ჩავახველე: – უკაცრავად!

კაცი შეხტა, თითქოს შეანჯღღრისო და დაბლვერილ-მა გამომხედა.

– მაგ სვლას თუ გააკეთებთ, ჯერ მხედარს დაკარგავთ, მერე – ლაზიერს და რთულ მდგომარეობაში აღმომჩნდებით.

კაცმა დაფას დახედა, ისე რო კუსთვის ხელი არ გაუშვია. მერე ფიგურა უკან, თავის ადგილზე დააბრუნა.

– მგონი, მართალი ხართ.

მერე ისევ ჭადრაკის დაფის თვალიერება განაგრძო. ამასობაში ჩემი წასვლის დრო დადგა, მაგრამ რო წამოვდექი, კაცმა მითხრა:

– უკაცრავად, უნდა გამოგიტყდეთ, მახვილი თვალი გქონიათ!

მე თავი დავუქნიე. კაცმა განაგრძო:

– როგორც ჩანს, ჭადრაკს თამაშობთ. იქნებ დაბრძანდეთ და პარტია ერთად დავასრულოთ? თეთრებით ითამაშებთ!

– არ შემიძლია, მეჩქარება, – ვუთხარი. კარგიო, ხელი დამიქნია კაცმა და მეც ავტოსადგურზე დავბრუნდი.

დამაგვიანდა. ავტობუსი უკვე წასულიყო. მომდევნო ავტობუსი მეორე დილამდე აღარ გადიოდა. წესიერად ვერაფერს ვაკეთებ! დროის გასაყვანად ისევ სასტუმროში დავბრუნდი. ის კაცი კვლავ თავის თავს ეთამაშებოდა ჭადრაკს და იგებდა. რო დამინახა, თავის ქნევით მიხმო, წინ დამიჯექიო. თეთრები მძიმე მდგომარეობა-

ში იყვნენ. პაიკები თითქმის აღარ დამრჩენოდა, ორივე ეტლი მოეკლათ, ერთადერთი კულა მყავდა და ლაზიერიც საფრთხეში იყო.

თითქმის მთელი საათი დამჭირდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მთელი ის დრო ბერიკაცი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და ბურტყუნებდა. ბოლოს გამბიტი გავითამაშე, ბერიკაცი წამოეგო და სამ სვლაში დავაშამათე.

– ჯანდაბა! – წამოიძახა ბერიკაცმა, – იქნებ მითხრათ ვინ ხართ?

ჩემი სახელი ვუთხარი, მაგრამ მან თავი გააქნია.

– მაინტერესებს, სად თამაშობთ? არ მეცნობით!

რო ვუთხარი, ჭადრაკის თამაში ახალი გვინეის ჯუნგლში ვისწავლე-მეთქი, გაოგნებულმა წამოიყვირა: – ღმერთო დიდებულო! მაშ, რეგიონულ ტურნირებშიც კი არ გითამაშიათ?

უარის ნიშნად გავაქნიე თავი.

– არ ვიცი, მიცანით თუ არა, მაგრამ მე ყოფილი დიდოსტატი ვარ და ფაქტობრივად, წაგებული თამაში შემომიტრიალე!

ვკითხე: საცეკვაო დარბაზში სხვებს რატო არ ეთამაშებით-მეთქი.

– უკვე ოთხმოცი წლის ვარ და მოხუცთა ტურნირებშიღა ვმონაწილეობ. დიდება ახალგაზრდების ხვედრია, მათ უფრო მახვილი გონება აქვთ.

მადლობა გადავუხადე და წამოვდექი. ბერიკაცმა შემაჩერა.

– უკვე ისადილეთ? – მკითხა.

რამდენიმე საათის წინ სენდვიჩი ვჭამე-მეთქი, – ვუპასუხე.

– სადილზე დამენვიეთ, – მითხრა ბერიკაცმა, –

ბოლოს და ბოლოს, ჩინებული პარტია მაჩუქეთ.

სიამოვნებით დავთანხმდი და სასტუმროს სასადილოში გავედით. თავაზიანი ბერიკაცი გამოდგა. მისტერ ტრიბლი ერქვა.

სადილობისას მისტერ ტრიბლმა მითხრა:

– საბოლოოდ რომ დავრწმუნდე, ალბათ, კიდევ რამდენიმე პარტია უნდა ვითამაშოთ და თუ გაირკვევა, რომ დღეს ჩემთვის შემთხვევით არ მოგიგიათ, ვალიარებ – მსოფლიოში საუკეთესო უცნობი ახალგაზრდა მოთამაშე ყოფილხართ. რამდენიმე ტურნირში დაგასპონსორებთ, მაინტერესებს, რა მოხდება.

ვუთხარი, შინ ვბრუნდები და კრევეტების ბიზნესის წამოწყებას ვაპირებ-მეთქი, მაგრამ მისტერ ტრიბლი არ მომეშვა:

– ფორესტ, ასეთი შანსი ხელმეორედ არ მოგეცემათ. ჭადრაკის თამაშით ბევრი ფულის შოვნა შეიძლება.

მირჩია, ამაღამ კარგად დაფიქრდი და პასუხი ხვალ დილით მითხარიო. ამგვარად, მისტერ ტრიბლს ხელი ჩამოვართვი და ქუჩაში გავედი.

კარგა ხანს დავეხეტებოდი გარეთ, მაგრამ ნეშვილში სანახავი ბევრი არაფერი იყო. ბოლოს პარკში ხის სკამზე ჩამოვჯექი. დავფიქრდი – რაც ჩემთვის იოლი სულაც არაა – ახლა რაღა ვქნა-მეთქი. გონებით ჯენისტან დავქროდი. ჯენიმ დამიბარა, ჩემ მოძებნას ნუ ეცდებიო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მჯეროდა, რო არ დავვინწყებივარ. ვიცი, ინდიანაპოლისში თავი გავიმასხარავე. არასწორად ვიქცეოდი. მაგრამ ახლა როგორღა მოვქცეულიყავი? ჯიბეცარიელი ვიჯექი პარკში, არადა, კრევეტების ბიზნესის წამოსაწყებად ფული მჭირდებოდა; მისტერ ტრიბლმა კარგი რამ შემომთავაზა: ჭადრაკით ფულს გაშოვნინებო. ისე, რო ვუფიქრდე-

ბი, რამდენჯერაც შინ დაბრუნება და კრევეტების ბიზნესის წამოწყება დავაპირე, იმდენჯერ შარში გავყავი თავი. ახლაც ასე დამემართა.

სულ ახალი ჩამომჯდარი ვიყავი სკამზე, როცა პოლიციელი მომიახლოვდა და მკითხა, რას აკეთებო.

ვუპასუხე, ვფიქრობ-მეთქი, მაგრამ იმან მითხრა, ღამით აქ ფიქრი აკრძალულია და აქედან წადიო. ქუჩას გავუყევი. პოლიციელი უკან გამომყვა. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ამიტო კარგა მანძილის გავლის შემდეგ ერთ ხეივანში შევუხვიე და დასასვენებლად ჩამოვჯექი. ერთი წუთიც არ გასულა, რო იმავე პოლიციელმა ჩამოიარა და დამინახა.

– აბა, ახლავე გამოდი მანდედან! – დამიძახა.

ხეივნიდან რო გამოვედი, მკითხა:

– მანდ რას აკეთებდი?

– არაფერს, – ვუპასუხე.

– ეგრეც ვიცოდი, – თქვა პოლიციელმა, – დაპატიმრებული ხარ უსაქმურად წაწაღისთვის.

მოკლედ, საკანში ჩამსვეს. დილით მითხრეს, შეგილია დარეკოო. მისტერ ტრიბლის გარდა არავის ვიცნობდი, ამიტო მას დავურეკე. მისტერ ტრიბლი ნახევარ საათში მოვიდა და ციხიდან დამიხსნა.

მერე სასტუმროში მასაუზმა და ნასაუზმევს მითხრა:

– მისმინე, მომდევნო კვირას ლოს-ანჯელესში ზონათაშორისი საჭადრაკო ტურნირი იმართება. არ გინდა მონაწილეობა? გამარჯვებული ჯილდოდ ათი ათას დოლარს მიიღებს. ხარჯს მე ავანაზლაურებ და მოგებულ თანხას შუაზე გავიყოფთ. ვხედავ, დახმარება გჭირდება და სიამოვნებით დაგეხმარები. შენი მწვრთნელი და მრჩეველი ვიქნები. რას იტყვი?

წუთით შევყოყმანდი და დავფიქრდი: ცდით არაფერი

დაშავდება, დავთანხმდები, ჭადრაკს ვითამაშებ, სანამ კრევეტების ბიზნესის წამოსაწყებ ფულს არ ვიშოვი-მეთქი. მისტერ ტრიბლს ხელი ჩამოვართვი და პარტნიორები გავხდით.

ლოს-ანჯელესით ძალიან მოვიხიბლე. იქ ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავედით. თავიდან მისტერ ტრიბლი მთელ დღეს ჭადრაკში მამეცადინებდა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია, მეცადინეობას აზრი არა აქვს, ისედაც ყველა სვლა ზეპირად იცის. ჰოდა, ჩვენც ქალაქის დასათვალისწინებლად წავედით.

მისტერ ტრიბლმა დისნეი-ლენდში წამიყვანა, კარუსელზე დამსვა და მერე ფილმის გადასაღებ მოედანზეც მომიწყო ექსკურსია. იქ ათასნაირ ფილმს იღებდნენ, ყველგან ხალხი ირეოდა და გაიძახოდა: „დუბლი პირველი!“, „შენყვიტეთ!“, „დავინყეთ!“ და ა. შ. ერთგან „ვესტერნს“ იღებდნენ. ერთმა ტიპმა ათჯერ გამოამსხვრია ფანჯრის მინა თავით, სანამ ზუსტად ის არ გააკეთა, რაც ევალებოდა.

როცა ამ სცენის გადაღებას ვუყურებდით, ვილაც ტიპი მოგვიახლოვდა.

– უკაცრავად, თქვენ მსახიობი ხართ? – მკითხა.

– ჰა? – დავიბენი.

– არა, ჩვენ მოჭადრაკეები ვართ, – უპასუხა მისტერ ტრიბლმა.

– სამწუხაროა, – თქვა იმ ტიპმა, – ეს ბიჭი ჩემი ფილმისთვის ზედგამოჭრილია. მერე მკლავზე ხელი წამავლო და კუნთი გამისინჯა, – ოჰო, რა ღონიერი ყოფილხართ! მართლა არ ხართ მსახიობი?

– ერთხელ სპექტაკლში ვმონაწილეობდი.

– მართლა? რომელში?

– „მეფე ლირში“.

– დაუჯერებელია, ძვირფასო, – აღფრთოვანება ვერ დამალა იმ ტიპმა, – დაუჯერებელი! გილდიის წევრი თუ ხართ?

– რისი?

– კინომსახიობთა გილდიის... ო, სულერთია, მაგას მოეველება. მე ის მაინტერესებს, აქამდე როგორ ვერავინ შეგამჩნიათ? არა, ერთი შეხედეთ! მაღალი, ღონიერი, სიტყვაძუნწი ტიპი – ახალი ჯონ უეინი!

– ჯონ უეინი კი არა, უმაღლესი კლასის მოჭადრაკეა, – მოიღუშა მისტერ ტრიბლი.

– მით უკეთესი, – თქვა იმ ტიპმა, – ჭკვიანი, მაღალი, ღონიერი და სიტყვაძუნწი ბიჭი. ასეთს ბევრს ვერ იპოვი.

– ისეთი ჭკვიანი არ ვარ, როგორიც ერთი შეხედვით ვჩანვარ, – გულწრფელად ვუთხარი. მაგრამ იმ ტიპმა თქვა: ჩემთვის სულერთია, მსახიობს ჭკუას ან გულწრფელობას არავინ სთხოვს, მთავარია, სიტყვები დაიზეპიროს და სწორად წარმოთქვასო.

– ფელდერი მქვია, – გაგვეცნო ის, – ფილმებს ვიღებ. მინდა, სინჯებში მიიღოთ მონაწილეობა.

– ხვალ ჭადრაკის ტურნირი იწყება, – უთხრა მისტერ ტრიბლმა, – გადაღებებისთვის და სინჯებისთვის არ სცალია.

– იქნებ როგორმე დრო გამონახოთ? რა იცით, იქნებ წარმატებას მიაღწიოთ. თქვენც მობრძანდით სინჯებზე, ტრიბლ.

– ვეცდებით, – უპასუხა მისტერ ტრიბლმა და ჩემკენ მოტრიალდა, – ახლა კი, წამოდი, ფორესტ, სხვა საქმეები გვაქვს.

– ნახვამდის, ძვირფასო, – გვითხრა მისტერ ფელდერმა, – იცოდეთ, გელოდებით!

მე და მისტერ ტრიბლი წავედით.

მ **ოქლავენი** დილას სასტუმრო „ბევერლი ჰილზში“ საჭადრაკო ტურნირი დაიწყო. დილადრიან გამოცხადდით და მისტერ ტრიბლმა ყველანაირ შეჯიბრზე დამარეგისტრირა.

სიმართლე ითქვას, დიდი სირთულე არ შემქნია. პირველი მეტოქე, რეგიონული ჩემპიონი და რომელიღაც კოლეჯის პროფესორი, შვიდ წუთში დავამარცხე. გულის სიღრმეში ძალიან გამიხარდა – მე ხომ პროფესორს მოვუგე!

მომდევნო მეტოქეს, ჩვიდმეტი წლის ბიჭს, ნახევარ საათზე ნაკლებ დროში მოვუთავე საქმე. განაწყენებული ბიჭი ისტერიკაში ჩავარდა, აბლავლდა და სულ „დედა, დედიკო“ იძახა. ვილაცამ ძალით გაათრია დარბაზიდან.

მოკლედ, იმ და მომდევნო დღესაც ათასი ჯურის ხალხს ვეთამაშე, მაგრამ ყველას სწრაფად ვამარცხებდი – რაც, სხვათა შორის, დიდი შვება იყო ჩემთვის; მაგალითად, ზორბა სემთან თამაშისას მოსაფსმელად ადგომას ვერ ვბედავდი, ვაითუ, ფიგურები გადააადგილოს და მომატყუოს-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, ფინალში გავედი. ფინალამდე ერთდღიანი შესვენება გამოცხადდა. მისტერ ტრიბლთან ერთად სასტუმროში დავბრუნდი. ნომერში მისტერ ფელდერის წერილი დაგვხვდა. წერილში ეწერა:

„გთხოვთ, დარეკეთ ჩემს ოფისში დღეს და ხვალ დილისთვის კინოსინჯებისთვის ჩაენერეთ“.

იქვე ტელეფონის ნომერიც მიეთითებინათ.

– არც კი ვიცი, რა გირჩიო, ფორესტ, – თქვა მისტერ ტრიბლმა, – შენ რას ფიქრობ?

– არც მე ვიცი, რა ვქნა, – ვთქვი, მაგრამ სინამდვილეში კინოში გადაღება ძალიან მინდოდა. ვინ იცის, იქნებ რაქელ უელჩსაც შევხვდე-მეთქი, გავიფიქრე გულში.

– მგონი, ცდით არაფერი დაშავდება, – თქვა მისტერ ტრიბლმა, – მოდი, დავრეკავ და შეხვედრის შესახებ შევუთანხმდები.

დარეკა კიდევ და იკითხა, სად და როდის მოვიდეთო. მერე უცებ ყურმილს ხელი დააფარა და მკითხა:

– ფორესტ, ცურავ?

– კი, – ვუპასუხე.

– კი, ცურავს, – ჩასძახა ყურმილში მისტერ ტრიბლმა.

როგორც კი ყურმილი დაკიდა, ვკითხე: რატო აინტერესებთ, ცურვა შემიღია თუ არა-მეთქი. რავი, რო მივალთ, გავარკვევთო, – მიპასუხა მისტერ ტრიბლმა.

ამჯერად სხვა გადასაღებ მოედანზე მივედი. ჭიშკართან მცველი დაგვხვდა და საჭირო ადგილამდე მიგვაცილა. მისტერ ფელდერი ვილაც ქალს ეკამათებოდა, რომელიც ძალიან ჰგავდა რაქელ უელჩს. თუმცა მე რო დამინახა, მისტერ ფელდერს მაშინვე სახე გაეზარდა.

– ეს შენა ხარ, ფორესტ? რა მაგარია, რომ მოხვედი! გარდერობის ოთახსა და საგრიმიოროში შედი და სინჯებისთვის მოგამზადებენ.

გარდერობის ოთახში ორი ქალი დამხვდა. დანახვისთანვე ერთ-ერთმა მითხრა:

– გაიხადე!

აი, ისევ გაშიშვლება მთხოვეს! თუმცა მოთხოვნას დავემორჩილე. გაშიშვლებულს, ქერცლიანი რეზინის კოსტიუმი და აპკიანი ხელის მტევნები და ტერფები

გადმომიგდეს, მითხრეს, ჩაიცვიო. თითქმის მთელი საათი ვიჯახირე და ბოლოს ისევ ის ორი ქალი დამეხმარა შემოსვაში. მერე საგრიმიოროსკენ მიმითითეს. სკამზე დავჯექი თუ არა, ვილაც ტიპმა თავზე რეზინის ნილაბი ჩამომაცვა და კოსტიუმს კარგად მოარგო, რო ორივე ერთად თევზის კანს დამსგავსებოდა. ყველაფერს რო მორჩინენ, გადასალებ მოედანზე გამგზავნეს.

აპკიანი ფეხებით ძლივს გადავდგი ნაბიჯი, ხოლო აპკიანი ხელებით კარი ძლივს გავაღე. გარეთ რო გავედი, ბანანის და სხვა ტროპიკული ხეებით გარშემორტყმულ ტბასთან ამოვყავი თავი. მისტერ ფელდერიც იქ იყო. რო დამინახა, შეხტა და აღფრთოვანებით წამოიძახა:

– დიდებულია, ძვირფასო! ამ როლისთვის ზედგამოჭრილი ხარ!

– რომელი როლისთვის? – ვკითხე.

– უი, არ მითქვამს? – გაიოცა მისტერ ფელდერმა.

– „შავი ლაგუნის ურჩხულის“ რიმეიქის გადაღებას ვაპირებ.

ჩემნაირი იდიოტიც კი ადვილად მიხვდებოდა, მე რომელი როლისთვის მამზადებდნენ.

მისტერ ფელდერმა ხელის ქნევით იხმო ქალი, რომელსაც წელან ეკამათებოდა.

– ფორესტ, მინდა რაქელ უელჩი გაგაცნო, – მითხრა მისტერ ფელდერმა.

სული რო შეგებერათ, წავიქცეოდი! ჩემ წინ დეკოლტიან კაბაში ჩაცმული რაქელ უელჩი იდგა.

– მიხარია, რო შევხვდით, – ვუთხარი თავზე ნილაბ-ჩამოცმულმა.

რაქელ უელჩმა მისტერ ფელდერს მკვახედ მიახალა:

– რაო, „მკერდი“? ჩემს მკერდზე თქვა რამე?

– არა, ძვირფასო, არა, – უთხრა მისტერ ფელდერ-

მა, – ფორესტმა თქვა, მიხარია, რომ შეხვდითო. ნილაბი აქვს ჩამოცმული და მისი სიტყვები წესიერად არ ისმის!

აპკიანი ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად, მაგრამ რაქელ უელჩი უკან გახტა და წამოიძახა:

– ააჰ! დროზე მოვრჩეთ ამ საქმეს!

მისტერ ფელდერმა მოკლედ აღმინერა სცენა: რაქელ უელჩი წყალში ფართხალებს, მერე გული მისდის, ამ დროს მე წყლის სიღრმიდან ამოვდივარ და ის ხელში ატატებული ამომყავს ნაპირზე. უცებ რაქელ უელჩი გონს მოდის, მხედავს და შეშინებული ყვირის: „ძირს დამსვი! მიშველეთ! მაუპატიურებენ!“ ოღონდ მე ძირს არ ვსვამ, რადგან ვილაც არამზადები მოგვდევენ. პირიქით – ჯუნგლში მივარბენინებ.

სცენა გავითამაშეთ. სასიამოვნო იყო რაქელ უელჩის გულში ჩახუტება, მიუხედავად იმისა, რო ის ხმამაღლა კიოდა: „დამსვი, მიშველეთ, პოლიცია!“

ჩემგან განსხვავებით, მისტერ ფელდერსი უკმაყოფილო დარჩა, ეს არ კმარაო და ყველაფერი თავიდან გაგვამეორებინა. არც მეორე დუბლი მოეწონა. ათჯერ თუ თხუთმეტჯერ გაგვათამაშებინა ერთი და იგივე სცენა. სცენებს შორის შუალედებში რაქელ უელჩი მისტერ ფელდერს ხმამაღლა უყვიროდა და ლანძღავდა. მისტერ ფელდერი კი სულ იმას იმეორებდა, კარგია, ძვირფასო, კარგიაო!

მე კიდე ჩემი გასაჭირი მქონდა. თითქმის ხუთი საათი გავიდა, იმ ურჩხულის კოსტიუმს კი არც ღილი ქონდა, არც – ელვაშესაკრავი, რო როგორმე მომეფსა. ლამის გავმსკდარიყავი! წუნუნნი ვერ გავბედე, ბოლო-ბოლო, ნამდვილ კინოს ვიღებთ და ხალხი არ გავაბრაზო-მეთქი.

მაგრამ რაღაც ხო უნდა მექნა, არა?! ჰოდა, მეც გადავწყვიტე, კიდე ერთხელ რო ჩავალთ წყალში, კოსტი-

უმში ჩავიფსამ, ლაგუნაში ვერავინ შეამჩნევს-მეთქი.

მისტერ ფელდერმა დაიძახა:

– დავინყეთ!

მე წყალში ჩავხტი და ჩავიფსი. ამასობაში რაქელ უელჩმა ფართხალი შეწყვიტა და „გულინაუვიდა“. წყლიდან ამოვყვინთე, მკლავებში მოვიქციე და ნაპირისკენ გავათრიე. მერე ისევ „გონს მოვიდა“, მუშტების რტყმა დამიწყო და აყვირდა. უცებ ყვირილი შეწყვიტა და თქვა:

– რა სუნია?

– შეწყვიტეთ! – დაიღრიალა მისტერ ფელდერმა და ფეხზე წამოდგა. – ძვირფასო, რა თქვით? ეს სცენარში არ წერია!

– მიმიფურთხებია მაგ სცენარისთვის! – უპასუხა რაქელ უელჩმა, – აქ რალაც ყარს! – მერე მე შემომხედა, – ეი, შენ, ვილაცა ხარ, წყალში ხომ არ მოგიფსამს?

სირცხვილისგან აღარ ვიცოდი რა მექნა. მკერდზე რაქელუელშმიხუტებული გავშეშდი და წამიერი ყოყმანის შემდეგ უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

– ნწუ!

ცხოვრებაში პირველად ვიცრუე.

– აშკარად ვილაცამ მოფსა, – დაიჟინა რაქელ უელჩმა, – ფსელის სუნს როგორმე ვხვდები! ეს მე არ ვყოფილვარ, ესე იგი, შენ იყავი! მე როგორ მომაფსი, შე გამოტვინებულო! – სულ მუშტები მირტყა მკერდში, – ახლავე დამსვი! მომშორდი!

ვიფიქრე, თამაშს ვაგრძელებთ-მეთქი და ჯუნგლისკენ გავაქანე.

– დავინყეთ! – დაიყვირა მისტერ ფელდერმა.

კინოკამერები ჩაირთო. რაქელ უელჩი მირტყამდა, მფხაჭნიდა და ყვიროდა – ასეთი ბუნებრივი უნინ არ ყოფილა.

– ყოჩაღ ძვირფასო! მაგარი ხარ! ეგრე გააგრძელე! –
ყვიროდა მისტერ ფელდერი.

მისტერ ტრიბლი მასთან ახლოს, სკამზე იჯდა. მთელი სხეული უთრთოდა და თავი განზე მიებრუნებინა.

ჯუნგლში რო შევედი, გავჩერდი და უკან მივტრიალდი, ვიფიქრე, „შენყვიტეთ!“-ს დაიძახებენ-მეთქი, მაგრამ მისტერ ფელდერი გადარეული ხტოდა და ხელს მიქნევდა:

– დიდებულია, ძვირფასო! მომწონს! ჯუნგლებში შეიყვანე!

რაქელ უელჩი განუწყვეტლივ მფხაჭნიდა, მირტყამდა და მიყვიროდა:

– გამიშვი, შე ბინძურო ცხოველო!

მაგრამ მე გზა გავაგრძელე, როგორც დამავალეს.

– ვაიმე! ჩემი კაბა! – აკვილდა უცებ რაქელ უელჩი.

მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რო მისი კაბა რომელიღაც ბუჩქს გამოსდებოდა და ტანზე შემოხეოდა. ხელში შიშველი რაქელ უელჩი მეკავა!

– უი! – წამოვიძახე და მივტრიალდი, უკან წავიყვან-მეთქი, მაგრამ რაქელ უელჩი აკვილდა: – არა, არა, შე იდიოტო! იქ ასე ვერ დავბრუნდები!

ვკითხე: აბა, რა გიყო-მეთქი და მიპასუხა: სადმე დამმალე, სანამ რამეს მოვიფიქრებო. მეც უფრო ღრმად შევედი ტყეში. უცებ საიდანღაც ლიანაზე ჩამოკონწიალებული საგანი გამოფრინდა ჩვენკენ. გვერდით რო ჩავვიქროლა, შევამჩნიე, მაიმუნი იყო. მერე მაიმუნი ძირს ჩამოხტა და გაკვირვებისგან კინალამ გული წამოვიდა. ეს ჩემი ძველი მეგობარი სიუ იყო!

რაქელ უელჩმა წივილ-კივილი განაახლა. სიუმ კი ფეხებზე შემომხვია ხელები და ჩამეხუტა. არ ვიცი, იმ ურჩხულის კოსტიუმში ალბათ, სუნით თუ მიცნო.

– მაგ წყეულ ბაბუინს იცნობ? – როგორც იქნა, ცოტათი დამშვიდდა რაქელ უელჩი.

– ეს ბაბუინი არ არი, – ვუპასუხე, – ჩემი ძმაკაცი ორანგუტანია. სიუ ჰქვია.

რაქელ უელჩმა გაკვირვებით შემომხედა.

– ძმაკაცი თუა, სიუ რატომ ჰქვია?

– ეგ გრძელი ამბავია.

რაქელ უელჩი ხელებით იფარავდა შიშველ ტანს. ისევ ბებერმა სიუმ იპოვა გამოსავალი. პალმიდან ფოთლები მოწყვიტა და მიაწოდა. რაქელ უელჩმა ფოთლებით ნაწილობრივ დაიფარა ტანი.

როგორც მოგვიანებით გავიგე, შემთხვევით სხვა ფილმის გადასაღებ მოედანზე გადავსულვართ; იქ „ტარზანს“ იღებდნენ და სიუ სტატისტიკის როლში მონაწილეობდა. პიგმეებისგან დახსნისა და ახალი გვინეიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ მალევე სიუ თეთრკანიან მონადირეებს შეუპყრიათ და ლოს-ანჯელესში ვილაც ცხოველების მწვრთნელისთვის მიუყიდიათ. ახლა მას ფილმებში იღებდნენ.

სამწუხაროდ, იმ წუთას სალაცობოდ ვერ მოვიცალეთ, რადგან რაქელ უელჩმა ისევ წივილ-კივილი ატეხა.

– სადმე წამიყვანე, სადაც ტანსაცმელს ვიშოვი!

მართალია, ფილმის გადასაღებ მოედანზე ვიყავით, მაგრამ ჯუნგლი ჯუნგლია და იქ ტანსაცმელს ვერ იშოვი. ჰოდა, გზა გავაგრძელეთ, იმედია, რამე გვეშველებაო.

მართლაც გვეშველა. ერთ ღობეს მივადექით. ვიფიქრე, იქით მხარეს შეჭველად იქნება ტანსაცმელი-მეთქი. სიუმ ღობეში მორყეულ ფიცარს მიაგნო. ფიცარი გადავწიეთ და გადავძვერით. თუმცა, იქითა მხარეს საყრდენი არ აღმოჩნდა, წონასწორობა დავკარგე და მე

და რაქელ უელჩი კოტრიალ-კოტრიალით ჩავგორდით ფერდობზე. ქვემოთ, ცოტა აზრზე რო მოვედით, მიმოვიხედე და რას ვხედავ, გზისპირას ვყრივართ.

– ღმერთო ჩემო! – წამოიკვილა რაქელ უელჩმა, – ეს ხომ სანტა-მონიკას ავტოსტრადაა!

ამასობაში ფერდობზე ხტუნვა-ხტუნვით სიუმაც ჩამოირბინა. სამივე გზისპირას ვიდექით და არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. რაქელ უელჩი ბანანის ფოთლებს ხან ზევით აიფარებდა, ხან – ქვემოთ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ იფარავდა ტანს.

– ახლა რა ვქნათ? – ვკითხე მას.

გზაზე მანქანები მიმოქროდნენ და მართალია, უჩვეულო სანახავეები ვიყავით, მცირე ყურადღებასაც არავინ გვაქცევდა.

– სადმე წამიყვანე! – აყვირდა რაქელ უელჩი, – ტანსაცმელი უნდა ვიშოვო!

– სად სადმე?

– სადაც გინდა! – მომახალა მან.

ჰოდა, ჩვენც ავტოსტრადის გასწვრივ გავაგრძელეთ გზა.

მალე რომელიღაც გორაკზე დიდი თეთრი წარწერა გამოჩნდა: „ჰოლივუდი“.

– ამ წყეულ ავტოსტრადას უნდა მოვშორდეთ და როდუო-დრაივისკენ¹ გავუხვიოთ, იქ ტანსაცმლის ყიდვას შევძლებ, – თქვა რაქელ უელჩმა.

ის მონდომებით ცდილობდა სხეულის დაფარვას. თუ მანქანა წინიდან მოდიოდა, ბანანის ფოთლებს წინ იფარებდა, თუ უკნიდან – უკანალს იფარავდა. ორმხრივ გზაზე ალბათ, უცნაური სანახავი იქნებოდა – მისი მოძ-

¹ სავაჭრო უბანი ბევერლი-ჰილზში

რაობები ფეხბურთის გუნდის გულშემატკივარი გოგონას ცეკვას ჰგავდა.

ავტოსტრადას მოვშორდით და დიდი მინდორი გადავჭერით.

– ეს ნყეული მაიმუნი რას მოგყვება? – მკითხა რაქელ უელჩმა, – ისედაც მასხარებს ვგავართ!

მე არაფერი მითქვამს, მაგრამ საბრალო სიუს რო შევხედე, განაწყენებული მომეჩვენა. რაქელ უელჩს მანამდე არც ის იცნობდა და ამ უცნობი ქალისგან ასეთი სიტყვების მოსმენამ გული ატკინა.

მიუხედავად ყველაფრისა, გზა გავაგრძელეთ, მაგრამ ყურადღებას მაინც არავინ გვაქცევდა. ბოლოს ხალხმრავალ ქუჩას მივადექით.

– ღმერთო დიდებულო, ეს სანსეტ-ბულვარია! – წამოიძახა რაქელ უელჩმა, – რას იტყვის ხალხი, სანსეტ-ბულვარზე დღისით დედიშობილამ რომ გავიარო?!

ჰო, ნამდვილად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მე თითონ გულის სიღრმეში მიხაროდა კიდეც, რო ურჩხულის კოსტიუმი მეცვა და თუნდაც რაქელ უელჩის გვერდით მდგარს ვერავინ მიცნობდა.

შუქნიშნამდე მივედით. მწვანე რო აენტო, ქუჩის მეორე მხარეს გადავედით. რაქელ უელჩი „ცეკვას“ აგრძელებდა და მანქანის მძღოლებს უღიმოდა, თითქოს სცენაზე დგას და მაყურებლებს ესალმებაო.

– სირცხვილით ვინვი! – ჩაისისინა ჩემ გასაგონად, – საქვეყნოდ მომეჭრა თავი! მაცალე, ტანსაცმელი ვიშოვო და მე შენ გიჩვენებ სეირს, შე სქელტრაკა იდიოტო!

მწვანე შუქზე გაჩერებული მანქანებიდან დაგვისიგნალეს და ხელი დაგვიქნიეს. ეტყობა, რაქელ უელჩი იცნეს. ქუჩის მეორე მხარეს გადასულებს, რამდენიმე მანქანა გამოგვყვა. სანამ უილშირ-ბულვარამდე მივი-

დოდით, ჩვენს ზურგს უკან საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბრბო შეგროვდა; ხალხი სახლებიდან და მალაზიებიდან გამოდიოდა და მონუსხული მოგვდევდა, როგორც ჰამელნელ მესტვირეს. რაქელ უელჩი ჭარხალივით განითლებულიყო.

– ამ ქალაქში როლს ველარ იშოვი! – კბილებში გამოცრა და ნაძალადევად გაუღიმა ხალხს.

კიდევ ცოტაც გავიარეთ და, როგორც იქნა, მივედით როდეო-დრაივამდე. ქუჩის კუთხეში ქალის ტანსაცმლის მალაზია დავინახე. რაქელ უელჩის მხარზე ხელი დავუტყაპუნე და იქით მივახედე.

– ახ, ეგ „პაპაგალოა“. მაგათ ტანსაცმელს ცოცხალი თავით არ ჩავიცვამ! – თქვა მან.

კიდევ ცოტაც გავიარეთ და რაქელ უელჩმა წამოიძახა:

– აი, „ჯიანი“! აქ ლამაზი ტანსაცმელი აქვთ!

ჩვენც იმ მალაზიაში შევედით.

კართან გამყიდველი შეგვხვდა. პატარა ულვაში ქონდა და თეთრი პიჯაკი ეცვა, რომლის ჯიბიდანაც ცხვირსახოცის წვერი მოუჩანდა. დაეჭვებით შეგვათვალიერა.

– რით დაგეხმაროთ, ქალბატონო? – ჰკითხა რაქელ უელჩს.

– კაბის ყიდვა მინდა, – უპასუხა რაქელ უელჩმა.

– ზუსტად რომლის? – ჰკითხა გამყიდველმა.

– ნებისმიერის, შე სულელო... ვერ ხედავ, არაფერი მაცვია!

გამყიდველმა რამდენიმე თაროსკენ მიგვითითა, თქვენი ზომის ტანსაცმელი იქ დევსო. რაქელ უელჩიც იქით წავიდა და კაბის შერჩევა დაიწყო.

– თქვენ რით დაგეხმაროთ, ბატონებო? – გვკითხა მე და სიუს გამყიდველმა.

– ჩვენ მხოლოდ მას შემოვყევით, – ვუპასუხე გამ-

ყიდველს. გარეთ ბრბო შეკრებილიყო და ვიტრინას მისწებებოდნენ.

რაქელ უელჩმა გასახდელში რვა თუ ცხრა კაბა შეიტანა მოსასინჯად. ცოტა ხანში გამოვიდა და გვკითხა:

– ამაზე რას იტყვით?

დეკოლტიანი, ქამრიანი და ბაფთებიანი ყავისფერი კაბა ეცვა.

– არ ვიცი, ძვირფასო... – შეყოყმანდა გამყიდველი, – სათქვენო არ არის.

რაქელ უელჩი გასახდელში შებრუნდა და სხვა კაბა ჩაიცვა.

– ო, ულამაზესია! ბრწყინვალედ გამოიყურებით! – წამოიძახა ამჯერად გამყიდველმა.

– ამას ვიყიდი, – თქვა რაქელ უელჩმა.

– ძალიან კარგი, – თქვა გამყიდველმა, – როგორ გადაიხდით?

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა რაქელ უელჩმა.

– ნაღდი ფულით, ჩეკით თუ საკრედიტო ბარათით?

– მისმინე, მეგობარო... ვერ ხედავ, რომ შიშველი ვარ? ფულს სად უნდა ვინახავდე?

– გთხოვთ, ქალბატონო, თავხედობა საჭირო არაა! – თქვა გამყიდველმა.

– მე რაქელ უელჩი ვარ, მოგვიანებით ვინმეს გამოვგზავნი და გადაგიხდით.

– ვწუხვარ, ქალბატონო, მაგრამ ჩვენ ასე არ ვმუშაობთ.

– მაგრამ მე რაქელ უელჩი ვარ! ვერ მიცანით?

– იცით რა, ქალბატონო, – თქვა გამყიდველმა, – აქ ვინც შემოდის, თითქმის ყველა იმას ამბობს რაქელ უელჩი, სოფი ლორენი ან ფერა ფოსეტი ვარო. პირადობის მოწმობა გაქვთ?

– პირადობის მოწმობა?! – წამოიყვირა რაქელ უელჩმა, – თქვენი აზრით, პირადობის მოწმობა სად უნდა მედოს?

– თუ არც პირადობის მოწმობა გაქვთ, არც – საკრედიტო ბარათი და არც – ფული, კაბას ვერ მიიღებთ!

– ახლავე დაგიმტკიცებთ, ვინც ვარ, – თქვა რაქელ უელჩმა და გაანჩხლებულმა უეცრად კაბის ზედატანი ჩაიხსნა, – ამ პანანინა ქალაქში სხვას ვის აქვს ასეთი ძუძუები?!

გარეთ შეკრებილი ბრბო მოწონებით აყიჟინდა და ვიტრინაზე მუშტები დააბრაახუნეს. აი, გამყიდველმა კი პატარა ღილაკს დააჭირა თითი და დაკუნთული მცველი გამოიძახა. მცველმა გვითხრა:

– საკმარისია! ორივე დაპატიმრებულები ხართ. თქვენთვის აჯობებს, მშვიდად გამომყვეთ!

ღ აი, კვლავ ციხეში აღმოვჩნდი.

მას შემდეგ, რაც ტანსაცმლის მაღაზიის მცველ-მა დაგვაკავა, პოლიციელებით სავსე ორი საპატრულო მანქანა მოვიდა.

– რა ხდება? – ჰკითხა ერთ-ერთმა პოლიციელმა გამყიდველს.

– ეს ქალი ამბობს რაქელ უელჩი ვარო, – უპასუხა გამყიდველმა, – ბანანის ფოთლებაფარებული შემოვიდა აქ და კაბის ფულს არ იხდიდა. ეს ორიც საეჭვოდ მეჩვენება, – ჩვენკენ გამოიშვირა ხელი.

– კი არ ვამბობ, ნამდვილად რაქელ უელჩი ვარ! – აყვირდა რაქელ უელჩი.

– დიახ, დიახ, ქალბატონო, – თქვა პოლიციელმა, – მე კი კლინტ ისტვუდი ვარ. თუ შეიძლება ამ ორ ოფიცერს გაჰყევით! – ხელით ანიშნა რაქელ უელჩს.

– აბა, მეგობრებო, თქვენ რას მეტყვით? – ჩვენკენ მოტრიალდა პოლიციელების მეთაური.

– მხატრულ ფილმში გადაგვიღეს, – ვუპასუხე.

– მაგიტომაც გაცვია ეგ ურჩხულის კოსტიუმი?

– დიახ.

– და ეს? – სიუზე მანიშნა, – ისეთი კოსტიუმია, ნამდვილ მაიმუნს ჰგავს.

– არი კიდევ, – ავუხსენი მე, – წმინდა სისხლის ორანგუტანია.

– მართლა? – გაუკვირდა პოლიციელს, – იცი რა, იზოლატორში ერთი რეჟისორი გვყავს და ალბათ, ისიც

გადაგიღებთ თავის ფილმში, კლოუნებო. თქვენც წამოდით! ოლონდ, ფრთხილად, ზედმეტი მოძრაობის გარეშე!

მოკლედ, ისევ მისტერ ტრიბლმა დამიხსნა ციხიდან. მისტერ ფელდერი ადვოკატების მთელი ოცეულით გამოცხადდა და განიშმატებული რაქელ უელჩი გაათავისუფლებინა.

– დამაცადე! – მომადახა, როცა მიჰყავდათ, – პირადად ვიზრუნებ, რომ ეპიზოდურ როლსაც ველარ ელირსო ვერც ერთ ფილმში!

მუქარა აასრულა კიდეც. ჩემი სამსახიობო კარიერა იმ დღეს დასამარდა.

– ასეთია ცხოვრება, ძვირფასო... მაგრამ არა უშავს, ხანდახან სადილად დაგპატიუებ ხოლმე, – მითხრა წასვლამდე მისტერ ფელდერმა, – მოგვიანებით ვინმეს გამოვგზავნით ურჩხულის კოსტიუმის წასაღებად.

– წამოდი, ფორესტ, – მითხრა ტრიბლმა, – მე და შენ სხვა საქმეები გვაქვს.

სასტუმროში მე, მისტერ ტრიბლმა და სიუმ თათბირი გავმართეთ.

– სიუს აქ ყოფნა პრობლემას შეგვიქმნის, – თქვა მისტერ ტრიბლმა, – ამჯერად ძლივს ამოვაპარეთ ნომერში. ორანგუტანთან ერთად მგზავრობა იოლი არაა. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ვუამბე, როგორ ვმეგობრობდი სიუსთან და რამდენჯერ გადავურჩენივარ სიკვდილს ჯუნგლებში.

– კი, შენი გრძნობები ჩემთვის გასაგებია, – თქვა მისტერ ტრიბლმა, – სწორედ ამიტომ მოგცემ ერთ შანსს. ოლონდ წესიერად უნდა მოიქცეს, თორემ პრობლემები ნაღდად არ აგვცდება.

– წესიერად მოიქცევა, – დავპირდი მე, ხოლო სიუმ თავი დაუქნია და მაიმუნივით დაექყანა.

მეორე დღეს გრანდიოზული საჭადრაკო მატჩი იმართებოდა ჩემსა და საერთაშორისო დიდოსტატ ივან პეტრიკოვიჩს, იმავე „პატიოსანი ივანს“ შორის. მისტერ ტრიბლმა ტანსაცმლის მაღაზიაში მოდური სმოკინგი დამიქირავა, ამ შეხვედრას ბევრი „ფოე-ფოე“ ხალხი დაესწრება და კარგად უნდა გამოიყურებოდეთ. გარდა ამისა, გამარჯვებული ჯილდოდ ათი ათას დოლარს მიიღებს და შენი წილით კრევეტების ბიზნესის წამოწყებას შეძლებო. მოკლედ, შეცდომის დაშვების უფლება არ მქონდა.

დარბაზი ხალხით გავსებულიყო, ხოლო „პატიოსანი ივანი“ უკვე მაგიდასთან იჯდა და რო დამინახა, ისეთი დამიბლვირა, თითქოს, მუჰამედ ალი ყოფილიყო.

„პატიოსანი ივანი“ ფართოშუბლიანი რუსი გოლიათი იყო, ფრანკენშტეინს ჰგავდა, ხუჭუჭა შავი თმა კი მევიოლინესავით გადაევარცხნა უკან. მაგიდას რომ მივუჯექი, ბურტყუნით რალაც მითხრა. ამასობაში ვილაც ტიპმა გამოაცხადა:

– დაიწყეთ მატჩი!

„პატიოსანი ივანი“ თეთრებით თამაშობდა და პირველი სვლა მან გააკეთა. „პონციანის დებიუტით“ დაიწყო.

მე „რეტის დებიუტით“ ვუპასუხე და ყველაფერი კარგად გაგრძელდა. ორივემ კიდე რამდენიმე სვლა გავაკეთეთ და „პატიოსანმა ივანმა“ ფალკბერის გამბიტი სცადა – მხედრით ჩემი ეტლის მოკვლა მოინდომა.

მივხვდი, საითაც უმიზნებდა და „ნოეს კიდობნის მახე“ დავუგე და ჩემი ეტლის მაგივრად, მისი მხედარი მოვკალი. „პატიოსანი ივანი“ ამან ძლიერ დაალონა, მაგრამ არ დანებდა და მაშინვე „ტარაშის იერიშით“ დაემუქრა ჩემს კუს.

მე „ლაზიერის ინდური დაცვით“ დავუპირისპირდი

და იძულებული გავხადე, „სხევენინგენური ვარიანტი“ გამოეყენებინა, რასაც „ბენონის დაცვით“ ვუპასუხე.

„პატიოსანი ივანი“ ანერვიულდა. თითებს იმტვრევდა და ქვედა ტურს იკვნეტდა. სასონარკვეთილმა, გარისკა და „შემწვარი ღვიძლის იერიში“ განახორციელა. მე „ალეხინის დაცვით“ ვუპასუხე და ცივი წყალი გადავასხი.

„პატიოსანი ივანი“ ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ „ჰოფმანის მანევრით“ დააღწია თავი! მე მისტერ ტრიბლს გავხედე. მან გამიღიმა და ჩურჩულით მითხრა:

– ახლა!

მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

საქმე ისაა, რო ჯუნგლში ზორბა სემმა რამდენიმე ისეთი სვლა მასწავლა, რომლებსაც ჭადრაკის სახელმძღვანელოებში ვერ ნახავთ. კერძოდ: „ქოქოსის გამბიტის“, „წვნიანის ქვაბის ვარიანტი“, რომელშიც ლაზიერს სატყუარად იყენებ და მეტოქის მხედრის ანკესზე წამოგებას ცდილობ.

სამწუხაროდ, ამან არ იმოქმედა. „პატიოსანი ივანი“ ჩანაფიქრს მიმიხვდა და ჩემს ლაზიერს გადაეღობა. ახლა მე აღმოვჩნდი რთულ მდგომარეობაში! ამჯერად „ჩალის ქოხის ფანდი“ მოვსინჯე – ბოლო ეტლი მოსაკლავად გავწირე, მაგრამ ვერც ამით მოვატყუე. ეტლიც მომიკლა, კუც და „პეტროვის ქიშით“ მიპირებდა საქმის მომთავრებას, მაგრამ გონება მოვიკრიბე და „პიგმეების იერიში“ განვახორციელე.

„პიგმეების იერიში“ ზორბა სემის საფირმო სვლა იყო და მასთან პაექრობებისას საგულდაგულოდ შევისწავლე. „პიგმეების იერიში“ მოულოდნელი სვლაა, მის განსახორციელებლად რამდენიმე ფიგურა წინასწარ უნდა

განრო და თუ მეტოქე შენს მანევრს წამოეგო, შეუღია ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს და შინ წავიდეს. გულში ვლოცულობდი, ნეტა გამომივიდეს-მეთქი, რადგან სხვა უკეთესი იდეა არ მქონდა და მარცხსაც ვერ ავცდებოდი.

„პატიოსანმა ივანმა“ რამდენჯერმე ჩაახველა, რალაც ჩაიდუდლუნა და თავისი მხედარი მერვე უჯრედისკენ წაიღო. ეს იმას ნიშნავდა, რო ანკესს წამოეგო და ორ სვლაში დავაშამათებდი!

ეტყობა, „პატიოსანმა ივანმა“ რალაც იყნოსა, რადგან შეყოყმანდა. ფიგურა მერვეს ნაცვლად მეხუთე უჯრედისკენ გასწია, მერე ისევ მერვესკენ. ასე ათრია ცხრაჯერ თუ ათჯერ წინ და უკან, მაგრამ ხელი არ გაუშვია.

დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. მე ნერვები დაწყვეტაზე მქონდა. მისტერ ტრიბლს თვალები ჭერისკენ აღეპყრო, თითქოს ლოცულობსო. ხოლო „პატიოსანი ივანის“ თანმხლები მოღუშული იყურებოდა. ბოლო-ბოლო, „პატიოსანმა ივანმა“ მხედარი მერვე უჯრედის თავზე შეათამაშა და მის დასადებად გაემზადა. სუნთქვაშეკრული ვიცდიდი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. „პატიოსანი ივანი“ ფიგურას აქანავებდა და მასთან ერთად ჩემ გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. უცებ პირდაპირ თვალებში შემომხედა და – არ ვიცი, ალბათ, მეტისმეტი მღელვარებისგან – ლობიონაჭამივით ისე ხმამალლა გავაკუე, იფიქრებდით, ზენარი გაფხრინესო!

„პატიოსანმა ივანმა“ ერთი კი შემომხედა გაკვირვებით, მერე ფიგურა ხელიდან გაუვარდა და დაიმანჭა.

– ფუუ! – წამოიძახა მან, ცალი ხელი ნესტოებზე წაიჭირა, ხოლო მეორეთი ჰაერის განიავება დაიწყო. ჩვენ ირგვლივ მდგარმა ხალხმა ხველებ-ხველებით და

ბუტბუტით უკან დაიხია და ცხვირსახოცი აიფარა. მე პამიდორით წამოვწითლდი.

ვითარება ცოტათი რო განიმუხტა, ჭადრაკის დაფას დავხედე და ძალღიშვილი ვიყო, „პატიოსან ივანს“ მერვე უჯრედზე თუ არ დაედოს ფიგურა! ჯერ ის მოვუკალი ჩემი მხედრით, მერე ორი პაიკი და ლაზიერიც ზედ მივაყოლე და... ქიში და შამათი! გავიმარჯვე და ხუთი ათასი დოლარიც მოვიგე! „პიგმეების იერიშმა“ კვლავ გაამართლა!

„პატიოსანმა ივანმა“ გააპროტესტა, ხოლო მისმა თანმხლებმა ოფიციალური საჩივარი დაწერა ჩემ წინააღმდეგ.

ტურნირის ხელმძღვანელმა წესების წიგნში ჩარგო თავი და არ აუწევია, სანამ ამ მუხლს არ მიაგნო: „თამაშის მიმდინარეობისას მოთამაშეს არ აქვს უფლება განგებ გაუფანტოს მეტოქეს ყურადღება“.

– ვერაფრით დაამტკიცებთ, რომ ჩემმა შეგირდმა განგებ გააკეთა ის, რაც გააკეთა, – განაცხადა მისტერ ტრიბლმა, – ყველაფერი მისდა უნებურად მოხდა.

ტურნირის ხელმძღვანელმა სხვა გვერდზე გადაფურცლა და ამოიკითხა: „მოთამაშეს ეკრძალება უხეშად ან შეურაცხმყოფელად მოექცეს მეტოქეს“.

– მეგობარო, – მიმართა მას მისტერ ტრიბლმა, – თქვენ რა, არასდროს დაგჭირვებიათ გაზისგან დაცლა? ფორესტს არავის შეურაცხყოფა არ უფიქრია. ძალიან დიდხანს იჯდა უძრავად ერთ ადგილას. ეს არის და ეს.

– ვითომ? – დაეჭვებით ჩაილაპარაკა ტურნირის ხელმძღვანელმა, – მგონი, მისი დისკვალიფიცირება მომინებს.

– იქნებ მეორე შანსი მაინც მისცეთ? – სთხოვა მისტერ ტრიბლმა.

ტურნირის ხელმძღვანელი წუთით ჩაფიქრდა და ნიკაპის ფხანით თქვა:

– კარგი, მივცემ, ოღონდ ამიერიდან თავი უნდა შეიკავოს. ამ უმსგავსობას ველარ მოვითმენთ!

საქმე იქით მიდიოდა, რო პარტიას ოფიციალურად დამასრულებინებდნენ, მაგრამ უცებ დარბაზის მეორე ბოლოდან ჩოჩქოლის ხმა მომესმა. ვილაც ქალები აკივლდნენ. გავიხედე და რას ვხედავ: ჭაღზე ჩამოკონწიალებული სიუ ჩემკენ მოჰქრის.

და აი, სიუ პირდაპირ ჭადრაკის დაფაზე დაეშვა. დაფა მაგიდიდან გადავარდა. ფიგურები აქეთ-იქით გაცვივდა. „პატიოსანი ივანი“ აყირავდა, მისი სკამის გვერდით მდგარი, მსუქანი ქალის (საიუველირო მაღაზიის ცოცხალ რეკლამას რომ ჰგავდა) კაბის კალთას გამოედო და წელს ქვემოთ შემოახია. ქალი აკივლა და ხელები აიქნია. ცალი ხელი ტურნირის ხელმძღვანელს ცხვირში სდრუზა! სიუ ზემოთ-ქვემოთ ხტოდა და ჭყიოდა. ატყდა ერთი აურზაური, პანიკა და ჭყლეტა. ყველა პოლიციის გამოძახებას ითხოვდა.

მისტერ ტრიბლმა მკლავში ხელი ჩამავლო და მითხრა:

– დავახვიოთ აქედან, ფორესტ – ამ ქალაქში პოლიციასთან შეხვედრები ნაღდად არ დაგვკლებია!

კი, ნამდვილად სიმართლე თქვა.

სასტუმროში მისტერ ტრიბლმა კიდევ ერთი თათბირი გამართა.

– ფორესტ, მგონი, არაფერი გამოგვივა, – თქვა მან, – ჭადრაკს საუცხოოდ თამაშობ, მაგრამ სხვა მხრივ, ძალიან უცნაური პიროვნება ხარ. არც კი ვიცი, რა ვუნოდო იმას, რაც დღეს მოხდა.

თავი ჩავქინდრე. ბებერი სიუც დაღონებული ჩანდა.

– ფორესტ, კარგი ბიჭი ხარ და კალიფორნიაში უპატრონოდ არ მიგაგდებ. შენ და სიუს მშობლიურ ალაბამაში გაგგზავნით.

მისტერ ტრიბლმა ტაქსი გამოიძახა და რკინიგზის სადგურში წაგვიყვანა. სიუ საბარგო ვაგონში, ხის ყუთში მოათავსებინა. მითხრა, შეგილია ინახულო და საქმეელი და წყალი მიუტანო.

– წარმატებებს გისურვებ, ფორესტ, – ხელი ჩამომართვა მისტერ ტრიბლმა, – აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. ნუ დამივიწყებ, გამაგებინე, როგორ წავა შენი საქმეები, კარგი?

ბარათი გამოვართვი და კიდე ერთხელ ჩამოვართვი ხელი. მეწყინა მასთან განშორება. მისტერ ტრიბლი კარგი კაცი იყო და ცუდია, რო იმედი გავუცრუე. ვაგონში ჩემი ადგილი დავიკავე ფანჯარასთან. მისტერ ტრიბლი ბაქანზე იდგა. როგორც კი მატარებელი დაიძრა, ხელი დამიქნია და დამემშვიდობა.

ამგვარად, კვლავ გზას გავუდექი. მთელი ღამე სახლზე, დედაზე, სანყალ ბაბაზე, კრევეტების ბიზნესსა და, რა თქმა უნდა, ჯენი კერენზე ვფიქრობდი. ყველაზე მეტად კი იმას ვოცნებობდი, რა იქნება, იდიოტი არ ვიყო-მეთქი!

გოლოს და ბოლოს, შინ დავბრუნდი.

გმატარებელი მობილის სადგურში ღამის სამ საათზე გაჩერდა. სიუ ხის ყუთიდან ამოიყვანეს და ბაქანზე ჩამოსვეს. მარტო დავრჩით. კუთხეში ხის სკამზე ერთი ტიპი თვლემდა და ერთიც იატაკს გვიდა. მე და სიუ ქალაქის ცენტრში წავედით და ცარიელ შენობაში გავათიეთ ღამე.

მეორე დღით ნავსადგომში სიუსთვის ბანანი ვიშოვე, მე კი პატარა სასაუზმეში ტაფამწვარით, ბეკონითა და ბლინებით ნოყიერად ვისაუზმე. მერე გადავწყვიტე, ჩემი საქმეებისთვის მიმეხედა და უსახლკაროთა თავშესაფრისკენ გავნიეთ. გზად ჩემს ძველ სახლს ჩავუარეთ, მაგრამ იქ სახლის ნაცვლად მხოლოდ დანახშირებული ფიცრები და ბალახნამოზრდილი მინდორი დავგვხვდა. უჩვეულო განცდა დამეუფლა. შეუჩერებლად განვაგრძეთ გზა.

უსახლკაროთა თავშესაფარში რო მივედით, სიუს ვთხოვე, გარეთ დამიცადე, თორემ მომვლელებს დააფრთხობ-მეთქი. მე შიგნით შევედი დედის ამბის საკითხავად.

უფროსი მოწყალეების და თავაზიანი ქალი აღმოჩნდა. მითხრა: დედათქვენი ვილაც პროტესტანტთან ერთად გაიქცა, მაგრამ სად, არ ვიციო. პარკში წასვლა მირჩია, დედათქვენს სალამოობით იქ ჯდომა და სხვა ქალებთან საუბარი უყვარდა, იქნებ ვინმემ რამე იცოდესო. მეც სიუს მოვკიდე ხელი და მასთან ერთად პარკში წავედი.

პარკში ხის სკამებზე რამდენიმე მოხუცი იჯდა. ერთ-ერთთან მივედი და გავეცანი. ქალმა სიუს შეხედა და თქვა:

– ისედაც ადვილი მისახვედრია, ვინც ხართ!

ქალმა მითხრა, დედაშენი ქალაქის მეორე ბოლოში, სამრეცხაოში ტანსაცმლის დამუთოებლად მუშაობსო. მე და სიუც იქით გავემართეთ. ჩემი საბრალო დედიკო მართლაც იქ დაგვხვდა. იდგა და შარვალს აუთოებდა.

დამინახა თუ არა, მომვარდა და გადამეხვია. ძველებურად აქვითინდა და თითების მტვრევა დაიწყო. ჩემი საბრალო დედიკო!

– როგორ იქნა დაბრუნდი, ფორესტ! – მითხრა. – ყოველდღე შენზე ვფიქრობდი! რაც წახვედი, ღამე არ გასულა, არ მეტიროს.

ეს სულაც არ გამკვირვებია. მერე პროტესტანტის შესახებ ვკითხე.

– ის უნამუსო არამზადა! ჭკუა სად მქონდა, მასთან ერთად რო გავიქეცი? ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, ვილაც თექვსმეტი წლის გოგოში გამცვალა. არადა, თითქმის სამოცი წლისა იყო. დამიჯერე, ფორესტ, ეს პროტესტანტები უზნეოები არიან.

სამრეცხაოდან ძახილი მოისმა:

– გლედის, შარვალი ხო არ დანვი, რა სუნია?

– ღმერთო ჩემო! – წამოიყვირა დედაჩემმა და შიგნით შევარდა. უეცრად ფანჯრიდან კვამლი გამოიჭრა და ოთახში მყოფი ხალხი აყვირდა. მეორე წამს ვილაც მახინჯმა, მელოტმა კაცმა დედაჩემი ლანძღვა-გინებით გამოათრია გარეთ.

– წაეთრიე აქედან! ახლავე! – იღრიალა კაცმა, – მოთმინების ფიალა ამევსო! უკვე მერამდენე შარვალი დანვი!

ატირებულ დედაჩემს ლაპალუპით სდიოდა ცრემლები. იმ კაცს მივუახლოვდი და ვუთხარი: – დედაჩემს ხელი გაუშვი!

– შენ ვინ ოხერი ხარ? – მკითხა მან.

– ფორესტ გამპი, – ვუპასუხე.

– ჰოდა, შენც დაახვие აქედან! დედაშენიც თან გაიყოლე, რადგან აქ აღარ მუშაობს.

– დედაჩემზე ეგრე ნუ ლაპარაკობ!

– ვითომ რატომ? რას მიზამ?

რაც ვუქენი, თავის თავს დააბრალოს!

ხელში ავიტაცე, სამრეცხაოში შევიყვანე და ჩავაგდე ყველაზე დიდ სარეცხ მანქანაში, რომელშიც საბნებს და ხალიჩებს რეცხავენ, მერე თავსახური მჭიდროდ დავახურე და „ბრუნვას“ დავაჭირე. ზურგი რო ვაქციე, ეგ ნადირალა უკვე წყალში იყო ამოვლებული.

დედამ ცხვირსახოცით მოიწმინდა ცრემლები.

– ო, ფორესტ, სამსახური დავკარგე!

– ნუ დარდობ, დედა, – დავამშვიდე, – ყველაფერი კარგად იქნება. გეგმა მაქ.

– რა გეგმა, ფორესტ? – გაიოცა დედამ, – შენ ხომ იდიოტი ხარ? საბრალო იდიოტს გეგმა საიდან ექნება?

– დაიცადე და ნახავ, – ვუთხარი.

ყოველ შემთხვევაში, გამიხარდა, რო შინ მარჯვენა ფეხზე დავბრუნდი.

სამრეცხაოდან პირდაპირ საერთო საცხოვრებელში წავედით, სადაც დედაჩემი ცხოვრობდა. მას სიუ გავაცანი. ძალიან გაუხარდა, რო მეგობარი მყავდა – თუნდაც მაიმუნი.

მე და დედამ ვისაუბრეთ. სიუს ფორთოხალი ვაჭამეთ. მერე მე და სიუ ავტობუსის გაჩერებაზე წავედ-

ით და ავტობუსს ბაბას მშობლიურ ქალაქ ბაიუ-ლა-ბატრში წავყევით. რასაკვირველია, დედამ ტირილითა და ცრემლებს ღვრით გაგვაცილა. თავს დამნაშავედ არ ვგრძნობდი იმის გამო, რო კვლავ მივატოვე. სანამ კრევეტების ბიზნესის წამონწყებას და ფეხის მყარად მოკიდებას შევძლებდი, თავის გასატანად და ბინის ქირის გადასახდელად ხუთი ათასი დოლარის ნახევარი დავუტოვე.

ბაიუ-ლა-ბატრში ბაბას მშობლების სახლი ადვილად ვიპოვეთ. სიუს ვთხოვე, გარეთ დარჩი და თვალში არავის შეეჩხირო, თორე აქაურებს დააფრთხობ-მეთქი, მე კი სალამოს რვა საათზე კარზე დავაკაკუნე. ვილაც ბერიკაცი გამოვიდა და მკითხა, რა გინდაო. ავუხსენი ვინ ვიყავი, რო ბაბასთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობდი და ვიეტნამში ვიბრძოდი. ბერიკაცი ცოტათი აღელდა და შინ შემიპატიჟა.

ეს ბერიკაცი ბაბას მამა აღმოჩნდა. ცივი ჩაი მომიტანა და შეკითხვების კორიანტელი დამატეხა თავს. ბაბას შესახებ გამომკითხა, დაინტერესდა, როგორ მოკვდაო და მეც, რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუამბე.

ბოლოს თქვა:

– ამდენი წელია ვფიქრობ, ფორესტ, და მაინც ვერ გამიგია... შენი აზრით, რატომ მოკვდა ბაბა?

– იმიტო რო, ტყვია მოხვდა, – ვუპასუხე.

– არა, მე სხვა რამეს ვგულისხმობ, – თქვა მან, – რისთვის მოკვდა ბაბა? რა გვინდოდა იქ?

– მგონი, სამართლიანობის აღდგენა გვინდოდა, – ვუპასუხე მცირე ფიქრის შემდეგ, – იმას ვაკეთებდით, რაც დაგვავალეს.

– მერედა, ღირდა კი ეს საქმე ამად? რისთვის დაიხოცა ამდენი ახალგაზრდა?

– იცით, მე ერთი უბრალო იდიოტი ვარ, – ვთქვი, – მაგრამ თუ მართლა გაინტერესებთ ჩემი აზრი, ვიტყვი რო, ეს ომი ერთი დიდი ნაგავი იყო!

– მეც ზუსტად მაგას ვფიქრობ, – თავი დამიქნია ბაბას მამამ.

მოკლედ, ავუხსენი, რატომაც ჩავედი ბაიუ-ლა-ბატრში. ჩემი და ბაბას გეგმა გავანდე. ვუამბე, როგორ შევხვდი ვიეტნამის საავადმყოფოში მკურნალობისას ერთ ნვრილთვალეზიანს, რომელმაც კრევეტების მოშენება მასწავლა. ბერიკაცი ჩემმა მონაყოლმა დააინტერესა და ჩამეძია. უცებ ეზოდან გამაყრუებელი ჩხავილი მოისმა.

– ჩემს ქათმებს რაღაც დასდევს! – წამოხტა ბაბას მამა, კართან მიყუდებულ თოფს ხელი დაავლო და პარმალზე გავიდა.

– ერთი რამ უნდა გაგიმხილოთ, – შევაჩერე და სიუს შესახებ ვუამბე. თავად სიუს ნიშანწყალი არსად ჩანდა.

ბაბას მამამ სახლიდან ფანარი გამოიტანა და ეზოში მიანათ-მოანათა. ერთ-ერთი ხის ძირას თხა იდგა და ჩლიქებით მიწას ჩიჩქნიდა, ხის ტოტზე კი საბრალო, დამფრთხალი სიუ ჩამომჯდარიყო.

– ამ თხამ ტვინი წაიღო! – თქვა ბაბას მამამ, – მოშორდი აქედან! – დაუყვირა თხას და ჯოხი მოუქნია. თხა გაიქცა, სიუ ხიდან ჩამოძვრა და ისიც შიგნით შევიყვანეთ.

– ეს რა ცხოველია? – იკითხა ბაბას მამამ.

– ორანგუტანია, – ვუპასუხე.

– გორილას უფრო ჰგავს.

– ცოტათი, – ვთქვი, – მაგრამ გორილა არაა.

ბაბას მამამ ღამით მასთან დარჩენის ნება დაგვრთო, თან დაგვპირდა, დილით ქალაქში გავივლი და გავი-

კითხ-გამოვიკითხავ, იქნებ სადმე კრევეტების მოსაშენ-
ებელი ადგილი ვიპოვო. ზღვის ყურიდან სიო უბერა-
ვდა. ბაყაყები ყიყინებდნენ, ქრიჭინები ქრიჭინებდნენ
და ზოგჯერ თევზების დგაფუნიც ისმოდა. ბაიუ-ლა-ბა-
ტრში ისეთი სიმყუდროვე დამხვდა, იმ ღამით საკუთარ
თავს შევპირდი, აქ შარში არ გავეხვევი-მეთქი.

მეორე დილას ბაბას მამამ სოსისით, კვერცხით, ფუნ-
თუშით და ბადაგით გვასაუზმა. ნასაუზმევს პატარა
ნავით ყურეში გავცურეთ. ზღვა არ ღელავდა. წყლის
ზედაპირზე ნისლი ჩამონოლილიყო. დროდადრო რომე-
ლიმე ზღვის ფრინველი აფრინდებოდა ჭაობიდან.

– მოქცევის დროს ზღვის წყალი აქამდე შემოდის, –
ბაბას მამამ ერთ-ერთი შენაკადისკენ მიგვითითა. – აქ
ბევრი ტბორი და გუბურაა და, ჩემი აზრით, კრევეტების
მოსაშენებლად საუკეთესო ადგილია.

ჭაობისკენ გავცურეთ.

– აი, იქ, ხო ხედავთ, იმ შემალლებულ ადგილას სახ-
ურავი რო მოჩანს?! – ხელი გაიშვირა ბაბას მამამ, –
მანდ ქოხი დგას. მაგ ქოხში ბებერი ტომ ლეფარჟი ცხოვ-
რობდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, აგერ
უკვე ოთხი თუ ხუთი წელია, უპატრონოდ არის მიტოვე-
ბული. შეგილიათ გაარემონტოთ და იქ იცხოვროთ. მანდ
ბოლოჯერ რო ვიყავი, ნაპირთან ორი ნავი იყო მიბმული.
მეექვება, რომელიმე რამედ ღირდეს, მაგრამ თუ შეა-
კეთებთ, საცურაოდ მაინც გამოგადგებათ.

კიდე უფრო ღრმად შევცურეთ ჭაობში.

– ბებერი ტომი გუბურებამდე ფიცარფენილებით
მიდიოდა. იქ თევზაობდა და იხვებზე ნადირობდა. ფი-
ცარფენილებიც შეაკეთეთ და ჭაობში სასიარულოდ გა-
მოგადგებათ.

პირდაპირ გეტყვით, იდეალური გარემო იყო. ბაბას

მამის თქმით, ყურესა და შენაკადებში პატარა კრევეტები ბლომად იყო და ბადით მათ დაჭერას წინ არაფერი ედგა. ისიც გვითხრა, რო კრევეტების გამოსაკვებად ბამბის თესლიც ვარგოდა; ბამბის თესლი კი ძალიან იაფი ღირს.

ასე რომ, მხოლოდ გუბურებში ბადეების ჩანყოფა, ქოხის გარემონტება და სურსათ-სანოვაგის (კარაქის, ჯემის, პურის და ა. შ.) შეგროვებალა დაგვრჩენოდა და კრევეტების მოშენებასაც დავინწყებდით.

იმ დღესვე შევუდექით საქმეს. ბაბას მამამ ქალაქში წაგვიყვანა და რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი გვაყიდვინა. სანამ ძველებს შევაკეთებდით, თავისი ნავი გვათხოვა. იმ ღამეს მე და სიუ ძველ ქოხში დავრჩით. განვიმდა და გაბზარული სახურავიდან წყალი ჩამოვიდა, მაგრამ ამას არ შევუწუხებოვარ. მეორე დილას ზემოთ ავძვერი და სახურავი შევაკეთე.

თითქმის ერთი თვე ვემზადებოდით: ქოხი გავარემონტეთ, ნავები და ფიცარფენილები შევაკეთეთ და ერთ-ერთ გუბურაში ბადე ჩავდეთ. ბოლო-ბოლო დადგა გუბურაში პატარა კრევეტების ჩაყრის დღეც. კრევეტების საჭერი წვრილი ბადე ვიყიდე და მე და სიუმ ყურეში სათევზაოდ შევცურეთ. სალამომდე დაახლოებით ოცდახუთი კილო კრევეტი დავიჭირე და ყველა გუბურაში ჩავყარეთ. მაშინვე ასხმარტალდნენ და გუბურის ზედაპირზე აცეკვდნენ. ო, რა ღამაში სანახაობა იყო!

მეორე დილას 225 კილო ბამბის თესლი მოვიტანეთ და 45 კილო გუბურაში კრევეტებს ჩავუყარეთ საჭმელად. მომდევნო დღეს კრევეტებისთვის მეორე გუბურაც გავამზადეთ. მთელი ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ვმუშაობდით. გაზაფხულზე უკვე კრევეტებით სავსე

ოთხი გუბურა გვექონდა. საქმე კარგად მიგვდიოდა. ღამ-ღამობით ქოხის წინ ვიჯექი და ჰარმონიკას ვუკრავდი. შაბათობით ქალაქში ექვს ქილა ლუდს ვყიდულობდი და მე და სიუ დათრობამდე ვსვამდით. როგორც იქნა, საჩემო ადგილას დავსახლდი, პატიოსანი შრომით ვცხოვრობდი და უკვე იმასაც ვფიქრობდი, კრევეტების პირველ პარტიას რო გავყიდი, ჯენის მოვძებნი და ვნახავ, იქნებ ჩემზე აღარც ბრაზობდეს-მეთქი.

ღ ა აი, ივნისის ერთ მშვენიერ დღეს პირველი „მოსავლის“ ალების დროც დადგა. მე და სიუ დილაადრიან ავდექით, გუბურაში ბადეს მოვქაჩეთ. ბადე რალაცას გამოედო. ჯერ სიუმ სცადა ბადის გათავისუფლება, მერე – მე, ბოლოს გაირკვა, რო ბადე არაფერსაც არ გამოსდებია. კრევეტებით იმდენად დამძიმებულიყო, ამოსაწევად ძალა არ გვყოფნიდა!

სალამომდე 135 კილო კრევეტი ამოვყარეთ მიწაზე და მთელი ღამე სიდიდის მიხედვით ვახარისხებდით. მეორე დილას კრევეტები კალათებში ჩავანყვეთ და ნავით გავცურეთ. კალათები ისეთი მძიმე იყო, სანამ ბაიუ-ლა-ბატრის ნავსადგომამდე მივალწევდით, ნავი კინალამ ჩაგვეძირა.

კალათები ასაწონად საკონსერვო ქარხანამდე მე და სიუმ ხელით ვათრიეთ. 865 დოლარი გადაგვიხადეს! მას შემდეგ, რაც Cracked Eggs-ში ჰარმონიკას დაკვრა შევწყვიტე, პატიოსანი შრომით ფული პირველად ვიშოვე!

კრევეტების შეგროვებას და ქარხანაში ჩაბარებას მე და სიუმ თითქმის ორი კვირა მოვანდომეთ. ყველაფერს რო მოვრჩით, ჯიბეში 9700 დოლარი და 26 ცენტი გვედო. კრევეტების ბიზნესი წარმატებული გამოდგა!

დამიჯერეთ, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. ერთი კალათა კრევეტი ბაბას მამასაც მივუტანეთ. იმანაც ძალიან გაიხარა, მითხრა შენით ვამაყობ და ნეტა ამ დღეს ბაბაც მოსწრებოდაო. მე და სიუ ავტობუსით

მობილში გავემგზავრეთ წარმატების აღსანიშნავად. უპირველეს ყოვლისა, პანსიონში დედა ვინახულე და როცა ვუთხარი, ბლომად ფული ვიშოვე-მეთქი, როგორც ყოველთვის, ატირდა.

– ო, ფორესტ, ვამაყობ შენით, – მითხრა მან, – გონებაჩამორჩენილმა ამდენს მიაღწიე!

დედას ჩემი გეგმა გავანდე, გაისად სამჯერ მეტი გუბურა გვექნება და ფულისთვის ყურადღების მიმქცევი და ხარჯთაღმრიცხველი გვჭირდება; ვთხოვე, იქნებ შენ დაგვეხმარო-მეთქი.

– გინდა, ბაიუ-ლა-ბატრში გადმოვსახლდე? – გაიკვირვა დედამ, – იქ რა მესაქმება, რა უნდა ვაკეთო?

– ფული დათვალე, – ვუპასუხე.

მერე მე და სიუ ქალაქის ცენტრში წავედით და კარგად ვისადილეთ – სიუმ ნავსადგურში ნაყიდი ერთი კონა ბანანით, მე კარტოფილის პიურესა და სოიოს დიდი სტეიკით. ნასადილევს ლუდის დალევა გადავწყვიტე. ნავსადგურში ძველ, ჩაბნელებულ ბართან ჩავლისას ნაცნობი ლანძღვა-გინება და ღრიალი მომესმა. წლების შემდეგაც კი ვიცანი ეს ხმა. ბარში თავი შევყავი და, რასაკვირველია, იქ ჩემი უნივერსიტეტელი თანაგუნდელი კერტისი დამხვდა!

კერტისს ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, სულ გამოსირებული, ტრაკი და ბოზიშვილი მეძახა. გაირკვა, რო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კერტისს პროფესიონალურ გუნდში, „ვაშინგტონ რედსკინსში“ გაუგრძელებია თამაში. იქიდან მალევე გაუგდიათ, რადგან ერთ-ერთ წვეულებაზე გუნდის მეპატრონის ცოლისთვის ტრაკზე უჩქმეტია. მომდევნო რამდენიმე წელი სხვადასხვა გუნდში უთამაშია. ბოლოს ნავსადგურში მტვირთავად დაუნყია მუშაობა. მითხრა, უნი-

ვერსიტეტში მიღებული განათლება მხოლოდ ამისთვის მეყო.

კერტისმა ლუდზე დამპატიჟა. ძველი დრო გავიხსენეთ. „სნეიკს“ ცოტა ხანს „გრინ ბეი პეკერსში“ ქუთურბექად უთამაშია, სანამ „მინესოტა ვაიკინგსთან“ მატჩის შესვენებისას პოლონური არყის ყლურწვისას არ გამოუჭერიათ და გაუგდიათ. იქიდან „ნიუ-იორკ ჯაიენტსში“ წასულა, მაგრამ „რემსთან“ თამაშისას „თავისუფლების ქანდაკების“ ილეთი გამოუყენებია. „ჯაიენტის“ მწვრთნელს უთქვამს: ამ ილეთს 1931 წლის შემდეგ არავინ იყენებს და „სნეიკისთვის“ ამის გაკეთება არავის დაუვალეზიაო. თუმცა, კერტისმა გამიმხილა, სინამდვილეში „სნეიკი“ „თავისუფლების ქანდაკების“ გამოყენებას არ აპირებდა, ისეთი დაბოლილი იყო, პასირო მიიღო, ბურთის სხვისთვის გადაწოდება დაავინყდაო. ამასობაში მეტოქე გუნდის მარცხენა უკანახაზელი უკნიდან მიჰპარვია და ბურთი წაურთმევია. ახლა „სნეიკი“ ჯორჯიის რომელიღაც ქალაქში ბავშვთა გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეაო, დაასრულა თხრობა.

ორი ბოთლი ლუდის შემდეგ ერთი აზრი გამიჩნდა და კერტისს გავუზიარე.

– არ გინდა ჩემთან იმუშაო? – ვკითხე.

კერტისმა ჩვეულებისამებრ დაიღრიალა და შეიგინა, მაგრამ როგორღაც მაინც გამაგებინა, რაც აინტერესებდა: „შენთან რა უნდა ვაკეთო“?

მე ავუხსენი, კრევეტებს ვზრდი და ვყიდი და ბიზნესის გაფართოებას ვაპირებ-მეთქი.

კერტისმა ღრიალი და გინება განაგრძო, მაგრამ მისი უთავბოლო ლაყბობიდან მთავარი აზრი გამოვიტანე – დამთანხმდა.

მე, სიუმ, კერტისმა და დედაჩემმა მთელი ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ვიმუშავეთ. ბაბას მამასაც გამოვუნახეთ საქმე. იმ წელს 30 000 დოლარი ვიშოვეთ. ბიზნესი კი უფრო და უფრო იზრდებოდა. თავს ყველა ბედნიერად ვგრძნობდით. დედა იშვიათად ტიროდა, ერთხელ გაღიმებული კერტისიც კი დავინახეთ, მაგრამ შეგვამჩნია თუ არა, ისევ ლანძღვა-გინება ატეხა. თუმცა მე მაინც მოუსვენრად ვიყავი, რადგან ჯენიზე ბევრს ვფიქრობდი, – ნეტა, რა ბედი ენია-მეთქი.

ერთ კვირა დღესაც გადავწყვიტე, რამე მელონა. კოხტად გამონყობილი, ავტობუსით მობილში წავედი და ჯენის დედას ვესტუმრე. ის მისაღებ ოთახში ტელევიზორს უყურებდა, როცა მისი სახლის კარზე დავაკაკუნე.

– რომელი ხართ, – გამომძახა და მეც ვუპასუხე.

– ფორესტ გამპი?! დაუჯერებელია. შემოდი!

ჯერ ჩემსა და დედაჩემზე გამომკითხა, მერე მე ვიკითხე ჯენის ამბავი.

– ამ ბოლო დროს იშვიათად მეხმიანება, – თქვა მისის კერენმა. – მგონი, ჩრდილოეთ კაროლინაში თუ სადღაც ცხოვრობენ.

– ცხოვრობენ? დაქალთან ერთად არი თუ...?

– არ იცი, ფორესტ? – გაიკვირვა მისის კერენმა, – ჯენი გათხოვდა.

– გათხოვდა?

– ორი წლის წინათ. კარგა ხანს ინდიანაში ცხოვრობდა. იქიდან ვაშინგტონში წავიდა და უცებ მისგან ღია ბარათი მივიღე, გავთხოვდი და ჩრდილოეთ კაროლინაში დავსახლდიო. რო შემომეხმიანება, თუ გინდა, შენგან რამეს გადავცემ.

– არაა საჭირო, მისის კერენ, – ვუთხარი, – მხოლოდ მიულოცეთ და წარმატებები უსურვეთ.

– აუცილებლად, – მითხრა მისის კერენმა, – გამიხარდა, რო შემომიარე.

არ ვიცი, წესით, ამ სიახლისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ პირიქით მოხდა.

გულისცემა ამიჩქარდა და ხელები გამეყინა. მხოლოდ ის მინდოდა, სადმე დავმალულიყავი და მოვბუზულიყავი, როგორც ბაბას სიკვდილის დღეს. ვილაცის ეზოში ბურქებში შევძვერი და მოვიბუზე. მგონი, ცერა თითის ლოკვაც დავინწყე, რაც ბავშვობის შემდეგ არ გამიკეთებია, რადგან დედა სულ მაფრთხილებდა: ცერა თითის ლოკვა, თუ ჩვილი არა ხარ, იდიოტობის ნიშანიაო. არ ვიცი, იქ რამდენ ხანს ვინეჯი. მგონი, თითქმის დღე-ნახევარი.

ჯენიზე არ ვბრაზობდი, ის ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. ბოლო-ბოლო, მე იდიოტი ვარ და მართალია, ბევრი ქალი რომ ამბობს, იდიოტს მივთხოვდიო, ვერც ერთი ხვდება, რას ნიშნავს ნამდვილად იდიოტი ქმრის ყოლა. უფრო ჩემს თავზე მწყდებოდა გული. რატომღაც ვირწმუნე, რო ოდესმე მე და ჯენი შევუღლდებოდით. და აი, როცა მისის კერენისგან შევიტყვე ჯენი გათხოვდაო, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ნახევრად მოვკვდი და ველარასდროს გავმთელდებოდი. გათხოვება ვინმესთან ერთად გაქცევას არ ჰგავს, გათხოვება სერიოზული საქმეა. მთელი ღამე ვტიროდი, მაგრამ ამან არ მიშველა.

მეორე დღეს ბაიუ-ლა-ბატრში დავბრუნდი. რაც მოხდა, არავისთვის გამიმხელია, ეს მაინც ვერაფერს მიშველის-მეთქი. ბადეები იყო შესაკეთებელი და ცოტა ხანს გუბურებთან მარტო წავიმუშავე. მუშაობას რო მოვრჩი, უკვე ბნელოდა. საბოლოოდ გადავწყვიტე, ამიერიდან მხოლოდ კრევეტების ბიზნესზე ვიფიქრებ-მეთქი. სხვა მაინც არაფერი შემეძლო.

და მართლაც, მთლიანად საქმეზე გადავერთე. იმ წელს ხარჯის გამოუკლებლად 75 000 დოლარის შემოსავალი მივიღეთ. ბიზნესი იზრდებოდა და იზრდებოდა, მეც მუშახელის დაქირავება მომიხდა. ერთ-ერთი ჩემი უნივერსიტეტელი თანაგუნდელი „სნეიკი“ იყო. ბავშვთა გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეობა მაინც მობეზრებოდა და კერტისტან ერთად ფსკერ-სალრ-მავებელი და განმენდითი სამუშაოები ჩავაბარე. მერე პენსიაზე გასული, ნავსადგურში მომუშავე მწვრთნელი ფელერსი და მისი ორი ახმახიც ვიპოვე და ისინიც ჩემთან დავასაქმე.

მალე გაზეთებმაც იყნოსეს, რალაც ხდებოდა და „ადგილობრივი წარმატებული ბიჭისთვის“ ინტერვიუს ჩამოსართმევად რეპორტიორი გამოგზავნეს. სტატია კვირადღეს გამოქვეყნდა ჩემი, დედაჩემის და სიუს ფოტოსთან ერთად. სათაური იუნყებოდა: „ოფიციალური იდიოტი უჩვეულო საზღვაო ექსპერიმენტით გამდიდრდა!“

ამასობაში დედამ ხარჯთაღრიცხვის საწარმოებლად და ფინანსურ საკითხებში რჩევების მისაღებად ბუღალტრის აყვანა მოითხოვა, ამდენ ფულს მარტო მე ვერ გავუმკლავდებო. მცირე ფიქრის შემდეგ მისტერ ტრიბლს დავუკავშირდი, რადგან პენსიაზე გასვლამდე, მას საკმარისი ბიზნეს-გამოცდილება დაეგროვებინა. მისტერ ტრიბლი ჩემმა ზარმა ძალიან გაახარა, დამპირდა, უახლოესი რეისით ჩამოვფრინდებო.

ჩამოსვლიდან ერთი კვირის თავზე მისტერ ტრიბლმა მითხრა, უნდა ვითათბიროთო.

– ფორესტ, რასაც შენ აქ მიაღწიე, ნამდვილი საოცრებაა! უკვე დროა, ფინანსური გეგმები დააწყო.

ვკითხე, რა გეგმები-მეთქი და მიპასუხა: – კაპიტალ-დაბანდებები! ბიზნესის დივერსიფიკაცია! ჩემი გათვ-

ლებით, გაისად დაახლოებით 190 000 დოლარის შემოსავალი გექნება, ორი წლის შემდეგ – თითქმის მეოთხედი მილიონი. ამხელა შემოსავლის რეინვესტირება აუცილებელია, თორემ საგადასახადო სამსახური გადასახადებით სულს ამოგხდის!

ჩვენც შესაბამისად ვიმოქმედეთ.

მისტერ ტრიბლის თაოსნობით რამდენიმე კომპანია დავაარსეთ. ერთს Gump's Shellfish Company დავარქვით, მეორეს – Sue's Stuffed Crabs, Inc. და მესამეს – Mama's Crawfish Étouffée.

მეოთხედი მილიონი ერთ წელიწადში ნახევარ მილიონად იქცა, ნახევარი მილიონი მომდევნო წელიწადს – მილიონად და ა. შ. ოთხი წლის შემდეგ ჩვენს ბიზნესს წლიურად ხუთი მილიონი დოლარი შემოქონდა. სამასი ადამიანი დავასაქმეთ, მათ შორის, „ქაქი“ და „ბოსტნეულიც“, რომლებმაც რესლერების კარიერა დაასრულეს და ახლა სანყობში ყუთებს ვაზიდვინებდით. საბრალოდენის მოძებნაც ვცადე, მაგრამ ის უგზოუკვლოდ გადაიკარგა. მაიკი, ჩემი ყოფილი პრომოუტერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სარეკლამო განყოფილების უფროსად დავნიშნეთ. მისტერ ტრიბლის რჩევით, მაიკმა ჩვენი პროდუქციის სარეკლამო ვიდეორგოლში გადასაღებად რაქელ უელჩი დაიქირავა: კიბორჩხალის ფორმაში დახტუნავდა და გაიძახოდა: „თუ გინდა კრევეტის გემო გაიგო, „სიუს კრევეტები“ უნდა გასინჯო!“

მოკლედ, ჩვენმა ბიზნესმა სერიოზული სახე მიიღო. დიდი მაცივრები და კრევეტების, ხამანკებისა და თევზების საჭერი ნავეები შევიძინეთ. საკუთარი საკონსერვო ქარხანა გავხსენით, ოფისი ავიშენეთ, კაპიტალი უძრავ ქონებაში – საცხოვრებელ ბინებსა და სავაჭრო ცენ-

ტრებში – და ნავთობისა თუ გაზის მომპოვებელ კომპანიებში დავაბანდეთ. ჰარვარდის უნივერსიტეტიდან სტუდენტის შეცდენისთვის გამოგდებულ, ინგლისური ლიტერატურის პროფესორ ქუეკენბუშს Mama's Crawfish Étouffée-ში მზარეულად დავანყებინეთ მუშაობა. ჩემი „ღირსების მედლის ტურნეს“ შემდეგ არმიიდან გაპანლურებული ვიცე-პოლკოვნიკი გუჩიც დავასაქმეთ. მისტერ ტრიბლმა მას „საიდუმლო ოპერაციების“ ხელმძღვანელობა მიანდო.

დედამ ჩემთვის დიდი სახლი ააშენა, ამხელა კომპანიის მმართველს ქოხში ცხოვრება არ შეეფერებაო. სამაგიეროდ, ქოხში სიუ დატოვა, მიმდინარე საქმეებს თვალყურს ადევნებსო. ყოველდღე კოსტიუმის ჩაცმა და კეისით ხელში სიარული მიწევდა, თითქოს ადვოკატი ვიყავი. სულ თათბირებსა და შეხვედრებზე დავდიოდი, სადაც პიგმეებივით გაუგებრად ლაქლაქებდნენ და ხალხი „მისტერ გამპს“ მიწოდებდა. მობილში ქალაქის გასაღები გადმომცეს, ადგილობრივი საავადმყოფოს და სიმფონიური ორკესტრის გამგეობის წევრად ამირჩიეს.

ერთ დღესაც ოფისში ვილაც ხალხი დამადგა თავზე და მითხრეს, ამერიკის სენატის წევრობის კანდიდატად უნდა წარგადგინოთო.

– სენატორობისთვის ზედგამოჭრილი ხართ, – მითხრა ერთმა კოსტიუმში გამონკეპილმა, პირში სიგარაგარჭობილმა ტიპმა, – ყოფილი ფეხბურთის ვარსკვლავი, ომის გმირი, ცნობილი ასტრონავტი და პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი – მეტი რაღა გინდათ?

იმ ტიპს მისტერ კლექსტონი ერქვა.

– მისმინეთ, მე ერთი იდიოტი ვარ, – ვუპასუხე, – პოლიტიკის არაფერი გამეგება.

– მით უმეტეს! – წამოიძახა მისტერ კლექსტონმა, – სწორედ თქვენნაირი პატიოსანი ხალხი გვჭირდება. მშრომელი და პატიოსანი ხალხი!

ეს იდეა დიდად არ მომეწონა. სხვათა შორის, არც არასდროს მომწონდა ჩემთან დაკავშირებული იდეები, რადგან სწორედ მათ გამო ვეხვეოდი ყოველთვის შარში. თუმცა, როცა ამის შესახებ დედას ვუამბე, მას როგორც ყოველთვის, თვალები აუწყლიანდა; მითხრა, შენით ვამაყობ და ღმერთს მადლობას ვწირავ, ნატვრა რო ამიხდინა და ჩემს ბიჭს აშშ-ის სენატორად ვიხილავო.

დადგა ჩემი კანდიდატურის წარდგენის დღე. მისტერ კლექსტონმა და მისმა გუნდმა მობილში დარბაზი დაიქირავა, ჩემი სისულელის მოსასმენად შეკრებილ ხალხს ნახევარ-ნახევარი დოლარი გადაუხადა და ვილაც-ვილაცეების გამოსვლის შემდეგ ჩემი სცენაზე გასვლის დროც მოვიდა.

– ძვირფასო ამერიკელებო, – დავიწყე. მისტერ კლექსტონის და მისი გუნდის დანერვილ ტექსტს ვკითხულობდი. სიტყვის წარმოთქმისთანავე აუდიტორიიდან უნდა დაესვათ შეკითხვები. ტელეკამერები მომიშვირეს, რეპორტიორებმა კალმები და ბლოკნოტები მოიმარჯვეს. ტექსტი ბოლომდე ჩავიკითხე. სიმართლე გითხრათ, შინაარსი ვერ გავიგე, მაგრამ მე ვინ მკითხავს? მე ხო ერთი უბრალო იდიოტი ვარ.

გამოსვლას რო მოვრჩი, გაზეთის რეპორტიორი ქალი წამოდგა და თავის ბლოკნოტში ჩაიხედა.

– ყველანი ატომური კატასტროფის ზღვარზე ვდგავართ, – თქვა მან, – ეკონომიკა ინგრევა, ამერიკელებს მთელ მსოფლიოში გვლანძღავენ, ჩვენს ქალაქებში უკანონობა მძვინვარებს, ხალხი ყოველდღე შიმშილით იხოცება, ურწმუნოება მატულობს, სიხარბე და გაუმაძ-

ღრობა მეფობს, ჩვენი ფერმერები კოტრდებიან, ჩვენს ქვეყანას უცხოელები ეპატრონებიან, სამუშაო ადგილებს გვართმევენ, ჩვენი პროფკავშირები კორუმპირებულია, გეტოებში ბავშვები იღუპებიან, გადასახადები უსამართლოდ მაღალია, ჩვენს სკოლებში ქაოსია, შიმშილი, სნეულებები და ომის შავი ღრუბელი თავზე ჩამოგვმხოვია – და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მისტერ გამპ, თქვენ რას მიიჩნევთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს პრობლემად მოცემულ მომენტში?

დარბაზში ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით.

– მეფსია! – ვთქვი მე.

ამაზე მთელი დარბაზი გადაირია! ხალხმა ყვირილი და ხელების ქნევა დაიწყო. უკანა რიგში ვიღაც ამღერდა და მალე მას ყველა აჰყვა.

– გვეფსია! გვეფსია! გვეფსია!

სცენაზე ჩემ უკან მჯდარი დედაჩემი წამოდგა და მიკროფონს მომაშორა.

– სახალხოდ ასე მოქცევის როგორ არ გრცხვენია! – მითხრა მან.

– არა, არა, – შეაჩერა მისტერ კლექსტონმა, – ყველაფერი მშვენივრადაა. ხალხს მოსწონს. ეს ჩვენი საარჩევნო კამპანიის სლოგანი იქნება.

– რა? – თვალები დაეჭვებით მოჭუტა დედაჩემმა.

– „გვეფსია!“ – უპასუხა მისტერ კლექსტონმა. – ყური დაუგდეთ! ასეთი უშუალო კონტაქტი უბრალო ხალხთან ჯერ არავის დაუმყარებია!

თუმცა, დედაჩემს ასე იოლად ვერ დაარწმუნებ.

– ეგეთი სლოგანი ვის გაუგია! – წამოიძახა მან, – უზრდელო და თავხედურია. და საერთოდ, რას ნიშნავს?

– ეს სიმბოლოა! – უპასუხა მისტერ კლექსტონ-

მა, – წარმოიდგინეთ, ჩვენს სლოგანს ბილბორდებზე, პლაკატებსა და სტიკერებზე რომ წავანერთ. სატელევიზიო და რადიორეკლამებს დავატრიალებთ. ბრწყინვალე სლოგანია! „გვეფსია“ – მთავრობის მარწმუნებისგან გათავისუფლების, ამ ქვეყნის სიბინძურისგან განმეხდის სიმბოლოა... უსიამოვნო შეგრძნებისა და გარდაუვალი შვების ნიშანია!

– რაო? – წამოიყვირა დედაჩემმა, – მთლად დაკარგეთ ჭკუა?

– ფორესტ, ვაშინგტონი უკვე ახლოა! – მითხრა მისტერ კლექსტონმა.

თავიდან მართლაც ასე ჩანდა. „გვეფსია“ პოპულარულ სიტყვად იქცა. ხალხი მას ქუჩებში, მანქანებსა და ავტობუსებში გაჰყვიროდა. მღვდლები კათედრიდან ქადაგებდნენ, ბავშვები სკოლებში ღიღინებდნენ. სატელევიზიო გადაცემების წამყვანები და საგაზეთო სტატიების ავტორები ყველანაირად ცდილობდნენ, ხალხისთვის მისი მნიშვნელობა აეხსნათ. სენატორობის უპირველეს კანდიდატად ვიქეცი. სასონარკვეთილმა ჩემმა კონკურენტმა თავისი სლოგანი შეცვალა და მთელ შტატში პლაკატები გააკრა წარწერებით: „მეც მეფსია“.

თუმცა, შემდეგ, როგორც ველოდი, ყველაფერი დაინგრა.

მალე „მეფსიამ“ ეროვნული მედიის¹ ყურადღებაც მიიპყრო და Washington Post-მა და New York Times-მარეპორტიორები გამოგზავნეს საკითხის შესასწავლად. უამრავი შეკითხვა დამისვეს. ძალიან თავაზიანები და კეთილგანწყობილები ჩანდნენ. მაგრამ მერე ჩემი წარსულის გამოქექვა დაიწყო. ერთ დღესაც გაზეთების

¹ აქ: გაზეთები ან სატელევიზიო ან რადიომაუწყებლები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება.

პირველ გვერდებზე გამოჩნდა სტატიები სათაურით: „სენატორობის კანდიდატის ბუნდოვანი წარსული“.

ჯერ ის დაწერეს, როგორ გამრიცხეს უნივერსიტეტიდან პირველივე კურსზე. მერე ის შემთხვევაც გამოქეცეს, მე და ჯენი კინოთეატრში რო წავედით და დარბაზიდან პოლიციელებმა გამათრიეს. ის ფოტოც გამოძებნეს, ვარდების ბაღში პრეზიდენტ ჯონსონს უკანალს რო ვუჩვენებ. ბოსტონში ჩემი მუსიკალური კარიერის წლებზეც გამოუკითხავთ და რამდენიმე ადამიანის ციტატაც მოიყვანეს, ფორესტი მარისუანას ეწოდოდაო. ეს კი არა, ჰარვარდის უნივერსიტეტში ხანძრის განგებ გაჩენაშიც დამდეს ბრალი.

უფრო უარესი – ისიც კი დაადგინეს, რო კაპიტოლიუმის წინ „ღირსების მედალი“ სენატის მდივანს ვესროლე და დაპატიმრებულს, საგიჟეთში მიკრეს თავი. შეიტყვეს ჩემი რესლერობის შესახებაც და ისიც, რო მეტსახელად „შტერი“ მერქვა. ფოტოც გამოაქვეყნეს, რომელზეც „პროფესორისგან“ ხელფეხშეკრული ვარ გამოსახული. სულ ბოლოს, რამდენიმე „ანონიმური ინფორმატორის“ ცნობებზე დაყრდნობით, ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობ ქალთან სექსსკანდალშიც გამხვიეს.

ეს საკმარისი აღმოჩნდა. მისტერ კლექსტონი საარჩევნო შტაბში აღელვებული შემოვარდა.

– მიწასთან გაგვასწორეს! ზურგში დანა ჩაგვცეს! – ყვიროდა ის.

ყველაფერი დამთავრდა. იძულებული გავხდი ჩემი კანდიდატურა მომეხსნა.

მომდევნო დღეს დედამ და მისტერ ტრიბლმა სალაპარაკოდ მიხმეს.

– ფორესტ, აჯობებს ცოტა ხანს, საზოგადოების წინაშე არ გამოჩნდე, – მირჩია მისტერ ტრიბლმა.

მის რჩევას დავუჯერე, რადგან სიმართლეს მეუბნებოდა. თანაც, იმ დროისთვის უკვე კარგა ხანი მანუხებდა ერთი აზრი, რომელსაც არავის ვუმხელდი.

კრევეტების ბიზნესი რო წამოვიწყე, თავიდან ჩემი საქმე მომწონდა. გუბურებში ბადეებს ვანყობდი, კრევეტებს ვიჭერდი და ვყიდდი, მე და სიუ სალამოობით ქოხის წინ ვსხდებოდით, მე ჰარმონიკას ვუკრავდი და შაბათობით ლუდით ვთვრებოდით.

ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. ყოველდღე წვეულებებზე დავდიოდი, სადაც უცნაური საჭმელს გვაჭმევდნენ და ზიზილ-პიპილოებით მორთულ ქალებს დიდი საყურეები ეკიდათ. განუწყვეტლივ ტელეფონი რეკავდა და ვილაცყები, თუ ამქვეყნად რამე ხდება, ყველაფერზე აზრს მეკითხებოდნენ. წარმომიდგენია, სენატში კიდე უარესი მდგომარეობა იქნებოდა! ერთი სიტყვით, ჩემი თავისთვის დრო საერთოდ აღარ მრჩებოდა და ბევრი რამეს ყურადღებას ველარ ვაქცევდი.

თანაც, სარკეში საკუთარ ანარეკლს რო ვუყურებდი, დანაოჭებულ სახეს და საფეთქლებთან შევერცხლილ თმას ვამჩნევდი. აღარც ჯანი მერჩოდა ძველებურად. ჩემი ბიზნესი კი ვითარდებოდა, მაგრამ მე ერთ ადგილზე ვტრიალებდი. ჩემთვის ვფიქრობდი: „რაში მჭირდება ეს ყველაფერი?“ წლების წინ მე და ბაბას გეგმა გაგვიჩნდა და ეს გეგმა განვახორციელე. ასეთ შედეგს ვერც წარმოვიდგენდი. მაგრამ რა? „ნებრასკელ მესიმინდეებთან“ ფინალში თამაში, ბოსტონელ მუსიკოსებთან ჰარმონიკას დაკვრა ან პრეზიდენტ ჯონსონთან სერიალის ყურება უფრო სასიამოვნო მეჩვენებოდა, ვიდრე ბიზნესის კეთება.

აღბათ, ნაწილობრივ, თავს ასე ჯენი კერენის გამო ვგრძნობდი, მაგრამ ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა და ყველაფერს მისი დავინყება ჯობდა.

მოკლედ, ერთი აზრი მანუხებდა: წასვლა მომინდა. ეს რომ დედაჩემს გავანდე, როგორც ველოდი, ატირდა და ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა. აი, მისტერ ტრიბლმა კი გამიგო.

– მოდი, სახალხოდ ასე ვიტყვით, ვითომ ხანგრძლივი შვებულება აიღე, – მითხრა მან, – რასაკვირველია, შენს წილს ხელს არავინ ახლებს და როცა მოგინდება, ბიზნესს მაშინ დაუბრუნდები.

ამგვარად, ერთ დღეს ჯიბეში ცოტა ფული ჩავიდე, ბარგი ზურგჩანთაში ჩავილაგე და ქარხანაში მისტერ ტრიბლს და დედას დავემშვიდობე. მაიკს, პროფესორ ქუეკენბუმს, „ქაქს“, „ბოსტნეულს“, „სნეიკს“, მწვრთნელ ფელერსს და მის ახმახებს, ბაბას მამას და ყველას სათითაოდ ჩამოვართვი ხელი.

ქარხნიდან წამოვედი და ქობში ბებერ სიუს ვესტუმრე.

– შენ რას იზამ? – ვკითხე.

სიუმ ხელი ჩამკიდა, მეორე ხელით ჩემი ჩანთა აიღო და გარეთ გავედით. ნავით ბაიუ-ლა-ბატრის ნავსადგურისკენ გავცურეთ. იქ ავტობუსში ჩავსხედით და მობილში წავედით. მობილის ავტოსადგურში ბილეთის ყიდვისას მოლარე ქალმა მკითხა:

– სად მიბრძანდებით?

მე მხრები ავიჩეჩე.

– მაშინ სავანას გირჩევთ! ერთხელ ვიყავი და ძალიან მომეწონა. ლამაზი ქალაქია.

ჰოდა, ჩვენც სავანაში გავემგზავრეთ.

სვტოზუსიდან რო ჩამოვედით, სავანაში კოკ-ისპირულად წვიმდა. მე და სიუმ ავტოსადგურს შევაფარეთ თავი. წვიმის გადაღებას ვუცდიდით და ვფიქრობდით, სად წავსულიყავით.

არანაირი გეგმა არ მქონდა. ერთი ჭიქა ყავა დავლიე, ავტოსადგურის წინ დავდექი, ჯიბიდან ჰარმონიკა ამოვიღე და დავუკარი. ერთმა გამვლელმა ცარიელ ყავის ჭიქაში ხურდა ჩამიყარა. კიდე რამდენიმე მელოდია დავუკარი და ჩემი ყავის ჭიქა ნახევრამდე ხურდებით გაივსო.

წვიმამ რო გადაიღო, მე და სიუმ ცოტა ფეხით გავისეირნეთ. ქალაქის ცენტრში ერთ პარკს მივადექით. ხის სკამზე ჩამოვჯექი და დაკვრა განვაგრძე. ხალხმა ყავის ჭიქაში ხურდების ჩაყრა გააგრძელა. მალე ბებერ სიუს მშვენიერი აზრი გაუჩნდა. ჭიქა აიღო და გამვლელებთან თავად მიქონდა. სალამომდე ხუთი დოლარი შევაგროვე.

იმ ღამით პარკში, ხის სკამზე გვეძინა. უღრუბლო, მთვარიანი ღამე იყო. დილით ვისაუზმეთ და როგორც კი ქუჩებში სამსახურში მიმავალი ხალხი გამოჩნდა, ჰარმონიკას დაკვრა განვაახლე. იმ დღეს რვა დოლარი ვიშოვე, მომდევნო დღეს – ცხრა. კვირის ბოლოს ფინანსურ მდგომარეობას ნაღდად არ ვუჩიოდით. მომდევნო ორშაბათს მუსიკალურ მაღაზიაში შევედი, იქნებ „სოლის“ ტონალობის ჰარმონიკა ვიშოვო-მეთქი, რადგან „დოს“ ტონალობის ძალიან მომბეზრდა. მაღაზიის კუთხეში ვილაც ტიპი ნახმარ სინთეზატორს ყიდ-

და. ზუსტად იმას ჰგავდა, **The Cracked Eggs**-ის ჯორჯს რომ ქონდა და ზედ რამდენიმე აკორდის დაკვრა მას-ნავლა.

ვკითხე: რამდენად ყიდი-მეთქი. მიპასუხა: ორას დოლარად, მაგრამ დაგიკლებო. ამგვარად, სინთეზატორი ვიყიდე. იმ ტიპმა სადგარი მიამაგრა სინთეზატორს, რო იმავდროულად ჰარმონიკაზე დაკვრაც შემიძლებოდა. ამან ხალხში ჩვენი პოპულარობა გაზარდა. მომდევნო კვირის ბოლოსთვის დღეში უკვე თითქმის ათ დოლარს ვშოულობდით. მუსიკალურ მაღაზიაში ისევ შევიარე და ნახმარი დასარტყამი ინსტრუმენტების კომპლექტი ვიყიდე. რამდენიმედღიანი მეცადინეობის შემდეგ დრამერობასაც დავეუფლე. პლასტმასის ყავის ჭიქა თუნუქის ჭიქით შევცვალე. ვუკრავდი ყველაფერს „The Night They Drove Ole Dixie Down“-ით დაწყებული და „Swing Lo, Sweet Chariot“-ით დამთავრებული. მალე ერთ პანსიონში ოთახიც ვიქირავე. იქ სიუს დარჩენის ნება დართეს, თან საუზმით და ვახშმითაც გვიმასპინძლებოდნენ.

ერთ დილას მე და სიუ პარკში მივდიოდით, როცა გაწვიმდა. სავანაში ყოველ მეორე დღეს კოკისპირულად წვიმს. რომელიღაც მაღალი შენობის წინ ქუჩას მივუყვებოდით და ნაცნობ სურათს მოვკარი თვალი.

ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარზე ვიღაც კოსტიუმიანი კაცი იდგა ქოლგით ხელში. ამ კაცის გვერდით დიდი ნაგვის ტომარა ეგდო. ნაგვის ტომრის ქვეშ ვიღაც წვიმას ემალებოდა. ქვემოდან მხოლოდ ხელები გამოეყო და იმ ქოლგიან კაცს ფეხსაცმელს უპრიალებდა. ქუჩა გადავჭერი, ტომარასთან ახლოს მივედი და რას ვხედავ, ურიკის ქვეშ პატარა გორგოლაჭები მოჩანს. სიხარულისგან კინალამ გავაფრინე! ტომარას ხელი

დავტაცე და განზე მოვისროლე და მის ქვეშ, რასაკვირ-
ველია, დენი დავინახე. ვილაც საქმიან ტიპს ფეხსაც-
მელს უნმენდდა და პურის ფულს ამით შოულობდა!

– დამიბრუნე ტომარა, შე კრეტინო! – მითხრა დენ-
მა, – გავილუმპე! – მერე სიუ შეამჩნია, – მაშ, ბოლოს და
ბოლოს, დაქორწინდი!

– სიუ მამრია, – შევახსენე.

– ფეხსაცმელს მიპრიალებ თუ არა? – ჰკითხა დენს
კოსტიუმთანმა კაცმა.

– დაახვიე, თორემ ლანჩებს აგახევ! – უთხრა მას
დენმა.

კოსტიუმიანი კაცი წავიდა.

– აქ რას აკეთებ, დენ? – ვკითხე.

– ვერ ხედავ, რას ვაკეთებ? – კითხვითვე მიპასუხა, –
კომუნისტი გავხდი.

– იმათნაირი, ვისაც ვეომებოდით?

– ნწუ, – იუარა დენმა, – ისინი ვიეტნამელი კომუ-
ნისტები იყვნენ. მე ნამდვილი კომუნისტი ვარ, როგორც
მარქსი, ლენინი, ტროცკი.

– მაშ, ვილაცეებს ფეხსაცმელს რატო უპრიალებ?

– იმპერიალისტთა ლაქიების შესარცხვენად, – მიპა-
სუხა დენმა, – ჩემი აზრით, ვისაც გაპრიალებული ფეხ-
საცმელი აცვია, კაპიკად არ ღირს. ჰოდა, რაც უფრო
მეტ ფეხსაცმელს გავაპრიალებ, უფრო მეტ ნაგავს
გავგზავნი იაფად ჯოჯოხეთში.

– კაი, რახან ასე ამბობ, – ვთქვი მე. დენმა თავისი ძონ-
ძები თავზე გადაიფარა და ურიკა საჩიხისკენ გააგორა.

– ჯანდაბა, ფორესტ, არანაირი კომუნისტი მე არ
ვარ, – წამოიძახა დენმა, – ჩემნაირი კომუნისტი მაინც
არავის სჭირდება.

– როგორ არა, დენ, – შევეპასუხე. – თითონ მითხარი,

თუ მოისურვებ, ვინც გინდა, ის იქნები და რასაც გინდა, იმას გააკეთებო. ეს შენც შეგილია.

- კიდე გჯერა მაგ სისულელის?
- დიახ. სხვათა შორის, შიშველი რაქელ უელჩი ვნახე.
- მართლა? კაი ტრაკი აქ?

მე, სიუმ და დენმა ჯგუფი ჩამოვაცალიბეთ. დენმა პანსიონში ცხოვრებაზე უარი თქვა და ღამეს ქუჩაში ათევდა, ტანზე ნაგვისტომარაგადაფარებული. ნებისყოფის გამომუშავებაში მეხმარებაო, ასე ამიხსნა. წვრილად მიამბო, რაც ინდიანაპოლისიდან წამოსვლის შემდეგ გადახდა თავს. რესლინგის ბოლო ორთაბრძოლისას მიღებული ფულის დიდი ნაწილი ძაღლების რბოლაზე წაუგია, დანარჩენი კი სმაში დაუხარჯავს. მერე ავტოსახელოსნოში მექანიკოსად დაუწყია მუშაობა, ჩემი ურიკით მანქანის ქვეშ იოლად ვძვრებოდიო. თუმცა ბენზინით და მაზუთით გათხუპნა მალე მობეზრებია და იქიდანაც წამოსულა.

- უფეხო და ხელმოცარული ლოთი მანანწალა კი ვარ, მაგრამ ბინძური არასდროს ვყოფილვარ, - თქვა დენმა.

მერე ვაშინგტონში წასულა, სადაც ვიეტნამის ომის ვეტერანების პატივსაცემად დიდი მონუმენტი აუგიათ და საზეიმო გახსნაზე მიუწვევიათ. იქ მისთვის სიტყვით გამოსვლაც უთხოვიათ. თუმცა სიტყვით გამოსვლამდე დენი დამთვრალა და ტექსტი დავინწყებია. ჰოდა, სასტუმრო ნომრიდან ბიბლია წამოუღია და ხალხის წინაშე მთელი „დაბადება“ წაუკითხავს. უკვე „რიცხვებზე“ გადავდიოდი, მაგრამ მიკროფონი გამომირთეს და სცენიდან გამათრიესო. მას შემდეგ ქუჩაში ცოტა ხანს უმათხოვრია, მაგრამ მათხოვრობას შევეშვი, რადგან უღირსი საქმეაო, - დაასრულა დენმა.

მე მოვუყევი მისტერ ტრიბლთან ერთად ჭადრაკს რო

ვთამაშობდი, კრევეტების წარმატებული ბიზნესი რო ავანყვე და კინალამ აშშ-ის სენატორად ამირჩიეს. თუმცა დენი რაქელ უელჩით უფრო დაინტერესდა.

– როგორ ფიქრობ, ის ძუძუები ნამდვილი აქვს? – მკითხა მან.

ერთი თვე გავიდა, რაც სავანაში ჩავედით და ბედს არ ვუჩიოდით. მე ვუკრავდი, სიუ ფულს აგროვებდა, ხოლო დენი ჩემ მოსასმენად შეკრებილ ხალხს ფეხსაცმელს უპრიალებდა. ერთხელ ადგილობრივი გაზეთის ფოტორეპორტიორი მოვიდა, სურათი გადაგვიღო და პირველ გვერდზე გამოაქვეყნა.

„მანანნალები ქალაქის პარკში უსაქმურობენ“ – ეწერა ფოტოს ქვეშ.

ერთ დღეს პარკში ვუკრავდი, თან ვფიქრობდი, ჩარლსტონში ხო არ გადავსახლებულიყავით-მეთქი და უცებ ბიჭუნა შევამჩნიე. დასარტყამი ინსტრუმენტების წინ იდგა და მიყურებდა.

„Ridin on the City of New Orleans“-ს ვუკრავდი. ბიჭი არ ინძრეოდა და არც იცინოდა, მაგრამ მის თვალებში ჩემთვის ნაცნობი უჩვეულო ცეცხლი შევამჩნიე. თავი ავწიე და შეგროვილი ხალხის კუთხეში ქალი დავინახე. მის დანახვაზე კინალამ გული წამივიდა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, ეს ჯენი იყო!

თმა დაეხვია, ოდნავ ასაკიც დასტყობოდა და გადაღლილს ჰგავდა, მაგრამ მაინც ჯენი იყო. გაკვირვებულს, ჰარმონიკაზე ნოტები ამერია, მაგრამ მელოდია ბოლომდე დავუკარი. ჯენი ახლოს მოვიდა და ბიჭუნას ხელი ჩაჰკიდა.

– ო, ფორესტ, ჰარმონიკას ხმა გავიგონე თუ არა, მივხვდი, რომ შენ იქნებოდი, – თქვა აცრემლებულმა ჯენიმ, – ჰარმონიკას შენსავით ვერავინ უკრავს.

– აქ რას აკეთებ? – ვკითხე.

– ახლა აქ ვცხოვრობთ, – მიპასუხა მან, – დონალდი სახურავის კრამიტების ქარხანაში გაყიდვების მენეჯერის თანაშემწეა. სავანაში სამი წლის წინ დავსახლდით.

დაკვრა რო შევწყვიტე, ხალხი ნელ-ნელა დაიფანტა. ჯენი ხის სკამზე გვერდით მომიჯდა. ბიჭუნა სიუს ეთამაშებოდა. სიუ ყირაზე გადადიოდა და ბიჭუნას აცინებდა.

– ქუჩაში რატო მუსიკოსობ? – მკითხა ჯენიმ, – დედამ მომწერა, ფორესტმა ბაიუ-ლა-ბატრში კრევეტების ბიზნესი წამოიწყო და მილიონერი გახდაო.

– გრძელი ამბავია.

– ისევ შარში ხომ არ გაეხვიე, ფორესტ?

– ამჯერად არა, – ვუპასუხე, – შენზე რას მეტყვი? როგორ ხარ?

– არა მიშავს, – მითხრა ჯენიმ, – მგონი, იმას მივალნიე, რასაც ვნატრობდი.

– ეს შენი ბიჭია? – ვკითხე.

– კი, – მიპასუხა ჯენიმ, – ხომ ლამაზია?

– ძალიან. რა ჰქვია?

– ფორესტი.

– ფორესტი? – გამიკვირდა, – ჩემი სახელი დაარქვი?

– აბა, რა მექნა, სანახევროდ ხომ შენი შვილიცაა?!

– სანახევროდ?

– ფორესტ, ის შენი შვილია.

– ჩემი შვილი?!

– ჰო. პატარა ფორესტი.

ბიჭუნა მხიარულად იცინოდა და თავდაყირა მდგარ სიუს ტაშს უკრავდა.

– ალბათ, თავიდანვე უნდა მეთქვა შენთვის, – გა-

ნაგრძო ჯენიმ, – ინდიანაპოლისიდან რო წამოვედი, უკვე ორსულად ვიყავი. რატომღაც არ გაგიმხილე. არ ვიცო, ვიფიქრე... ხომ ხვდები, შენ რესლერი იყავი და თავს „შტერს“ უწოდებდი, მე კიდევ შვილი უნდა გამეჩინა. ვლელავდი, არ ვიცოდდი, როგორი დაიბადებოდა.

– შეგეშინდა, რო ისიც ჩემსავით იდიოტი იქნებოდა?

– მგონი, ჰო, – თქვა ჯენიმ, – თუმცა ნუ დარდობ, ფორესტ! შეხედე, ის სულაც არ არის იდიოტი! ძალიან გონიერია! წელს მეორე კლასში გადადის. ძალიან კარგად სწავლობს. წარმოგიდგენია!

– ზუსტად იცი, რო ჩემია?

– ეჭვიც არ მეპარება! – დარწმუნებით თქვა ჯენიმ, – რომ გაიზრდება, ფეხბურთელობას ან ასტრონავტობას აპირებს.

კიდევ ერთხელ გავხედე თვალნათელ ბიჭუნას. ლამაზი, ღონიერი და უშიშარი ჩანდა. ის და სიუ მინაში „ჯვრებს და ნულებს“ თამაშობდნენ.

– და იმ შენმა... ეეე...

– დონალდმა? – შემეშველა ჯენი, – მან შენზე არაფერი იცის. მას ინდიანაპოლისიდან წასვლის შემდეგ შევხვდი. მაშინ უკვე მუცელი მეტყობოდა და არ ვიცოდდი, რა მექნა. დონალდი თავაზიანი, კეთილი კაცია. ჩემსა და პატარა ფორესტზე ზრუნავს. საკუთარი სახლი გვაქვს, ორი მანქანა გვყავს. ყოველ შაბათს პლაჟზე ან ქალაქგარეთ მივდივართ. კვირაობით ეკლესიაში წირვას ვესწრებით. დონალდი ფორესტისთვის კოლეჯში სწავლის ფულს აგროვებს.

– შეილება დაველაპარაკო... სულ რამდენიმე წუთით? – ვთხოვე ჯენის.

– რა თქმა უნდა, – ნება დამართო ჯენიმ და ბიჭუნას დაუძახა.

– ფორესტი, გაიცანი ჩემი ძველი მეგობარი, რომელსაც შენსავით ფორესტი ჰქვია, – უთხრა მას ჯენიმ, – სწორედ მის პატივსაცემად დაგარქვი ეგ სახელი.

ბიჭუნა სკამზე მეორე მხრიდან მომიჯდა.

– სასაცილო მაიმუნი გყოლია, – მითხრა.

– ორანგუტანია, – ავუხსენი, – სიუ ჰქვია.

– ბიჭია და გოგოს სახელი რატომ ჰქვია? – გაუკვირდა მას.

მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რო ჩემი შვილი იდიოტი არ არი.

– შენმა დედიკომ მითხრა, რო გაიზრდება, ფორესტი ფეხბურთელობას ან ასტრონავტობას აპირებსო.

– დიახ, ვაპირებ, – მითხრა ბიჭუნამ, – ფეხბურთსა და ასტრონავტობაზე რამე თუ იცით?

– კი, ცოტა რამ ვიცი, – ვუპასუხე, – მაგრამ აჯობებს, ამაზე მამიკოს ესაუბრო ხოლმე. დარწმუნებული ვარ, მან ჩემზე მეტი იცის.

უცებ ბიჭუნა ჩამეხუტა. მაგრად არ ჩამხუტებია, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

– სიუსთან თამაშს გავაგრძელებ, – წამოხტა მერე.

მან და სიუმ ახალი თამაში წამოიწყეს. ბიჭუნა სიუს ჭიქაში ჩასაგდებად მონეტას ისროდა, სიუ კი ჰაერშივე იჭერდა.

ჯენიმ ამოიხვნეშა და მუხლზე ხელი მომითათუნა.

– ზოგჯერ ვერც ვიჯერებ, – თქვა მან, – პირველი კლასიდან ერთმანეთს ვიცნობთ.

მზე ფოთლებს შორის ანათებდა და მისი სხივები ჯენის სახეზე დასთამაშებდა. მგონი, მის თვალებში აკიაფებული ცრემლი შევამჩნიე, ოღონდ არ ატირებულა. მისი წამიერი აღელვება ვიგრძენი, მიუხედავად იმისა, რო არაფერი შესტყობია.

– ვერ ვიჯერებ, რა ვქნა, – დაამატა მან, ჩემკენ გადმოიხარა და შუბლზე მაკოცა.

– რას? – ვკითხე.

– იდიოტიო, – ათროთლებული ტურებით თქვა ჯენიმ, – ვინ არ არის იდიოტი? – და წავიდა. ადგა, პატარა ფორესტს ხელი ჩაჰკიდა და წავიდა.

სიუ წინ ჩამომიჯდა და მიწაზე „ჯვრების და ნულების“ დაფა დამიხაზა. მარჯვენა ზედა უჯრაში „ჯვარი“ ჩავხაზე. სიუმ შუა უჯრაში „ნული“ ჩახაზა. მაშინვე მივხვდი, რო ვერავინ გაიმარჯვებდა.

ამ შეხვედრის შემდეგ ორი რამ გავაკეთე. ჯერ მისტერ ტრიბლს დავურეკე და დავავალე, კრევეტების ბიზნესში ჩემი წილის ათი პროცენტი დედაჩემს მიეცი, ათი პროცენტი – ბაბას მამას, ხოლო დანარჩენი ჯენის პატარა ფორესტისთვის გაუგზავნე-მეთქი.

ნავახშმევს დავჯექი და მთელი ღამე ფიქრებში გავათენე, არადა, აზროვნების უნარით დიდად არ გამოვიჩვევი. ვფიქრობდი, ბოლო-ბოლო, ამდენი ხნის შემდეგ ჯენი მაინც ვიპოვე, ჩემგან შვილი გაუჩენია და იქნებ როგორმე ურთიერთობა ავანწყოთ-მეთქი.

თუმცა რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უკეთ ვხვდებოდი, რო ეს არ გამოვიდოდა. როგორ მინდა ყველაფერი ჩემს იდიოტობას დავაბრალო, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე. უბრალოდ, ასე მოხდა. ზოგჯერ ნათქვამს და მომხდარს ველარ შეცვლი. გადავწყვიტე, ჩემი პატარა ბიჭისთვის დედამისთან და მის ქმართან ყოფნა აჯობებდა, ვიდრე უტვინო მამასთან.

რამდენიმე დღეში მე, სიუ და დენი ჩარლსტონში გავემგზავრეთ, ჩარლსტონიდან – რიჩმონდში, რიჩმონდიდან – ატლანტაში, ატლანტიდან – ჩატანუგაში, ჩატანუგადან – მემფისში, მემფისიდან – ნეშვილში და ბოლოს ნიუ-ორლეანში აღმოვჩნდით.

ნიუ-ორლეანში ყველას ფეხებზე კიდია, ვინ რას აკეთებს. ჩვენც ჩვენს გემოზე ვცხოვრობთ. ყოველდღე ჯექსონის მოედანზე ვუკრავთ და სხვა ჩვენნაირ შერე-კილებს ვაკვირდებით.

ორეტლიანი მოტოციკლეტი ვიყიდე, ერთში სიუს ვსვამ, მეორეში – დენს და ყოველ კვირადღეს მდინარეზე სათევზაოდ მივდივართ. ჯენი ყოველთვე მწერს და პატარა ფორესტის ფოტოებს მიგზავნის. ბოლო ფოტოზე საფეხბურთო ფორმაში ჩაცმული ფორესტია გამოსახული. აქ, ადგილობრივ სტრიპტიზბარში ერთი მიმტანი გოგო გავიცანი, ვანდა ქვია. ხანდახან მე და ვანდა ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე. მე, სიუ და დენი ხშირად ვსეირნობთ ფრანგულ უბანში. დამიჯერეთ, სანახავი მართლაც ბევრია. ზოგჯერ ისეთ უჩვეულო ადამიანებს გადავეყრებით, რუსეთის რევოლუციის ვეტერანები გეგონებათ.

ერთ დღეს ჩემთან ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი მოვიდა, საუკეთესო ქუჩის მუსიკოსი ხარ, ვისაც შევხვედრივარ და შენზე სტატია უნდა დავწერო. ბევრი შეკითხვა დამისვა და მეც ჩემი ისტორიის მოყოლა დავიწყე. ნახევრამდეც არ ვიქნებოდი მისული, როცა რეპორტიორი ადგა და წავიდა, ამას ვერ დავბეჭდავ, რადგან არავინ დაიჯერებსო.

ხანდახან, როცა ღამით ვარსკვლავებით მოჭედდით ცას შევცქერი, ყველაფერი მახსენდება. როგორც ყველას, მეც მესიზმრება სიზმრები და ვფიქრობ, რო ყველაფერი სხვაგვარად შეილებოდა მომხდარიყო. არადა, დრო სწრაფად გადის. მოიხედავ და უკვე ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი წლისა ხარ. ხო ხვდებით, არა?

კი, იდიოტი ვარ, მაგრამ მერე, რა? ყოველთვის იმას ვცდილობდი, შეცდომა არ დამეშვა. სიზმრები კი მხო-

ლოდ სიზმრებია! რაც მოხდა, მოხდა; მთავარია, მოსაწყენი ცხოვრებით არ მიცხოვრია.

ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE